Цена

330.8
243

ჯემალ ხარიტონაშვილი

# ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები

## წიგნი II

330.8
ხ-273

# ჯემალ ხარიტონაშვილი

# ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები

## წიგნი II

№ 957

საქპროფგამი
თბილისი
1997

კაცობრიობას დასაბამიდან დღემდე არსებითად ერთნაირი პრობლემები აწუხებდა და აწუხებს. მათი გამოვლენის ფორმები კი ყოველთვის განსხვავებული იყო ამიტომ ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურებს შორის გენეტიკური კავშირურთიერთობის შემეცნება, გონებრივ მემკვიდრეობათა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოვლენა, მეცნიერული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი აქტუალური თემაა. ეს ეხება ეკონომიკურ იდეათა აღმოცენების, განვითარებისა და სრულყოფის მეცნიერულ პროცესსაც.

წინამდებარე ნაშრომში გაკეთებულია ცდა გაანალიზებულ იქნას კაცობრიობის ისტორიაში არსებული უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მოძღვრებები, გამოვლენილი იქნას მათი გენეტიკური კავშირი თანამედროვეობასთან.

რეცენზენტები: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პ.ბ. ლემონჯავა, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ე.გ. ჩადუნელი

რედაქტორი ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ჯ. ა. კახნიაშვილი

მე-3 გვ-ზე მოცემულია ეკონომიკური მოძღვრებების განვითარების სქემა*.

- - - - -

* სქემაში ნაწილობრივ გამოყენებულია პ.სამუელსონისა და უ.ნორდჰაუსის მიერ ჩამოყალიბებული ჩონჩხი. იხ. პ.სამუელსონი, უ. ნორდჰაუსი სახალხო მეურნეობის თეორია, ტI და II, კიოლნი ,1987, (გერმ.)



# თავი XIII. გერმანული დისიდენტური სკოლის ეკონომიკური მოძღვრება

დისიდენტია (ლათ - *disidenti* - ვინც თანახმა არ არის) ვინც არ აღიარებს გაბატონებულ შეხედულებებს

დისიდენტური იურქეაზიული თეორიები ჩამოყალიბდა XIX საუკუნის შუახანებში გერმანიაში. აღნიშნულ პერიოდში გერმანია დაქუცმაცებული, ჩამორჩენილი და აგრარული ქვეყანა იყო. ეკონომიკური განვითარების დონით გერმანია ძალიან ჩამორჩებოდა ინგლისსა და საფრანგეთსაც კი.

XIX ს. პირველ ნახევარში გერმანიაში მრავალი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება პარალიზებული იყო შინაგანი საბაჟო ბარიერების სიუხვით, ერთგვარი კომერციული კანონმდებლობის, ერთიანი ფულადი სისტემის, აგრეთვე ზომისა და წონის ერთიანი სისტემის არარსებობით. მხოლოდ 1834 წ. წარმოიშვა საბაჟო კავშირი, რომელმაც სათავე დაუდო გერმანიის ეკონომიკურ განვითარებას. კაპიტალიზმი გერმანიაში განვითარდა მხოლოდ 40-60-იან წლებში.

გერმანიის მნიშვნელოვანი თავისებურება იყო სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების პრუსიული გზა, რაც ხასიათდებოდა მემამულეების (იუნკრების) სოციალ-პოლიტიკური ბატონობით და მემამულურ მეურნეობის კაპიტალიზმთან თანდათანობით შეგუებით, რომელიც დიდხანს ატარებდა ნახევრად ფეოდალურ ნიშნებს.

გერმანიის ბურჟუაზია, რომელმაც ვერ მოასწრო გამოევლინა თავი, როგორც ახალი და გაბედული იდეების მატარებელ პროგრესულ კლასს. სწრაფად დაექანა მებატონეებთან კავშირისაკენ.

პოლიტიკური ეკონომია გერმანიაში 20-30-იან წლებში ვითარდებოდა როგორც პრუსიული მონარქიისა და სხვა მთავრების მოსამსახურე. მაგრამ ახალი დროება მაინც მოითხოვდა სიახლეს. მაშინ გამოჩნდა ფრიდრიხ ლისტი.

## 1. ეროვნული ეკონომიკა. ფრიდრიხ ლისტი

ფ. ლისტი (1789-1846) გამოხატავდა გერმანული ბურჟუაზიის მისწრაფებებს. მისი წვლილი ეკონომიკურ მეცნიერებაში

მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს, რამდენადაც იგი მიდიოდა პრინციპულად სხვა გზებით, ვიდრე ინგლისელი კლასიკოსები, რომლებიც აგრეთვე ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდნენ. მაგრამ სხვა ისტორიულ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში. ფ. ლისტი მოითხოვდა და ასაბუთებდა გერმანიაში კაპიტალიზმის განვითარებას. მას სურდა ინგლისისა და საფრანგეთის ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიისაგან განსხვავებული სისტემის შექმნა.

ფ. ლისტი დაიბადა შვაბიაში, ქალაქ რეიტლინგში, შეძლებული ხელოსნის (დაბაღის) ოჯახში. შემდეგში ფ. ლისტიც ფაბრიკანტი გახდა. 1819 წ. მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა „გერმანელი მრეწველებისა და კომერსანტების გენერალური ასოციაცია". ფ. ლისტი აქტიურად მონაწილეობდა იმდროინდელი გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. ფ. ლისტს ტიუბინგენში პოლიტიკურ მეცნიერებათა კათედრა ეკავა. მან დაარსა ჟურნალი „შვაბი ხალხის მეგობარი" მაგრამ მალე შეწყვიტა მისი გამოცემა. უფრო მეტიც, შექმნილი მდგომარეობის გამო იგი იძულებული გახდა სამსახურისათვის თავი მიენებებინა პარლამენტში ყოფნისას ოპოზიციის შექმნის აგიტაციისათვის მას 10 თვით პატიმრობა მიუსაჯეს, მაგარმ იგი არ დაელოდა დაპატიმრებას და საზღვარგარეთ გაიქცა. ფ. ლისტმა იმოგზაურა საფრანგეთში, შვეიცარიაში და 1825წ. ამერიკაში ჩავიდა.

ამერიკაში ფ. ლისტმა ხელი მოჰკიდა კერძო მეწარმეობას პირველ ხანებში მან დიდი მოგებაც მიიღო, მაგრამ ჭარბწარმოების კრიზისის გამო წარმოება გაკოტრდა.

ამერიკაში ყოფნისას ფ. ლისტმა გამოაქვეყნა სტატიები, რომლებშიც მან განამტკიცა თავისი პროტექციონისტული მოსაზრებები ამერიკელი ეკონომისტის ჰამილტონის თხზულებების, აგრეთვე თვით ამერიკული პროტექციონიზმის პრაქტიკის გავლენით. 1827 წ. საერთო სათაურით „პოლიტიკური ეკონომიის თეორიის ახალი ნარკვევები" გამოაქვეყნა 12 წერილი, რომლებშიც სისტემურად გადმოსცა თავისი შეხედულებები სავაჭრო პოლიტიკის პრინციპებზე.

1832 წ. ფ. ლისტი გერმანიაში დაბრუნდა როგორც ამერიკის კონსული და თავისი იდეების ენერგიულ პროპაგანდას შეუდგა. 1841 წ. ფ. ლისტმა გამოაქვეყნა თავისი მთავარი ნაშრომი:

\- - - - - - - - - -

ა. ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე, გვ. 325-326.



„პოლიტიკური ეკონომიის ეროვნული სისტემა", რომელშიც ცენტრალური ადგილი უკავია გერმანიის ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებს.

თავის ნაწარმოებში იგი მოითხოვდა ფეოდალიზმის ნაშთების მოსპობას, რადგან ფეოდალური ურთიერთობანი ხელს უშლიდა გერმანიაში კაპიტალიზმის განვითარებას. ფ.ლისტის მტკიცებით, გერმანიის გაერთიანებისა და აყვავების გზას მრეწველობის ზრდა წარმოადგენდა. გერმანიის მრეწველობა კი საჭიროებდა ძლიერი უცხოური კონკურენციისაგან დაცვას მაღალი საიმპორტო ბაჟებით და სავაჭრო პოლიტიკის სხვა საშუალებებით.

ფ. ლისტმა გაილაშქრა კლასიკური სკოლის წარმომადგენელთა, პირველ რიგში კი ა. სმიტის წინააღმდეგ. მან სმიტისეულ სისტემას კოსმოპოლიტური უწოდა. იგი ბრალს სდებდა ამ სისტემას იმაში, რომ იგი ვეღარ ხედავდა ცალკეული ქვეყნების სამეურნეო განვითარების ეროვნულ თავისებურებას და დოგმატურად თავს ახვევდა მათ პოლიტიკის ერთიან ბუნებრივ კანონებსა და წესებს. ფ. ლისტი თავის მიერ წამოყენებული სისტემის დამახასიათებელ განსხვავებას ეროვნულობის მტკიცებაში ხედავდა „მთელი ჩემი შენობა ერის ბუნებას ეფუძნებაო" - წერდა ის. ფ. ლისტმა თავისი კრიტიკა ბურჟუაზიული კლასიკური სკოლის შრომითი ღირებულების თეორიის წინააღმდეგ მიმართა და მას დაუპირისპირა მწარმოებლურ ძალთა თეორია. მას მწარმოებლურ ძალებში შეჰყავდა პოლიტიკური და სამართლებრივი დაწესებულებები, რელიგია, მორალი და სხვ.

მწარმოებლურ ძალთა თეორიაზე დაყრდნობით ფ. ლისტი შეეცადა პროტექციონისტული პოლიტიკის დასაბუთებას და გერმანიის მწარმოებლურ ძალთა განვითარების უზრუნველყოფას. ა. სმიტისა და დ. რიკარდოს შეხედულებები თავისუფალი ვაჭრობის არსებობის აუცილებლობის შესახებ მიუღებელი იყო გერმანიის ბურჟუაზიისათვის, ამიტომ ფ. ლისტი არ იზიარებდა მათ შეხედულებებს თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკის გატარების საკითხებში და იცავდა პროტექციონისტულ პოლიტიკას. რომელიც შეესაბამებოდა გერმანიის ბურჟუაზიის ინტერესებს. ამაში გამოიხატებოდა ფ. ლისტის დისიდენტური პოზიცია.

ფ. ლისტიც ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა, მაგრამ მისი პროტექციონისტული პოლიტიკა გერმანიის ბურჟუაზიისათვის

იყო სასარგებლო, ხოლო ინგლისის კლასიკური სკოლის წარმომადგენელთა მიერ ფრიტრედერობის დაცვა შეესაბამებოდა ინგლისის ბურჟუაზიის ინტერესებს. აქ განსხვავება იმაშია, რომ ფ. ლისტი უარყოფდა ბურჟუაზიული კლასიკური სკოლის წარმომადგენელთა ეკონომიკური პოლიტიკის უნივერსალურ ხასიათს.

ფ. ლისტის ეკონომიკურ შეხედულებებში ყველა საკითხი და პრობლემა დასმული და განხილულია გერმანიის ბურჟუაზიის სასარგებლოდ. ფ. ლისტის მოძღვრება „აღმზრდელობითი პროტექციონიზმის“ შესახებ წარმოადგენდა გერმანიის ბურჟუაზიის იარაღს ინგლისის კონკურენციის წინააღმდეგ.

ფ.ლისტი ყოველ ზომას იღებდა გერმანიის ეროვნული მეურნეობის დასაცავად და გასაძლიერებლად. პოლიტიკური ეკონომიის საგნად ფ. ლისტი ეროვნულ მეურნეობას აცხადებდა. ფ. ლისტი იცავდა პროტექციონისტულ პოლიტიკას. ამ პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელი იყო გერმანიის იუნკრული სახელმწიფოს ჩარევა. ამიტომ იგი დიდ როლს ანიჭებდა სახელმწიფოს. ფ. ლისტისათვის მთავარი იყო გერმანიის ბურჟუაზიისათვის სასარგებლო პოლიტიკის გატარება, ამიტომ მან პირველ ადგილზე ეკონომიკური პოლიტიკა დააყენა. ფ.ლისტის ეკონომიკურ სისტემაში ცენტრალური ადგილი უკავია ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებს. ხოლო მისი ეროვნული ეკონომია ემსახურებოდა მწარმოებლურ ძალთა ყოველმხრივ განვითარებას. მწარმოებლურ ძალთა განვითარების საქმეში ფ. ლისტი მთავარ როლს საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობას ანიჭებდა და ყველა ზომას იღებდა გერმანული ფაბრიკანტების ინტერესთა დასაცავად.

გერმანიის მრეწველობის, ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის დაცვის მიზნით ფ. ლისტმა წამოაყენა ერის ეკონომიკური განვითარების სტადიების იდეა. ის აღიარებდა საზოგადოების განვითარების ხუთ ისტორიულ სტადიას. 1. ველურობის ანუ მონადირეობის, 2. მომთაბარე-მესაქონლეობის, 3. მიწათმოქმედების, 4. სამიწათმოქმედო მანუფაქტურული და 5. კომერციული*.

ამ სქემით ფ. ლისტს სურდა გერმანიის ყოველმხრივი განვითარების თეორიული დასაბუთება. მას სურდა გერმანიის

\- - - - - - -

* ფ. ლისტი, პოლიტიკური ეკონომიის ნაციონალური სისტემა, სკპ, 1891, გვ. 48 (რუს).



ისეთი სამრეწველო განვითარება, რომ მსოფლიო ასპარეზზე მას კონკურენტი არ ჰყოლოდა. ფ. ლისტი მიუთითებდა, რომ გერმანია განვითარების მესამე და მეოთხე ეტაპებს შუა პერიოდში იმყოფებაო. უმაღლეს მეხუთე ეტაპზე გადასვლისათვის მას საჭიროდ მიაჩნდა სახელმწიფოს მხრივ ისეთი პროტექციონისტული ღონისძიებების გატარება, რომლებიც უზრუნველყოფდნენ გერმანიის პირველობას.

როცა გერმანია მძლავრი სამრეწველო სახელმწიფო გახდება, მიუთითებდა ფ. ლისტი, მას შესაძლებლობა ექნება მონაწილეობა მიიღოს ნედლეულისა და გასაღების სფეროების გადანაწილებაშიო. იგი ამართლებდა კოლონიურ პოლიტიკას. განსაკუთრებით საჭიროდ მიაჩნდა კოლონიური დაპყრობის განხორციელება აღმოსავლეთ ევროპის ხარჯზე, აგრეთვე კოლონიების დაპყრობა ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და სხვ.

ფ. ლისტის შეხედულებები ნაციონალური მეურნეობის შესახებ შემდგომში გამოიყენა გერმანის ფაშიზმმა. ფ. ლისტის მსგავსად ა. ჰიტლერიც, თავის წიგნში „ჩემი ბრძოლა“ აყენებდა აღმოსავლური ტერიტორიების დაპყრობის ამოცანას*.

## 2. ისტორიული სკოლა

გერმანიის ბურჟუაზიული ეკონომიკის სპეციფიკურმა მოტივებმა უფრო სრული ასახვა ჰპოვეს ისტორიული სკოლის წარმომადგენლების შრომებში.

ისტორიული სკოლა აღმოცენდა გერმანიაში *XIX* ს. 40-იან წლებში. ამ სკოლამ გამოიყენა ფ. ლისტის მოძღვრება საზოგადოების განვითარების შესახებ და მისი ისტორიული სქემა.

ისტორიული სკოლა გამოხატავდა გრმანიის ბურჟუაზიის ინტერესებს და მოითხოვდა გერმანიის ერთიანი იუნკრული სახელმწიფოს შექმნას. ამ სკოლის წარმომადგენლები გადამწყვეტ როლს ანიჭებდნენ, გარეშე ეკონომიკურ ფაქტორებს (სახელმწიფო, სამართალი, მორალი, რელიგია).

ისტორიული სკოლა იდეალისტურად ხსნიდა ისტორიულ პროცესებს, აღიარებდა ევოლუციონიზმს და უარყოფდა საზოგადოების განვითარების დიალექტიკურ ხასიათს. იგი მარადიულად აცხადებდა კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობებსა და

\- - - - - - -

* იხ. ჰიტლერი, ჩემი ბრძოლა, თბ. 1991, გვ. 67-68.

კერძო საკუთრებას.

ისტორიული სკოლის ჩამოყალიბებაზე ძლიერი ზეგავლენა მოახდინა ფ. ლისტის შეხედულებებმა. ფ. ლისტის მსგავსად ამ სკოლის წარმომადგენლებიც პოლიტიკურ ეკონომიას განიხილავდნენ როგორც მეცნიერებას ეროვნული მეურნეობის შესახებ. ისტორიული სკოლის წარმომადგენლები კრიტიკულად ეკიდებოდნენ კლასიკური სკოლის დებულებებს. სამაგიეროდ მათ ბევრი რამ ისესხეს ინგლისისა და საფრანგეთის პესიმისტური და ოპტიმისტური თეორეტიკოსებისაგან.

ისტორიული სკოლის თეორეტიკოსებმა პოლიტიკურ ეკონომიაში შექმნეს განსხვავებული ისტორიული მეთოდი, რომელმაც შემდგომში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ მეცნიერების განვითარებაში გერმანიასა და აშშ-ში. ისტოიულმა სკოლამ ისტორიული მეთოდი ისესხა სამართლის ისტორიული სკოლისაგან, რომელიც გერმანიაში აღმოცენდა *XIX* ს. დამდეგს.

ისტორიული სკოლის მესვეურები უარს ამბობდნენ აბსტრაქტულ მეთოდზე და აბსოლუტურ პრინციპამდე დაჰყავდათ ეროვნული თავისებურებანი. მათ უარყვეს ეკონომიკური თეორიის დამუშავება და საკმარისად ჩათვალეს ეკონომიკური ისტორია, რომელიც შემოიფარგლებოდა ეკონომიკური ფაქტების შეგროვებითა და აღწერით.

ისტორიულის სკოლა დროთა განმავლობაში იცვლიდა ზოგიერთ დამახასიათებელ თვისებას. ამის მიხედვით განარჩევენ ძველ ისტორიულ სკოლას და ახალ ისტორიულ სკოლას. ძველი ისტორიული სკოლა აღმოცენდა *XIX* ს. შუა ხანებში, ხოლო ახალი, ანუ ახალგაზრდა ისტორიული სკოლა *XIX* ს. 70-იან წლებში.

## ა) ძველი ისტორიული სკოლა

ძველი ისტორიული სკოლის ფუძემდებლები იყვნენ პროფესორები ვილჰელმ როშერი (1817-1894), ბრუნო ჰილდებრანდი (1812-1878) და კარლ კნისი (1821-1898).

ვ. როშერმა 1843 წ. გამოაქვეყნა ნაშრომი „პოლიტიკური ეკონომიის მოკლე საფუძვლები ისტორიული მეთოდის თვალსაზრისით“, რომელშიც გადმოსცა ისტორიული მეთოდის ზოგიერთი ძირითადი დებულება.

ვ. როშერმა გამოიყენა ნ. სენიორის, ჟ. ბ. სეის, ფ. ლისტისა



და სხვ ეკონომისტების შეხედულებები და თავისი მოსაზრებებით თავგამოდებით იცავდა გერმანიის ბურჟუაზიის ინტერესებს.

1854-1894 წლებში ვ. როშერმა გამოაქვეყნა ხუთტომიანი ნაშრომი „სახალხო მეურნეობის სისტემა“, რომელშიაც სრულად ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები ისტორიული თვალთახედვით.

ვ. როშერის ისტორიული მეთოდი გულისხმობს ევოლუციონიზმს, რომელსაც თვით ვ. როშერი ზოგჯერ უწოდებდა ანატომიურ-ფიზიოლოგიურ მეთოდს. ამ მეთოდის გამოყენებით ხსნიდა როშერი ეკონომიკურ კატეგორიებს „ვარგისიანობის ხარისხს“ რომლის მიხედვით საგანი ჩვენს თვალში დოვლათად, ფასეულობად იქცევა, საგნის ღირებულებას ვუწოდებთ“* - წერდა ვ. როშერი. მან ღირებულების ახსნას საფუძვლად დაუდო მოთხოვნა. „თამბაქო არსებობდა უხსოვარი დროიდან, - წერს ვ. როშერი, - მაგრამ ის დოვლათად იქცა მას შემდეგ, როცა წარმოიშვა მოთხოვნა თამბაქოს შეყნოსვისა და მოწევისა. და როცა აღიარებული იქნა მისი ვარგისიანობა“** ის ერთმანეთში ურევდა საქონლის ღირებულებას და სახმარ ღირებულებას.

ვ. როშერი იზიარებდა ნ. სენიორის დათმენის თეორიას და ამის მიხედვით ხსნიდა მოგებას. მოგების წყაროდ თვლიდა კაპიტალისტ მეწარმის შრომას.

ფულს როშერი სასიამოვნო საქონელს უწოდებდა.

მეორე გარმანელმა ეკონომისტმა ბრუნო ჰოლდებრანდმა 1848 წ. გამოაქვეყნა წიგნი „აწმყოსა და მომავლის პოლიტიკური ეკონომია“, რომელშიც იცავდა გერმანიის ბურჟუაზიის ინტერესებს და სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების პრუსიულ გზას. ჰილდებრანდი იბრძოდა კლასიკური სკოლისა და უტოპიური სოციალიზმის წინააღმდეგ.

ბ. ჰილდებრანდმა შეითვისა ფ. ლისტისა და ისტორიული სკოლის სხვა წარმომადგენელთა ისტორიზმი და ამის საფუძველზე მოახდინა სამეურნეო განვითარების პერიოდიზაცია. ეს პერიოდიზაცია სამი ფაზით განისაზღვრა: 1. ბუნებრივი მეურნეობა, რომლის ქვეშ გულისხმობდა შუა საუკუნეების ნატურალურ მეურნეობას; 2. ფულადი მეურნეობა და 3. საკრე-

- - - - - - - - - - -

* ვ. როშერი, სახალხო მეურნეობის საწყისები, ტ. 1, მ., 1860, გვ. 1 (რუს).

** იქვე, გვ 6.

დიტო მეურნეობა.

ბ. ჰილდებრანდი ყველანაირად იცავდა კერძო საკუთრებას. ებრძოდა სოციალიზმს. სოციალისტთა მთავარ ბრალდებას იგი იმაში ხედავდა, რომ მათ დააყენეს კერძო საკუთრების მოსპობის საკითხი. მას საზოგადოება ვერ წარმოედგინა კერძო საკუთრების გარეშე. მას თვლიდა მუდმივ და საზოგადოებისათვის აუცილებელ კატეგორიად.

გერმანული ისტორიული სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელია კ. კნისი. იგი იყო ფრაიბურგის, ხოლო შემდეგ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორი.

კ. კნისის შეხედულებები გადმოცემულია მის ნაწარმოებებში „პოლიტიკური ეკონომია ისტორიული მეთოდის თვალთახედვით“ (1853 წ.) , „ფული და კრედიტი“ (1873-1879 წ.წ.).

პირველში კ. კნისი ავითარებს ისტორიული სკოლის მეთოდს. იგი იწონებს და კომენტარს უკეთებს ვ. როშერის ისტორიულ მეთოდს. აყალიბებს მთელი სკოლის მეთოდოლოგიურ პოზიციებს. მეორე ნაწარმოებში კ. კნისი ავითარებს თავის შეხედულებებს ფულისა და კრედიტის შესახებ. ფულის აღმოცენება მან ახსნა ნატურალური გაცვლის სიძნელეების საფუძველზე.

კ. კნისის შეხედულებას ფულის შესახებ ბევრი საერთო აქვს ფულის მეტალისტურ თეორიასთან. კრედიტის საკითხში კი იგი იზიარებდა ნატურალისტურ თეორიას.

### ბ) ახალი ისტორიული სკოლა

ახალი ისტორიული სკოლა წარმოიშვა *XIX* ს. 70-იან წლებში და აგრძელებდა ძველი ისტორიული სკოლის ტრადიციებს. ამ სკოლის წარმომადგენლები გუსტავ შმოლერი, ლუი ბრენტანო და სხვ. თავიანთი წინამორბედების მსგავსად განაგრძობდნენ გერმანიის ბურჟუაზიულ-იუნკრული სახელმწიფო პოლიტიკის დაცვასა და დასაბუთებას.

თუ ძველი ისტორიული სკოლა თავის კრიტიკას წარმართავდა ბურჟუაზიული კლასიკური სკოლის დებულებების წინააღმდეგ, ახალი ისტორიული სკოლის წარმომადგენლებმა თავის მთავარ ამოცანად გაიხადეს პოლიტიკურ ეკონომიაში მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლა.



*XIX* ს. 70-იანი წლები, როდესაც სცენაზე გამოვიდა ახალი ისტორიული სკოლა, წარმოადგენდა გარდატეხის პერიოდს გერმანიის ისტორიაში. საფრანგეთ-პრუსიის ომში (1870-1871 წ. წ.) გამარჯვებული გამოვიდა პრუსია. ეს გამარჯვება პრუსიელმა იუნკრებმა ბურჟუაზიასთან ერთად იმისათვის გამოიყენეს, რომ დასრულებულიყო 1860-იან წლებში დაწყებული გერმანიის გაერთიანება ერთ ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ.

გერმანიის ბურჟუაზიულ-იუნკრული სახელმწიფოს რეიხსკანცლერი ოტო ბისმარკი ატარებდა ბურჟუაზიისა და პრუსიელ იუნკერთა სასარგებლო პოლიტიკას. ბისმარკმა დააწესა პროტექციონისტული ტარიფები და ხელი შეუწყო მრეწველობის განვითარებას. იგი მოითხოვდა კოლონიური სამფლობელოების გაფართოებას.

ახალი ისტორიული სკოლის წარმომადგენლები იცავდნენ გერმანიის ბურჟუაზიულ-იუნკრული სახელმწიფოს კოლონიურ პოლიტიკას. მათ გ. შმოლერის მეთაურობით შექმნეს ისტორიულ-ეთიკური მიმართულება, რომელმაც მიზნად დაისახა ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმების შესწავლა.

ახალი ისტორიული სკოლის წარმომადგენლებმა 1872 წელს შექმნეს „სოციალური პოლიტიკის კავშირი“, რომელშიც შედიოდნენ ბ. ჰილდებრანდი, გ. შმოლერი, ა. ვაგნერი, ლ. ბრენტანო, ვ. ზომბარტი და სხვ. მათ მიზნად დაისახეს სოციალური პოლიტიკის ღონისძიებათა დამუშავება. ამ მიმდინარეობის პროგრამას საფუძვლად დაედო გ. შმოლერის შეხედულებები.

გუსტავ შმოლერი (1838-1917) პროფესორად მუშაობდა ჰალეს, სტრასბურგისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. მისი ნაწარმოებების დიდი ნაწილი ეთმობა სახალხო მეურნეობის ისტორიის საკითხებს. მათგან აღსანიშნავია: „წვრილი ხელოსნური წარმოების ისტორია *XIX* საუკუნეში“ (1870), „სახალხო მეურნეობა, მეცნიერება სახალხო მეურნეობის შესახებ და მისი მეთოდი“ (1897) და სხვ.

ამ ნაშრომებში გ. შმოლერი მიზნად ისახავდა ცალკეული ისტორიული ფაქტების, სახალხო მეურნეობის ისტორიის საკითხების აღწერას. იგი მოითხოვდა პოლიტიკურ ეკონომიაში ისტორიულ სტატისტიკური მეთოდის გამოყენებას.

ამ მეთოდის გამოყენებამ იგი იქამდე მიიყვანა, რომ პოლიტიკური ეკონომია უგულებელყო და დაიყვანა სახალხო

მეურნეობის ისტორიამდე. „პოლიტიკური ეკონომიის მეთოდი – წერს გ. შმოლერი, – არის მეცნიერული პრინციპებით ნაჩვენები გზა, რომელიც ემსახურება და უნდა ემსახურებოდეს სახალხო მეურნეობის თანმიმდევრულ შესწავლას".* მისი აზრით „პოლიტიკური ეკონომია არის მეცნიერება, რომელიც აღწერს სახალხო მეურნეობრივ მოვლენებს"**.

გ. შმოლერი უგულებელყოფდა წარმოებით ურთიერთობებს. განაწილების, მოხმარების და სხვა საკითხებს იგი ხსნიდა ზნეობრივი და სამართლებრივი ურთიერთობებით. პოლიტიკური ეკონომიის საკითხებს იკვლევდა ფსიქოლოგიური და ეთიკური მსჯელობებით.

ახალი ისტორიული სკოლის მეორე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო ლუიო ბრენტანო (1844–1931). იგი ლექციებს კითხულობდა ბერლინის, ბრესლავლის, სტრასბურგის, ვენის, ლაიფციგის, მიუნჰენისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში. წაკითხული ლექციების საფუძველზე მან გამოაქვეყნა დიდი მოცულობის ოთხ ტომიანი წიგნი „ინგლისის ეკონომიკური განვითარების ისტორია". მისი სხვა ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია: „თანამედროვე მუშური გილდიები". (1871–1872), „თანამედროვე სოციალური საჭიროების მიზეზების შესახებ", (1889), „აგრარული პოლიტიკა" (1897), „ცდა მოთხოვნილების თეორიისა" (1908) და სხვ.

ლ. ბრენტანო, როგორც ისტორიული სკოლის წარმომადგენელი უარს აცხადებდა თეორიულ ანალიზზე და იგი კმაყოფილდებოდა ისტორიული ფაქტების ანალიზით.

ლ. ბრენტანოს შეხედულებებში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია მოძღვრებას მოთხოვნილების შესახებ. მოთხოვნილების თეორია დაუდო მან საფუძვლად თავის მოძღვრებას სახალხო მეურნეობის შესახებ. ლ. ბრენტანოს თქმით „მოთხოვნილების თეორია მეცნიერული საფუძველია მოძღვრებისა სახალხო მეურნეობის შესახებ"***.

ლ. ბრენტანო შესაძლებლად თვლიდა სოციალურ ზავს. მუშათა კლასის საკითხის გადაწყვეტა მას შესაძლებლად მიაჩნდა

-------

*გ. შმოლერი, სახალხო მეურნეობა, მეცნიერება სახალხო მეურნეობის შესახებ და მისი მეთოდი, მ. 1902, გვ. 17 (რუს).
** იქვე, გვ. 12.
*** ლ. ბრენტანო, მოთხოვნილებათა თეორიის ცდა, კაზანი, 1921, გვ. 9 (რუს).



ბურჟუაზიული სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმებით. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რეფორმისტული პროფკავშირების მოღვაწეობას და ბურჟუაზიული სახელმწიფოს როლს.

ლ. ბრენტანო ებრძოდა კ. მარქსის ეკონომიკურ თეორიას საერთოდ, კერძოდ კი შრომითი ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების თეორიებს. მას ესაფუძვლოდ მიაჩნდა ღირებულების განსაზღვრა საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროით. მისი მტკიცებით ღირებულება განისაზღვრება ადამიანის დამოკიდებულებით ნივთთან.

ლ. ბრენტანომ გაილაშქრა აგრეთვე დ. რიკარდოსა და კ.მარქსის რენტის თეორიის წინააღმდეგაც. მისი მტკიცებით რენტა წმინდა შემოსავლის ნაწილია*.

აგრარულ საკითხში ლ. ბრენტანო ემხრობოდა ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის მიმდევრებს და იცავდა წვრილი წარმოების სიმყარის თეორიას.

## 3. სახელმწიფო სოციალიზმი

გ.შმოლერი და ლ.ბრენტანო ითვლებიან სახელმწიფო სოციალიზმის ფუძემდებლად. ისინი დიდ იმედებს ამყარებდნენ გერმანულ სახელმწიფოზე და მის მიერ ეთიკური რეფორმების გატარების გზით შესაძლებლად მიაჩნდათ სახელმწიფო სოციალიზმის დამყარება.

სახელმწიფო სოციალიზმის დამცველთა დასაყრდენს წარმოადგენდა „სოციალური პოლიტიკის კავშირი", რომლის პირველი ყრილობა 1872 წ. 6 ოქტომბერს ჩატარდა ეიზენახში. „სოციალური პოლიტიკის კავშირში" გარდა ისტორიული სკოლის წარმომადგენლებისა გაერთიანებული იყვნენ სხვა ეკონომისტებიც (ა. ვაგნერი, ვ. ზომბარტი და სხვ.) მათ მარქსიზმს დაუპირისპირეს სახელმწიფო სოციალიზმი.

სახელმწიფო სოციალიზმის წარმომადგენლები უნივერსიტეტების კათედრებიდან მოითხოვდნენ კლასობრივ ზავს და ამუშავებდნენ სოციალური რეფორმის პროექტებს. მათ მიიღეს კათედერ სოციალისტების სახელწოდება. ბურჟუაზიული სახელმწიფო მათ წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც ზეკლასობრივი ორგანიზაცია და მის მიერ გატარებული რეფორმებით შესაძლებლად მიაჩნდათ ანტაგონისტურ კლასთა შერიგება და

-----

* ლ. ბრენტანო, აგრარული პოლიტიკა, 1929, გვ. 179, ( რუს).

სოციალიზმის თანდათან შემოღება. ამ იდეას განსაკუთრებით დიდ პროპაგანდას უწევდა ფერდინანდ ლასალი.

### 4. სოციალური მიმართულება

სახელმწიფოს ეკონომიკურ როლზე ამყარებდნენ დიდ იმედებს სოციალური მიმართულების წარმომადგენლებიც. ამ მიმართულების გამოჩენილი თეორეტიკოსები იყვნენ: რ.შტოლცმანი, ა. ამონი, კ. დილი, ო. შპანი და სხვ. ეს მიმართულება ფართოდ გავრცელდა XX ს. პირველ ათწლეულში.

რუდოლფ შტოლცმანმა (1852-1930) წამოაყენა კლასების ცვლის თეორია. იგი ამტკიცებდა, რომ უმცირესი შემოსავლის მქონე-ზღვრული კაპიტალისტის მდგომარეობა ცოტად განსხვავდება კარგი ხელფასის მქონე მუშის მდგომარეობისაგანო.ასეთი კაპიტალისტი ადვილად შეიძლება გადაიქცეს მუშად, ხოლო მუშა ასევე ადვილად შეიძლება გახდეს კაპიტალისტიო.

კ. დილის სიტყვებით კაპიტალისტურ საზოგადოებაში ყველა შრომობს. კაპიტალისტი მისი აზრით შრომითი ფუნქციის მატარებელია, ხოლო მოგება არის კაპიტალისტის ნიჭის, ცოდნის და ენერგიის შედეგი.

კათოლიკური ფაშიზმის წარმომადგენელი ავსტრიელი ეკონომისტი ო. შპანი სახელმწიფოს თვლიდა ზეკლასობრივ ორგანიზაციად. იგი უარყოფდა ყოველგვარ დემოკრატიას და პირად თავისუფლებას და ასაბუთებდა, რომ საერთო ინტერესები მაღლა დგას კერძო ინტერესებზეო.

სოციალური მიმართულების წარმომადგენლები სახელმწიფოს აცხადებდნენ ზეკლასობრივ ორგანიზაციად, რომელიც საზოგადოების ყველა წევრის ინტერესებს იცავსო.

* * *

როგორც ვხედავთ ბურჟუაზიულ დისიდენტური სკოლის წარმომადგენლებმა არ გაიზიარეს იმ პერიოდში გაბატონებული ეკონომიკური ლიბერალიზმის პრინციპები და დაქუცმაცებული ფეოდალური გერმანიის მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების რიგში ჩასაყენებლად პროტექციონისტული პოლიტიკა აირჩიეს. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და სოციალური ღონისძიებების ფართო სპექტრის გატარებით მათ მიაღწიეს



თავის საწადელს, ხოლო შემდეგ, XX საუკუნეში, როდესაც დაინახეს, რომ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება განვითარების მუხრუჭად იქცა, ფართო გზა გაუხსნეს ეკონომიკურ ლიბერალიზმს.

ვითვალისწინებთ რა ასეთ გამოცდილებას რეკომენდაციას ვუწევთ მობილური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას. როცა საჭიროა უპირატესად ერთ-, გამოვიყენოთ პროტექციონისტული პრინციპი, როცა შესაძლებელი გახდება პრიორიტეტი მივანიჭოთ და გზა გავუხსნათ ფრიტრედერობას.

ეკონომიკური განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე რომელიმე პრინციპის მექანიკური, კამპანიური გამოყენება სასურველ შედეგს ვერ მოიტანს.

ᲡᲐᲦᲔ-Მ ...
ᲡᲐᲮᲔᲚ...
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
№

# თავი XIV. მარჟინალიზმის წარმოშობა. ნეოკლასიციზმი

მარჟინალიზმი (ფრანგ. marginal - ზღვრული) ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც ეკონომიკური კვლევის დროს ზღვრული სიდიდეების ანალიზს ემყარება.

*XIX* ს. 70-იან წლებში გაძლიერდა კაპიტალიზმის კრიტიკა. კარლ მარქსმა ისეთი მიმართულება მისცა კლასიკურ დოქტრინას, რომ მან შეშფოთება გამოიწვია.

წარმოიშვა მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო კლასიკური სკოლისათვის დამახასიათებელი ობიექტივიზმის წინააღმდეგ. კლასიკური სკოლის წარმომადგენელთა მიერ განხორციელებული რეალური დანახარჯების ანალიზი უარყოფილ იქნა და უპირატესობა მიანიჭა დანახარჯების ფსიქოლოგიურ განმარტებას. ეს გააკეთა მარჟინალისტურმა სკოლამ.

მარჟინალიზმის თეორიის მედროშეებად თითქმის ერთდროულად გამოვიდნენ ს. ჯევონსი (ინგლისი), ლ. ვალრასი (შვეიცარია) და კ. მენგერი (ავსტრია)*.

## 1. უ ჯევონსისა და ლ. ვალრასის მარჟინალიზმი

ᲣᲘᲚᲘᲐᲛ ᲡᲢᲔᲜᲚᲘ ᲯᲔᲕᲝᲜᲡᲘ (1835-1882) მიიჩნევდა, რომ კლასიკური სკოლის შეხედულებათა ბატონობა სერიოზულად უშლიდა ხელს პოლიტიკური ეკონომიის შემდგომ განვითარებას. როგორც ჯევონსი ამტკიცებდა პოლიტიკურ ეკონომიაში წინ გადაიდგა ნაბიჯი არა რიკარდოდან ჯონ სტიუარტ მილზე გადასვლით, არამედ სმიტიდან მალთუსისა და სენიორისაკენ სვლით.

უ. ჯევონსის მნიშვნელოვან ნაშრომს პოლიტიკურ ეკონომიაში წარმოადგენდა 1871 წ. გამოქვეყნებული „პოლიტიკური ეკონომიის თეორია".

უ. ჯევონსის თეორიაში მთავარ როლს თამაშობს სუბიექტური საზღვრითი სარგებლიანობა. უ. ჯევონსის თეორიის ძირითადი პოსტულატი გვაუწყებს, რომ ღირებულება წარმოიშობა საზღვრითი სარგებლიანობიდან. საცვლელი ღირებულების

— — — — —

* ქსე, ტ. 6, გვ. 453.



განსაზღვრის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს მოთხოვნა და არა წარმოების ხარჯები, როგორც კლასიკური სკოლის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ.

უ. ჯევონსი ილაშქრებდა შრომითი ღირებულების თეორიის წინააღმდეგ. და საქონლის ფასეულობას განსაზღვრავდა ნივთის იშვიათობით. იგი იზიარებდა და იცავდა მოთხოვნა-მიწოდების თეორიას.

მარჟინალიზმის ფუძემდებლად ითვლება აგრეთვე შვეიცარიელი ეკონომისტი, ლოზანის უნივერსიტეტის პროფესორი, ᲚᲔᲝᲜ ᲕᲐᲚᲠᲐᲡᲘ (1834-1910)

ლ. ვალრასმა თავისი ეკონომიკური შეხედულებები ჩამოაყალიბა შემდეგ ნაშრომებში: „სოციალური ეკონომიის გამოკვლევა" (1896), „გამოყენებითი პოლიტიკური ეკონომიის გამაოკვ ლევა" (1898), „პოლიტიკური ეკონომია და სამართალი" და სხვ.

ლ. ვალრასის მოძღვრებაში მთავარი ადგილი უკავია ეკონომიკური წონასწორობის თეორიას.

## 2. ავსტრიული სკოლა. კ. მენგერი. ფ. ვიზერი. ე. ბემ-ბავერკი. ფასეულობის სუბიექტური თეორია. ფასეულობის ობიექტური თეორია.

*XIX* ს. 70-იან წლებში ეკონომიკურ აზრში ჩამოყალიბდა ავსტრიული სკოლა. ამ მიმართულების მთავარი წარმომადგენლები კარლ მენგერი, ფრიდრიხ ფონ-ვიზერი და ევგენი ბემ-ბავერკი ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ავსტრიაში, ისინი ვენის უნივერსიტეტის პროფესორები იყვნენ. ამ სკოლის სახელწოდებაც მათი მოღვაწეობის ადგილიდან წარმოდგა. ავსტრიულ სკოლას ვენის ფსიქოლოგიურ სკოლასაც უწოდებდნენ.

ავსტრიული სკოლის წარმომადგენლებმა ბევრი რამ ისესხეს წინამორბედი ეკონომისტებისაგან (ჟ-ბ. სეი, ფ. ბასტია, რ. მაკკულოხი და სხვ)

ავსტრიული სკოლის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენდა იდეალისტური ფილოსოფია, და სუბიექტური სოციოლოგია.

მისთვის დამახასიათებელია ინდივიდუალისტური, სუბიექტურ-ფსიქოლოგიური მეთოდი. ამ სკოლის წარმომადგენლები

საზოგადოებას განიხილავდნენ როგორც ინდივიდთა მექანიკურ ჯამს. მათი მტკიცებით ეკონომიკური თეორია წარმოდგენილია, როგორც მეცნიერება სუბიექტის დამოკიდებულებისა საგანთან, სუბიექტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

ავსტრიულმა სკოლამ შრომითი ღირებულების კლასიკურ თეორიას დაუპირისპირა საზღვრითი სარგებლიანობის თეორია. ამ თეორიის მიხედვით საქონლის ღირებულება განისაზღვრება არა უბრალო სარგებლიანობით, არამედ ნივთის საზღვრითი სარგებლიანობით. ავსტრიული სკოლის მიხედვით საქონლის საზღვრითი სარგებლიანობა არის საქონლის იმ ერთეულის სარგებლიანობის სუბიექტური შეფასება, რომელიც საქონლის მარაგის მოცემული სიდიდისას ინდივიდის ყველაზე ნაკლებ საარსებო მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ამა თუ იმ ნივთის საზღვრითი სარგებლიანობის დონე დამოკიდებულია მის მოთხოვნასა და იშვიათობაზე.

რაც უფრო იშვიათად მოიპოვება საქონელი, მით უფრო მაღალია მისი ღირებულება. საქონლის ღირებულების სიდიდეს საფუძვლად უდევს ნივთის იშვიათობის პრინციპი.

ავსტრიული სკოლის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი იყო კარლ მენგერი (1840-1921). იგი სწავლობდა იურისპრუდენციას პრაღისა და ვენის უნივერსიტეტებში. 1967 წლიდან მან ხელი მოჰკიდა ეკონომიკური თეორიის შესწავლას. 1871 წელს გამოაქვეყნა „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები", რამაც მას აღიარება მოუპოვა. კ. მენგერი მიიწვიეს სამუშაოდ ვენის უნივერსიტეტში, სადაც 1903 წლამდე მუშაობდა. 1883 წ. გამოაქვეყნა მეორე მთავარი ნაშრომი „გამოკვლევა საზოგადოებრივ მეცნიერებათა და განსაკუთრებით პოლიტიკური ეკონომიის მეთოდის შესახებ". რომელშიც კ. მენგერი ერთადერთ სწორ მეთოდად აღიარებდა აბსტრაქციის მეთოდს. კ.მენგერის ნაშრომებს წითელ ზოლად გასდევს ზღვრული სარგებლიანობის პრინციპი. მისი გამოკვლევების ამოსავალ პუნქტს წარმოადგენდა ადამიანის მოთხოვნილებანი, რომლებიც წარმოიშობიან ადამიანის მიერ გარემომცველი სივრცისადმი შეგუების დროს.

კ. მენგერის აზრით მოთხოვნილებას განსაზღვრავს ინდივიდის ჩვევები და მისი ხასიათის თავისებურებანი. კ. მენგერის მიხედვით თუ საგნები გამოსადეგია მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, მისი ამ თვისებების ცოდნა გადააქცევს მას



სამეურნეო დოვლათად. კ. მენგერმა მიზეზ-შედეგობრივი კავშირით დააკავშირა დოვლათი და მოთხოვნილება. დოვლათი ეს არის მიზეზი, მოთხოვნილების დაკმაყოფილება კი შედეგი. კ. მენგერი ყურადღების ცენტრში აყენებდა სუბიექტის დამოკიდებულებას ნივთთან, უგულებელყოფდა წარმოების სფეროს შესწავლას. კ. მენგერს სამომხმარებლო დოვლათი მიაჩნდა პირველხარისხოვნად, მწარმოებლური დოვლათი კი მეორე და მესამე ხარისხოვნად.

კ. მენგერმა შემოიღო ეკონომიკური და არაეკონომიკური დოვლათის ცნება. ეკონომიკურ დოვლათად მას ის დოვლათი მიაჩნდა, რომელთა მიწოდება ნაკლებია მოთხოვნილებაზე, ხოლო არაეკონომიკურად დოვლათი, რომელთა მიწოდება მეტია მოთხოვნილებაზე. ეკონომიკურ და არაეკონომიკურ კატეგორიებს შორის დოვლათის გადასვლა ხდება სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით, კერძოდ მოსახლეობის ზრდით, მომხმარებლის გამოვნებით, რესურსების გამოფიტვით და ა. შ.

მენგერის აზრით ღირებულება განისაზღვრება მოწოდების სიდიდით. დოვლათის რაოდენობის შემცირებისა და გადიდებისას იცვლება მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხი და აქედან გამომდინარე მოცემული დოვლათის ღირებულება. დოვლათის რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, მის დამატებით ერთეულებს უფრო ნაკლები შესაძლებლობა აქვთ დაიკმაყოფილონ მოთხოვნილებანი. ეს არის კ. მენგერის მიერ შემუშავებული კლებადი საზღვრითი სარგებლიანობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც დოვლათის ღირებულება განისაზღვრება უკანასკნელი ანდა ნაკლებად მნიშვნელოვანი ერთეულით. კ.მენგერის აზრით ღირებულების განსაზღვრა ხდება სუბიექტური შეფასებით. მან ერთმანეთთან გააიგივა საცვლელი ღირებულება და სუბიექტური შეფასება. კ. მენგერი არ ცნობს წარმოების ფაქტორს. როგორც ბ. სელიგმენი აღნიშნავს „მარჟინალიზმმა ხარჯები გადააქცია სუბიექტურ-ფსიქოლოგიურ მოვლენად, რადგან ფაქტორების ფასი უნდა განისაზღვროს გაცვლის პროცესში მყიდველის მხრიდან მათი ზღვრული სარგებლიანობით. ამიტომ მოწოდებაც ფსიქოლოგიურ მოვლენად იქცევა, ე. ი. ზღვრული სარგებლიანობის პრინციპი მთელ ეკონომიკას ნართავს"*

კ. მენგერის ფასების თეორია არ ითვალისწინებდა

---

* ბ. სელიგმენი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 162.

ექვივალენტურ გაცვლას. მისი აზრით გაცვლის პირობები
დამოკიდებულია ადამიანებისა და დოვლათის რაოდენობაზე.
გაცვლის საბოლოო მიზანია საზღვრითი სარგებლიანობა,
რომლის მიხედვითაც განისაზღვრება გაცვლის პროპორციები.
კ. მენგერის აზრით კაპიტალი არის მოძრავი ფონდი, რომლის
განსახიერებას წარმოადგენს ქონების ღირებულება ფულად
ფორმაში. კაპიტალად მას ბუნებრივი დოვლათიც მიაჩნია.
კ.მენგერის მტკიცებით წარმოება მიმდინარეობს მომავალი
მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ ამისათვის
საჭიროა წარმოების საშუალებები და მათი გამოყენების
უფლება. სწორედ ეს უფლება მიაჩნდა კ. მენგერს კაპიტალად.
ფულის საკითხში კ. მენგერი ემხრობოდა ნომინალისტურ
თეორიას. კ. მენგერი აღნიშნავდა, რომ ეკონომიკური გან-
ვითარების ყოველ სტადიას გარკვეული ფულადი მიმოქცევა
შეესაბამება. კ. მენგერის აზრით ფულის თეორიას სუბიექტური
ხასიათი აქვს. თავის თეორიას მან საფუძვლად დაუდო სა-
ქონლის გაყიდვის უნარი. მისი პოზიცია განსხვავდებოდა რა-
ოდენობრივი თეორიისაგან, რომელიც იყენებს ისეთ აგრეგატებს
როგორიცაა ფასი, წარმოების სიდიდე და საქონელბრუნვა.
კ.მენგერის მიხედვით ფულის მსყიდველობითი უნარი შეიძლება
სტაბილური გახდეს ოქროს წარმოებისა და მიმოქცევაში არ-
სებული ბანკნოტების რაოდენობის რეგულირების გზით.
კ. მენგერი ყურადღებას არ აქცევდა სოციალურ პრობლემებს
და მათგან აბსტრაჰირებას ახდენდა.
კ. მენგერის სუბიექტივისტურ შეხედულებებს დღესაც სეს-
ხულობენ რიგი თანამედროვე ეკონომისტები.
კ. მენგერის მემკვიდრე ეკონომიკურ თეორიებში იყო
ᲤᲠᲘᲓᲠᲘᲮ ᲤᲝᲜ ᲕᲘᲖᲔᲠᲘ (1851-1926). იგი 1903 წლიდან მოღ-
ვაწეობდა ვენის უნივერსიტეტში. ფ. ფ. ვიზერის ეკონომიკური
მოძღვრება გადმოცემულია შემდეგ ნაწარმოებებში: „სამეურნეო
ფასეულობის წარმოშობისა და მთავარი კანონის შესახებ“
(1884), „ბუნებრივი ფასეულობა“ (1889) „საზოგადოებრივი მეურ-
ნეობა“ (1914), „ძალაუფლების კანონი“ (1926).
ფ. ვიზერმა თავის ნაშრომებში გამოიყენა აბსტრაქციის
მენგერისეული მეთოდი.
ფ. ვიზერი, ერთი მხრივ, აღიარებდა წარმების მნიშვნელობას
საზოგადოებისათვის. მეორე მხრივ წარმოებას იგი არ
მიაკუთვნებდა ეკონომიკას. ეკონომიკის მთავარ და გადამწყვეტ



სფეროდ ფ. ვიზერი გაცვლას თვლიდა. ფ. ვიზერის აზრით
ეკონომიკური თეორიის ცენტრალურ იდეას სარგებლიანობა
წარმოადგენს, რომელიც ყველა მოვლენას მოიცავს.
ფ. ვიზერმა აჩვენა ეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკის
ურთიერთდამოკიდებულება, კომერციული საქმიანობისა და
სახელმწიფო რეგულირების ურთიერთდამოკიდებულება,
რომელთა საფუძვლად მიაჩნდა საზღვრითი სარგებლიანობის
პრინციპის გამოყენება საზოგადოების მასშტაბით მიმდინარე
მოვლენებისადმი.
ფ. ვიზერი სამეურნეო საქმიანობის საფუძვლად სარგებლი-
ანობას თვლიდა და დიდ ყურადღებას უთმობდა დოვლათის
იშვიათობის ფაქტორს.
ფ. ვიზერის აზრით კეთილდღეობა არის მოცემული დოვლათის
მოხმარების უფრო ნაკლები საზღვრითი სარგებლიანობის მიღ-
წევა, რომლის დროსაც არ იკარგება უფრო მაღალი საზღვრითი
სარგებლიანობა. ფ. ვიზერმა აჩვენა, რომ საზღვრით სარგებ-
ლიანობას ადგილი აქვს ერთეულოვანი ფაქტის დროს.
ფ. ვიზერის აზრით ფასი არა მარტო სარგებლიანობის
გამოხატულებაა, არამედ ფულის სამომხმარებლო და საცვლელ
ღირებულებას შორის წონასწორობის დამდგენი საშუალებაა.
წონასწორობა მაშინ დგება, როცა საბაზრო ვაჭრობაში მონა-
წილეობას ღებულობენ ზღვრული მყიდველები.
ფასების თეორიას ფ. ვიზერი სუბიექტურად განმარტავდა.
ფ. ვიზერს არ აინტერესებდა საზოგადოებრივი ურთიერთობები.
იგი კვლევისათვის ინდივიდუალიზმს ირჩევდა და სუბიექტურ
მეთოდს პრიორიტეტს ანიჭებდა.
ფ. ვიზერს დასაშვებად მიაჩნდა სახელმწიფოს ჩარევა
ეკონომიკაში. მისი აზრით სახელმწიფოს ფუნქცია იმაში
მდგომარეობს, რომ უზრუნველყოს საზოგადოებრივი წარმოების
განვითარების პირობები და დაცვა. იგი წინააღმდეგი იყო
პროგრესული დაბეგვრის.
კ. მენგერისაგან განსხვავებით ფ. ვიზერი დაინტერესებული
იყო სოციალურის საკითხებით. მისი აზრით წარმოება უნდა
ხორციელდებოდეს სიმდიდრის გადიდების მიზნით. ფ. ვიზერი
საზოგადოებაში სწორი გადანაწილების მომხრე იყო.
თავის ნაშრომში „საზოგადოებრივი მეურნეობა“ ფ. ვიზერი
ცდილობდა მთელი საზოგადოება წარმოედგინა ინდივიდუ-
ალური ეკონომიკის მოდელად და ამით აეხსნა მასში მიმდინარე

ეკონომიკური მოვლენები.

ფ. ვიზერმა საზოგადოება წარმოგვიდგინა როგორც ფუნქციონირებადი ორგანიზმი და შეეცადა იგი შეეცნო. ფ. ვიზერი კაპიტალიზმის მომხრე იყო, მაგრამ მისი სიმპათიები შერეული ეკონომიკისაკენ იხრებოდა.

ფ. ვიზერის მარჟინალისტურ იდეებს მაღალ შეფასებას აძლევდნენ ელისი, ტაფტალიონი, პიგუ, ქამსი და სხვები.

ავსტრიული სკოლის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი იყო ევგენი ბემ-ბავერკი (1851-1914). იგი პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი იყო ჯერ ინსბრუკის, შემდეგ კი ვენის უნივერსიტეტში. ბემ-ბავერკი წლების განმავლობაში იყო ავსტრიის ფინანსთა მინისტრი. 1911 წ. აირჩიეს ვენის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად.

ე. ბემ-ბავერკის მთავარი ნაწარმოებებია: „სამეურნეო დოვლათის ფასეულობის თეორიის საფუძვლები".(1886), „კაპიტალი და პროცენტი", (1884-1889) , „კარლ მარქსის თეორია და მისი კრიტიკა" (1896).

ე. ბემ-ბავერკის თვალთახედვის ამოსავალ წერტილს კ. მენგერის თეორია წარმოადგენდა. იგი ემყარებოდა აბსტრაქციის მეთოდს.

ე. ბემ-ბავერკმა განავითარა მარჟინალური თეორია. ეკონომიკური თეორიის მთავარ ამოცანად მან გამოაცხადა ადამიანსა და ნივთს შორის ურთიერთობა. ე. ბემ-ბავერკი პრიმატს ანიჭებდა მოხმარებას და წარმოების როლს უგულებელყოფდა. მას აინტერესებდა განაწილების ფუნქციონალური მხარე. მისი აზრით განაწილებაში მნიშვნელობა არა აქვს სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებს. ისინი არ მოქმედებენ განაწილებაზე.

ბემ-ბავერკის ღირებულების თეორია ემყარებოდა კ. მენგერის თეორიას და იგი სუბიექტური ხასიათისა იყო. ე. ბემ-ბავერკის აზრით. რადგან საზღვრითი სარგებლიანობა კლებულობს მოცემულ დარგში, საერთო ღირებულება უდრის ყველა ერთეულის ღირებულების ჯამს. მისი აზრით ღირებულება არ წარმოიქმნება, მანამ, სანამ სამომხმარებლო ღირებულება არ შეეხამება იშვიათობას. ე. ბემ-ბავერკის თქმით დოვლათის ღირებულება განისაზღვრება ყველაზე ნაკლები საზღვრითი სარგებლიანობით. ანუ დოვლათს აქვს ის ღირებულება, რომ დოვლათის არ არსებობა ამციერებს მოთხოვნილებების



დაკმაყოფილებას.

ე. ბემ-ბავერკის ეკონომიკურ სისტემაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი კაპიტალის თეორიას უკავია. კაპიტალად მას მხოლოდ მატერიალური დოვლათი მიაჩნია. მან კაპიტალი დაყო წარმოების საშუალებად და კაპიტალი როგორც წმინდა შემოსავალი. კაპიტალი მან განაცალკევა კერძო კაპიტალად და საზოგადოებრივ კაპიტალად. კერძო კაპიტალი არის არსებობის საშუალებების ფონდი, რომელიც ეძლევა მუშებს, ხოლო საზოგადოებრივი კაპიტალი - საწარმოო მოწყობილებანი და ხელსაწყოები. ე. ბემ-ბავერკის აზრით კაპიტალი ხელს უწყობს წარმოების დროის შემცირებას. ამ შეხედულებამ სათავე დაუდო დინამიური კაპიტალის კონცეფციას.

მოგების განსაზღვრის საკითხში ე. ბემ-ბავერკი ეყრდნობოდა სენიორის თეორიას და ისიც მოგების წყაროდ „თავშეკავებას" აცხადებდა.

პროცენტის დონე ე. ბემ-ბავერკმა განსაზღვრა დამატებითი შემოსავლით, რომელსაც იძლევა წარმოების გაფართოების ბოლო შესაძლებლობა. ამ პროცესში მისი თქმით, სამი ელემენტი მონაწილეობს: 1) საარსებო საშუალებების ფონდის სიდიდე, 2) მუშათა არსებული რაოდენობა, 3) ამ მომენტში მიღწეული წარმოების დონე.

ასეთია ე. ბემ-ბავერკის ძირითადი შეხედულებანი. ამ შეხედულებებმა დამთავრებული სახე მისცა ავსტრიული სკოლის თეორიებს. ე. ბემ-ბავერკი ცდილობდა წმინდა თეორიული ხასიათი მიეცა თავისი ეკონომიკური ნააზრევისათვის და მისი თეორია კლასობრივი არ ყოფილიყო.

ე. ბემ-ბავერკის მიხედვით არსებობს სამეურნეო დოვლათის ფასეულობის ორი სახე: 1. სუბიექტური და 2. ობიექტური. სუბიექტური ფასეულობა არის სამეურნეო დოვლათის ფასეულობა მოცემული სუბიექტისათვის, ხოლო ობიექტური ფასეულობა - საქონლის საბაზრო ფასია.

ფასეულობის სუბიექტურ თეორიას საფუძვლად უდევს ინდივიდის შეფასება. ფასეულობას (ღირებულებას) ე. ბემ-ბავერკი განსაზღვრავს, როგორც ნივთის სარგებლიანობას ინდივიდისათვის. „ფასეულობა, - წერს ე. ბემ-ბავერკი, - არის ნივთის მნიშვნელობა ადამიანის კეთილდღეობისათვის." *

- - - - - -

* ე. ბემ-ბავერკი, სამეურნეო დოვლათის ფასეულობის თეორიის საფუძვლები, მ, 1929, გვ. 29. (რუს).

ფასეულობის ობიექტური თეორია ე ბემ-ბავერკმა შექმნა მოთხოვნა-მიწოდების თეორიის ბაზაზე. ფასეულობის ოიექტური თეორიით ე. ბემ-ბავერკი მიზნად ისახავდა საბაზრო ფასების განსაზღვრას. ე. ბემ-ბავერკის მიხედვით ერთიანი საბაზრო ფასი მყარდება მყიდველებისა და გამყიდველების სუბიექტური შეფასებებით. ფასი განისაზღვრება სუბიექტური შეფასებით უკანასკნელი მყიდველისა, რომელიც თანახმაა იყიდოს საქონელი და პირველი გამყიდველის, რომელიც თანახმაა გაყიდოს საქონელი. მყიდველის სუბიექტური შეფასება ე. ბემ-ბავერკს მიაჩნია ფასის ამაღლების საზღვრად. მაგრამ გამყიდველიც იძლევა გასაყიდი ნივთის შეფასებას, რასაც ე. ბემ-ბავერკი უწოდებს ნივთის ფასის უდაბლეს ზღვარს.

ე. ბემ-ბავერკის აზრით, ფასებს წარმოქმნის, შემდეგი ოთხი ფაქტორი: 1) საქონლის მსურველთა რაოდენობა, 2) მყიდველის მიერ საქონლის შეფასების დონე, 3) გასაყიდად განკუთვნილი საქონლის რაოდენობა, 4) გამყიდველების მიერ საქონლის შეფასების დონე.

## 1. კემბრიჯის სკოლა. ა. მარშალი.

ინგლისური ანუ კემბრიჯის სკოლის მეთაური იყო ალფრედ მარშალი (1842-1824), რომელმაც განავითარა კლასიკური სკოლის მოძღვრება და სათავე დაუდო ნეოკლასიკურ მიმართულებას.

ა. მარშალი წარმოადგენს მთელი რიგი ნაშრომების ავტორს, რომელთაგან მთავარია: „მრეწველობის ეკონომიკა" (1879), „ეკონომიკური მეცნიერების პრინციპები" (1890), „მრეწველობა და ვაჭრობა" 1919), „ფული, კრედიტი და ვაჭრობა" (1923) და სხვ.

ა. მარშალს დასაწყისში ეკავა საუნივერსიტეტო კოლეჯის პრინციპალის თანამდებობა ბრისტოლში, ხოლო 1885-1908 წ. წ. ხელმძღვანელობდა კათედრას კემბრიჯის უნივერსიტეტში. იქ მისი მეთაურობით ჩამოყალიბდა უმაღლესი ეკონომიკური განათლების ცენტრი, რომელშიაც ჩაბა თავისი საუკეთესო სტუდენტების უმრავლესობა. ამ ცენტრის საფუძველზე ჩამოყალიბდა კემბრიჯის სკოლა. ამ სკოლაში ა. მარშალის გარდა შედიოდნენ ჯ. კეინსი, ა. პიგუ, რ. ჰაროდი, ი. ფიშერი, ტ. კარვერი და სხვ. კემბრიჯის სკოლას უწოდებდნენ აგრეთვე სუბიექტურ



ფსიქოლოგიურ სკოლას.

ა. მარშალის ნაწარმოებებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კრიზისებისა და სავაჭრო დეპრესიის პრობლემების ახსნას. კრიზისებისა და დეპრესიების მიზეზებს ა. მარშალი ხედავდა წარმოებისა და კრედიტის ორგანიზაციაში.

ა. მარშალი იყო ერთ-ერთი პირველი ტრადიციონალისტი, რომელიც პოლიტიკურ ეკონომიას მიიჩნევდა ევოლუციურ მეცნიერებად. იგი უარყოფდა რევოლუციურ ცვლილებებს და დიდ იმედებს ამყარებდა რეფორმებზე. ამაზე მეტყველებს მისი ხშირი მიმართვა ზრდისა და დაცემის ბიოლოგიური კატეგორიებისადმი. მას სურდა ეკონომიკური განვითარება აეხსნა „ორგანული" ზრდის კატეგორიებში.*

ა. მარშალის სუბიექტურ-ფსიქოლოგიური სკოლა იყენებდა საზღვრითი სარგებლიანობისა და საზღვრითი ნაყოფიერების თეორიებს, აგრეთვე სოციალურ დარვინიზმს.

ა. მარშალმა სცადა ღირებულების სამი სხვადასხვა სახის თეორიის - „მოთხოვნის და მიწოდების", „საზღვრითი სარგებლიანობის" და „წარმოების ხარჯების" თეორიების შეხამება. მის მოძღვრებაში უხვად არის გამოყენებული ბურჟუაზიული ეკონომისტების - ჟ.ბ. სეის, უ. სენიორის და ავსტრიული სკოლის წარმომადგენლების თეორიები. როგორც ამერიკელი ეკონომისტი სელიგმენი აღნიშნავს ა. მარშალს ჰქონდა ფილანტროპული მიდრეკილება ექეთებინა კეთილი საქმე. მას შეეძლო მოესმინა სოციალისტების დასკვნები მაგრამ შაიკეხ მას იზიდავდა მხოლოდ ჰუმანური ელემენტი: მას შეეძლო ეთანაგრძნო მათი მოქმედების მოტივებისადმი, მაგრამ მათი იდეები მისთვის მიუღებელი იყო.**

ა. მარშალის მოძღვრებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია ავსტრიული სკოლიდან ნასესხებ შეხედულებას სუბიექტისა და მისი ფსიქოლოგიის შესახებ. სუბიექტის ფსიქოლოგიას ა.მარშალი თვლიდა პოლიტიკური ეკონომიის ამოსავალ პუნქტად. სუბიექტურ ფსიქოლოგიური მიდგომით ხსნიდა ა. მარშალი ისეთ ეკონომიკურ კატეგორიებს, როგორიცაა ფასი, ღირებულება, მოგება, ხელფასი, რენტა, ეროვნული შემოსავალი, კრიზისი და სხვ.

* ბ. სელიგმენი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 299.
** იქვე, გვ. 297.

ა. მარშალის ნაწარმოებებში განსაკუთრებით დიდი ადგილი აქვს დათმობილი ფასების საკითხს. ფასს ა. მარშალი უმაღლეს და უმთავრეს ეკონომიკურ მოვლენად თვლიდა. ფასების ანალიზი მიაჩნდა მას სუბიექტისა და მთელი საზოგადოების ბუნების შესწავლის საფუძვლად. ფასს იგი განსაზღვრავდა არა ღირებულებით, არამედ ადამიანის ფსიქოლოგიური შეფასებებით. მოთხოვნა-მიწოდებით.

მთელი გადატრიალება ღირებულების საკითხებში, რომელიც ა. მარშალმა მოახდინა იმაში მდგომარეობს, რომ მან ფასი განსაზღვრა როგორც მოთხოვნა მიწოდების ფუნქციასთან დამოკიდებულების სიდიდე. მოთხოვნას იგი განსაზღვრავდა ავსტრიული სკოლის იშვიათობის პრინციპებით. ისიც იმეორებდა ავსტრიული სკოლის წარმომადგენელთა მტკიცებას იმის შესახებ, რომ რაც უფრო დიდი რაოდენობით არის ესა თუ ის საქონელი, მით უფრო დაბალია მისი ფასი და, პირიქით, რაც უფრო იშვიათია საქონელი, მით უფრო მაღალია მისი ფასი.

ა. მარშალის თეორია – ესაა ძირითადად ფასების თეორია. კონკურენციულ პირობებში. ა. მარშალთან თავისუფალი მეწარმოების სისტემა მტკიცედ ემყარება კონკურენციაზე, რამდენადაც მის საფუძველზე მდებარეობს ბაზარი, სადაც მოქმედებს ბევრი წვრილი მეწარმოებრივი ერთეული, რომელთაგან ყველას არ შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს საერთო მოთხოვნასა და საბაზრო ფასზე. ამ აზრით თავისუფალი მეწარმეობა მონოპოლიისაგან მხოლოდ ხარისხით განსხვავდება და არა პრინციპით, ვინაიდან იგი წარმოადგენს მხოლოდ ერთ მხარეს. საბაზრო რეფორმების სპექტრში. ა. მარშალის მიხედვით მონოპოლიის ელემენტი გარდუვალად დევს ნებისმიერ კონკურენციულ სისტემაში. ა. მარშალის ამ შეხედულებების საფუძველზე შემდეგში ჩამოყალიბდა მონოპოლისტური კონკურენციის თეორია.

ა. მარშალი თავის ნაშრომებში ერთმანეთს უკავშირებდა ეროვნული შემოსავლის ზრდასა და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებას. მისი აზრით ეროვნული შემოსავლის ზრდასთან ერთად მუშათა კლასის წილიც იზრდება და მისი მატერიალურ-კულტურული დონე მაღლდება. ა. მარშალი ამტკიცებდა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ხელფასის გადიდების შესაძლებლობას წარმოების გაფართოებისა და ეროვნული შემოსავლის ზრდის ხარჯზე.



ა. მარშალმა ბევრი რამ ისესხა „წარმოების სამი ფაქტორის“ სეისეული თეორიიდან. ამ თეორიის გამოყენებით იგი მიუთითებდა შემოსავლის შემდეგ კატეგორიებზე – რენტა, ხელფასი, სარგებელი და მოგება. იგი არ განასხვავებდა შრომით და არაშრომით შემოსავალს. კაპიტალისტთა მოგებას ა. მარშალი თვლიდა წარმოების ხარჯების ნაწილად, კაპიტალისტთა გასამრჯელოდ. მოგებისა და სარგებლის ანალიზის დროს იგი ეყრდნობოდა „კაპიტალის ნაყოფიერებისა“ და „თავშეკავების“ ძველ თეორიებს.

ა. მარშალმა სპეციალური წიგნი მიუძღვნა ფულის, კრედიტისა და ვაჭრობის საკითხებს. ფულის ახსნის საკითხში აშკარად ჩანს ეკლექტიზმი. იგი ნომინალისტიც იყო და ფულის რაოდენობრივი თეორიის მომხრეც.

მარშალს ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს ატრიბუტად მიაჩნდა ფული. ესაა – ცენტრი, რომლისკენაც ისწრაფვის ყველა ადამიანური მოქმედება. ის უშვებდა, რომ შეიძლება მოტივი – ფულთან არ იყოს დაკავშირებული, მაგრამ ძირითადად არ ინტერესდება ამ უკანასკნელით.

ა. მარშალი თავის ბოლოდროინდელ ნაშრომებში დიდ ადგილს უთმობდა კრიზისების დეპრესიისა და საგარეო ვაჭრობის საკითხებს. თუ იგი ადრინდელ ნაშრომებში გამოდიოდა მონოპოლიების წინააღმდეგ, შემდგომში მოითხოვდა მსხვილი მონოპოლიური გაერთიანებების შექმნას და გამოხატავდა მათ ინტერესებს.

ა. მარშალმა ეკონომიკური მოვლენებისა და კატეგორიების ახსნას საფუძვლად დაუდო სხვადასხვა მათემატიკური გაანგარიშებანი. ახალგაზრდობაში ა. მარშალს ძალიან იზიდავდა მათემატიკა, მაგრამ მამა უილიამ მარშალი, რომელიც მოლარედ მუშაობდა ინგლისის ბანკში, უკრძალავდა მას მათემატიკაში მეცადინეობას და აიძულებდა შეესწავლა ძველევროპული ენები. შემდგომში ა. მარშალს შესაძლებლობა მიეცა კემბრიჯში ემეცადინა მათემატიკაში. 1865 წ. მან მეორე ადგილი დაიკავა სტუდენტურ კონკურსში მათემატიკის ხაზით.

თუ ა. მარშალამდე მათემატიკა იშვიათად გამოიყენებოდა ეკონომიკურ ნაშრომებში, მას შემდეგ ეკონომიკური თეორიის არც ერთი წიგნი არ უვლის გვერდს მათემატიკური ფორმულების გამოყენებას. ა. მარშალს შეეძლო საქმის ცოდნით გამოეყენებინა მათემატიკური ფორმულები, მაგრამ იგი

შეგნებულად გაურბოდა მათ უზომო გამოყენებას. მათემატიკური მეთოდის ეკონომიკაში გამოყენების მთავარ ნაკლს ის ხედავდა მის მექანიკურობაში. ორგანული ბიოლოგიური ცნებებისაგან განსხვავებით, მას არ შეუძლია გამოხატოს ის იდეა, რომ ეკონომიკა – ესაა პროცესი.

ა მარშალი მიუთითებდა, რომ ეკონომიკური მეცნიერება უნდა ემყარებოდეს ფაქტებს, რადგან ფაქტები – ესაა აგურები, რომელთაგან ყალიბდება ცოდნა. მართალია სტატისტიკა იძლევა ფაქტების განსაზღვრულ ჯამს, მაგრამ ისინი უნდა შეივსოს სხვა წყაროებიდან. იგი თვლიდა, რომ ეკონომიკური მეცნიერება იმყოფება სწორ გზაზე, თუ სტატისტიკა და მათემატიკა დაქვემდებარებულია კვლევის უფრო ზოგადი პრინციპებისადმი.

საერთო ჯამში ა. მარშალის გავლენა ეკონომიკურ თეორიაზე მნიშვნელოვანია. მიუხედავად მრავალმხრივი კრიტიკისა თანამედროვე ეკონომიკური თეორია მნიშვნელოვანწილად გამოდის მის მიერ დამუშავებული იდეებიდან.

## 2. ამერიკული სკოლა. ჯ.ბ.კლარკი

*XIX* ს. დამლევს წარმოიშვა საზღვრითი სარგებლიანობის თეორიის თავისებური ვარიანტი, რომლის ფუძემდებელიც იყო ამერიკელი პროფესორი ᲯᲝᲜ ᲑᲔᲘᲡᲢ ᲙᲚᲐᲠᲙᲘ (1847–1938). მართალია აშშ-ში მარჟინალური თეორია საზღვარგარეთიდან იქნა შემოტანილი, მაგარამ ჯ. ბ. კლარკმა ჯევონსისაგან და ავსტრიული სკოლისაგან დამოუკიდებლად დაამუშავა ამ დოქტრინის თავისებური ვარიანტი.

ჯ. ბ. კლარკს მსოფლიო სახელი მოუხვეჭა შემდეგმა ნაშრომებმა: „სიმდიდრის ფილოსოფია" (1886), „სიმდიდრის განაწილება" (1899), „მონოპოლიების პრობლემა" (1901), „ეკონომიკური თეორიის არსებითი ნიშნები" (1907), „თანამედროვე განაწილების პროცესი" (1919) და სხვ. ამ ნაწარმოებებში ჯ. ბ. კლარკი შეეცადა შეეზავებინა თავისი წინამორბედების ჟ.ბ.სეის, ფ. ბასტიას, კ. კნისის, ე. ბემ-ბავერკის და სხვ. თეორიები, რათა შეექმნა ახალი ეფექტური კონცეფცია.

ჯ. ბ. კლარკი აცხადებდა, რომ სურდა აღმოეფხვრა ეკონომიკურ მეცნიერებაში დაშვებული მრავალრიცხოვანი შეცდომები. კერძოდ უარეყო წარმოდგენა იმის შესახებ, რომ



ზოგიერთი სახის შრომა მწარმოებლურს არ წარმოადგენსო. იგი ამტკიცებდა, რომ ყველა სახის შრომა მწარმოებლურ ხასიათს ატარებსო.

ჯ. ბ კლარკმა მთელი თავისი ძალისხმევა წარმართა. კაპიტალიზმის დროს სოციალური სამართლიანობის დასამტკიცებლად. იგი ირწმუნებოდა, რომ კაპიტალიზმის კანონები ბუნებრივია. ისინი მუდმივად მოქმედებდნენ და კლასებს შორის ჰარმონიულ ურთიერთობას ამყარებდნენ წარმოებასა და მოხმარებაში.

ამ მიზნის მისაღწევად ჯ. ბ. კლარკმა აირჩია კვლევის თავისებური მეთოდი. ეკონომიკური მეცნიერება მან დაყო სამ ნაწილად.

პირველი ნაწილი მიუძღვნა უნივერსალური კანონების მიებას. იგი იკვლევდა იზოლირებულ მეურნეობას და მომხმარებელთა ფსიქოლოგიას. ამის საფუძველზე მან ჩამოაყალიბა სამი უნივერსალური კანონი: 1) საზღვრითი სარგებლიანობის კანონი, 2) სპეციფიკური მწარმოებლურობის კანონი და 3) კლებადი ნაყოფიერების კანონი. ეკონომიკური მეცნიერების მეორე განყოფილება მან მიუძღვნა ეკონომიკის ანალიზს სტატიკურ მდგომარეობაში, ხოლო მესამე განყოფილება მიუძღვნა მისი დინამიკის კანონების გამოკვლევას.*

ჯ. ბ. კლარკმა წარმოების სამი ფაქტორის თეორიას მისცა წარმოების ფაქტორების საზღვრითი ნაყოფიერების თეორიის სახე. ამ თეორიით იგი ამტკიცებდა ბურჟუაზიული საზოგადოების სხვადასხვა კლასთა ინტერესების ჰარმონიის იდეებს. ჯ.ბ.კლარკის საზღვრითი ნაყოფიერების თეორია კაპიტალის ნაყოფიერების თეორიისა და ავსტრიული სკოლის საზღვრითი სარგებლიანობის თეორიის იდენტურია. ჯ. ბ. კლარკი თვითონვე მიუთითებდა, რომ იგი სინთეტიკური ეკონომიკური თეორიის ავტორია.

ჯ. ბ. კლარკის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებები შემდეგია: სამეურნეო სისტემა ემყარება კერძო საკუთრებასა და ინდივიდუალურ თავისუფლებაზე; ღირებულება გამომდინარეობს სარგებლიანობიდან; სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკაში უნდა შემოიფარგლოს ცალკეული

---

* მსოფლიო ეკონომიკური აზრის ისტორია, ტ. 3. მ., 1989, გვ. 143 (რუს).

მონაწილეების იძულებით დაიცვან თამაშის წესები; ნავარაუდევია, რომ კაპიტალი და შრომა შედგება მობილური ელემენტებისაგან, რომლებიც ადვილად შეიძლება ერთმანეთს შეერწყან. ჯ. ბ. კლარკისათვის ნათელი იყო, რომ განაწილების პრობლემა სოციალურ ხასიათს ატარებს. საზოგადოებრივი პროდუქტი გარკვეული წესით უნდა განაწილდეს მის შექმნაში მონაწილე სხვადასხვა ჯგუფებსა და ქვეჯგუფებს შორის. ასეთი სისტემა განპირობებულია ბუნებრივი კანონებით. შრომა მიიღებს თავის წილს, კაპიტალისტი კი თავისას. განაწილების შედეგად წარმოების ყველა მონაწილე ზუსტად იმ რაოდენობის სიმდიდრეს მიიღებს, რამდენიც მან აწარმოვა. ამაში მდგომარეობს სპეციფიური მწარმოებლურობის კანონი. ამერიკელი ეკონომისტი ბ. სელიგმენი მიუთითებს, „რომ ასეთი წარმოდგენანი ატარებდა გამართლების ელემენტს, და მართლაც ისინი დაახასიათეს, როგორც აპოლოგეტიკის ერთ-ერთი ფორმა."*

ჯ. ბ. კლარკის ეკონომიკური შეხედულებებისათვის დამახასიათებელი შინაგანი სისუსტე, ყველაზე თვალსაჩინოდ ვლინდება მის სტატიკისა და დინამიკის თეორიაში**. ჯ. ბ. კლარკმა მთელი პოლიტიკური ეკონომია დაყო სტატიკად და დინამიკად. მისი ეკონომიკური სტატიკა ემსახურება წონასწორობის თეორიას. ისევე, როგორც სტატიკა მექანიკაში არის მოძღვრება სხეულის წონასწორობის შესახებ.

ეკონომიკური სტატიკა ჯ. ბ. კლარკის აზრით უნდა სწავლობდეს სტაციონარულ საზოგადოებას, ე. ი. ისეთ საზოგადოებას, სადაც გამორიცხულია ყოველგვარი ცვლილებები (ე. ი. მოსახლეობა, კაპიტალი,მოთხოვნილება და სხვა სიდიდეები უცვლელია).

ეკონომიკური დინამიკის შესწავლას და გამოკვლევას ჯ.ბ. კლარკის აზრით ხელი უნდა მოჰკიდოს შემდგომმა თაობამ. თავის წიგნში „ეკონომიკური თეორიის არსებითი ნიშნები" დინამისტების ამოცანად ჯ. ბ. კლარკმა დააყენა საკითხი, დინამიკურ ცვლილებათა ხუთი მთავარი მიზეზის შესწავლის აუცილებლობის შესახებ, ეს მიზეზებია. 1. მოსახლეობის ზრდა, 2. წარმოების ახალი ტექნიკა, 3. საწარმოების ორგანიზაციული

- - - - - -

*ბ. სელიგმენი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 193.

** იქვე.



ფორმების ცვლილება, 4. კაპიტალის დაგროვება და 5. მომხმარებლის გემოვნების ცვლილება.

ამრიგად, ჯ. ბ. კლარკის მიხედვით სტატიკის მიზანია წონასწორობის შესწავლა, ე. ი. იმ ძალების აღწერა, რომლებიც იწვევენ კაპიტალისტური ეკონომიკის წონასწორობას. ხოლო დინამიკა უნდა იკვლევდეს წონასწორობის დამრღვევ უწონასწორობის მიზეზებს და იმ ძალებს, რომლებიც წონასწორობას აღადგენენ.

ჯ. ბ. კლარკის სტატიკისა და დინამიკის თეორიამ შემდგომში ფართო გავრცელება ჰპოვა ბურჟუაზიულ ეკონომისტებში. XX 50-იანი წლებიდან განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა დინაამიკის თეორია, მან მიიღო ეკონომიკური ზრდის თეორიების სახელწოდება. მას იცავდნენ ე. დომარი, რ. ჰაროდი, ფ პერუ, და სხვ.

ჯ. ბ. კლარკი ხელფასის, რენტის, მოგების, სარგებლის კატეგორიების განსაზღვრისას ემყარებოდა საზღვრითი ნაყოფიერებისა და კაპიტალის კლებადი ნაყოფიერების თეორიებს. შრომის ნაყოფიერების დაცემით უნდოდა მას ხელფასის დაწევის დასაბუთება. ჯ. ბ. კლარკს შესაძლებლად მიაჩნდა მუშათა კლასის ხელფასის გადიდება. ამ გარემოებ აც იგი საზღვრითი ნაყოფიერების თეორიაზე დაყრდნობით ხსნიდა.

თავის შეხედულებათა საილუსტრაციოდ ჯ. ბ. კლარკს ასეთი მაგალითი მოჰყავს: ხუთკაციან საწარმოში პირველი მუშა ქმნის 10 დოლარის ღირებულების პროდუქტს, მეორე 8 დოლარის, მესამე 6 დოლარის, მეოთხე 4 დოლარის, მეხუთე - ორი დოლარის, ჯ. ბ კლარკის მიხედვით მუშების ხელფასი უნდა განისაზღვროს შრომის საზღვრითი ნაყოფიერებით. ე. ი. მისი მაგალითის მიხედვით - 2 დოლარით. რადგან ხუთივე მუშა ერთნაირი ინტენსივობითა და ერთნაირი ხანგრძლივობით მუშაობენ, ამიტომ ხუთივემ ერთნაირი ხელფასი, ე. ი. 2 დოლარი უნდა მიიღოს თითოეულმა. ხელფასი მიისწრაფვის გაუტოლდეს საზღვრითი შრომის პროდუქტს, ე. ი. 2 დოლარის ღირებულებას - წერს ჯ. ბ. კლარკი.* მაგარმ მუშების მიერ შექმნილი პროდუქტის ღირებულება (10+8+6+4+2)= 30 დოლარს მათი ხელფასის საერთო რაოდენობა კი 10 დოლარს (5x2) სხვაობა

- - - - -

*ჯ.ბ.კლარკი, სიმდიდრის განაწილება, მ., 1934, გვ.101 (რუს).

მუშების მიერ შექმნილ პროდუქტის ღირებულებასა და მათ ხელფასს შორის შეადგენს 20 დოლარს (30-10=20). ეს ოცი დოლარი დასძენს ჯ. ბ. კლარკი, რადგანაც მის შექმნაში კაპიტალი მონაწილეობდა, კაპიტალისტმა უნდა მიიღოს სარგებლის სახით.



# თავი XV. XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული ეკონომიკური აზრი

XIX ს. მეორე ნახევრის და XX ს. დასაწყისის ქართველი მოღვაწეებისათვის დამახასიათებელი იყო ეკონომიკური საკითხებისადმი განსაკუთრებული ყურადღება. ეს განპირობებული იყო საზოგადოებრივ ურთიერთობათა სიმწიფით, რომელმაც ინტელიგენციის ყურადღების ცენტრში მოაქცია ეკონომიკური პრობლემები. ეკონომიკური განვითარების სფეროში ეს იყო ძველ ნატურალური ურთიერთობების რღვევისა და კაპიტალისტური მეწარმეობის თანდათანობითით რღვევის პერიოდი. განსახილველ პერიოდში საქართველო კაპიტალიზმის გზაზე დამდგარი აგრარული ქვეყანა იყო სუსტად განვითარებული მრეწველობით.

ქართული ეკონომიკური აზრის წინაშე პრობლემების მთელი წრე იყო, რომელიც ნათლად გააზრებას და გადაჭრას მოითხოვდა. ამ საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს გამოჩენილმა ქართველმა მოაზროვნეებმა დ. ყიფიანმა, ა. ორბელიანმა, კ. მამაცაშვილმა, ნ. ჭავჭავაძემ, მ. თუმანიშვილმა, გ. წერეთელმა, ა. წერეთელმა, ი. გოგებაშვილმა, ა. ფურცელაძემ, გ. მაიაშვილმა, გ. თარხან-მოურავმა ს. მესხმა, ა. ჯორჯაძემ, ა. წულუკიძემ და სხვებმა.

XIX ს. მეორე ნახევრისა და XX ს. ეკონომიკური აზრის წარმომადგენელთა შორის ვემაპებად მოსჩანან ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე, ამიტომ ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ მათი ეკონომიკური შეხედულებების ზოგად ანალიზზე.

## 1. ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი საქართველოს ეკონომიკური განვითარების გზების შესახებ

ი. ჭავჭავაძე (1837-1907) 1857-1861 წ. წ. სწავლობდა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. საუნივერსიტეტო არეულობის გამო მეოთხე კურსიდან გამოვიდა. შემდგომში ეწეოდა ფართო პუბლიცისტურ, სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობას.

ი. ჭავჭავაძე ქართველ ერში უპირველესად მოიხსენიება როგორც დიდი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, პუბლიცისტი და შემდეგ, როგორც ბრწყინვალე მწერალი და პოეტი. იგი შემოქმედებითი ენთუზიაზმით იკვლევდა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების გზებსა და საშუალებებს.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ი. ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებაში მნიშვნელოვანი თითქმის არაფერი შეუქმნია. მთელი მისი ყურადღება საქართველოს კეთილდღეობისა და მისი აღმავლობისაკენ იყო მიმართული, რომლის უზრუნველყოფის აუცილებელ პირობად ეკონომიკური აღმავლობა მიაჩნდა.

ი. ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებანი გადმოცემულია პუბლიცისტურ წერილებში და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ნარკვევებში. ესენია: „ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების საზრუნავი“ (1893); „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიკური მიზეზები“ (1897); „ძველი და ახალი ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებაში“ (1897); „პოლემიკა ნოე ჟორდანიასთან“ (1900); „ცხოვრება და კანონი“, „ხიზნების დამე“, „ბატონ მესხნერის პროექტი“ და სხვ.

ი. ჭავჭავაძის ეკონომიკური ნაშრომები და მოსაზრებები საქართველოს მომავალი ცხოვრების სწორად წარმართვისაკენ იყო მიმართული. მისი აზრით დაუღალავად შრომას, მშრომელ ხალხს და მათ მიერ შექმნილი დოვლათის სამართლიან, სწორ გამოყენებას შეეძლო ფეხზე დაეყენებინა დაჩაჩანაკებული საქართველო. ეკონომიკურად წელში გამართული საზოგადოების ასაშენებლად ი. ჭავჭავაძე ყველასათვის სავალდებულო შრომის პრინციპს აღიარებდა. ი. ჭავჭავაძის აზრით ყოველი ადამიანი რა წოდებისა და ხარისხისაც არ უნდა ყოფილიყო იგი, შრომასა და გარჯაში უნდა ეძებდეს ნახულობდეს თავისი ცხოვრების ჭეშმარიტ საგანს. ი. ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ ქართველი ერის წინსვლისათვის უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდა ეკონომიკური ცხოვრების გაუმჯობესებას, სხვადასხვა კლასებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის მოწესრიგებას, ქვეყნის სიმდიდრის ზრდას, დოვლათის სიუხვეს. საამისოდ ზედმეტი იყო ლაპარაკი კულტურის სერიოზულ განვითარებასა და ხალხის სულიერი სიმდიდრის ზრდაზე.

ი. ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ ერი მაშინაა ძლიერი, როცა მისი ყველა კლასი და ფენა შეძლებულია. 1883 წ. გამოქვეყნებულ წერილში „წოდებათა თანასწორობა“ ი. ჭავჭავაძე წერდა: „ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდპატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ცდილობს ცხოვრების გზა გაიკვლიოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდან ყველამ ერთად, საყოველთაოდ. ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღლისა, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლხინისა თავისაკენ და ჭირისა სხვისაკენ, მარტო თავის-თავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრებისა და სადაც ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვიან.

ტყუილა ფიქრობენ, - აგრძელებს ი. ჭავჭავაძე, - ვითომ კაცთა ურთიერთობაში შესაძლებელი იყოს რომელიმე წოდებამ ცალკე ბინა გაიკეთოს, ცალკე ინტერესები შემოიღობოს, შემოიფარგლოს, და ამით რაიმე ხეირი ნახოს საბოლოოდ. ამისთანა წყობა თუ აგებულობა საზოგადოებისა, თუ ერისა დიდხანს თავს ვერ დაიჭერს და ვითარცა ქვიშაზე აგებული სახლი პირველი ქარის შებერვაზედვე დაიფუშება. ამისი მაგალითი და საბუთი ისტორიაში ერთი და ორი არ არის. ქვეყანაზედ მარტო იმ ერს გაუძლია, მარტო იმ ერს გამოუტანია თავი ათასგვარი განსაცდელისაგან, მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლიერებულა, რომელსაც თავის დროზედ შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთის რომელიმე წოდების წინ წაწევა არაფრის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც წინ არ წაწეულა“*

ერის გაძლიერებისა და გამდიდრების ერთად-ერთ სამართლიან და დაუშრეტელ წყაროდ ი. ჭავჭავაძე ეკონომიკურ წარმოებას მიიჩნევს. თავის წერილში „ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიკური ცხოვრებისა“ აღნიშნავდა, „ვაჭრობა არ ქმნის სიმდიდრეს“. „ნუ დავივიწყებთ, - წერდა იგი, - რომ ჩვენ საქმე გვაქვს ჩარჩულ ფულთან, რომელიც ყოველ სხვა ფულზე უფრო უღირსია. ჩარჩული ფული ბუნებით მხდალია, იმიტომ, რომ ქურდბაცაცაა. იქა მკის სადაც არ უთესნია. იგი ქვეყანას ქონს აცლის და სამაგიეროდ არას აძლევს. იგი გასამრჯელოს იქ

- - - - - -

*ი. ჭავჭავაძე, წოდებათა თანასწორობა, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ 5, თბ, 1987, გვ. 19.

ილებს, საცა არ ირჯება. იგი სუქდება მით, რომ სხვას ამჭლევებს, აჭლექებს, იგი თვითონ ივსება და სხვას აცარიელებს“. „ჩარჩული ფული არ ქმნის სარჩო-საბადებელს და მარტო თვლის თამასუქებს და სად ვის რა ასცინცლა. იგი ეკონომიკური წარმოებისათვის მკვდარია და, მაშასადამე მკვდარია იმისთანა მოქმედებისათვის, რომელიც ერთად ერთი სამართლიანი და მიუწვდომელი წყაროა გაღონიერებისა, გამდიდრებისა და თუნდ გაფულიანებისაც, რაკი დღეს ფულია სიმდიდრედ აღიარებული“.

ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს ვაჭრობის დადებით მხარეებს. იგი მიუთითებს საქონელ-მიმოქცევის უდიდეს როლზე საზოგადოებრივ განვითარებაში. მისი თქმით ეს არის ერთად-ერთი მხოლობითი ეკონომიკური დამოკიდებულება კაცთა შორის და კაცობრიობამ ჯერ ამის გარდა სხვა ეკონომიკური დამოკიდებულება არ იცის“.

ი. ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვაჭრობას, როგორც ქვეყნის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე საქონლის განაწილების საშუალებას, რომლის დანიშნულებაც არის წარმოებული საქონლის დაყვანა მომხმარებლამდე.

„ვაჭრობაც რასაკვირველია, საჭიროა ერის ცხოვრებისათვის, იმოდენად, რამოდენადაც იგი ეზიდება საქონელს იქიდან, საცა მეტია, იქ – საცა უჭირთ და ამ გზით შველის სიმდიდრის მოფენას და მორიგებას ყველგან.“

ვაჭრობის დადებითი მხარეების გარდა ი. ჭავჭავაძე მიუთითებს მის მხარეებზე, რომელიც უარყოფითია მისი აზრით. ვაჭრობა, თვლის იგი, გარდაქმნის ადამიანის ბუნებას და პირადი ცხოვრების პრინციპებს. და ერი მარტო ვაჭრობით თუ არის დაკავებული არის „გაქსუებული, გაფანტული“. ი. ჭავჭავაძის აზრით ვაჭრობაში არის კიდევ ერთი უარყოფითი მხარე, რომ კაპიტალისტური წყობილების პირობებში ყველა ვაჭარი ცდილობს დაბაბულობა შექმნას მიწოდება მოხმარებას შორის და რაც შეიძლება ღირებულებაზე მაღლა გაყიდოს საქონელი.

* * *

ილია ჭავჭავაძე დიდ გულისტკივილს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ჩვენში მრეწველობა კუს ნაბიჯით მიდიოდა. ი. ჭავჭავაძის თქმით მრეწველობის ხელშეწყობა შესაძლებელი იყო კაპიტალური დაბანდების გაძლიერების გზით და ამ გზას



კი ჩვენი შეძლებული ფულიანი ადამიანები გვერდს უვლიან. ფულს მხოლოდ მევახშეობისათვის იყენებდნენ და ტყავს აძრობდნენ მსესხებლებს. ამით ღარიბებს ეფრო აღარიბებდნენ. ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას არაფერს მატებდნენ და მხოლოდ თვითონ ხეირობდნენ ცოტაოდენი სარგებლით. მთელ მოქმედებას ფულიანი კაცებისას ერთი ჯიბიდან მეორეში ფულის გადატანა წარმოადგენდა. აბა ერთი მიიხედ-მოიხედეთ ჩვენს გარშემო, - აღნიშნავდა ი. ჭავჭავაძე, - გვიჩვენეთ, რომ ერთ ვინმე მათგანს თითო გაენძრიოს ქვეყნის სიმდიდრის წასამატებლად. ამ ყოვლად და მრავალგვარად მდიდარ ქვეყანაში საცა ათასგვარი ფაბრიკა, ქარხანა და ერთობ ამის მაგვარი მრეწველობა დიდს ხელს მისცემს მრეწველობასაც და ქვეყანასაც გაამდიდრებს, რაც ერთ ფულიან კაცს გუნებაშიაც არ გაუტარებია, აზრადაც არ მოსვლია, რომ შეიძლება კაცმა თვითონაც იხეიროს და ქვეყანასაც არგოს რამეო.

იქვე აღნიშნულია იმის შესახებ, რომ ჩვენი შემძლე ადამიანები ჩარჩული მიზნით იყენებენ ფულს. ხალხის მოტყუებით უნდათ გამდიდრება და ის კი არ იციან, რომ ერთხელ მოტყუებული კაცი იმათ აღარ გაეკარება, მცირე სარგებელს სჯერდებიან და თავიანთი უმეცრებით თუ დოყლაპიობით დიდს ხელიდან უშვებენ. როცა ქალაქში ცხენის – რკინიგზის გამართვას ფიქრობდნენ - ჩვენებურმა სოვდაგრებმა ვერ შეპბედეს ამ საქმეს. ვერ შებედვა კიდევ არაფერია, საქმე ის არის, რომ მაგ გზის საქმე სიცილადაც აღარ ეყოთ და ამბობდნენ, „რასაც მოიგებენ, ჩვენ წილს ნუ დაგვიდებენო, იძახოდნენ უმეცრების კმაყოფილებით და დაცინვით ჩვენი ფულიანი კაცები. როცა ცხენის რკინიგზა სხვა ქვეყნიდან მოსულმა გამართა და ნახეს, რომ ამ საქმეს კაი მოგება აქვს, მხოლოდ მაშინღა წამოაჭყიტეს თვალები და წუწუნებდნენ: „ვა, ეს საქმე ხელიდან როგორ გავუშვითო.“

ასეთივე საქმე მოუვიდათ შავი-ქვის (მანგანუმის) გამო, – შენიშნავს იქვე ი. ჭავჭავაძე, - უცხო ქვეყნელებმა ეს აუარებელი სიმდიდრე ხელიდან გამოსტაცეს. ასეთივე საქმე დაემართათ შაქრის ქარხნის გამო, რომელსაც ეხლა სხვიდგან მოსულები მართავენ სკრაში თ. კ. შალიკოვის მამულში. სოვდაგრები კი დუქანში თვლემას ვერ მოშორებიან... სწორედ ეს ამბავიც დაატყდებათ თავზე ღვინის ვაჭრობის გამოც... საითაც გინდა მიიხედეთ და ყველგან ნახავთ. რომ ჩვენებურ ფულიანებს არც

გონება უჭრით, არც თვალი, რომ დასანახი დაინახონ და ნამდვილ წყაროს სიმდიდრისას ხელი ჩაავლონ თავის სახეიროდ ცალკე და ქვეყნის საკეთილდღეოდ ერთობ."*

ი. ჭავჭავაძე გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ჩვენში მეურნეობის გაძღოლა წინა პლანზე არ არის და ეს კი აღარიბებს ერს, აღატაკებს მშრომელებსო.

* * *

მიუხედავად იმისა, რომ ი. ჭავჭავაძე მრეწველობის განვითარების მომხრე იყო, საქართველოს მომავალი საზოგადოების საფუძვლად რაციონალურად მოწყობილი სოფლის მეურნეობა მიაჩნდა. მისი თქმით „თავადპირველი შემოქმედი ეროვნებისა და ერის სიმდიდრისა მარტო გუთანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდეც. ...საპოლიტიკო და საეკონომიო ყოფაცხოვრება ამ ორის საგნით სულდგმულობს." ი. ჭავჭავაძის აზრით მაშინდელი საქართველოს ეკონომიკური ხსნა სოფლის მეურნეობა იყო: „ჩვენი სრული ყურადღება მარტო სოფელს უნდა ეკუთვნოდეს, თუ სამუდამოდ არა, ჯერ ხანად მაინცო".

ი. ჭავჭავაძე სოფლად მატერიალური სიუხვის შექმნის აუცილებელ პირობად მიიჩნევდა მეურნეობის რენტაბელობას, მიწის რაციონალურ დამუშავებასა და წარმოების ხარჯების შემცირებას.

უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდში ჩარჩულ კაპიტალს დაპყრობილი ჰქონდა საქართველოს სოფლის მეურნეობა, ამიტომ ი. ჭავჭავაძე კატეგორიულად მოითხოვდა მის წინააღმდეგ ორგანიზებულ ბრძოლას სასოფლო სამეურნეო ამხანაგობების შექმნის გზით: „თუ ახლავე არ ვუშველეთ თავს, ჩვენი საქმე წასულია. ამიტომაც ყოველსავე ეკეონომიკურ სარბიელზე ნაშრომს, საღვაწს, საწარმოებელს... ამხანაგური კრებული უნდა ავუჩინოთ, რაკი ცალ-ცალკე ამისათვის უღონონი ვართ" - წერდა ი. ჭავჭავაძე. მისი თქმით „იქ საცა თითოეული უღონოა, ღონიერნი არიან ყველანი ერთად".

ი. ჭავჭავაძე ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ იმ დროს გაძნელებული იყო სოფლად წარმოებული პროდუქტების რეალიზაცია. ამის მიზეზად ი. ჭავჭავაძე ასახელებდა ჩარჩვაჭრებისა და დალალების აქტიურობას, რომლებსაც ხელთ

\- - - - -

* ტარელ სართანია, ილია ჭავჭავაძე, თბ. 1992, გვ. 223.



უპყრიათ ბაზარი და გლეხისაგან იაფად ნაყიდს იქ მამასისხლად ჰყიდიან. ამ მხრივ საყურადღებოა ი. ჭავჭავაძის წერილი მეისნერის პროექტის გამო. ქართველ თავადაზნაურთა აღტაცებას, რომ უამრავ ფულს ჩაიგდებდნენ მეისნერის პროექტის მიღებით. ი. ჭავჭავაძე სხვა ქვეყნების მაგალითებითა და ეკონომიკური მეცნიერების მოშველიებით, სრულიად აქარწყლებდა ამ იმედებს, იგი ამტკიცებდა, რომ მარტო ფულს არ შეუძლია ქვეყნის გამდიდრება. ი. ჭავჭავაძე რჩევას იძლეოდა, რომ მიღებული არ ყოფილიყო მეისნერის პროექტი. ჩვენ მეურნეობას ჩვენვე მოვუაროთ, თორემ ეს გამოიწვევს ისეთ საშინელ შედეგებს, რომ ჩვენსავე ღვინოს მამასისხლად გაგვიყიდიან, ჩვენც ასევე მოგვასყიდებენ და ჩვენსავე გამრჯე ხალხს გაღატაკებულ პროლეტარიატად გადააქცევენ უცხო ადამიანებით.

ი. ჭავჭავაძის გამოსვლამ დიდი ზეგავლენა იქონია ქართულ საზოგადოებაზე, რომელმაც დიდი ბჭობისა და ყოყმანის შემდეგ უარყო მეისნერის ერთი შეხედვით მიმზიდველი პროექტი, რომელიც საქართველოს მევენახეობის ძირითადი ნაწილის შესყიდვას და უცხო პირების მიერ ჩვენი ღვინის წარმოების მისაკუთრებას გულისხმობდა.

## 2. ი. ჭავჭავაძე ეკონომიკური კატეგორიების შესახებ

რაც შეეხება ი. ჭავჭავაძის მსჯელობას ეკონომიკური კატეგორიების შესახებ, აქ უნდა ითქვას შემდეგი:

ი. ჭავჭავაძეს თავისი მოსაზრებები ჰქონდა ისეთ რთულ ეკონომიკურ კატეგორიაზე როგორიცაა ღირებულება. ი. ჭავჭავაძის თქმით ღირებულება არის ის რაოდენობა, სხვადასხვაგვარ საქონელთა ერთმანეთის წინაშე, რომელიც შესაძლოსა ხდის საქონლების ერთმანეთზედ ცვლას. მაგალითად ორი თუნგი ღვინო იცვლება ერთ კოდ პურზე. ეს რაოდენობა, რომელიც შესაძლოდა ხდის ღვინის გაცვლას პურზე და პურისას ღვინოზე, მათი ღირებულებაა ერთმანეთის წინაშე, ფასი კი იგივე ღირებულებაა საქონლისა, მხოლოდ ფულის რაოდენობით გამოთქმული".

ი. ჭავჭავაძის აზრით ღირებულება წარმოადგენს ადამიანის აბსტრაქტული შრომის შედეგს და მისი ოდენობა განისაზღვრება საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯით პრო-

დუქტის ერთეულზე.

ი. ჭავჭავაძის აზრით ღირებულების ცვალებადობა გულისხმობს ფასების ცვალებადობას, ხოლო ფასების ცვალებადობა არ გულისხმობს ღირებულების ცვალებადობას რადგან მათ სხვადასხვა ფაქტორები განსაზღვრავენ. პირველის საფუძველია საქონელში განივთებული შრომა, ხოლო მეორისა – ფულის კურსიო. და თუ საქონელი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფასით გამოისახება ანუ ადგილი ექნება საქონლის „სიძვირესა“ და „სიიაფეს“ ამას ილია ჭავჭავაძე ხსნის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების ხასიათით. თუ ბაზარზე საქონელი ბევრია – ფასი ეცემა. ხოლო თუ საქონლის დეფიციტია – ფასი მატულობს.

ი. ჭავჭავაძეს ესმოდა, რომ ფულის კურსის სიმტკიცისათვის საჭიროა სახელმწიფომ გამოუშვას იმ რაოდენობის ამსახველი ფული, რა ღირებულების საქონელიც არის ბრუნვაში და რომ ამ პროპორციის დარღვევა იწვევს ფულის კურსის ამაღლებას, ან დაცემას. სასარგებლოა ფულის კურსის ამაღლება, ხოლო საზიანოა ფულის კურსის დაცემა, რადგან ამ დროს ხდება ფულის გაუფასურება და მოსახლეობის ძირითადი მასის მატერიალური პირობების გაუარესება.

ღირებულებისა და ფასის საკითხში ი. ჭავჭავაძის დასკვნითი აზრი ასეთია: „მეცნიერებაში დადგენილია კანონი, რომ თუ საქონლის რიცხვი იგივეა, მაშინ რაც ქვეყანაში ფული ტრიალებს – ერთი-ორად რომ იქცეს, საქონლის ფასებიც ერთი-ორად აიწევს მხოლოდ, და რასაც მწარმოებელნი ამით მოიგებენ გასასყიდში, იმდენსავე წააგებენ სასყიდში. ასევე მოხდება, რომ ფულმა ამ შემთხვევაში ერთი-ორად იკლოს. მაშინ ფასები ერთი-ორად დაეცემა და მწარმოებელნი რამდენსაც წააგებენ გასასყიდში იმდენს მოიგებენ სასყიდში. არც ერთს შემთხვევაში სასწორი გაცემისა და აღებისა არ შეიშლება“.

ი. ჭავჭავაძეს კარგად ესმის გასაღების ბაზრის მოქმედების მექანიზმი, რომელიც აგრეთვე ხშირად ხდება ფულის კურსის ცვალებადობის მიზეზი და მისი აზრით, ამ შემთხვევაში საჭიროა ახალი ბაზრების ძიება და ათვისება თუ დღემდე არსებული ბაზარი არ იტევს საქონელს და თუ ასეთიბაზარი ვერ იქნება მონახული, მაშინ მეწარმე ამცირებს თავისი საქმიანობის მოცულობას. ი. ჭავჭავაძე იქვე მიუთითებს, რომ ფულის მასის დიდი რაოდენობით მოზღვავებას სახელმწიფოში მისი გამდიდრება არ მოაქვს. პირიქით, წარმოება ეცემა. მას მოჰყავს პრუსიის მაგალითი, რომელმაც დიდი რაოდენობით კონ-



ტრიბუცია (5 მილიარდი ფრანკი) წაართვა საფრანგეთს. მაგრამ ამ ბევრმა ფულმა პრუსია კი არ გაამდიდრა, არამედ გამოიწვია პრუსიელი ხალხის გახიზვნა სამშობლოდან. ამ მაგალითით ი. ჭავჭავაძე ასაბუთებს, რომ მარტო ფულს არ შეუძლია ქვეყნის გამდიდრება.

* * *

ი. ჭავჭავაძეს ფრიად საყურადღებო შეხედულებები გააჩნდა კრედიტის საკითხში.

ი. ჭავჭავაძეს სურდა სწორად ორგანიზებული ბანკის საშუალებით საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მოეხდინა.

ილიას აზრით კრედიტის ეკონომიკური საგანი ის არის, რომ იგი საზოგადოებაში მოხმარებული იქნეს წარმოების გასავითარებლად. სწორედ ამით იზრდება „ქვეყნის ნივთიერი კეთილდღეობა და სიმდიდრე“ – აღნიშნავდა ის.

ი. ჭავჭავაძე კრედიტის ობიექტური ბუნებიდან გამომდინარე, მოითხოვდა, რომ ბანკიდან სესხი მხოლოდ ბეჯით ადამიანებს მისცემოდათ. არავის არ უნდა ჰქონოდა იმედი, რომ ბანკი თავის სალაროებს უქნარებს გაუხსნიდა.

თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკში ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობას საფუძვლად ედო მთელი ქართველი ერის ინტერესები.

იმდროინდელი ქართველი მოწინავე საზოგადოება მთელ ყურადღებას ბანკებს აქცევდა და დიდ როლს ანიჭებდა მათ ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების გარდაქმნის საქმეში.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებდა კრედიტის დიდ როლზე წარმოების გაფართოების საქმეში. თუ როგორ აწესრიგებს იგი ჩელდეულის, მასალებისა და პროდუქციის განაწილებას წარმოებისა და მოხმარებისათვის ქვეყნის ერთი ადგილიდან მეორეში, თანაც იგი უფრო მეტად საჭიროა.

ი. ჭავჭავაძის თქმით, კრედიტი, რომელიც წარმოების გასაძლიერებლად იხმარება, ერთი იმისთანა წყაროა ზოგადი სიმდიდრისა. ურომლისოდაც კეთილდღეობა საზოგადოებისა ძნელად იგულისხმება. იმიტომ, რომ კრედიტს გადააქვს რა კაპიტალისტულად თუ წარმოების მასალად, იარაღად, თუ სხვაგვარს სახმარ ნივთად, გადააქვს იქიდან. საცა ყოველივე ეს მკვდრად აწყვია – იქ, საცა საჭიროა წარმოების გასაძლიერებლად და ამ სახით მოარიგებს ხოლმე კაპიტალს ყოველგან და ყოველგანვე იმ სარგებლობას მოატანინებს, რისთვისაც კაპიტალი დანიშნულია.

## 2. ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური კატეგორიების შესახებ

*XIX* ს. მეორე ნახევრისა და *XX* ს. დასაწყისის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის გამოჩენილ ეკონომისტსა და პუბლიცისტს წარმოადგენდა ნიკო ნიკოლაძე (1843–1928). მისი მოღვაწეობა სცილდებოდა საქართველოსა და რუსეთის ფარგლებს. იგი წერდა ქართულ, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

სამოცდაათიოდე წლის მანძილზე ნ. ნიკოლაძე საოცარი ერუდიციით დაუღალავად ეხმაურებოდა იმ პერიოდის ცხოვრებაში წამოჭრილი კულტურული და საგანმანათლებლო, პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ, საზოგადოებრივ და ეკონომიკურ მოვლენებს.* მის წინაშე წამოჭრილ ყველა პრობლემებს იგი განიხილავდა მეცნიერული და ადამიანური კეთილსინდისიერებით და ასევე კეთილსინდისიერად გამოთქვამდა თავის აზრს.**

ნ. ნიკოლაძე 1861 წ. შევიდა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში, მაგრამ სტუდენტურ გამოსვლებში მონაწილეობისათვის იმავე წელს გამორიცხეს უნივერსიტეტიდან. შემდგომში სწავლობდა ციურიხის უნივერსიტეტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1868 წელს. იმავე წელს ციურიხში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „განიარაღება და მისი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა". მასში იგი მხარს უჭერდა განიარაღებას და მიუთითებდა, რომ „მუდმივი ჯარი სოციალური ორგანიზმის უბედურებაა."***

ნ. ნიკოლაძე სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა როგორც განმანათლებლობის იდეოლოგი. იგი იყო ერთ-ერთი გამოჩენილი მეთაური ბურჟუაზიულ-პროგრესული დასისა (მეორე დასი), რომელმაც მნიშვნელოვანი ისტორიული მისია შეასრულა გასული საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ

– – – – –

*პ.გუგუშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1963, № 19. გვ. 81.

**რ.კაკულია, ქართული ეკონომიკური აზროვნების ისტორიიდან, თბ. 1969, გვ. 18.

*** ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, თბ. 1960 , გვ. 491.



ცხოვრებაში.*

ნ. ნიკოლაძე მრავალი ნაშრომისა და პუბლიცისტური წერილის ავტორია, რომლებიც გამოქვეყნებულია მისი დროის ქართულ, რუსულ, უცხოურ პერიოდულ გამოცემებში და ცალკე წიგნების სახით.

პოლიტიკური ეკონომიის საგნის გაგებაში ნ. ნიკოლაძე ეთანხმებოდა კლასიკური სკოლის თეორეტიკოსებს. ინგლისელი ა. სმიტის მსგავსად, მას პოლიტიკური ეკონომია მიაჩნდა იმ მეცნიერებად, „რომელიც იკვლევს თუ რარიგად გროვდება ხალხის სიმდიდრე და რა მიზეზებზეა დამოკიდებული ხალხის ვარგი ან ავი მდგომარეობა. ამ მეცნიერებას საზოგადო (სოციალური, პოლიტიკური) ეკონომია ჰქვია."**

ნ. ნიკოლაძის მტკიცებით, პოლიტიკურ ეკონომიას კაცობრიობის მთელი ისტორიული ცხოვრებისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა ყოფის თავისებურებათა ურთიერთდამოკიდებულების ანალიზის პროცესში „ისეთი სამეცნიერო კანონები დაუნახავს, რომელთაც ყოველთვის და ყველგან ემონება კაცობრივი საზოგადოება".*** მის თქმით პოლიტიკური ეკონომია „იკვლევს თუ რა გზით უფრო სასარგებლოდ შეიძლება სხვადასხვა სიმდიდრის შეძენა, ერთი სიმდიდრის მეორეში გაცვლა, რანაირად უნდა მოქმედებდეს ამ შემთხვევაში საზოგადოება და მისი წარმომადგენელი მმართველობა და რა განწყობილებაა გამოსადეგი ამ საქმეებში."****

„პოლიტიკური ეკონომიისა და საზოგადოებრივი ცხოვრების კანონები, - წერდა ნ. ნიკოლაძე - იმგვარადვე აუცილებელი და შეურყვნელი არიან, როგორც თვით ბუნების კანონები. როგორც ამ ბუნების კანონების ძალით კაცი რამდენიმე წამის მეტს ვერ გაძლებს, წყალში რომ თავიანად ჩაიყურყუმალაოს, ისე ვერც საზოგადოება და ვერც კერძო პირი ვერ იცხოვრებს დიდხანს ვალის ალებით."*****

შემდეგ ნ. ნიკოლაძე აგრძელებს, რომ საზოგადოების განვითარების კანონები „... ერთი საქვეყნო ბუნების კანონს

– – –

* გ. აბზიანიძე, ნარკვევები *XIX* საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ. 1959. გვ. 33.

** ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 2, თბ., 1962, გვ. 88.

*** იქვე, გვ. 395.

**** იქვე, გვ. 393.

*****ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 3. თბ.. 1963, გვ. 23.

ჩამოგავენ და როგორც ბუნებაში ყველაფერი ბუნების კანონს ემონება და მისგან იღებს თავის ძალას და სიცოცხლეს, ისე საზოგადო ცხოვრება თავის უნებურად და უცოდინელად ასრულებს საზოგადოების მეცნიერების კანონებს და უსაყვედუროდ, უცილობლად მისდევს მის ნებას."* იგი დაასკვნის, რომ „პოლიტიკური ეკონომიის კანონები შეუცვლელნი არიან"** ბუნების კანონების მსგავსად და ისინი ობიექტურ ხასიათს ატარებენ.

ნ.ნიკოლაძეს და საერთოდ თერგდალეულებს პოლიტიკური ეკონომიის ამოცანად აწმყოს ეკონომიკურ მოვლენათა აღწერა და სტატისტიკური დალაგება კი არ მიაჩნდათ, არამედ მოცემული სოციალურ-ეკონომიკური ყოფის ანალიზის საფუძველზე ეკონომიკური პროცესების დინამიკის ჩვენება და, რაც მთავარია, მომავლის განვითარების წინასწარხედვა. სწორედ ამ უკანასკნელში ხედავდნენ ისინი პოლიტიკური ეკონომიის მთავარ ამოცანას.***

ნ. ნიკოლაძე მიუთითებდა, რომ „როგორც ავადმყოფისათვის ნაპოვნია სხვადასხვაგვარი საშუალება, რომლის ძალით ავადმყოფობა ხან წაღმა და ხან უკუღმა ბრუნდება, და ავადმყოფი კარგი მოვლით და ექიმობით რჩება, ან უფრო დიდხანს ცხოვრობს. ისე ეკონომიკური ცხოვრებისთვისაც მოძებნილია და გამოკვლეულია სხვადასხვაგვარი საშუალებები გაჭირვებულ მდგომარეობაში გამოსაყენებლად. ერჯერ და ორჯერ კი არ მომხდარა მარტო, რომ ჩვენ საზოგადოებაზე უარეს მდგომარეობაში მყოფი ხალხი ჩინებულად გასულიყოს თავის გაჭირვებისაგან და შემდგომი შესანიშნავი ძალა და შეძლება შეეძინოს.

როგორც სოფლის მკურნალისაგან და მკითხავისაგან მოწამლული ავადმყოფი უკანასკნელ წამში - ნამდვილ ექიმს ეკითხება, ისე დღეს ჩვენი საზოგადოებაც უნდა დაეკითხოს ნამდვილ ექიმს, რომელსაც მისი მოვლა და - იქნება, შველაც შეეძლოს, ეს ექიმია, ის მეცნიერება, რომელსაც მიზნად

\- - - - - - -

* ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ. 2, გვ. 395-396.

** ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ. 3, გვ. 23.

*** გ. თოდუა, *XIX* საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, ნაწ. 1., თბ., 1983, გვ. 193.



საზოგადოების განწყობილება და კანონების გამოკვლევა აქვს, და სახელად „პოლიტიკური (ანუ სოციალური) ეკონომია ქქვია"*

ნ. ნიკოლაძეს საინტერესო მოსაზრებები აქვს შრომის დანაწილების საკითხში. ამ საკითხს იგი სმიტისაგან განსხვავებულად უდგება. ნ. ნიკოლაძე მომხრე იყო შრომის ისეთი დანაწილებისა, „...როცა კაცმა ორი სამი ხელობა იცის, და ხან ერთს ჰკიდებს ხელს და ხან მეორეს", ასეთ პირობებში „...მისი შრომა უფრო ხალისიანი და ნაყოფიერია, და მშრომელს უფრო ნაკლები დროც ეკარგება იმიტომ, რომ შრომის გამოცვლა დასვენებას ედრება".** შრომის დანაწილებისადმი ასეთი მიდგომა დღესდღეობით მიღებულია მეტა-ეკონომიკის თეორიაში, რომელიც ცდილობს თავიდან აიცილოს მუშის რობოტიზაციის პროცესი.

ნ. ნიკოლაძე დაბეჯითებით მიუთითებდა, რომ „მარტო ჩვენი საკუთარი ნიადაგი, დაუშრეტელი და დაუღალავი შრომა მოგვცემს კეთილდღეობას და წარმატებას აღირსებს ჩვენს ქვეყანას".***მისი აზრით, „შრომა პატივისა და ღირსების მოსახვეჭ უფლებად უნდა ითვლებოდეს".**** იგი იქვე შენიშნავს, რომ „შრომას პირველად ცოდნა უნდა, მეორედ იარაღი".*****

ნ. ნიკოლაძის მოსაზრება საქონლის ფასზე ასეთია: იგი წერდა, რომ ამა თუ იმ საქონლის გაყიდვის ფასი უდრის თვითღირებულების ფასს მივუმატოთ სარგებელი ვაჭრობაში ჩადებული კაპიტალისა პლუს ხარჯები გატანის, საწყობში შენახვის, საქონლის ღირსების დაკარგვის, გადასახადების პლუს შუამავალთა გასამრჯელო, ასე თუ ისე აუცილებელი პლუს ერთგვარი თანხა, რომლის რაოდენობა დამოკიდებულია ბაზრის მდგომარეობაზე, ე. ი. მიწოდებისა და მოთხოვნის რაოდენობაზე".******

\- - - -

* ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 3, თბ., 1963, გვ. 23-24.

** ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ. 2, გვ 37.

*** ი. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 4. თბ., 1964 გვ. 368.

**** ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ. 1, გვ. 252-260.

***** ნ. ნიკოლაძე. თხზ, ტ. 2. გვ. 44.

****** ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 473,

4:ნ.ნიკოლაძე საქართველოში ვაჭრობის, საბანკო საქმის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ.

ნ.ნიკოლაძის აზრით ვაჭარი იმთავითვე, ისევე საჭირო და სასარგებლო იყო ხალხისათვის, როგორც პურის მომყვანი და მხედარი, მაგრამ იგი მოტყუებაზე აგებული ვაჭრობის წინააღმდეგი იყო.

ნ. ნიკოლაძის აზრით, ვაჭართა ძარცვისაგან თავის დაღწევა, იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მშრომელები ამხანაგობებს შექმნიან და ერთიანი ძალით დაუპირისპირდებიან ვაჭრებს. იგი მოითხოვდა, რომ ქართველ ახალგაზრდობას ესწავლა მოხერხებული, გონიერი და პატიოსნად ვაჭრობა.

ნ. ნიკოლაძე დიდ ყურადღებას აქცევდა ფინანსურ-საკრედიტო ურთიერთობის განვითარებას საქართველოში. იგი მოითხოვდა პროტექციონისტული საბანკო პოლიტიკის გატარებას.

ნ. ნიკოლაძის აზრით ბანკის შემოსავალი უნდა მოხმარდეს ჩვენი საზოგადოების საჭიროებას, მისი შვილების აღზრდას, განათლებას, მდგომარეობის გაუმჯობესებას და სხვა“.*

ნ. ნიკოლაძე მიუთითებდა მრეწველობის განვითარების დიდ მნიშვნელობაზე. იგი მას უწოდებდა „ხალხის მოქმედების ძლიერ ბერკეტს.“** იგი მიესალმებოდა ფაბრიკა-ქარხნების გახვითარებას. ნ. ნიკოლაძე მიუთითებდა, რომ ეკონომიკურად ჩამორჩენილი ერები ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების ექსპლოატაციის ობიექტი ხდებიანო. ნ. ნიკოლაძის თქმით, თუ გვსურს ჩვენი ერის დაცვა უცხოური კაპიტალისაგან, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მრეწველობის საქმეს. იგი ბეჯითად იმეორებდა, რომ საქართველოს ცხოვრებაში თვალსაჩინო ცვლილება ვერ მოხდება მრეწველობის განვითარების გარეშე, რომლის უქონლობა ჩამორჩენილობის უტყუარი ნიშანია. მრეწველობის საშუალებით შეიძლება უცხოელებისადმი მონური დამოკიდებულებისაგან თავის დახსნა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თავისუფლება ეკონომიკური საფუძვლის გარეშე თავისუფალი მონობაა და სხვა არაფერი. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ ერებს პოლიტიკურად

\- - - - - -

* ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 386.

**ნ. ნიკოლაძე, თხზ, ტ. 4, გვ. 265.



ადგილობრივი ხელისუფალნი იმონებენ, ეკონომიკურად კიუცხოელი მრეწველნი. ქვეყანა, სადაც მრეწველობა არ არსებობს და ვაჭრობა ხალხის მატერიალურ დაუძლურებას იწვევს თანდათანობით, იქ ერის დიდი ნაწილი დაბალი მუშაა დაწინაურებულ უცხოელთა, რომელნიც „ეკონომიკური კანონების ძალით“ ტყავს აძრობენ მათ.*

ნ. ნიკოლაძე ჯეროვან ყურადღებას უთმობდა საქართველოს მეურნეობის საქმეს.

ნ. ნიკოლაძე უჩიოდა სოფლის მეურნეობის ტექნიკის დაბალ დონეს. იგი წერდა: „ჩვენი მხარის სოფლის მეურნეობის გამოუკლებლივ ყველა დარგი ახლა იმავე პრიმიტიულ მდგომარეობაში იმყოფება, როგორც ის დატოვა წინაპარმა ნოემ.. ადგილობრივი შრომის იარაღები გამოირჩევიან მოუხეშაობით და არადამაკმაყოფილებელი კონსტრუქციით. ამასთან ერთად მოითხოვენ უამრავ მუშა და გამწევ ძალას... შრომის იარაღები გამოირჩევიან სრული ჩამორჩენილობითა და არასრულყოფით“.**

ნ. ნიკოლაძე შიშს გამოთხვამდა, რომ უცხოელთა მოძალებას ის მოჰყვება, რომ ქართულ მიწა-წყალს უცხოელი ვაჭრები და კაპიტალისტები დაეპატრონებიან, რომელნიც საქართველოს მტაცებლური ექსპლოატაციისა და ძარცვის ობიექტად გადაიქცევიანო. სწორედ „ამ მოსულების ეშინია ჩვენ ხალხს, და ეშინია საფუძვლიანად, იმიტომ, რომ ისინი დაუზოგავად სარგებლობენ ჩვენი ხალხის და საზოგადოების სისუსტით, დაუზოგველად ყვლეფენ და აღარიბებენ მას“***.

მდგომარეობიდან გამოსავალს ნ. ნიკოლაძე ხედავდა სპეციალური საკრედიტო ორგანიზაციების დაარსებაში. ეს უკანასკნელნი სამამულო მეურნეობის დაცვისა და განვითარების მოთავეები უნდა ყოფილიყვნენ. „საზოგადოებრივი ბანკები, - წერდა ნ. ნიკოლაძე, - იმისათვის არიან დაარსებულნი, რომ ურთიერთის შეერთებით და თავდებით თანხა დანდობა მოიპოვონ, და დაიხსნან გაჭირვებული ხალხი“.****

\- - - - - -

* გ. თოდუა, *XIX* საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, ნაწ, 2, თბ., 1987, გვ. 123.

** ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 266.

*** იქვე, გვ. 388.

****ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ. 4. გვ. 420-421.

მდგომარეობიდან გამოსავალს ნ. ნიკოლაძე ხედავდა აგრეთვე, სახელმწიფოს მხრივ გლეხობისადმი დახმარებაში. მთავრობას გლეხებისათვის საჭირო კრედიტი უნდა მიეცა.

* * *

ვინაიდან, ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში ადგილი აქვს ეპოქის განმეორებას, სასურველია გავითვალისწინოთ XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების გაკვეთილები. საჭიროა ვისესხოთ ჩვენი სახელოვანი წინაპრების ეკონომიკური იდეები, რომლებიც გზის მანათობელ ლამპრად შეიძლება გამოვიყენოთ.

დღესდღეობით ეტყობა საბაზრო ეკონომიკა, ბაზრის ავტომატიზმი ვერ გადაწყვეტს თავისით ჩვენს პრობლემებს. საბაზრო ეკონომიკას ექსტრემალურ სიტუაციებში არ შეუძლია დარღვეული წონასწორობის აღდგენა და ეკონომიკური ზრდა. ასეთ ვითარებაში უპირატესად უნდა გამოვიყენოთ ეკონომიკის რეგულირების პროტექციონისტული (მფარველობითი) პოლიტიკა. მით უმეტეს, რომ ამ მიმართულებით მსოფლიოში დიდი გამოცდილებაა დაგროვილი. ვითვალისწინებთ რა ამ გამოცდილებას, რეკომენდაციას ვუწევთ მობილური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას, - როცა უპირატესად უნდა გამოვიყენოთ პროტექციონისტული პრინციპი, ხოლო შემდგომში შესაძლებელი გახდება გზა გავუხსნათ თავისუფალ მეწარმეობასა და თავისუფალ ვაჭრობას.*

დღეს, ჩვენი საზოგადოების წევრთა მნიშვნელოვან ნაწილს თვალი რჩება საზღვარგარეთულ ქვეყნებში შექმნილ ეკონომიკური ყოფა-ცხოვრებაზე. მაგრამ ყველას უნდა ესმოდეს, რომ ძლიერი ეკონომიკის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ ბეჯითი შრომითა და წარმოების კარგი ორგანიზაციით. . ისიც უნდა ითქვას, რომ საჭიროა შრომის პირობების შექმნა და სათანადო დაინტერესება. თუ შეიქმნება წარმოების განვითარების სათანადო პირობები, მაშინ შესაძლებელი გახდება მოწინავე საზღვარგარეთული გამოცდილების გაზიარებაც, უცხოური კაპიტალის მოზიდვა, ერთობლივი საწარმოების შექმნა და ა. შ.

უცხოური გამოცდილების გასაზიარებლად სასურველია

\- - - - - -

*ჯ. ხარიტონაშვილი, ჩარჩული ფული ქურდბაცაცაა, გაზ. „სიმართლე“, 1993, აპრილი, №5, გვ. 4.



მოვიწვიოთ გამოცდილი მეწარმე-მენეჯერები. მათ შევუქმნათ შრომისა და დაინტერესების სათანადო პირობები. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვაქციოთ ისინი ჩვენი ეკონომიკის უზურპატორებად. მათ კი არ უნდა ჩავუგდოთ ხელში ჩვენი საწარმოებისა და კორპორაციების საკონტროლო პაკეტი და მართვის სადავეები, არამედ ჩვენ უნდა გვეპყრას ისინი ხელით.

გასათვალისწინებელია კომპრადორული (შემთანხმებლური) ბურჟუაზიის როლის საკითხიც. კომპრადორი თავის პირადი გამორჩენის საფასურად ადვილად გაურიგდება უცხოელებს ეროვნული სიმდიდრის განიავებაზე.

დიდ ყურადღებას მოითხოვს უცხოეთის ბანკებისა და ინვესტორებისაგან აღებული სესხების ეფექტიანად გამოყენების საკითხიც. ეს თანხები უპირატესად უნდა გამოვიყენოთ წარმოების განვითარების საჭიროებისათვის, სხვა შემთხვევაში, კვლავ დაზარალდება მოსახლეობის ფართო ფენები. საბოლოო ჯამში, მათ კისერზე გადავა სესხის თავნისა და პროცენტის გადახდის სიმძიმე.

როგორც ვხედავთ, კარგი ეკონომიკური ცხოვრების შესაქმნელად, დაუღალავი და გააზრებული მუშაობაა საჭირო.

# ნაწილი IV. თანამედროვე ეკონომიკური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი

## თავი XVI. ინსტიტუციონალური მოძღვრებები

**1.ამერიკული ინსტიტუციონალიზმი XXს. 20-30-იან წლებში.** ინსტიტუციონალიზმი თანამედროვე ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. იგი ჩამოყალიბდა *XX* საუკუნის 20-იან წლებში აშშ-ში. ამ მიმართულების სახელწოდება წარმოდგება ლათინური სიტყვიდან ინსტიტუციო (სწავლება). ინსტიტუციონალისტები მოითხოვენ ისეთი ინსტიტუტების შესწავლას, როგორიცაა სახელმწიფო, კონკურენცია, გადასახადები, კერძო საკუთრება და სხვ.

ტერმინი „ინსტიტუციონალიზმი" პირველად აშშ-ის ეკონომისტმა ჰამილტონმა გამოიყენა თავის ნაშრომში „მოხსენება მანუფაქტურების შესახებ", რომელშიაც მოითხოვდა ა. სმიტისა და დ. რიკარდოს აბსტრაქტული მეთოდის უარყოფას და მის ნაცვლად, ეკონომიკური მოვლენების შესწავლაში სტატისტიკური აღწერილობითი მეთოდის გამოყენებას. ჰამილტონი მხარს უჭერდა კაპიტალიზმის ეკონომიკური ევოლუციის ინდივიდუალისტური ეკონომიკიდან სოციალურ-რეგულირებადი ეკონომიკისაკენ. ინსტიტუციონალიზმის კვლევის მეთოდი უახლოვდება *XIX* ს. მეორე ნახევარში გერმანიაში არსებული ისტორიული სკოლის თეორეტიკოსების მიერ გამოყენებულ ისტორიულ მეთოდს. ამის შესახებ ხაზგასმით აღნიშნავს ფრანგი ეკონომისტი ე. ჟამსი. მისი თქმით „ინსტიტუციონალიზმი მიგვაგონებს 1850 წ. გერმანულ ისტორიზმს. იგივე საყვედურები კლასიკოსების მისამართით, აბსტრაქციული და დედუქციური მეთოდების იგივე კრიტიკა, იგივე რეკომენდაცია ეკონომიკურ ცხოვრებაზე ახლოდან დაკვირვების შესახებ."*

მაგრამ მათ შორის გარკვეული განსხვავებაც იყო. თუ ისტორიული სკოლის წარმომადგენლები გამოკვლევის ცენტრში აყენებდნენ წარსულის აღწერასა და შესწავლას, ინსტიტუციონალისტებმა გამოკვლევის მიზნად დააყენეს მომავლის პრობლემებიც. ამისათვის მათ დაიწყეს სტატისტიკის გამოყენება.

ინსტიტუციონალისტების მეთოდოლოგიად იქცა აღწე-

- - - -

*ე. ჟამსი. *XX* ს. ეკონომიკური აზრის ისტორია, ლენინგრადი, 1959, გვ. 93 (რუს).



რილობით-სტატისტიკური და ისტორიულ-გენეტიკური მეთოდების გამოყენება. თავიანთ კვლევა ძიებაში ისინი პრიმატს აკუთვნებენ ფსიქოლოგიურ ფაქტორებსა და სამართლებრივ ნორმებს.

ინსტიტუციონალიზმის მიმდინარეობა არაერთგვაროვანია. გამოარჩევენ მის სამ სახესხვაობას: 1. სოციალურ-ფსიქოლოგიური 2. სოციალურ სამართლებრივი და 3. კონიუქტურულ-აღწერილობითი. ეს მიმართულებანი ძირითადად არსებობს ამერიკულ ინსტიტუციონალიზმში. ინსტიტუციონალიზმის ცალკე ნაირსახეობად შეიძლება განხილული იქნეს ინგლისელი ჯ.ჰობსონის შეხედულებანი.

### ა) ტ.ვებლენის სოციალურ-ფსიქოლოგიური ინსტიტუციონალიზმი.

ინსტიტუციონალიზმის ყველაზე რადიკალურ ფორმას წარმოადგენს ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის ტორსტეინ ვებლენის (1857-1929) შეხედულებები. სკანდინავიური წარმოშობის ტ. ვებლენმა საწყისი ეკონომიკური განათლება მიიღო ამერიკაში ჯონ ბეისტ კლარკისაგან, კარლტონის კოლეჯში. აქედან ტ. ვებლენი სასწავლად გადავიდა ჯერ ბალტიმორის, ხოლო შემდეგ იელის უნივერსიტეტში, რათა ემუშავა ნ. პორტერისა და უ. სამნერის ხელმძღვანელობით. უ. სამნერი საზოგადოებრივ მეცნიერებაში ევოლუციური მიდგომის მომხრედ გამოდიოდა და დიდად აფასებდა სოციალურ დარვინიზმს. უ. სამნერის მოძღვრებამ დიდი გავლენა მოახდინა ტ. ვებლენზე და შემდგომში ისიც ევოლუციონიზმის პოზიციაზე დადგა, წერს ამერიკელი ეკონომისტი ბ. სელიგმენი.* იელის უნივერსიტეტში ტ. ვებლენმა სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ი. კანტის ეთიკაზე. შემდგომში იგი ფართოდ იყენებდა კანტის იდეალისტურ ფილოსოფიასა და პრაგმატიზმს.

ტ. ვებლენი საკმაოდ უიღბლო პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა კორნელის, ჩიკაგოს, მისურის შტატისა და კალიფორნიის უნივერსიტეტებში. ამასთან ერთად, იგი ქმნიდა სამეცნიერო ნაშრომებს. მისი მნიშვნელოვანი ნაშრომებია: „მეცნი-

- - - - -

* ბ. სელიგმენი თანამედროვე ეკონომიკური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი, გვ. 59. (რუს).

ერების ადგილი თანამედროვე ცივილიზაციაში", „თანამედროვე გაცვლითი სისტემის ნარკვევები", „უქმი კლასების თეორიები", „მეწარმეობის თეორია", „შრომითი ინსტინქტი", „კაიზერის გერმანია და სამრეწველო რევოლუცია", „მსოფლიო მოწესრიგების ხასიათი" პრივილეგირებული ჯგუფები და სამრეწველო ტექნიკის მდგომარეობა", „ინჟინრები და ფასთა სისტემა", „აბსენტეისტური საკუთრება" და სხვ.

ტ. ვებლენის ეკონომიკური შეხედულებები წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებენ და ამიტომაც სხვადასხვანაირ შეფასებებს იღებენ ეკონომიკური აზრის ისტორიკოსების მხრიდან. თავისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობით ტ. ვებლენი იდეალისტი იყო და გადაჭრით გამოდიოდა მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმისა და საერთოდ მატერიალიზმის წინააღმდეგ. ამასთან ერთად მან საკმაოდ ფართო აღიარება ჰპოვა, როგორც თანამედროვე კაპიტალიზმის, მსხვილი კაპიტალისტური ბიზნესის, ფინანსური ოლიგარქიის ბატონობის ენერგიულმა კრიტიკოსმა. როგორც ბ. სელიგმენი აღნიშნავს „ეკონომიკური თეორია, ანუ ჩქარა ყოვლისმომცველი ვებლენის სოციალური მოძღვრება, პროტესტს გამოხატავს აზროვნების გაბატონებული კანონების წინააღმდეგ, და ამიტომ იგი ყოველთვის მიიპყრობს მოაზროვნე ადამიანების ყურადღებასო".* მაგრამ მიუხედავად ამისა ტ. ვებლენი საქმის არსით კაპიტალიზმის დაცვის პოზიციაზე იდგა და მოითხოვდა მის რეფორმირებას.

ტ. ვებლენმა თავისი ანალიზი დაიწყო ეკონომიკური თეორიის გავრცელებული კანონების კრიტიკული შეფასებით, ის ამტკიცებდა, რომ ეკონომისტებმა სრულიად გამოტოვეს მხედველობიდან ევოლუციური მიდგომის მნიშვნელობაო. კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ არჩევანი გააკეთა სამეურნეო პროცესების ტერმინებზე და ისინი აღწერა ფულად კატეგორიებში. ადამ სმიტი, დავით რიკარდო და ალფრედ მარშალი შეეცადნენ ძირითადი ეკონომიკური იდეები განეხილათ მხოლოდ იმ მასალების დახმარებით, რომლებსაც მათი წარმოდგენით ეკონომიკა მიჰყავდათ წონასწორობის ნორმალური მდგომარეობისაკენ. ამ ეკონომიკური თეორიებში ადგილი არ იყო

- - - - -

*ბ. სელიგმენი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 56.



განვითარების იდეისთვისო".* თავის „უქმი კლასების თეორიაში" ტ. ვებლენი ამბობს: ადამიანის ცხოვრება საზოგადოებაში ზუსტად ისევე, როგორც სხვა სახეობების ცხოვრება არის ბრძოლა არსებობისათვის და, მაშასადამე წარმოადგენს შერჩევისა და შეგუების პროცესს. საზოგადოებრივი სტრუქტურის ევოლუცია არის ინსტიტუტების ბუნებრივი შერჩევის პროცესი", როგორც ბ. სელიგმენიც აღნიშნავს ამ ციტატიდან ნათლად ჩანს ვებლენის მეთოდი. ის იყო ევოლუციონიზმის, მაგრამ არა სოციალური დარვინიზმის სულისკვეთებისო.** ქართველი ეკონომისტი გ. ჭანუყვაძე კი პირიქით მიიჩნევდა, რომ ვებლენის ევოლუციური მეთოდი სოციალური დარვინიზმის თეორიას ეყრდნობაო.***

სოციალური დარვინიზმის თეორია *XIX* საუკუნის ბოლოს აღმოცენდა. მას იყენებდნენ ბიოლოგები, ეკონომისტები, სოციოლოგები. ისინი დარვინიზმის ზოგიერთ დებულებას (ბრძოლა არსებობისათვის) ავრცელებენ ადამიანთა საზოგადოებაზე და ამტკიცებენ, რომ კაპიტალიზმის დროს არსებული წინააღმდეგობანი გამოწვეულია ბუნების კანონებით. კაპიტალიზმის დროს არსებული კრიზისები ომები და სხვ. სოციალურმა დარვინისტებმა ბუნებრივ მოვლენად გამოაცხადეს. ბრძოლა არსებობისათვის კაპიტალისტურ საზოგადოებაში და ბუნებრივი შერჩევა მათ მიიჩნიეს ადამიანთა საზოგადოების მამოძრავებელ ძალად. როგორც რუსი ეკონომისტი ი. ბლუმინი აღნიშნავს, ინსტიტუციონალისტები ერთიმეორისაგან არ განასხვავებენ ბიოლოგიურ და სოციალურ მოვლენებსა და პროცესებს. ტ. ვებლენი კაპიტალისტურ საზოგადოებას ორ სფეროდ ყოფს: ინდუსტრიის სფეროდ და ბიზნესის სფეროდ**** და ამით იგი უგულებელყოფს ბურჟუაზიული საზოგადოების კლასებად დაყოფასა და კლასობრივ ბრძოლას. ტ. ვებლენი საზოგადოების მამოძრავებელ ძალად აცხადებს ტექნიკას. იგი მთავარ იმედს ამყარებდა ტექნიკურ ინტელიგენციაზე და

- - - - -

*ტ. ვებლენი. მეცნიერების ადგილი თანამედროვე ცივილიზაციაში, ნიუ-იორკი, 1919, გვ. 175, (ინგლ).

** ბ.სელიგმენი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 61.

*** გ ჭანუყვაძე, ბურჟუაზიულ ვულგარული პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკა. ნაწ. 1. გვ. 200.

****ი. გ. ბლუმინი, აშშ. თანამედროვე ბურჟუაზიულ პოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები, მ. 1956, გვ. 57 (რუს).

ტექნიკური გარდაქმნებით სურდა კაპიტალიზმის რეფორმირება. ტ. ვებლენმა წამოაყენა ტექნიკოსთა საბჭოს შექმნის იდეა. ტექნიკოსთა საბჭოს უნდა გაეტარებინა ტექნიკური გარდაქმნები წარმოებაში და ამ გზით დაეძლია კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი. ტექნიკოსთა საბჭოს რჩევა-დარიგება უნდა მისცეს მთავრობას ანტიკრიზისული ღონისძიებების გასატარებლად, წარმოების მართვა-რეგულირებისათვის და სხვ.

ტ. ვებლენი ეკონომიკურ განვითარებაში პრიმატს აკუთვნებდა ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. იგი გამოყოფდა სამ მამოძრავებელ ინსტინქტს: ოსტატობის ინსტინქტი, მშობლიური გრძნობა და წმინდა ცნობისმოყვარეობა. მისი აზრით ეს ძალები ამოძრავებს ადამიანს და აღძრავს სურვილს მწარმოებლური ეკონომიკური მოღვაწეობისადმი. ოსტატობის ინსტინქტი და მშობლიური გრძნობა განსაზღვრავს სწრაფვას მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და გვარის გაგრძელებისაკენ. ცნობისმოყვარეობა კი, რომელიც ბიოლოგიურად დაკავშირებულია თამაშის ინსტინქტთან, წარმოადგენს ყოველგვარი კვლევის საფუძველს, რადგან ის აიძულებს ადამიანებს ხელი მოჰკიდონ წმინდა მეცნიერულ პრობლემებს, რომლებსაც არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნიათ.

საზოგადოებრივი განვითარების ფუნდამენტალურ სიახლედ ტ. ვებლენს მიაჩნდა აბსენტეისტური საკუთრების წარმოშობა. მასში იგი გულისხმობდა კორპორაციულ, აქციონერულ საკუთრებას, რომლის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო კაპიტალისტური საზოგადოების ფორმირება. ეს არის, მისი აზრით, ამ საზოგადოების საბოლოო განაჩენი. ეს საკუთრება გახდა უმნიშვნელოვანესი კაპიტალისტური ინსტიტუტი, რომლის დახმარებითაც ბიზნესმენს შეუძლია მცირე საკუთარი კაპიტალის საფუძველზე გამოიყენოს სხვისი საშუალებანი და მშრომელი ფენებიც შეურიგდებიან თავიანთ მდგომარეობას, ვინაიდან იგი მნიშვნელოვანწილად გაუმჯობესდება.

**ბ). ჯ. კომონსის სოციალურ-სამართლებრივი ინსტიტუციონალიზმი.**

ინსტიტუციონალიზმის სოციალურ სამართლებრივი ნაირსახეობის წარმომადგენელი იყო *XX* ს. არანაკლებ ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ჯონ. რ. კომონსი (1862-1945).



დასაწყისში კომონსი სწავლობდა ობერლინის კოლეჯში, შემდეგ სასწავლად გადავიდა ბალტიმორის უნივერსიტეტში, სადაც მეცადინეობდა რ. ტ. ელის ხელმძღვანელობით.

1890 წლიდან ჯ. კომონსმა მასწავლებლად დაიწყო მუშაობა ვესლიანის კოლეჯში, შემდეგში კი გახდა ინდიანის უნივერსიტეტის პროფესორი. იქ შესრულებულ ერთ-ერთ პირველ ნაშრომში „საზოგადოებრივი რეფორმები და ეკლესია“ მან გამოთქვა მოსაზრებანი, რომლებმაც სოციალისტის რეპუტაცია მოუპოვა. მაგრამ მან არ გაიზიარა რადიკალური იდეები, ვინაიდან მას ეჩვენებოდა, რომ მათში უარყოფილი იყო მთავრობის როლი. ის მხოლოდ ამბობდა, რომ სოციალური პროგრესის მიზნით უნდა მომხდარიყო ხალხის ენერგიის გაღვივება და რომ ამისათვის საჭირო იყო სამთავრობო ღონისძიებანი, რომლებიც შესაძლებლობათა თანასწორობის გარანტიას მისცემდა.*

შემდგომში ჯ. კომონსი მუშაობდა სირაკუზისა და ვისკონსინის უნივერსიტეტებში. ვისკონსინის უნივერსიტეტში ჯ. კომონსის ხელმძღვანელობით ეკონომისტთა ჯგუფმა 1911 წ. ათ ტომად გამოაქვეყნა „სამრეწველო საზოგადოების დოკუმენტური ისტორია“ და „მუშათა კლასის ისტორია აშშ-ში“. პირადად ჯ. კომონსმა გამოაქვეყნა ცნობილი წიგნები „კაპიტალიზმის სამართლებრივი საფუძვლები“ (1932), „ინსტიტუციონალური ეკონომიკა“ (1934), „კოლექტიური მოქმედების ეკონომიკა“ და სხვ.

ჯ. კომონსი, როგორც ინსტიტუციონალიზმის ტიპიური წარმომადგენელი მთავარ ყურადღებას აქცევდა ადამიანის ფსიქიკურ მხარეებსა და თვისებებს. ადამიანთა ფსიქიკას და სამართალს იგი თვლიდა საზოგადოების საფუძვლად. ტ. ვებლენის მსგავსად ჯ. კომონსიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წარმოების ტექნიკურ მხარეებს. პოლიტიკური ეკონომიის საგანს ჯ. კომონსის აზრით ეკონომიკური ინსტიტუტების შესწავლა წარმოადგენს.

თავისი მოღვაწეობის დასაწყისში ჯ. კომონსი გარკვეულწილად ემხრობოდა ტრადიციულ შეხედულებებს. იგი ფართოდ იყენებდა ე. ბემ-ბავერკის შეხედულებებს, განსაკუთრებით კი მოთხოვნა მიწოდების იდეას.

---

* ბ. სელიგმენი, დასახელებული ნაშრომი. გვ. 76.

ამასთან იგი ყ. ბემ-ბავერკს აკრიტიკებდა საკუთრების კატეგორიის უგულებელყოფისათვის საკუთრების კატეგორიის შესწავლის დროს ჯ. კომონსი გადადის სამართლებრივ პრობლემებზე, ვინაიდან საკუთრებასთან დაკავშირებულია სამართალი და მოვალეობანი.

ჯ. კომონსის შეხედულებებში აქცენტი გაკეთებულია კოლექტიური მოქმედებების შესწავლაზე. იგი ირწმუნებოდა, რომ კოლექტიური მოქმედება წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას საწინააღმდეგო ინტერესების შესარიგებლად. ის მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კოლექტიური სწრაფვა ეკონომიკაში თავის გამოხატულებას პოულობს სამართლის მეშვეობით. ყველა დასაშვები გადაწყვეტილებების შეჯახებისაგან თავის დაღწევა შესაძლებელია იურიდიული პროცედურის გამოყენებით.

ჯ. კომონსი ყველა პროცესს განიხილავდა მისი ისტორიული საფუძვლიდან გამომდინარე. მისი აზრით ეს აქცევს ეკონომიკას ევოლუციურ მეცნიერებად და პირველ რიგში მოითხოვს უკანასკნელი რამდენიმე საუკუნის სასამართლო გადაწყვეტილებების კვლევას, რათა ნათელი წარმოდგენა შეექმნა იმაზე, თუ კოლექტიურმა მოქმედებებმა როგორ შეზღუდეს ინდივიდუალური მოქმედებები.

ჯ. კომონსის მიხედვით ინტერესთა შეჯახების დაძლევა და საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება ხდება უმაღლესი სასამართლოს მეშვეობით. ის ამბობდა, რომ აშშ-ში უმაღლესი სასამართლო - პოლიტიკური ეკონომიის პირველი კათედრაა.

ჯ. კომონსი კერძო საკუთრების ახსნისას სამართლებრივ ნორმებს ეყრდნობოდა. აშშ-ის ეკონომიკის განვითარების უმთავრეს ძალად მას უმაღლესი სასამართლო მიაჩნდა.

ჯ. კომონსი აკრიტიკებდა წინამორბედ ეკონომისტებს იმისათვის, რომ ისინი სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს. ჯ. კომონსის შეხედულებებში მთავარი ყურადღება ეთმობა ისეთი კატეგორიების შესწავლას როგორიცაა ოჯახი, მონოპოლიური გაერთიანებები, სახელმწიფო და სხვ. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა სამეურნეო საქმიანობაში ბურჟუაზიული სახელმწიფოს ჩარევის საკითხებს. სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში მას მიაჩნდა კლასთა ინტერესების ჰარმონიის მიღწევის შესაძლებლობად.

ჯ. კომონსი თავის ნაშრომებში დიდ ყურადღებას უთმობდა მიმოქცევისა და ფასების საკითხებს. ფასების დონე მას მიაჩნდა



ამერიკის სოციალური და პოლიტიკური ისტორიის ხერხემლად.

**ბ) უ. მიტჩელის კონიუქტურულ აღწერილობითი ინსტიტუციონალიზმი.**

ამერიკული ინსტიტუციონალიზმის მესამე ნაირსახეობის მთავარი წარმომადგენელი იყო უესლი კლერ მიტჩელი (1874-1948)

უ. მიტჩელი სწავლობდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში, სადაც იგი გაიცნო ტ. ვებლენს და გახდა მისი მოწაფე.

უ. მიტჩელი მუშაობდა ბერკლის და კალიფორნიის უნივერსიტეტებში, ნიუ-იორკის სოციალური გამოკვლევების სკოლაში და სხვ.

უ. მიტჩელის შეხედულებები ჩამოყალიბებულია შემდეგ ნაწარმოებებში: „გრინბეკების ისტორია“ (1903), „ეკონომიკური ციკლები“ (1913), „ეკონომიკური ციკლი. რპობლემა და მისი [illegible]“ (1927). 1946 წ. ა. ბერნსთან ერთად გამოაქვეყნა „ეკონომიკური ციკლის გაზომვა“, 1947 წ. „ეკონომიკურ პროგრესში მეცნიერული გამოკვლევების როლი“, 1947 მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა „რა ხდება ეკონომიკური ციკლის დროს?“

თავის ნაწარმოებებში სხვა ინსტიტუციონალისტების მსგავსად, უ. მიტჩელიც კრიტიკულად ეყურებდა დედუქციური მეთოდით შესრულებულ ანალიზს. უ. მიტჩელის თქმით თეორიამ რომ ადექვატურად ასახოს რეალობა, საკმარისი არა არის მხოლოდ ლოგიკა. ამისათვის აუცილებელია თეორია გახდეს ფაქტის შემოწმებული ახსნა და არა ვარჯიში ლოგიკაში. იგი აქტიურად იყენებდა აღწერილობით სტატისტიკურ მეთოდს. მის მუშაობას ახასიათებდა სიზუსტე, კონკრეტულობა და დეტალიზაცია. იგი იყო აგრეთვე ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდის გამოყენების ინიციატორი.

უ. მიტჩელი ცნობილია როგორც ეკონომიკური ციკლების სპეციალისტი. უ. მიტჩელის შეხედულებები, მთელი მისი მოძღვრება კრიზისებისა და ციკლის შესახებ ახლოს დგას ამერიკელი ბურჟუაზიული ეკონომისტების ა. ბერნსისა და ე. ჰანსენის, აგრეთვე გერმანელ ვ. ზომბარტის იდეებთან.

უ. მიტჩელს შესაძლებლად მიაჩნდა ეკონომიკური კრიზისების თავიდან აცილება ან შერბილება კაპიტალისტური საზოგა-

დოების შენარჩუნების პირობებში.

უ. მიტჩელი თავის ნაწარმოებებში თითქმის არც კი ლაპარაკობს „კრიზისის“ შესახებ. „კრიზისის“ ნაცვლად იგი ხმარობს ტერმინებს „პანიკა“, „რეცესია“. იგი ეკონომიკურ ციკლს ოთხ ფაზად ჰყოფს: 1) დეპრესია, 2) გამოცოცხლება, 3)აყვავება და 4) რეცესია. უ. მიტჩელის აზრით ცნება „კრიზისი“ გამორიცხული არ არის, მაგრამ „რეცესია“ შეიძლება არ გადავიდეს კრიზისის ფაზაშიო.

ეკონომიკურ კრიზისებს რომ არ ჰქონდეს ადგილი, უ. მიტჩელის მიხედვით, საჭიროა კრიზისის საწინააღმდეგო ზომების მიღება. ამ ზომებიდან იგი ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საბანკო-საკრედიტო სისტემის რაციონალურ ორგანიზაციას.

უ. მიტჩელი ითვლება კონიუნქტურათმცოდნედ. კონიუნქტურათმცოდნეების მიზანია დაამტკიცონ ეკონომიკური კრიზისების შეუძლებლობა კაპიტალიზმის დროს. ისინი ასაბუთებენ, რომ შესაძლებელია კაპიტალისტური სახალხო მეურნეობის განვითარების ეკონომიკური კონიუნქტურის წინასწარ განსაზღვრა. ისინი მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია იწინასწარმეტყველონ მოსალოდნელი ცვლილებები კაპიტალისტურ ციკლში და თავიდან აიცილონ კრიზისები.

უ. მიტჩელი იმედოვნებდა პროგნოზირების განხორციელებას და ეკონომიკის ანტიკრიზისულ რეგულირებას, ფულადი მიმოქცევის კორექტირებას და დასაქმების დონის განსაზღვრას.

კონიუნქტურის თეორიის საფუძველზე ჩამოყალიბდა ცნობილი „ჰარვარდის ბარომეტრი“, რომელსაც უნდა ეწინასწარმეტყველა კაპიტალისტური კონიუნქტურის სვლა.

ჰარვარდის სკოლა და მათი ბარომეტრი ჩამოყალიბდა ჰარვარდის ცნობილ უნივერსიტეტში. ჰარვარდელების მიხედვით ეკონომიკის ცვლილებების ოთხი ფორმა არსებობს. 1) საუკუნობრივი დონე, 2) ციკლისებური, 3) სეზონური და 4) ირეგულარული ცვალებადობა ანუ რხევა.

ჰარვარდელი კონიუნქტურათმცოდნეები თავიანთი გამოკვლევებისა და დაკვირვებების შედეგებს აქვეყნებენ ბარომეტრის სახელწოდებით. ბარომეტრში მოცემულია სამი მრუდე: 1) სპეკულაციის ინდექსი (საბანკო ოპერაციების კურსი), 2) ბიზნესის ინდექსი (საქონლის ფასები, ანგარიშსწორების ოპერაციები) და ფულადი ბაზრის ინდექსი (სესხი, დეპოზიტები, სარგებლის დონე).



## ინგლისური ინსტიტუციონალიზმი. ჯ. ჰობსონი

ამერიკულ ინსტიტუციონალიზმთან თავისი არსით ახლოს დგას ინგლისელი ეკონომისტის ჯ. ა. ჰობსონის შეხედულებები.

ჯონ აქტინსონ ჰობსონი (1858-1940) დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეკონომიკური ქცევის ეთიკურ ასპექტებს. იგი მკვეთრად აკრიტიკებდა ტრადიციულ თეორიებს. ჯ. ა. ჰობსონს მიიჩნევენ კეინსური მოძღვრების წინამორბედად. მან პირველმა მიაქცია ყურადღება ნაკლებ-მოხმარებასა და უზომო დაგროვების პრობლემებს და მოითხოვდა წარმოებასა და მოხმარებას შორის სწორი პროპორციის უზრუნველყოფის აუცილებლობას.

ჯ. ა. ჰობსონმა დაწერა 53 წიგნი. რომელთაგან აღსანიშნავია „მრეწველობის ფიზიოლოგია“ (1889), ა. მამერთან ერთად, „თანამედროვე კაპიტალიზმის ევოლუცია“ (1960), „იმპერიალიზმი“ (1902), „სამრეწველო სისტემა“ (1904), „სიმდიდრის მეცნიერება“ (1911), „შრომა და სიმდიდრე“ (1914), „საგადასახადო დაბეგვრა ახალ სახელმწიფოში“ (1919), „უმუშევრობის ეკონომიკა“ (1922) „თავისუფალი აზრი საზოგადოებრივ მეცნიერებებში“ (1926), „ეკონომიკა და ეთიკა“ (1929) „ერეტიკოსის აღსარება ეკონომიკური მეცნიერებიდან“ (1938).

ამ ნაშრომებში ჯ. ჰობსონი დიდ ადგილს უთმობს ნაკლებმოხმარების, სიმდიდრის წარმოებისა და განაწილების საკითხებს. იგი იყო რეფორმატორი-პრაქტიკოსი. მას სურდა აეხსნა უთანასწორობისა და ექსპლუატაციის მიზეზები და დაემუშავებინა რეფორმების პროგრამა. ის მტკიცედ იყო დარწმუნებული იმაში, რომ არსებულმა სისტემამ ვერ უზრუნველყო საყოველთაო კეთილდღეობა და ამის ძირეული მიზეზი შემოსავლების განაწილების სფეროში უნდა ვეძიოთ. ის უარყოფდა მტკიცებას იმის შესახებ, მთელი პროდუქტი ავტომატურად ნაწილდება წარმოების ფაქტორების ანაზღაურებაზე.* ამასთან ის ამტკიცებდა, რომ არ შეიძლება წარმოებაში მონაწილე ფაქტორების გამოცალკევება; ისინი ყველა აუცილებელია საქონელთა საწარმოებლად, და არცერთ ფაქტორს არ შეიძლება მიეწეროს სპეციფიკური ნაყოფიერება.

ჯ. ჰობსონი აუცილებლობად მიიჩნევდა საზოგადოებრივი კონტროლის დამყარებას ბიზნესზე. მოითხოვდა კანონის

---

* ბ. სელიგმენი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 125.

შემოღებას ხელფასის მინიმუმის შესახებ, მოგებაზე მაღალ
გადასახადის დაწესებას. მონოპოლიების მკაცრ კონტროლ
და შესაძლებლობისამებრ მათ განსაზოგადოებას.

### 3. ინსტიტუციონალურ-სოციალური მიმართულება

**ა) ინდუსტრიული საზოგადოების თეორიები. უ. როსტო, რ. არონი. ჟ. ელიული, ჯ. ჰელბრეითი.**

*XX* ს. 50-60-იან წლებში ჩამოყალიბდა ინსტიტუციონალურ-სოციალური მიმართულება. ამ მიმართულების წარმოშობ განაპირობა იმ მეცნიერულ ტექნიკურმა ძვრებმა რასაც ადგილ ჰქონდა აღნიშნულ პერიოდში.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ასახვას ბურჟუაზიულ ეკონომიკურ მეცნიერებაში წარმოადგენს „ინდუსტრიულ საზოგადოების" თეორია და მისი სხვადასხვა ვარიანტები.*

ინდუსტრიული სისტემის, ინდუსტრიული წყობილების ცნებებ მნიშვნელოვნად ადრე გამოჩნდა, ვიდრე ინდუსტრიულ საზოგადოების თანამედროვე თეორიები. ეს ტერმინებ პირველად შემოიღეს ა. სენ-სიმონმა და მისმა მიმდევრებმ საუკუნე ნახევრის წინ. ინდუსტრიული კონცეფციის სენ-სიმონისეული კონცეფცია წარმოადგენდა ნაკლებგანვითარ ბული კაპიტალიზმის ქმნილებას. ის წარმოიშვა, როდესა სამრეწველო რევოლუცია საფრანგეთში ჯერ კიდევ დასრულე ბული არ იყო, და არსებითად მიმართული იყო ფეოდალიზმი წინააღმდეგ.

ინდუსტრიული საზოგადოების თანამედროვე თეორია აღ მოცენდა *XX* ს. 40-იან წლებში. მის ფუძემდებლად ითვლებ ამერიკელი პიტერ დრაკერი. ინდუსტრიული საზოგადოებ კონცეფციამ გაშლილი გამოხატულება ჰპოვა მის შრომებში „მომავალი ინდუსტრიული ადამიანი" (1942); „კორპორაცი იდეა", (1946); „მსხვილი ბიზნესი" (1947); „ახალი საზოგადოებ ინდუსტრიული წყობილების ანატომია" (1949).

პ. დრაკერის მიერ საფუძველჩაყრილმა ინდუსტრიული საზო

------

*გ. ბ. ხრომუშინი, პოლიტიკური ეკონომიის ბურჟუაზიულ თეორიები, მ., 197/ გვ. 146. (რუს ).



საზოგადოების თეორიამ დიდი გავრცელება ჰპოვა 50-იან წლებში. ამ პერიოდში მისი განვრცობა დაკავშირებულია ტ. პარსონსის სახელთან. ინდუსტრიული სისტემის დახასიათებას ტ. პარსონსმა მიუძღვნა წიგნები „სოციალური სისტემა" (1951 წ.) და „სტრუქტურა და პროცესი თანამედროვე საზოგადოებაში" (1960).

მაგრამ ინდუსტრიული საზოგადოების თეორიამ ყველაზე დასრულებული და გაშლილი გამოხატულება მიიღო 60-იან წლებში ამერიკელი სოციოლოგისა და ეკონომისტის უოლტ როსტოუს, ფრანგი სოციოლოგების რაიმონდ არონის, ჟაკ ელიულისა და ამერიკელი ეკონომისტის ჯონ ჰელბრეითის შრომებში.

რაიმონდ არონის ინდუსტრიული საზოგადოების კონცეფცია სისტემური სახით ჩამოყალიბებულია ნაშრომებში „18 ლექცია ინდუსტრიული საზოგადოების შესახებ" (1962) და „სამი ნარკვევი ინდუსტრიული ეპოქის შესახებ" (1966).

თავის მოძღვრებას ინდუსტრიული საზოგადოების შესახებ რ. არონი იწყებს ამ ცნების საერთო განსაზღვრით და იმ ნიშან-თვისების გამოყოფით, რომელიც მისი აზრით დამახასიათებელია ასეთი საზოგადოებისათვის. „შეიძლება, - წერს ის, წარმოვიდგინოთ ინდუსტრიული საზოგადოების უბრალო განსაზღვრა: საზოგადოება, სადაც მრეწველობა, მსხვილი მრეწველობა. წარმოადგენს წარმოების ყველაზე დამახასიათებელ ფორმას".** რ. არონი გამოყოფს ინდუსტრიული ეკონომიკის ხუთ ნიშანს: 1) საწარმო სავსებით განცალკევებულია ოჯახისაგან; 2) სამრეწველო საწარმოს შემოაქვს შრომის დანაწილების თავისებური საშუალება... შრომის ტექნოლოგიური დანაწილება, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს; 3) სამრეწველო საწარმო ვარაუდობს კაპიტალის დაგროვებას; 4) ყოველგვარი ინდუსტრიული საზოგადოება მოიცავს მკაცრ ეკონომიკურ ანგარიშს; 5) ყოველგვარ ინდუსტრიულ საზოგადოებაში როგორიც არ უნდა იყოს წარმოების იარაღზე საკუთრების სტატუსი, არსებობს მუშათა კონცენ-

------

*ე. ი. ბრეგელი, ბურჟუაზიული მოძღვრებების კრიტიკა თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიკური სისტემების შესახებ, მ., 1972, გვ. 247-248, (რუს).

**იქვე გვ.256; (რუს)

ტრაცია*

რ. არონი მიიჩნევს, რომ ინდუსტრიულ საზოგადოებას თავის მიზნად აქვს კაცობრიობის ბატონობა ბუნებაზე, დოვლათის რაოდენობის გამრავლება, საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის.

ინდუსტრიული საზოგადოების თეორიის განსაკუთრებულ ვარიანტს წარმოადგენს ფრანგი ჟაკ ელიულის მიერ წამოყენებული ტექნოლოგიური საზოგადოების თეორია. მას საფუძვლად უდევს ეკონომიკური და სოციალური მოვლენების ტექნოლოგიური ახსნა.

ჟ. ელიულის თქმით ტექნიკას აქვს არა მარტო საწარმოო და საერთოდ ეკონომიკური მნიშვნელობა, არამედ იგი შორს სცდება ეკონომიკური ცხოვრების სფეროს. იგი მოიცავს ადამიანური საქმიანობის ყველა სფეროს.

ჟ. ელიულის მტკიცებით „ტექნოლოგიურ საზოგადოებაში ტექნიკა არის მეთოდების ტოტალური ერთობლიობა, რომლებსაც რაციონალურად მივმართავთ და რომლებსაც აბსოლუტური ეფექტურობა აქვთ. (განვითარების მოცემული სტადიისათვის) ადამიანური საქმიანობის ნებისმიერ სფეროში."**

ჟ. ელიულის მთავარი ამოსავალი იდეა ესაა დებულება ტექნიკის ავტონომიის შესახებ და მტკიცება ტექნიკის ბატონობის შესახებ ადამიანებსა და ადამიანთა საზოგადოებაზე. ჟ. ელიული ტექნოლდოგიურ სამყაროს უწოდებს სამიშროებას ადამიანთა პირადი და სულიერი ცხოვრებისათვის, აღნიშნავს, რომ თანამედროვე ადამიანები ინტერესდებიან მხოლოდ ტექნიკური მოვლენებით, ხოლო მანქანამ დაიპყრო ადამიანთა გული და გონება. სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკაში ჟ. ელიული უშუალოდ უკავშირებს ტექნიკის განვითარებასთან. მისი ტექნოლოგიური საზოგადოება ესაა ცენტრალიზებული ეკონომიკის საზოგადოება.

ინდუსტრიული საზოგადოების მოძღვრების ერთ-ერთი ვარიანტი დაამუშავა ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა ჯონ კენეტ ჰელბრეითმა, რომელსაც ახალ ინდუსტრიულ საზოგადოებას უწოდებენ.

- - - -

*ციტ. ე. ი. ბრეგელი, ბურჟუაზიული მოძღვრებების კრიტიკა თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიკური სისტემების შესახებ, გვ. 256-257.

** იქვე.



ჯ. კ. ჰელბრეითის სახელი ფართოდაა ცნობილი ეკონომიკურ ლიტერატურაში XX ს. 30-იანი წლებიდან. მისი ყველაზე დიდი ნაშრომები „ამერიკული კაპიტალიზმი: გამათანაბრებელი ძალების კონცეფცია" და „სიუხვის საზოგადოება" ფართოდაა გავრცელებული ეკონომიკურ წრეებში. ჯ. გელბრეითი გამოსულია კანადიდან. მეორე მსოფლიო ომამდე ასწავლიდა კალიფორნიის, პრისტონისა და ჰარვარდის უნივერსიტეტებში. მეორე მსოფლიო ომის დროს მუშაობდა აშშ-ის ფასებზე კონტროლის სამმართველოში. 1943 წლიდან სათავეში ედგა ამერიკული სტრატეგიული ავიაციის ეკონომიკურ ბიუროს. 1947 წ. მუშაობდა სახელმწიფო დაპარტამენტის ეკონომიკური პოლიტიკის სამმართველოში. 1961-1963 წლებში იყო აშშ-ს ელჩი ინდოეთში. დიპლომატიური სამუშაოდან წასვლის შემდეგ ის ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორია.

1967 წ. ჯ. ჰელბრეითმა გამოსცა წიგნი „ახალი ინდუსტრიული საზოგადოება", რომელიც მაშინვე გახდა ყურადღებისა და კამათის საგანი. ჟურნალმა „ფორჩუნმა" ჯ. ჰელბრეითს თანამედროვე კეინსი უწოდა. ამ ნაშრომში ჯ. ჰელბრეითი ცდილობდა შეექმნა სინთეტიკური თეორია, რომელიც მთლიანად მოიცავდა თანამედროვე კაპიტალიზმის ყველა უმნიშვნელოვანეს კანონზომიერებას. იგი ცდილობდა გაეანალიზებინა კორპორაციის როლი, სახელმწიფოს როლი, წარმოებისა და შემოსავლების სახელმწიფოებრივი რეგულირების პრობლემები, ცვლილებები კლასობრივ სტრუქტურაში თანამედროვე კაპიტალიზმის დროს. ჯ. ჰელბრეითის მიზანს შეადგენდა თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიკური სტრუქტურის ყოველმხრივი ანალიზი.*

ჯ. ჰელბრეითი ცდილობს მოგვცეს ვრცელი ეკონომიკური თეორია, რომელიც გამოხატავს ბურჟუაზიული მეცნიერულ-ტექნიკური და ადმინისტრაციული ინტელიგენციის შეხედულებებს.

- - - - -

*თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტების (ჯ. ჰელბრეითის, გ. მიურდალის, ლ. ერჰარდის) თეორიების კრიტიკა, მ., 1971, გვ. 5. (რუს).

## ბ) პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორია

ინდუსტრიული საზოგადოების თეორიების მოდერნიზაციისაკენ მისწრაფებას კონცენტრირებული გამოხატულება ჰპოვა, პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორიაში. რომლის ძირითადი დებულებები ყველაზე უფრო სრულად ამერიკელმა დ. ბელმა გამოსცა თავის წიგნში „პოსტინდუსტრიული საზოგადოების კარიბჭე".* გარდა დ. ბელისა, პოსტინდუსტრიული საზოგადოების შემქმნელებად ითვლებიან ამერიკელები ჰ. კანი, ა. ვინერი, ბ. ბრიუს-ბრიგესი. ო. ტოფლერი, ფრანგი ა. ტურენი, იაპონელი კ. ტომინაგა, დასავლეთგერმანელი რ. დარენდორფი და სხვ. ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორია დ. ბელის მიერ სამ ძირითად ეტაპზე დაიყვანება; ინდუსტრიულამდელი, ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული.

ინდუსტრიულამდელი საზოგადოების ეკონომიკა, დ. ბელის აზრით ხასიათდება მომპოვებელი მრეწველობის სიჭარბით და სოფლის მეურნეობით. ასეთ საზოგადოებას დ. ბელი მიაკუთვნებდა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ყველა სახელმწიფოს (იაპონიის გამოკლებით).

ინდუსტრიული საზოგადოება დ. ბელის მიერ წარმოდგენილია როგორც საზოგადოება, რომლის ეკონომიკური საქმიანობაც მიმართულია უმთავრესად საქონელთა წარმოებაზე. მის ეკონომიკაში წამყვანი პოზიციები დამმუშავებელ მრეწველობას უკავია. განვითარების ინდუსტრიულ სტადიაზე, როგორც დ. ბელი თვლის, იმყოფება ევროპის ყველა ქვეყანა და იაპონია და მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები შეყავდა დ. ბელს პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში.

ჰ. კანი და ა. ვინერი პოსტინდუსტრიული საზოგადოების დახასიათებისას უწინარეს ყოვლისა გამოდიან ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის დონიდან. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის დონე, მათი აზრით, საზოგადოების განვითრარების კლასიფიკაციის ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს. ჰ. კანი და ა. ვინერი საზოგადოების სტადიური განვითარების შემდეგ სქემას იძლევიან ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული პროდუქტის სიდიდის მიხედვით:

1. წინაინდუსტრიული - 50-დან 200 დოლარამდე.

- - - - -

* დ. ბელი, პოსტინდუსტრიული საზოგადოების კარიბჭე, ნიუ-იორკი, 1973, (ინგლ).



2. ნაწილობრივ ინდუსტრიული ანუ გარდამავალი - 200-დან 600 დოლარამდე.
3. ინდუსტრიული - 600-დან 1500 ოლარამდე.
4. მასობრივი მოხმარების ანუ განვითარებული ინდუსტრიული 1500-დან 4000 დოლარამდე.
5. პოსტინდუსტრიული - 4000-დან 20000 დოლარამდე.*

მათი აზრით, საზოგადოება პოსტინდუსტრიული გახდება მაშინ, როდესაც ტექნიკური და მეცნიერული პროგრესი შექმნის ეკონომიკური პროგრესის განსაზღვრულ დონეს, რომელიც საკმარისი იქნება იმისათვის, რომ საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდეს 4000-დან 20 000 დოლარამდე.

პოსტინდუსტრიული საზოგადოება, მისი დამცველების მტკიცებით, ეს ისეთი საზოგადოებაა, რომლის ეკონომიკაში გადამწყვეტ როლს მომსახურების სფერო თამაშობს, უმთავრესად ჯანმრთელობის დაცვა, მეცნიერული კვლევა. მისთვის დამახასიათებელია წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვის კონტროლი და ინტელექტუალური ტექნოლოგიის გამოჩენა. რომლის მეთოდებისა და საშუალებების სრულყოფა, ინფორმაციის მიღება და გამოყენება და ა. შ.

დ. ბელი მიუთითებს პოსტინდუსტრიული საზოგადოების შემდეგ ნიშნებზე:

1. დამმუშავებელი დარგების ეკონომიკიდან მომსახურების ეკონომიკაზე გადასვლა;
2. სპეციალისტებისა და ტექნიკოსების კლასის გამოკვეთილი სიჭარბე;
3. თეორიული ცოდნის, როგორც სიახლის დანერგვისა და პოლიტიკის ფორმულირების საფუძვლის წამყვანი როლი;
4. ორიენტაცია მომავალში ტექნოლოგიის კონტროლსა და შეფასებაზე;
5. გადაწყვეტილების მიღება ახალი ინტელექტუალური ტექნოლოგიის ბაზაზე.**

პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორიის დამცველები თავიანთ შეხედულებებს საფუძვლად უდებენ განვიარებული

- - - - -

* ჰ. კანი, ა. ვინერი, 2000 წელი: მონახაზი მომავალი 33 წლის აზროვნებისათვის, ნიუ-იორკი-ლონდონი, 1967. გვ. 58 (ინგლ).

** დ. ბელი, პოსტინდუსტრიული საზოგადოების კარიბჭე, ნიუ-იორკი, 1973, გვ. 14 (ინგლ).

კაპიტალისტური ქვეყნების სამეურნეო სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს, იმ პირების ხვედრითი წონის დაცემას, რომლებიც უშუალოდ დასაქმებულნი არიან წარმოებაში, მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის პირობებში ეკონომიკაში მეცნიერების გამოყენების მზარდ მნიშვნელობას. ამ კონცეფციის თეორეტიკოსები იყენებენ კორპორაციის მართვის გაცემის ფაქტორებს დაქირავებულ მმართველ-მენეჯერებზე და ამტკიცებენ, რომ დასავლეთის საზოგადოება უკაპიტალისტებო საზოგადოებაა, ვინაიდან წარმოების კონტროლი და მართვა დირექტორების და ადმინისტრატორების ხელში გადავიდა. ხოლო თვით ეს საწარმოები და კორპორაციები მთელ საზოგადოებას ეკუთვნის, მოსახლეობაში აქციების გავრცელების მეოხებით. ისინი მიუთითებენ, რომ „ეკონომიკური ურთიერთობანი საკუთრებითი ურთიერთობანი, ამიერიდან აღარ წარმოადგენენ კონფლიქტების ცენტრს საზოგადოებაში“*.

დ. ბელი მიუთითებს კორპორაციული საზოგადოების გაფართოების შესახებ და აღნიშნავს, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ხდება სოციალიზაციის პროცესიო.

პოსტინდუსტრიალიზმის თეორეტიკოსები ახალი საზოგადოებრივი სისტემის ფორმირებაში განსაზღვრულ მნიშვნელობას მომსახურების სფეროს გაფართოებას აკუთვნებენ, ხაზს უსვამენ დასაქმებულთა რაოდენობით მის სიჭარბეზე მატერიალური წარმოების სფეროს მიმართ. მათი აზრით, ახალ საზოგადოებრივ სისტემაში წინა პლანზე წამოიწევა არა ადამიანებსა და მანქანებს შორის, არა ადამიანებს შორის ურთიერთობა. კონვეიერული ხაზების რიტმი უკვე სიმბოლურად აღარ გამოხატავს წარმოშობად ცივილიზაციას.

მომსახურების სფეროზე გადასვლა აღმოფხვრის ადამიანური პიროვნების დეფორმაციას, რომელიც ინდუსტრიალიზაციისათვისაა დამახასიათებელი. ისინი მიიჩნევენ, რომ მომსახურების სფეროში შრომა ადამიანს დააბრუნებს ინდუსტრიამდელი შრომის ფორმებზე, შესაძლებლობას მისცემს მას შეიცნოს თავისი საქმიანობის მიზანი.

- - - - -

*დ. ბელი, პოსტინდუსტრიული საზოგადოება: იდეის ევოლუცია, ლონდონი, 1971, გვ. 104. (ინგლ).



გ) კონვერგენციის თეორია*

XX ს. 50-60-იან წლებში როდესაც სათანადო პარიტეტი დამყარდა ორი სისტემის ეკონომიკურ შეჯიბრებაში, ბურჟუაზიულ-რეფორმისტული მიმდინარეობის ეკონომისტებმა ჩამოაყალიბეს კონვერგენციის** თეორია. კონვერგენცია გულისხმობდა ორი სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის (კაპიტალიზმისა და კომუნიზმის) მიახლებასა და შერწყმას და ერთიანი ტექნო-ინდუსტრიული სისტემის შექმნას.

ორი სისტემის კონვერგენციის მთავარი თეორეტიკოსები იყვნენ: რ. არონი, ჟ. ფურასტიე, ა. ლალეფი, ფ. პერუ, პ. სოროკინი, ი. ტინბერგენი, ჯ. ჰელბრეითი და სხვ. ისინი კაპიტალისტური და კომუნისტური სისტემების დაახლოების გადამწყვეტ ფაქტორად თვლიდნენ ტექნიკურ პროგრესსა და მსხვილი წარმოების ზრდას. მათი მტკიცებით კაპიტალიზმის დროს სახელმწიფოს როლი ძლიერდება, სოციალიზმის დროს კი მცირდებოდა.

ამ ქვეყნებში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების შედეგად, რაც ცენტრალიზებული გეგმიანი საწყისებიდან საბაზრო ურთიერთობებისაკენ დაბრუნებას მოასწავებდა.

კონვერგენციის თეორიის დამცველები წინა პლანზე აყენებდნენ კაპიტალსტური რეგულირებისა და სოციალური დაგეგმვის კონვერგენცია-სინთეზის იდეას. ისინი მოითხოვდნენ დემოკრატიული დაგეგმვის გატარებას, სოციალური დაგეგმვისა და კაპიტალისტური რეგულირების შევსებას, ურთიერთშერწყმას.

კონვერგენციის თეორეტიკოსები საჭიროდ მიიჩნევდნენ ცენტრალიზებული დაგეგმვიდან ინდიკატიურ დაგეგმვაზე გადასვლას. დაგეგმვის ასეთი ტიპი დღესდღეობით მოქმედებს საფრანგეთში, საქართველოში და სხვაგან. კონვერგენტული დაგეგმვის საინტერესო მოდელები მოქმედებს ჩინეთში და სამხრეთ კორეაში.

- - - - - - -

*ჯ. ხარიტონაშვილი, კონვერგენციის თეორია, ქსე. ტ. 5. 1980.

**კონვერგე – ლათინურად მიახლოებას, ერთმანეთთან შეყრას ნიშნავს.

## თავი XVII. რეგულირებადი ეკონომიკის კეინსური და ნეოკეინსური მოძღვრებები

### 1. ჯ. მ. კეინსის მაკროეკონომიკური მოდელი

*XX* ს. დასაწყისში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. შეცვლილ ვითარებაში ნიადაგი გამოეცალა ძველ ფრიტრედერულ თეორიებს, რომლებიც მანამდე გაბატონებული იყვნენ ბურჟუაზიულ ლიტერატურაში. ეკონომიკური ლიბერალიზმის ადგილი დაიკავა რეგულირებადი ეკონომიკის მოძღვრებამ.

ბურჟუაზიული ეკონომისტებიც იძულებული გახდნენ ეღიარებინათ კაპიტალიზმის ისეთი წინააღმდეგობების არსებობა, როგორებიცაა ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისები, ქრონიკული უმუშევრობა და სხვ. ამიერიდან მათ უნდა გამოეძებნათ ახალი საშუალებანი ამ წინააღმდეგობების დასაძლევად.

კაპიტალიზმის გაჯანსაღების ახალი რეცეპტების ძიება თავის თავზე აიღეს კეინსური მიმდინარეობის ეკონომისტებმა.

რეგულირებადი ეკონომიკის კეინსური მოძღვრებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი ნიშნები: ა/ კაპიტალიზმის შინაგანი ძალების არასაკმარისი მოქმედების იძულებითი აღიარება და რწმენის დაკარგვა თავისუფალ კონკურენციაზე, როგორც კაპიტალისტური ეკონომიკის ავტომატურ რეგულატორზე; ბ/ ყურადღების გადატანა არაეკონომიკური ფაქტორების ანალიზზე. კეინსური ანალიზის ძირითადი ელემენტები გამომდინარეობენ არაეკონომიკური ფსიქოლოგიური ფაქტორებიდან;* გ/ სახელმწიფოს გამოცხადება კაპიტალისტური ეკონომიკისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობათა დაძლევის ძირითად პირობად, ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს სულ უფრო აქტიური ჩარევის აშკარა გამართლება. თუ თავისუფალი კონკურენციის ეპოქაში სახელმწიფოს მთავარ დანიშნულებად ითვლებოდა კერძო მეწარმეობის ყოველნაირი წახალისება, კეინსელებმა ახალ ვითარებაში სახელმწიფოს დააკისრეს ეკონომიკური კრიზისებისა და მასობრივი უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის პასუხისმგებლობაც; დ/ მათემატიკური აპარატის ფართოდ გამოყენება

- - - - - - -

*ბ. სელიგმენი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 503.



ანტიკრიზისული ღონისძიებების, პროგრამებისა და რეცეპტების დამუშავებაში.

კეინსური მიმდინარეობის სულისჩამდგმელი იყო XX ს. გამოჩენილი ინგლისელი ეკონომისტი ჯ. მ. კეინსი. ჯ. მ. კეინსი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა მსოფლიო ეკონომიკური აზრის ისტორიაში, როგორც ბ. სელიგმენი აღნიშნავს მისი გავლენა საზოგადოებრივ აზრზე ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა სმიტის, რიკარდოსა და მარქსის შემდეგო.

ჯონ მაინარდ კეინსი (1883-1946) დაიბადა კემბრიჯში. 1906 წლიდან იგი მუშაობდა კემბრიჯის უნივერსიტეტში, სადაც ბატონობდა ა. მარშალის შეხედულებები. ჯ. კეინსი თავის თავს ა. მარშალის მოწაფედ თვლიდა. მაგრამ „კემბრიჯის სკოლის“ კრიზისის შემდეგ მან დაიწყო ა. მარშალის შეხედულებათა კრიტიკა.

ჯ. მ. კეინსის მოღვაწეობა დიდი მრავალმხრივობით გამოირჩეოდა. იგი თავგამოდებით იცავდა ინგლისის ბურჟუაზიის ინტერესებს სხვადასხვა კონფერენციებზე, აქტიურად მონაწილეობდა ინგლისის მმართველი წრეების ეკონომიკურ და პოლიტიკურ საქმიანობაში. მას ეკავა ინგლისის ბანკის დირექტორის თანამდებობა და მუშაობდა ინდოეთის საქმეთა სამინისტროში სახელმწიფო ხაზინის მრჩეველად. ჯ. კეინსი მონაწილეობდა ვერსალის საზავო კონფერენციის მუშაობაში და ანტანტის უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოში; აგრეთვე გენუის კონფერენციის მუშაობაში. 1944 წ. ამერიკის ქალაქ ბრენტონ-ვუდსში ჩატარებულ სავალუტო კონფერენციაზე სათავეში ედგა დიდი ბრიტანეთის დელეგაციას. მისი აქტიური მონაწილეობით აღნიშნულმა კონფერენციამ ჩამოაყალიბა „საერთაშორისო სავალუტო ფონდი“ და „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი“.

ჯ. კეინსის საქმიანობა დიდად შეაფასეს ინგლისის მმართველმა წრეებმა და მას მიანიჭეს პერის წოდება ლორდის ტიტულით.

ჯ. მ. კეინსი მრავალი ნაშრომის ავტორია, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი: „ინდოეთის ვალუტა და ფინანსები“ (1913), „ვერსალის საზავო ხელშეკრულების ეკონომიკური შედეგები“ (1919), „საზავო ხელშეკრულების გადასინჯვა“ (1921), „მისტერ ჩერჩილის ეკონომიკური შედეგები“ (1925), ტრაქტატი ფულის რეფორმის შესახებ“ (1923), „გამოკვლევა ფულის

შესახებ" (1930), „საშუალებები აყვავებისათვის" (1933) და 1936 წ. გამოქვეყნებული მისი მთავარი ნაშრომი „დასაქმების სარგებლისა და ფული ზოგადი თეორია". ამ წიგნზე მუშაობის დროს 1935 წ. ჯ. ბ. შოუს ის წერდა, რომ მისი თეორია მნიშვნელოვნად გაარევოლუციონერებდა ეკონომიკური პრობლემებისადმი ურთიერთობებს მსოფლიოში. იგი იმედოვნებდა აგრეთვე რომ ამ თეორიით თავდაყირა დააყენებდა რიკარდო-მარქსის თეორიას. უფრო ადრე 1931 წ. გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში ჯ. კეინსი აღნიშნავდა, რომ კ. მარქსის „კაპიტალი"მოძველებული ეკონომიკური სახელმძღვანელოა და ამიტომ არავითარი მხიშვნელობა არა აქვს თანამედროვე პირობებში.

ჯ. კეინსის ნაწარმოებებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ფულის თეორიის საკითხებს. ჯერ კიდევ ნაშრომში „ინდოეთის ვალუტა და ფინანსები" იგი იცავდა ფულის ნომინალისტურ თეორის.

რეგულირებადი ვალუტის შექმნის პროგრამა წამოაყენა ჯ. კეინსმა წიგნში „ტრაქტატი ფულის რეფორმის შესახებ". იგი მოითხოვდა ინგლისში არსებული ფულის მიმოქცევის იმ სისტემის შეცვლას, რომელიც ემყარებოდა ოქროს სტანდარტის პრინციპებს. ჯ. კეინსს შესაძლებლად მიაჩნდა კაპიტალისტურ მეურნეობაში ქაღალდის ფულის მიერ ფულის ფუნქციების შესრულება ოქროს შინაარსის გარეშე. ჯ. კეინსი მოითხოვდა ოქროზე გადაუხურდავებელი ქაღალდის ფულის შემოღებას. იგი ერთდროულად ფულის ნომინალისტური და რაოდენობითი თეორიის იდეებს იცავდა და მათი შეზავების საფუძველზე შექმნა რეგულირებადი ვალუტის ფეორია.

1926 წ. გამოქვეყნებულ სტატიაში „ლესე ფერ-ის დასასრული" ჯ. კეინსმა გააკრიტიკა ეკონომიკური ლიბერალიზმის ძველი დოქტრინა, რომლის მიხედვითაც ბურჟუაზიული საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს. ჯ. კეინსმა კატეგორიულად მოითხოვა ბურჟუაზიული სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკურ ცხოვრებაში არა მარტო ფულის მიმოქცევის რეგულირების, არამედ მთელი სახალხო მეურნეობის რეგულირების მიზნით.

ჯ. კეინსმა და მისმა მიმდევრებმა ეკონომიკური ლიბერალიზმის პრინციპებთან ერთად დაიწყეს ამ პრინციპების შესაბამისი მეთოდოლოგიაც. კეინსელობა იკვლევდა არა მხოლოდ მიკროეკონომიკურ მოვლენებს, არამედ ისეთ ერთობლივ სიდიდეებს როგორიცაა შემოსავალი, დასაქმება, მიწოდება, მოთხოვნა, დაზოგვა, ინვერსტირება მაკროეკონომიკურ ასპექტში.



ჯ. კეინსს დიდი სახელი მოუხვეჭა ნაშრომმა „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია". ამ წიგნის გამოქვეყნებას წინ უძღოდა 1929-1933 წ.წ. ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისი. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ამ წიგნში დიდი ადგილი აქვს დასაქმებისა და ანტიკრიზისულ პრობლემებს.

ჯ. კეინსმა აღნიშნა, რომ უმუშევრობისა და კრიზისების ძველი თეორიები უძლური აღმოჩნდნენ ახალი პრობლემების წინაშე და ვეღარ აკმაყოფილებდნენ მოთხოვნებს. ძველი თეორიების ნაცვლად კეინსმა წამოაყენა ახალი დოქტრინა, რომელსაც რეგულირებადი ეკონომიკის შექმნის საფუძვლად ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა მიაჩნდა.

მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ჯ. კეინსი მთლად ორიგინალური არ იყო. მისი თეორია წინამორბედების მდიდარ გამოცდილებაზე აღმოცენდა. ჯ. კეინსი თავის წინამორბედებად აღიარებდა მოსტესკიეს. ჰოუტრის, რობერტსონს, ვიქსელს, ჯ. ჰობსონს, ჰ. მარტინს, დ. რაიდლს და სხვ. მაგრამ ყველა ამ ეკონომისტის გავლენა მხოლოდ უმნიშვნელო ხასიათისა იყო. მათი თეორიები მხოლოდ ეკონომიკურ მასალას შეიცავდნენ. ჯ. კეინსმა მათ მისცა სისტემის სახე.

ჯ. კეინსის აზრით უმუშევრობისა და კრიზისების მიზეზია მოთხოვნილების არასაკმარისი დონე. მისი რეცეპტით ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ უნდა გაადიდოს მოთხოვნილება და უმუშევრობაც მოისპობა.

ჯ. კეინსის მიხედვით კაპიტალისტურ საზოგადოებაში ადამიანების მოთხოვნილება მოხმარების საგნებზე არასაკმარისია. ამ უკმარისობას იგი ხსნიდა ფსიქოლოგიური კანონით. ამ კანონის მიხედვით ადამიანებს მიდრეკილება აქვთ მოხმარებისაგან თავშეკავებისა და შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს ზოგავენ.

ჯ.კეინსის აზრით არსებობს მოხმარებისაგან თავშეკავებისა და დაზოგვის 8 ძირითადი სუბიექტური სტიმული:

1/ რეზერვების შექმნა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის;

2/ ოჯახის წევრების უზრუნველყოფა, ზრუნვა მათზე მოხუცებულობის ან სხვა შემთხვევაში;

3/ სარგებლის გამოყენების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;
4/ ადამიანებს სურთ უფრო და უფრო უკეთ ცხოვრება, ამიტომ მოსალოდნელია ხარჯების გადიდება მომავალში. ეს კი მოითხოვს თავშეკავებას მოხმარებისაგან, დაზოგვას;
5/ სპეციალური ფონდის შექმნა სპეკულაციური და კომერციული პროექტების განსახორციელებლად;
6/ შთამომავლობისათვის ქონების დატოვება;
7/ დაგროვების გრძნობის დაკმაყოფილება.*

ამ სტიმულებს ჯ. კეინსი უწოდებს სიფრთხილეს, წინდახედულობას, ანგარიშიანობას, მისწრაფებას უკეთესისაკენ, დამოუკიდებლობას, მეწარმეობას სიამაყესა და სიძუნწეს.

ჯ. კეინსი თვლის, რომ დაზოგვისადმი მიდრეკილების რეალიზაცია ანუ დაზოგვა, რაც პრაქტიკულად გულისხმობს მოხმარების ფონდიდან შემოსავლის გარკვეული ნაწილის გამოქვითვას და მის დაგროვებას (ფულის სახით), ამცირებს სამომხვარებლო მოთხოვნას და შესაბამისად მოხმარების მოცულობას. ამის კვალობაზე კი მოთხოვნა წარმოების საშუალებებზე მცირდება და ასეთ პიროპებში ინვესტიციები და, მაშასადამე წარმოების მოცულობა არა თუ ველარ ფართოვდება, არამედ კიდევაც იკვეცება და მოსახლეობის სულ უფრო დიდი ნაწილი დაუსაქმებელი რჩება.

კეინსის აზრით, ინვესტიციების გადიდებით მწარმოებლები დაინტერესებული არ არიან აგრეთვე იმიტომ, რომ მოგების ნორმა დაბალია და, მაშასადამე დამატებითი კაპიტალდაბანდებები სასურველ მოგებას არ იძლევა. მოგების ნორმის გადიდების ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორად მას მიაჩნია სარგებლის მაღალი ნორმა, რომელიც მოგების ნორმის ანუ ინვესტიციების „საზღვრითი ეფექტიანობის" შემცირების პირობებშიც კი სტაბილური რჩება.

ამ მოვლენების თავიდან აცილების, ე. ი. კრიზისებისა და უმუშევრობის ლიკვიდაციის სრული დასაქმებისა და საერთოდ, საზოგადოების ნორმალური განვითარების უზრუნველსაყოფად კეინსს მიზანშეწონილად მიაჩნია სახელმწიფოს აქტიურად ჩარევა სამეურნეო ცხოვრებაში, ე. ი. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება. ამით იგი უარყოფს წინამორბედი ეკონომისტების თეორიას, რომელიც ეკონომიკის ავტომატური

- - - - - -

*ჯ. მ. კეინსი, დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია, მ. 1949, გვ. 90 (რუს)



რეგულირების (ანუ თვითრეგულირების) უპირატესობასა და მიზანშეწონილობას აღიარებდა. ჯ. კეინსი, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელ საჭიროებად თვლის სახელმწიფოს მიერ ინვესტიციების რეგულირებას, კერძოდ მათი მოცულობის გადიდებას და ამით სრული დასაქმებისათვის რეალური პირობების შექმნას. ამ მიზნით მას მიზანშეწონილად მიაჩნია სახელმწიფოს მიერ ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომელთა შედეგადაც შემცირდება სარგებლის ნორმა, ამაღლდება კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანობა (მოგების ნორმა) და, შესაბამისად ამისა, გაძლიერდება მწარმოებელთა დაინტერესება ინვესტიციების გადიდებით. ეს კი გამოიწვევს, როგორც სამომხმარებლო, ისე წარმოების საშუალებათა ბაზრის გაფართოებას, რაც თავის მხრივ გაზრდის ერთობლივ მოთხოვნას და საბოლოო ანგარიშით - მოხმარებას.

კეინსი დანახარჯების ორ სახეს გამოყოფს: 1/ დანახარჯები მოხმარებაზე და 2/ დანახარჯები დაზოგვაზე.

მოხმარებაზე დანახარჯების მოცულობა დამოკიდებულია ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე, რომლებიც მოქმედებენ როგორც დამოუკიდებელი ცვლადი. ამ ფაქტორს კეინსი უწოდებს მიდრეკილებას მოხმარებისაკენ და ორი თვალსაზრისით განიხილავს:
1. „მიდრეკილება მოხმარებისაკენ", რომელსაც იგი განსაზღვრავს რომგორც ფუნქციონალურ დამოკიდებულებას ხელფასში გამოხატულ შემოსავლის დონეს *XR* და *Cs* შორის, ეს უკანასკნელი დანახარჯებია მოხმარებაზე მოცემული შემოსავლის დონის დროს, ასე რომ *Cs=X[Rs]**.
2. კეინსს შემოაქვს ტერმინი „ზღვრული მისწრაფება მოხმარებისაკენ", რომელიც წარმოადგენს შეფარდებას შემოსავლის ზრდასა და მოხმარების შესაბამის ზრდას შორის. სადაც ორივე სიდიდე ხელფასის ერთეულებშია მოცემული. ეს თანაფარდობა გამოიცემა ფორმულით:

$$\frac{\Delta Cs}{\Delta Rs}$$

მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება ექვემდებარება ძირითად ფსიქოლოგიურ კანონს. ჯ. კეინსის მტკიცებით ადამიანებს აქვთ მიდრეკილება გაადიდონ მოხმარება შემოსავლის ზრდასთან ერთად, მაგრამ არა იმ დონით, რა დონითაც

- - - - -

*ჯ. კეინსი, დასაქმების სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია, გვ. 84.

იზრდება შემოსავალი. ამ შემთხვევაში $\frac{\Delta Cs}{\Delta Rs}$ ნულზე მეტია, მაგრამ ერთზე ნაკლები.[*] შემოსავლის ზრდის დროს ეს თანაფარდობა როგორც წესი იკლებს. მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების ახსნა ჯ. კეინსმა დაუკავშირა მულტიპლიკატორის[**] თეორიას. ცნება მულტიპლიკატორი ეკონომიკურ მეცნიერებაში პირველად ჩამოაყალიბა რ. კანმა. ტერმინ მულტიპლიკატორს ეკონომისტები იყენებენ რიცხვითი კოეფიციენტის აღსანიშნავად, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ გაიზრდება შემოსავალი ინვესტიციათა მოცემული ზრდის დროს. რ. კანის განმარტებით მულტიპლიკატორი გვიჩვენებს მოხმარების რაოდენობრივ დამოკიდებულებას წარმოების მოცულობის ცვლილებისადმი. რ. კანის აზრით ყველა დანახარჯები ქმნიან რა პირველად დსაქმებას, იწვევენ ახალ მსყიდველობით უნარიანობას მუშებისა და წარმოების მხრიდან და ამით ქმნიან ახალ მოთხოვნილებას, რომელიც თვითონ ხდება ახალი დასაქმების წყარო. ასეთი მექანიზმით ხდება მეორადი და ა. შ. დასაქმების წარმოება, რომელიც წინა დასაქმების წარმოებულია.

მულტიპლიკატორის კეინსური თეორია ადგენს ურთიერთდამოკიდებულებას საერთო დასაქმებას, შემოსავალსა და ინვესტიციის მოცულობას შორის. მულტიპლიკატორის პრინციპი გულისხმობს შემოსავლის ნამატის ჯერად გადიდებას დასაქმებისა და მოხმარების ინვესტიციათა ნამატთან.

მულტიპლიკატორი, ე. ი. კოეფიციენტი, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას ახლად შექმნილი დასაქმების დროს დმოკიდებულია ყოველ ახალ ეტაპზე დახარჯულ თანხებზე. ამ ნაწილის $K$-თი აღნიშვნის შემდეგ ჯ. კეინსმა გამოიყვანა მულტიპლიკატორის შემდეგი ფორმულა:

$$K=\frac{1}{1-K}$$

ჯ. კეინსის მულტიპლიკატორს ეწოდება დაგროვების მულტიპლიკატორი. იგი ადგენს თუ რამდენად იზრდება შემოსავალი ახლად წარმოებულ კაპიტალდაბანდებებთან თანაფარდობაში.

\- - - - - -

[*] ჯ. კეინსი, დასაქმების სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია, გვ. 90.

[**] მულტიპლიკატორი - მამრავლი; ხელსაწყო, რომელიც ბევრ ასლს იძლევა.



($\Delta R=R\Delta Y$). მისი სიდიდე დამოკიდებულია მოხმარებისაკენ ზღვრულ მიდრეკილებაზე რაც უფრო მეტია ეს უკანასკნელი, მით უფრო მეტია მულტიპლიკატორიც. ამრიგად ვღებულობთ ფორმულას

$$K=\frac{1}{1-\frac{\Delta Cs}{\Delta Rs}};$$

$\frac{\Delta Cs}{\Delta Rs}$ არის მოხმარებისაკენ ზღვრული მიდრეკილება. თუ იგი უდრის 2/3 მაშინ მულტიპლიკატორი ტოლი იქნება 3-ის;

$$K=\frac{1}{1-\frac{\Delta Cs}{\Delta Rs}}=\frac{1}{1-\frac{2}{3}}=3$$

მთავარ გამოსავალ პოსტულატად აქ აღებულია ჯ. კეინსის ძირითადი ფსიქოლოგიური კანონი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანებს, როგორც წესი, მიდრეკილება აქვთ შემოსავლის ზრდასთან ერთად იავიანთი მოხმარების გადიდებას. მაგარმ არა იმ ზომით, რა ზომითაც შემოსავალი იზრდება. გამოდის, რომ ყოველთვის $\Delta Rs$ მეტია $\Delta Cs$-ზე ე. ჰანსენის აზრით $\frac{\Delta Cs}{\Delta Rs}$ დაახლოებით ტოლია $\frac{67}{100}$.[*]

მულტიპლიკატორი წარმოადგენს დაზოგვისაკენ ზღვრული მიდრეკილების შებრუნებულ წილადს. თუ მაგალითად მოხმარებისაკენ ზღვრული მიდრეკილება ტოლია 9/10. მაშინ, დაზოგვისაკენ ზღვრული მიდრეკილება ტოლია 1/10-ის. ამ შემთხვევაში მულტიპლიკატორი 10- ტოლია.

მულტიპლიკატორის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ინვესტიციების ზრდასთან ურთიერთდამოკიდებულებით დაახასიათოს შემოსავლის ზრდა. მულტიპლიკატორის თეორიის თანახმად, ინვესტიციების ზრდა იწვევს შემოსავლის გადიდებას, რომელიც უდრის: ინვესტიციათა ხამეტი გამრავლებული მულტიპლიკატორზე.

მულტიპლიკატორის თეორია ცდილობს პროპორციების დამყარებას მოთხოვნას, დასაქმებას, შემოსავალსა და

\- - - - - -

[*] ე. ჰანსენი, ამერიკის ომისშემდგომი ეკონომიკა, მ. 1966, გვ. 68 (რუს)

ინვესტიციებს შორის. მულტიპლიკატორის თეორია მოითხოვს სახელმწიფოს ჩარევას, რათა პროპორციულად გაიზარდოს ერთობლივი მოხმარება, ინვესტიციები, შემოსავალი.

## 2. ამერიკული კეინსელობა

ჯ. კეინსის მოძღვრება, მისი იდეები და რეცეპტები იმთავითვე საფუძვლად დაედო არა მხოლოდ ინგლისის, არამედ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, შვეციის და სხვა სახელმწიფოების ეკონომიკურ პოლიტიკას. მათ პრაქტიკულ რეალიზაციას ისახავდა მიზნად ჯერ კიდევ 40-იან წლებში გამოცემული კანონები „სრული დასაქმების“, „დაგეგმვის“, „ნაციონალიზაციის“, ხელფასის და სხვა პრობლემების შესახებ.

ჯ. კეინსის ეკონომიკურმა მოძღვრებამ განსაკუთრებით ღრმად გაიდგა ფესვები აშშ-ს ეკონომიკურ ლიტერატურაში. ამერიკელმა კეინსელებმა მთლიანად გაიზიარეს თავიანთი მასწავლებლის ძირითადი თეორიული დებულებები უმუშევრობისა და ეკონომიკური კრიზისების მიზეზების ახსნაში, სახელმწიფოს გადამწყვეტი როლის შესახებ ეკონომიკის რეგულირების საქმეში, მულტიპლიკატორის შესახებ და სხვ. ამასთან ერთად იგი შეავსეს მთელი რიგი ახალი დასკვნებით, გამომდინარე აშშ ეკონომიკის სპეციფიური ნიშნებიდან.

ამერიკელი კეინსელების ლიდერს წარმოადგენდა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ელვინ ჰანსენი (1887-1975).

1933-1934 წლებში ე. ჰანსენი იყო აშშ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ეროვნული პოლიტიკის საკითხთა გამომკვლევი კომისიის დირექტორი, 1934-1935 წლებში სოციალური უზრუნველყოფის საკითხთა საკონსულტაციო საბჭოს სპეციალური ეკონომიკრი კონსულტანტი.

ე. ჰანსენი მრავალი ნაშრომის ავტორია, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი ნაწარმოებები: „თავისუფალი პოლიტიკური და საქმიანი ციკლები“ (1941), „ეკონომიკური პოლიტიკა და დასაქმება“ (1947წ.), „კეინსის გზის მაჩვენებელი“ (1953 წ) „ამერიკის ეკონომიკა“ (1957 წ.), „ამერიკის ომისშემდგომი ეკონომიკა“ (1966 წ.) და სხვ.

ე. ჰენსენის ნაწარმოებები პირველ რიგში ეხება კაპიტალისტური კვლავწარმოებისა და ციკლის საკითხებს. მან ჩამოაყალიბა ციკლის ინვესტიციური თეორია“. ე. ჰანსენის ნაშრომებში განხილულია აგრეთვე ეროვნული შემოსავლის, ფულის, ფისკალური პოლიტიკის, დასაქმების და სხვა საკითხები.



ე. ჰანსენი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე იზიარებდა ჯ. კეინსის იდეებს, მაგრამ საბოლოოდ მისი გადასვლა კეინსელობის მხარეზე და კრიზისების საკუთარი თეორიის ჩამოყალიბება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა. ე. ჰანსენი „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ ერთ-ერთი დიდი პროპაგანდისტი იყო აშშ-ი. ჯ. კეინსის მსგავსად ისიც დიდ როლს ანიჭებდა სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს. სახელმწიფოს მეშვეობით ცდილობდა იგი მოთხოვნისა და ინვესტიციების გადიდებას. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ე. ჰანსენი ზოგიერთ საკითხში არ ეთანხმებოდა ჯ. კეინსს. მაგალითად სარგებლის როლისა და ინფლაციის საკითხებში.

ე. ჰანსენი მეცნიერულ კვლევაში ფართოდ იყენებდა კეინსურ ფსიქო-ეკონომიკურ კატეგორიებს. თავის ეკონომიკურ მოდელში ე. ჰანსენი მიზნად ისახავდა კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობა გადაექცია შეწყობილ, შთანხმებულ და შრომისუნარიან სისტემად; აგრეთვე მსოფლიოში წესრიგის დამყარება, როცა ჰუმანურად განათლებულ ცივილიზაციას შესაძლებლობა ექნება ისევ განვითარდეს და აყვავდეს.*

ე.ჰანსენს სურდა კაპირალისტური ეკონომიკის განთავისუფლება წარმოების ანარქიისა და ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისებისაგან.

ე. ჰანსენი ითვლება სტაგნაციის თეორიის შემქმნელად. ამ თეორიის სახელწოდება წარმოდგება ლათინური სიტყვიდან („სტაგნუმ“), რაც უმოძრაო მდორე წყალს ნიშნავს. ამ ტერმინის ქვეშ ეკონომიკურ ლიტერატურაში იგულისხმება მრეწველობის, ვაჭრობის შეჩერება. საზოგადოებრივი წარმოების გაყინვა ერთ დონეზე, უმოძრაობა. სტაგრაციონალისტები ე. ჰანსენი, პ. სუიზი, ბ. ჰიგინსი მიმდინარე საუკუნის 30-იან წლებში ამტკიცებდნენ აშშ-ის ეკონომიკა ისე მომწიფდა, რომ მისი განვითარების ტემპები მომავალში თახდათან დაეცემაო.

ეკონომიკურ სტაგნაციას ისინი სამი მიზეზით ხსნიდნენ: 1/ მოსახლეობის ზრდის ტემპების შემცირებით: 2/ ექსპანსიისათვის საჭირო გეოგრაფიულ შესაძლებლობათა შეზღუდ-

- - - - -

* ე. ჰანსენი, ეკონომიკური ციკლი და ეროვნული შემოსავალი, მ. 1959, გვ. 45 (რუს).

ლობით, ბაზრების შემცირებითა და 3/ კაპიტალის დაგროვების მასშტაბების შეკვეცით. მაგრამ სტრატეგიონალისტები მთლანად არ უარყოფდნენ კაპიტალისტური წარმოების ზრდას. მათი აზრით პროგრესი ეშსაძლებელია, მაგრამ ამისათვის აუცილებელია ღონისძიებების მიღება, სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევა და ა. შ. ამ გზით ისინი მიზნად ისახავდნენ შერეული ეკონომიკის ჩამოყალიბებას.

ამერიკელი კეინსელების მეორე ცნობილი წარმომადგენელია სეიმურ ჰარისი (დაიბადა 1897 წ.) თავის ნაშრომში „ახალი ეკონომიკა“ (1948 წ.) ს. ჰარისი ატარებს აზრს, რომ სრული დასაქმებისათვის აუცილებელია ბურჟუაზიული სახელმწიფოსმიერ სახსრების დიდი რაოდენობით გამოყოფა სამხედრო წარმოების გასაფართოებლად. რადგან მოთხოვნა საომარ მასალებზე ყოველთვის იქნებაო.

ს. ჰარისმა 1949 წ. გამოაქვეყნა ნაშრომი „ეკონომიკური დაგეგმვა“, რომელშიც კაპიტალისტური ეკონომიკის დაგეგმვის ერთ-ერთ მთავარ პირობად გადასახადების გადიდება მიიჩნია. ამერიკული კეინსელობა ეკონომიკის დისპროპორციულობის დაძლევისა და კრიზისების წინააღმდეგ ბრძოლაში ფართოდ იყენებენ აქსელერაციის პრინციპს.

აქსელერატორი (ამჩქარებელი) მოწყობილობაა, რომელიც აწესრიგებს საწვავის ნარევის მიწოდებას კარბურატორიდან შიგაწვის ძრავას ცილინდრში ბრუნვათა რაოდენობის შესაბამლელად პედალი, რომელიც ამოქმედებს ამ მოწყობილობას. აქსელეტორი ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოხატავს შეფარდებას საბოლოო პროდუქტებსა (მოხმარების საგნებს) და მათ საწარმოებლად საჭირო წარმოების საშუალებების ცვლილებებს შორის. აქსელერაციის პრინციპის მიხედვით წარმოების გასაფართოებლად აუცილებელია დიდი მასშტაბით პირდაპირი ინვესტიციების განხორციელება, რომლებიც რამოდენიმე ხნის შემდეგ მოგვცემენ ეფექტს.

აქსელერატორის თეორიტიკოსების აზრით, წონასწორობის ($I=S$), ე. ი. უკრიზისო ციკლის შესანარჩუნებლად საჭიროა აქსელერაციის პრინციპების გამოყენება.

აქსელერაციას გამოხატავენ ფორმულით $\Delta i=V\Delta y$, სადაც $\Delta i$ – ინვესტიციების ნამეტია, $\Delta y$ შემოსავლის ნამეტი, ხოლო $V$ – ინვესტიციების კოეფიციენტი.

სახელმწიფო უნდა აჩქარებდეს ან ანელებდეს კაპიტალ-



დაპირდებას იმისდა მიხედვით, თუ როგორია გადახრა.

### 3. ეკონომიკური ზრდის ნეოკეინსური თეორიები

ჯ. კეინსის ეკონომიკურმა მოძღვრებამ მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია კაპიტალისტურ ეკონომიკას, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მისი ზოგიერთი დებულებები მკაცრი კრიტიკის ქვეშ აღმოჩნდა. კაპიტალისტურმა ეკონომიკამ სტრუქტურული ცვლილებები განიცადა. აღმოცენდნენ კეინსის დროს არარსებული მონოპოლისტური ჯგუფები, რომლებმაც სრულიად შეცვალეს ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი და ჯ. კეინსის მოძღვრება მოძველებულად იქნა მიჩნეული.

ჯ. კეინსის მოძღვრებას შეეხიდნენ რიგი ეკონომისტები, რომლებმაც გაითვალისწინეს ჯ. კეინსის კრიტიკოსთა შენიშვნები და ახალი ძალები შემატეს კეინსის თეორიას. მათ მძლავრი ნეოკეინსური სკოლა ჩამოაყალიბეს.

ნეოკეინსურ კონცეფციებს შორის დიდი ადგილი უკავია ეკონომიკური ზრდის თეორიებს. ეკონომიკური ზრდის თეორიები ფართოდ მას შემდეგ გავრცელდა, რაც მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სფეროში მომხდარი ძვრების შედეგად, უკვე შეუძლებელი შეიქმნა კაპიტალიზმის დაცვა სტატიკური წონასწორობის კეინსურ იდეებზე დაყრდნობით.

ეკონომიკური ზრდის თეორიები აღმოცენდა კეინსელობის ევოლუციის შედეგად მიმდინარე საუკუნის 40-იანი წლების დამლევისათვის, როგორც ამ უკანასკნელის ნაირსახეობა და ლოგიკური გაგრძელება.

ეკონომიკური ზრდის თეორიამ ჯ. კეინსისაგან მემკვიდრეობით შეიძინა 1/ კონცეფცია, რომ კაპიტალისტური ეკონომიკა, როდესაც კარგავს ავტომატურ თვითრეგულირების უნარს შეიძლება გაჯანსაღებულ იქნეს ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის გზით. 2/ ეკონომიკურ კვლევაძიებაში ფსიქოლოგიური ფაქტორებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება.

ეკონომიური ზრდის თეორიების მთავარი დანიშნულებაა იმუშაონ კაპიტალისტური ზრდის მექანიზმის სრულყოფის

საშუალებანი.

ეკონომიკური ზრდის მიმდევრებმა ჯ. კეინსი დაადანაშაულეს იმაში, რომ იგი ყოველთვის გამოდიოდა საზოგადოების სტატიკური ანუ უცვლელი მდგომარეობიდან და არ ითვალისწინებდა ცვლილებებს ტექნიკის და ასევე ეკონომიკის დარგში. ეკონომიკურ დარგში გულისხმობენ ეროვნული შემოსავლის მუდმივ მატებას ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.

ეკონომიკური ზრდის დამცველთა თვალსაზრისით წარმოების ზრდის ტემპს განსაზღვრავს სამი ფაქტორი: ინვესტიციები, ტექნიკური პროგრესი და მოსახლეობის მატება.

ეკონომიკური ზრდის თეორიები რეგულირებადი კაპიტალიზმის კეინსური თეორიის მოდიფიკაციაა და წარმოადგენს ნეოკეინსურ დინამიკურ მიკროეკონომიას.

მართალია, ეკონომიკური ზრდის თეორიები განიხილება როგორც კეინსელობის ლოგიკური გაგრძლება, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური ზრდის თეორიებს გარდა ჯ. კეინსისა სხვა წინამორბედებიც ჰყავდა.

ეკონომიკური ზრდის თეორიების ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი იყო იოზეფ შუმპეტერი.

მან ჯერ კიდევ 1912 წელს დაწერა წიგნი „ეკონომიკური განვითარების თეორია“ რომელშიც შეიმუშავა დებულებები დინამიკური მეწარმის, დინამიკური ინდივიდის, დინამიკურად მოაზროვნე სუბიექტის, დინამიკური მმართველობისა და სხვათა შესახებ. ეკონომიკური ზრდის თეორიების საფუძვლების ჩაყრაში თავიანთი წვლილი შეიტანეს: ფრანგმა ეკონომისტმა ალბერტ აპტალიონმა (1874-1939), ამერიკელმა ჯონ მორის კლარკმა (1884), შვედმა გუსტავ კასელმა (1886-1944) ამ უკანასკნელმა 1918 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „თეორიულ სოციალური ეკონომიკა“ პირველმა სისტემატიზებული სახით ჩამოაყალიბა მოძღვრება დინამიკური წონასწორობის შესახებ.*
ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1931 წელს რ. კანმა შექმნა ეკონომიკური ზრდის თეორიის კიდევ ერთი ინსტრუმენტი მოლტიპლიკატორი და ა. შ.

ზემოთ აღნიშნულ ეკონომისტებმა მხოლოდ საფუძვლების ჩაუყარეს ეკონომიკური ზრდის თეორიებს. ზრდის თეორიის მთელი შენობა ააგეს ინგლისელმა ეკონომისტმა რ. ჰაროდმა

- - - - - -

*გ. ჭანუყვაძე, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. 4, თბ., 1969, გვ. 236.



და ამერიკელმა ე. დომარმა.*

### ა) რ. ჰაროდის ეკონომიკური დინამიკის თეორია

ნეოკეინსური მიმართულების მამამთავრად მიჩნეულია ჯ კეინსის თვალსაჩინო მიმდევარი ინგლისელი ეკონომისტი როი ჰორბს ჰაროდი. რ. ჰაროდი იყო ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ინგლისის სამეფო ეკონომიკური საზოგადოების პრეზიდენტი და ა. შ. იგი ეკონომიკური დინამიკის გამოჩენილი თეორიტიკოსია. ეკონომიკური დინამიკის თეორეტიკოსების მიზანია დინამიკური კაპიტალიზმის მოდელის შექმნა. ამისათვის ისინი აუცილებლად თვლიან ეკონომიკაში გარედან ჩარევას, ბიძგის, იმპულსის მიცემას. რ. ჰაროდმა მიზნად დაისახა თავისი მასწავლებლის ჯ. კეინსის სტატიკური თეორიისათვის დინამიკური ხასიათი მიეცა.

თავისი კონცეფცია ეკონომიკური დინამიკის შესახებ რ. ჰაროდმა ჩამოაყალიბა შემდეგ ნაშრომებში: „სავაჭრო ციკლი“ (1936), „ეკონომიკური დინამიკის თეორიისათვის“ (1948), „დინამიკური ეკონომიკა“ (1949), „ ჯონ მაინარდ კეინსის ცხოვრება“ (1951), „ეკონომიკური ნარკვევები“ (1952), „მსოფლიო ფულადი სისტემის რეფორმა“ (1965).

რ. ჰაროდის ეკონომიკური დინამიკის თეორია მართალია სახელმწიფოებრივ დირიჟიზმს გულისხმობს, მაგარმ იგი გამოდის ტოტალიტარული დირიჟიზმის წინააღმდეგ. იგი არ უარყოფს თავისუფალ მეწარმეობას. რ. ჰაროდის აზრით კერძო კაპიტალისტური მეწარმეობა თვით ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს. რ. ჰაროდის თქმით კერძო მეწარმეობა ნიშნავს დემოკრატიას, ხოლო ტოტალიტარიზმი - თავისუფლების ლიკვიდაციას.

თავის ნაშრომებში რ. ჰაროდი აქცენტს აკეთებს დინამიკურ წონასწორობაზე. თუმცა არც სტატიკურ წანასწორობას უგულებელყოფს. „სტატიკური წონასწორობა, - წერს რ. ჰაროდი, - სრულიადაც არ ნიშნავს უქმად ყოფნის მდგომარეობას, როცა წარმოება გრძელდება ყოველდღე, ყოველწლიურად, მაგრამ

- - - - -

* ახალი მოვლენები თანამედროვე ბურჟაუზიულ პოლიტიკურ ეკონომიკაში ტ. 2. მ. 1963, გვ. 30.

მისი მოცულობა არც ფართოვდება და არც მცირდება".*

როგორც ვხედავთ სტატიკური წონასწორობის ქვეშ რ. ჰაროდი გულისხმობს მარტივ კვლავწარმოებას, ხოლო დინამიკური წონასწორობის ქვეშ გაფართოებული კვლავწარმოებას.

რ. ჰაროდის ეკონომიკური დინამიკის თეორიის მიხედვით ეკონომიკურ განვითარებას საფუძვლად უდევს სამი ფაქტორი: 1) მოსახლეობის ზრდა; 2) ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის გადიდება; 3) დაგროვილი კაპიტალის ოდენობა.

რ. ჰაროდის დინამიკური წონასწორობა გულისხმობს წარმოების ზრის მყარ ტემპს, განუწყვეტელ გაფართოებულ კვლავწარმოებას. რ. ჰაროდი განასხვავებს ზრდის ფაქტიურ ტემპსა ($g$) და ბუნებრივ ტემპს ($gr$). მას შემოაქვს აგრეთვე ახალი ფსიქოლოგიური კატეგორია - ზრდის გარანტირებული ტემპი ($gw$), ანუ დინამიკური წონასწორობის ტემპი.

რ. ჰაროდმა ტემპის ფორმულა შემდეგნაირად წარმოადგინა:

$g = \frac{s}{Cr}$ , სადაც $g$ ზრდის ტემპია, $s$- დაზოგვის წილი (კოეფიციენტი) ეროვნულ შემოსავალში, $Cr$ - აქსელერატორის კოეფიციენტი. ეს შეფარდება წარმოადგენს ზრდის ძირითად ფორმულას, რომლის თანახმად კაპიტალისტური ეკონომიკა ისეთი ტემპით უნდა გაიზარდოს, რომლის დროსაც სრულად გამოიყენება ყველა არსებული რესურსი. ამისათვის აუცილებელია, რომ დაგროვების რესურსები სრულად იხარჯებოდეს როგორც წარმოებით, ისე არაწარმოებით სფეროებშიც.

## ბ) ე. დომარის ეკონომიკური ზრდის თეორია

ეკონომიკური ზრდის თეორიების ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება პოლონელი წარმოშობის ამერიკელი ეკონომისტი ევსეი დავიდ დომარი (დაბადებული 1914). ე. დომარმა 1957 წ. ნიუ-იორკში გამოაქვეყნა წიგნი„ნარკვევები ეკონომიკური ზრდის შესახებ", რომელშიც ჩამოაყალიბა თავისი კონცეფცია ეკონომიკური ზრდის შესახებ.

- - - - - -

*რ. ჰაროდი, ეკონომიკური დინამიკის თეორიისათვის, მ. 1959, გვ. 41 (რუს).



ე. დომარი ძირითადად კეინსელობას ემყარება, მაგარამ რ. ჰაროდის მსგავსად არ მოსწონს კეინსის სტატიკური წონასწორობა და ცდილობს დინამიკური წონასწორობის დამყარებას. ამ მიზნის მიღწევას იგი ცდილობს ეკონომიკური ზრდის თეორიაში პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების გაწონასწორებით.

ე. დომარის ეკონომიკური ზრდის თეორიაში რეალიზაციისა და დაგროვების პრობლემა დაყვანილია წარმოების ზრდის საკითხებამდე. ე. დომარის აზრით, პროდუქციის ზრდა უდრის ინვესტიციების ჯამს გამრავლებულს ამ ინვესტიციათა საშუალო საზოგადოებრივ ნაყოფიერებაზე

## გ) ზრდის ნეოკლასიკური თეორია

*XX* ს. 50-იანი წლების შუახანიდან მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ეკონომიკური ზრდის თეორიაში. შესუსტდა ყურადღება დინამიკური წონასწორობის პრობლემებისადმი.წინა პლანზე წამოიწია პოტენციურად შესაძლებელი ტემპებისა და მათი განმსაზღვრელი ფაქტორების პრობლემამ. ამასთან ერთად შეიცვალა ამ პრობლემის კვლევის თეორიული საფუძვლები. მისი გადაწყვეტის ამოსავალი წერტილი გახდა წარმოების ნეოკლასიკური თეორია.

როგორც ნეოკეინსური თეორია აღმოცენდა კეინსის თეორიის კრიტიკიდან, ასევე ზრდის ნეოკლასიკური თეორია განვითარდა ზრდის ნეოკეინსური თეორიების კრიტიკის საფუძველზე.

ზრდის ნეოკლასიკური თეორიის წარმომადგენლები ნეოკეინსურ კონცეფციას არ ეთანხმებიან, იმისათვის, რომ ის განიხილავს ზრდის მხოლოდ ერთ ფაქტორს - კაპიტალის დაგროვებას და უგულებელყოფს ტექნიკურად ახალი წამოწყების, განათლების კვალიფიკაციის ზრდის, ორგანიზაციის გაუმჯობესების და სხვა მოვლენების შედეგებს.

ზრდის ნეოკლასიკურ თეორიაში საინტერესოს წარმოადგენს წარმოებითი ფუნქცია.

წარმოებითი ფუნქციის ერთ-ერთ გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს კობა - დუგლასის მოდელი.

1928 წ. ამერიკელმა ეკონომისტმა პ. დუგლასმა მათემატიკოს კობას დახმარებით სცადა ემპირიული გზით განესაზღვრა

კაპიტალისა და შრომის დანახარჯების გავლენა პროდუქციის სიდიდეზე აშშ-ის დამმუშავებელ მრეწველობაში. მათ სურდათ შეემოწმებინათ არსებობდა თუ არა საზღვრითი მწარმოებლურობის კანონები.

დასახული მიზნის მისაღწევად გამოყენებული იქნა სამი ინდექსი, რომლებიც ასახავდნენ 1899-1922 წ. წ. ოცდაოთხწლიანი პერიოდის განმავლობაში ძირითადი კაპიტალის მუშათა და ნამუშევარი კაცსაათების რაოდენობის და პროდუქციის ფიზიკური მოცულობის დინამიკას აშშ დამმუშავებელ მრეწველობაში.

კობა-დუგლასის ფუნქციაში ამოსავალი წანამძღვრების სახით მიღებული იქნა შემდეგი პირობები:

1. პროდუქცია წარმოადგენს მხოლოდ ორი ფაქტორის - შრომისა და კაპიტალის ფუნქციას, რომლებსაც შეუძლიათ შეუზღუდავად შეცვალონ ერთმანეთი;
2. შრომისა და კაპიტალის ყოველი ერთეულის გაცემა მუდმივია;
3. შრომისა და კაპიტალის გამოყენების ინტენსიურობის დონე მუდმივია;
4. დამოკიდებულება წრფივ ხასიათს ატარებს, ე. ი. თუ ორივე ფაქტორი გაიზრდება $m$-ჯერ, მაშინ პროდუქციაც $m$-ჯერ გაიზრდება.

ამ პირობების შესაბამისად არჩეული იქნა $y=AK^{\alpha}L^{\beta}$ ტიპის ფუნქცია, სადაც $A$,$\alpha$ და $\beta$ - ფუნქციის პარამეტრებია.

ამასთანავე $A$ - ესაა პროპორციულობის კოეფიციენტი, $\alpha$ და $\beta$ მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ ყოველი ფაქტორთაგანის გავლენას პროდუქციის მოცულობაზე, ანუ ელასტიურობის კოეფიციენტი შრომისა და კაპიტალის დანახაჯებში. ფუნქციის პარამეტრები $\alpha$ და $\beta$ მიღებული იქნა უმცირეს კვადრატთა მეთოდის ბაზაზე პირობით, რომ $\alpha+\beta=1$ ამასთან $A$ სიდიდე ტოლი აღმოჩნდა 1,01; $\alpha=0{,}25$; $\beta=0{,}75$. მთელმა ფუნქციამ მიიღო სახე* $Y=1{,}01\,K^{0.25}L^{0.75}$
შემდგომში მოხდა კობა-დუგლასის ფუნქციის სრულყოფა. მასში მესამე ცვლადის სახით შეტანილ იქნა ტექნიკური პროგრესის გავლენა. ამასთან ერთად, ფორმულაში შეტანილ იქნა დროის

- - - - - - -

* ი. ოსადჩაია, თანამედროვე კეინსელობა, მ. 1971, გვ. 92-93. (რუს).



ეკონომიკური ფაქტორი, რომელსაც უნდა აესახა ფუნქციის სტატიკური ძვრის პროცესი. ეს გააკეთა ი. ტინბერგენმა. მან კობა-დუგლასის ფორმულაში შეიტანა წრფივი - ერთგვაროვანი ტიპი დროის ფაქტორი $l^{rt}$ ანუ ტრენდის მაჩვენებელი

$$Y=AK^{\alpha}L^{1-\alpha}l^{rt}$$

ამ ფუნქციის ლოგარითმული დიფერენციაცია იძლევა სათანადო გამოხატულებას ზრდის ყოველწლიურ ტემპებში.

$$Y=\alpha K+(1-\alpha)l+r$$

სადაც $y$ - პროდუქციის ზრდის ტემპია, ანუ შემოსავალი;
$k$ - კაპიტალის ზრდის ტემპი;
$l$ - სამუშაო ძალის ზრდის ტემპი;
$r$ - წარმოების ზრდის ტემპი საერთო ეფექტურობის ამაღლების, ანუ ტექნიკური პროგრესის შედეგად*.

წარმოებითი ფუნქციის ეს ტიპი XX ს. 50-იან წლებში ფართოდ გამოიყენებოდა ამერიკელი ეკონომისტების მიერ, ზრდის ცალკეული ფაქტების როლის შეფასებისათვის, განსაკუთრებით ტექნიკური პროგრესის მნიშვნელობის გარკვევისათვის.

კობა დუგლასის ფუნქციის დინამიზაცია აშშ-ში განახორციელა ცნობილმა ეკონომისტმა რ. სოლოუმ. იგი შეეცადა ეჩვენებინა როგორ ვითარდება წარმოების ფუნქცია ტექნიკური პროგრესის ზემოქმედებით.

რ. სოლოუმ განიხილა 1909-1949 წ. წ. სტატიკური მონაცემები. მან შეადგინა ისეთი ფუნქცია, რომელიც შრომისა და კაპიტალის რაოდენობის ცვლილებების ეფექტთან ერთად თავისში შეიცავდა, პროდუქტის ერთეულზე მომხდარი ტექნიკური პროგრესის ეთექტსაც. რ. სოლოუს მოდელი შემდეგი სახით გამოიხატება

$$Q=F(K, L, t)$$

სადაც $t$ - ტექნიკური პროგრესის დროა. თუ ტექნიკური პროგრესი ნეიტრალურია, რ. სოლოუს გაგებით ეს ნიშნავს, რომ ის არ შეეხება ფაქტორებს შორის პროპორციას, ხოლო $K$ რჩება უცვლელი წარმოების ფაქტორებს შორის შენაცვლების ზღვრულ ნორმად. ამ შემთხვევაში წარმოების ფუნქცია შემდეგ მოდიფიცირებულ ფორმას შეიძენს:

$$Q=A(t)\,f(K, L)$$

სადაც მულტიპლიკატორი $A(t)$ ზომავს ტექნიკურ პროგრესს.

- - - - - -

*ი. ოსადჩაია, თანამედროვე კეინსელობა, გვ. 105-107.

ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური მოდელი ყველაზე თანმიმდევრულად დაამუშავა ინგლისელმა ეკონომისტმა ჯ. მიდმა.

ეკონომიკური პირობის მცდარი ტემპის მთავარ პირობად ჯ. მიდი თვლის შემდეგს: 1. სუბსტანციის ელასტიურობა თანაბარ ერთეულზე. 2. ტექნიკური პროგრესი ნეიტრალურია ყველა ფაქტორისადმი ურთიერთობაში. 3. დანაზოგის წილი ყველა სამი ფაქტორის შემოსავლიდან მუდმივ სიდიდეს წარმოადგენს. პირველი პირობა იმაში მდგომარეობს, რომ შემოსავლის განაწილება შრომასა და კაპიტალს შორის მუდმივი რჩება, ე. ი. ხელფასის წილი და მოგების წილი ეროვნულ შემოსავალში არ იცვლება.

ნეიტრალური ტექნიკური პროგრესის გაგება ასევე დაკავშირებულია ეროვნული შემოსავლის განაწილებასთან. ნეიტრალური ტექნიკური პროგრესი ამ განაწილებას უცვლელს ტოვებს.

დაზოგვის წილის მუდმივობა შემოსავლების ყველა კატეგორიაში ნიშნავს მხოლოდ დანაზოგის მთელი ჯამის მუდმივობას ეროვნულ შემოსავალში.

ამ პირობებში მთელი პროდუქციის ზრდის ტემპები ყოველთვის უნდა ისწრაფვოდეს რაღაც მოცემული მუდმივი დონისაკენ, რომელიც თავისში წარმოადგენს მყარი ეკონომიკური ზრდის მდგომარეობას*

ჯ. მიდის მიერ ჩამოყალიბებული ფუნქცია გამოიხატება შემდეგი ფორმულით:

$Y=\alpha k+\beta l+r$

სადაც $y$ - ეროვნული შემოსავლის საშუალო წლიური ზრდის ტემპია;

$k$ - კაპიტალის საშუალო წლიური ზრდის ტემპი;

$l$ - სამუშაო ძალის საშუალო წლიური ზრდის ტემპი;

$\alpha$ და $\beta$ - ეროვნულ შემოსავალში კაპიტალისა და შრომის წილის თანაფარდობაა;

$r$ - ტექნიკური პროგრესის ტემპი.

ამ ფორმულის თანახმად, ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპი ტოლია ძირითადი ფაქტორების ზრდის ტემპთა ჯამისა (შრომა და კაპიტალი), რომელიც იზომება მათი შემოსავლის

* ი. ოსადჩაია, თანამედროვე კეინსელობა, გვ. 128.



წილით ეროვნულ შემოსავალში, პლუს ტექნიკური პროგრესის ტემპი.

ეროვნული შემოსავლის ზრდის სიმყარეს ადგილი ექნება იმ შემთხვევაში, თუ მისი ზრდის ტემპი ტოლია კაპიტალური მარაგის ზრდის ტემპებისა. ესაა ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპის კრიტიკული დონე.

### დ/ ნეოკლასიკური სინთეზი

ამერიკელი ეკონომისტი პოლ სამუელსონი მიუთითებს, რომ ეკონომისტთა უმრავლესობა დასავლეთში ცდილობს იმის მიღწევას, რასაც იგი ნეოკლასიკურ სინთეზს უწოდებს. ისინი ცდილობენ ეფექტური საკრედიტო-ფულადი და ფისკალური პოლიტიკის გზით ა. სმიტისა და ა. მარშალის კლასიკური მიკროეკონომიკის შეერთების შემოსავლის დონის განსაზღვრის თანამედროვე მაკროეკონომიკასთან, ორივე მიდგომაში არსებული ყოველგვარი ჯახსაღის შეხამებით.

### ე/ ეკონომიკური ზრდის ინსტიტუციონალური თეორია

ეკონომიკური ზრდის ინსტიტუციონალისტური თეორიის შემქმნელები უ. როსტოუ, ვ. ლუსი და სხვ. ყურადღებას ამახვილებენ განვითარების ტენდენციებზე.

მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორმა უოლტ უიტმენ როსტოუმ შექმნა ეკონომიკური ზრდის სტადიების თეორია ეს თეორია მან ჩამოაყალიბა შემდეგ ნაშრომებში: „ეკონომიკური ზრდის სტადიები, არაკომუნისტური მანიფესტი", „საბჭოთა გამოწვევა და ამერიკის შეერთებული შტატები" და სხვ.

უ. როსტოუს ეკონომიკური ზრდის სტადიების თეორიის ამოსავალ კრედოს წარმოადგენს წმინდა ტექნიკურ-ეკონომიკური, უპირატესად სუბიექტურ-ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ფაქტორების აღიარება ისტორიული განვითარების განმსაზღვრელ ძალად.

კაცობრიობის ისტორიას უ. როსტოუ განვითარების ხუთ

სტადიად ყოფს. ესენია: 1. 'ტრადიციული საზოგადოება; 2. გარდამავალი საზოგადოება; 3. ნახტომის ანუ სტარტის საზოგადოება; 3. მომწიფებული საზოგადოება და 5. მასობრივი მოხმარების საზოგადოება.

ტრადიციულ საზოგადოებაში უ. როსტოუ გულისხმობს აგრარულ საზოგადოებას, სადაც უპირატესად განვითარებულია სოფლის მეურნეობა. ეს სტადია მოიცავს მთელ კაპიტალიზმამდელ ისტორიას. საზიოგადოების წარმოშობის დროიდან *XVII* ს. დალევამდე. ტრადიციული საზოგადოების კრიტერიუმად გამოცხადებულია კაპიტალდაბანდებათა დაბალი დონე მოსახლეობის ზრდასთან შედარებით (ეროვნული შემოსავლის 5 პროცენტი).

გარდამავალი საზოგადოება ამზადებს პირობებს ტრადიციული საზოგადოებიდან გამოსვლისათვის. იგი გარკვეულად განსხვავდება ტრადიციული საზოგადოებისაგან კაპიტალდაბანდებათა დონით. ნახტომის პერიოდის დროს კაპტალდაბანდება მკვეთრად მატულობს და ეროვნული შემოსავლის 5 პროცენტიდან 10 პროცენტამდე იზრდება. მესამე სტადია ორი-სამი ათწლეულის მანძილზე გრძელდება. ინგლისში იგი არსებობდა *XVIII* ს. ორი უკანასკნელი ათწლეული, საფრანგეთში და აშშ-ში რამდენიმე ათეული წელი 1860 წლამდე, რუსეთში და კანადაში 1814 წ. წინამორბედი მეოთხედი საუკუნე*

მეოთხე სტადიას უ. როსტოუ უწოდებს მოძრაობას მომწიფებისაკენ და მასთან კავშირში ხმარობს ინდუსტრიული საზოგადოების ცნებას. ამ ეტაპზე კაპიტალდაბანდებათა ოდენობა ეროვნული შემოსავლის 10-20 პროცენტს აღწევს. მეოთხე სტადია დაახლოებით სამოც წელს გრძელდება. ინგლისში იგი იწყება *XIX* ს. დასაწყისიდან, საფრანგეთსა და აშშ-ში *XIX* ს. 60-იანი წლებიდან, გერმანიაში - *XIX* ს. 70-იანი წლებიდან, რუსეთსა და კანადაში 1914 წ. შემდეგ.

მეხუთე სტადიის, ანუ მაღალი მასობრივი მოხმარების ერის კრიტერიუმად უ. როსტოუ იღებს მოხმარების გადიდებას. ამ სტადიაზე აშშ გადავიდა *XX* ს. ოციან წლებში, დასავლეთ ევროპის ქვეყნები და იაპონია 50-იან წლებში, ხოლო სსრ კავშირი - 60-იანი წლების დასაწყისში. უ. როსტოუმ მონაწი-

\- - - - - -

* ე. ი. ბრეგელი, ბურჟუაზიული მოძღვრებების კრიტიკა თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიკური სისტემის შესახებ, გვ. 249.



ლეობა მიიღო პრობლემის განხილვაში - როგორი მომავალი ელოდება კაცობრიობას? ამ კითხვას მან უპასუხა ეკონომიკური ზრდის მეექვსე სტადიის აღმოჩენით.

უ. როსტოუმ განაცხადა, რომ მეხუთე სტადიაზე აშშ-ში შემცირდება ინტერესი მასობრივი მოხმარების საგნების შეძენაზე, სამაგიეროდ გაიზრდება შობადობის კოეფიციენტი. ზრდის მეექვსე სტადიად მან გამოაცხადა შეილოსნობის ბუმის პერიოდი.*

## 4/ ეკონომეტრიკა

ნეოკეინსურ ეკონომიკურ აზრში ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ მიმართულებას წარმოადგენს ეკონომეტრიკა. ეკონომეტრიკის თეორიულ ბაზას შეადგენს რეგლირებადი კაპიტალიზმის თეორია. თავის მხრივ ეკონომეტრიკულ მოდელებს ფართოდ იყენებენ ეკონომიკის რეგულირების პროგრამებისა და მეთოდების შემუშავებისათვის.

ეკონომეტრიკა აერთიანებს სხვადასხვა ეკონომეტრიკული მოძღვრებების წარმომადგენლებს იგი პირველ რიგში დაკავშირებულია ინსტიტუციონალიზმთან და მათემატიკურ ეკონომიასთან.

ტერმინი ეკონომეტრიკა პირველად პ. ჩიოპამ გამოიყენა 1910 წ. გამოქვეყნებული ნაშრომი „ეკონომეტრიკისა და ბუღალტერიის ბუნებრივი თეორიის ნარკვევი, რომელიც პოლიტიკურ ეკონომიას ემყარება". ეკონომეტრიკა, როგორც ახალი მიმართულების მაჩვენებელი სახელწოდება, მას შემდეგ გავრცელდა, რაც 1926 წ. რაგნარ ფრიშმა ამ საკითხზე სპეციალური სტატია გამოაქვეყნა. ეკონომეტრიკის ფუძემდებლად მიიჩნევენ ამერიკელ ეკონომისტებს გ. მურსა და ი. ფიშერს.

ეკონომეტრიკული მიმართულება ორგანიზაციულად ჩამოყალიბდა 1930 წ. ბოლოს კლივლენდში ჩატარებულ დამფუძნებელ კონგრესზე. ამ კონგრესის ინიციატორები იყვნენ ნორვეგიელი ეკონომისტი რ. ფრიში, ამერიკელი ეკონომისტები ი. ფიშერი და ჩ. რუსი. კონგრესს თავმჯდომარეობდა ი. შუმპეტერი.

საერთაშორისო ეკონომეტრიკული საზოგადოების პირველ

\- - - - - -

* გ. ჭანუყვაძე, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. 4. გვ. 263.

წევრებს წარმოადგენდნენ: უ. მიტჩელი, ა. ბერნსი, ი, ტინბერგენი, რ. ფრიში, რ. როია, ფ. დივიზია, ვ. ლეონტიევი, ლ. კლეინი, ი. მარშაკი, ტ. კუპმანი და სხვ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ეკონომეტრიკას განიხილავენ როგორც სამი დისციპლინის ნაერთს. ესენია: 1. ეკონომიკური თეორია; 2. მათემატიკა და 3. სტატისტიკა.

ზოგიერთი ეკონომისტი იმასაც აღნიშნავს, რომ ეკონომეტრიკა არის ზღვრული სარგებლიანობა პლუს სტატისტიკა. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ეკონომეტრიკოსები მარჟინალიზმის პოზიციაზე დგანან. ეკონომეტრიკოსები თავდაპირველად ალბათობის თეორიაში ხედავდნენ მათ მიერ შედგენილ განტოლებებში პარამეტრთა გამოთვლის მხოლოდ ტექნიკურ საშუალებას, ხოლო შემდეგ მათ დაიწყეს უმაღლესი ალგებრის, დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებების და სხვ. ფართოდ გამოყენება.

ეკონომეტრიკის მეთოდოლოგიურ-თეორიულ და ინტეგრალურ საფუძველს შეადგენს სტოქასტურ-ნეოპოზიტივისტური კონცეფცია.

ეკონომიკერ ლიტერატურაში გამოყოფილია ეკონომეტრიკის ორი ძირითადი მიმართულება: 1. თეორიული ხასიათის ეკონომეტრიკული მოდელები; 2. გამოყენებითი ხასიათის ეკონომეტრიკული მოდელები.

თეორიული ხასიათის ეკონომეტრიკული მოდელებიდან აღსანიშნავია: ა/ თამაშთა თეორია, ბ/ ციკლის ეკონომიკური მოდელები, გ/ ეკონომიკური ზრდის მოდელები, დ/ ეკონომეტრიკული მოდელები, რომელიც მოთხოვნის ანალიზს ეძღვნება.

გამოყენებითი ხასიათის ეკონომეტრიკული მოდელებიდან ძირითადია: ვ. ლეონტიევის დანახარჯები-გამოშვების მოდელი და წრფივი პროგრამირების მოდელი.

განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

თამაშთა თეორიის მთავარი წარმომადგენელია ამერიკელი მათემატიკოსი ო. მორგენშტერნი.

თავისი არსით თამაშთა თეორია ემყარება მოთამაშეთა ჯგუფების შეთანხმებას. რომელთაგან თითოეული ცდილობს სტრატეგიის შემუშავებას თავისი მიზნების მისაღწევად, იმ დაშვებიდან გამომდინარე, რომ მოწინააღმდეგეები მასავით გამოიყენებენ მოქმედების საუკეთესო ხაზს გამარჯვების



მისაღწევად.*

ეკონომეტრიკოსების აზრით თამაშთა თეორია წარმოადგენს მათემატიკურ ტექნიკას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კონკურენციულ ბრძოლაში, საბირჟო სპეკულაციასა და სხვა ეკონომიკურ საქმიანობაში. თამაშის პროცესში მონაწილეობენ ეკონომიკური სუბიექტები, რომელთა შორისაც კონკურენციული ბრძოლაა გაჩაღებული. თამაშში მონაწილეობს აგრეთვე სახელმწიფო - ყველა ცალკეულ გადაწყვეტილებების კოორდინატორი.

თამაშთა თეორიის პროპაგანდისტების აზრით, ეკონომიკურ საქმიანობასა და პოკერის თამაშს ერთნაირი ხასიათი აქვს, რადგან ორივე შემთხვევაში მხედველობაშია მისაღების წაგების რისკი. ეკონომიკური სუბიექტები, ისევე, როგორც ბანქოს მოთამაშეები ერთმანეთს უპირისპირებენ მოქმედების საერთო გეგმას, თამაშის საკუთარ სტრატეგიას. ამის მეოხებით, თითოეული ცდილობს თავისი მოგების გადიდებას და მოწინააღმდეგის მოგების შემცირებას. თითოეული მოთამაშის წარმატება განისაზღვრება სამი ფაქტორით, 1. მოთამაშის უნარით, 2. მის ხელთ არსებული ინფორმაციის ხარისხითა და 3. შემთხვევით.

ასეთი თამაშია გაჩაღებული საფონდო ბირჟაზეც. ბირჟის მოხელეთა საქმიანობა ატარებს იმ სპეკულანტებს შორის გაჩაღებული თამაშის ხასიათს, რომელთა ერთი ნაწილი თავის თამაშს წარმართავს აქციებისა და ობლიგაციების კურსის დაწევაზე, ხოლო მეორე ნაწილი აწევაზე.

თამაშთა თეორიის დამცველთა მტკიცებით მთელი საზოგადოება გამოყვანილია, როგორც თანასწორუფლებიან მოთამაშეთა კაზინო. თამაშთა თეორიაში კაპიტალისტი და მუშა განხილულია, როგორც ტოლფასოვანი მოთამაშე და პარტნიორი.

ციკლის ეკონომეტრიკული მოდელების ბაზას შეადგენს რეგულირებადი კაპიტალიზმის დოქტრინა. ციკლის მაკროეკონომიკური მოდელები მოიცავს როგორც მეურნეობის ცალკეულ დარგებს (დარგობრივი ხასიათის ეკონომეტრიკული მოდელები), ასევე კაპიტალისტურ კვლავწარმოებას მთლიანად ( კაპიტალისტური კვლავწარმოების ეკონომეტრიკული მოდელები).

- - - - - -

* ნ. ვინერი, კიბერნეტიკა და საზოგადოება, თბ.; 1962, გვ. 224.

ციკლის მაკროეკონომიკური მოდელები კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ ყველაზე უფრო არსებით მოვლენებს ასახავენ. ამ ტიპის მოდელები ახასიათებენ ისეთ სახალხომეურნეობრივ მაჩვენებლებს, როგორიცაა ეროვნული შემოსავალი, საერთო მოხმარება, დაზოგვა, ინვესტიციები, ფულის მიმოქცევა და სხვ.

მოდელების მეორე ტიპი დაკავშირებულია ეკონომიკური სისტემის მოდელირებასთან. ამგვარ მოდელებს იყენებენ დარგთაშორის მიმდინარე კავშირურთიერთობის, კაპიტალური და შრომითი დანახარჯების, რაიონთაშორისი კავშირების ანალიზისათვის.*

ზრდის ეკონომეტრიკული მოდელებიდან საყურადღებოა ნორვეგიელი ეკონომისტის ტ. ჰაველმოს მოდელი. იგი თვლის, რომ რაციონალური ხასიათის მოდელის ასაგებად საკმარისია ოთხი ცვლადი: 1. წარმოების მოცულობა. 2. მოსახლეობის ოდენობა, 3. კაპიტალის საერთო დაგროვების მოცულობა; 4. განათლებისა და ტექნიკური ცოდნის დაგროვილი დონე. ამ ოთხი მომენტის ვითარებაში ტ. ჰაველმო შესაძლებლად მიიჩნევს მსოფლიოს ნებისმიერი ტერიტორიული რაიონის ეკონომიკური ზრდის ეკონომეტრიკული მოდელის აგებას.

საყურადღებოა ი. ტინბერგენისა და ჰ. ბოსის ეკონომიკური ზრდის მოდელიც. მასში აქცენტი გამახვილებულია დაგეგმვის საკითხებზე.

ეს საკითხები განხილულია სუბიექტური იდეალიზმის პოზიციებიდან.

ი. ტინბერგენი იცავს დაგეგმვის უნივერსალიზაციის კონცეფციას და დგას კონვერგენციის თეორიის პოზიციებზე.

ი. ტინბერგენისა და ჰ. ბოსის აზრით დაგეგმვა ანუ სამეურნეო განვითარების პროგრამიერება... ნაწილობრივ მაინც გვეხმარება დისპროპორციების თავიდან აცილებაში.**

ეკონომეტრიკული შრომების ერთი ნაწილი ეთმობა მოთხოვნის შესწავლას. ამ ხასიათის მოდელები ეყრდნობიან ავსტრიული და მათემატიკური სკოლების მოთხოვნა-მიწოდების კონცეფციებს. მათი ავტორები მოთხოვნას სწავლობენ ეკონომიკური მარჟინალიზმისა და კეინსური ძირითადი

- - - - - -

* ახალი ტენდენციები თანამედროვე პოლიტიკურ ეკონომიაში, სოფია, 1965, გვ. 130-131. (რუს).

**ი. ტიუნბერგენი, ჰ. ბოსი, ეკონომიკური ზრდის მათემატიკური მოდელები, მ; 1967, გვ. 19. (რუს).



ფსიქოლოგიური კანონის გამოყენების საფუძველზე. მოთხოვნის ეკონომეტრიკულ მოდელებში ეკონომიკური პრობლემები განხილულია ზღვრული სამართლიანობის კონცეფციის პოზიციებიდან.

გამოყენებითი ხასიათის ეკონომეტრიკული მოდელების უმეტესობა ეთმობა დანახარჯებისა და პროდუქციის გამოშვების ბალანსის პრობლემებს. ანალიზი დანახარჯებისა და პროდუქციის გამოშვების ბალანსის მეთოდის მიხედვით მიზნად ისახავს ეკონომიკის სხვადასხვა დარგებს შორის წარმოებრივ-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის შესწავლას. დანახარჯები - გამოშვების მთავარი თეორეტიკოსია ნობელის პრემიის ლაურეატი ვასილ ლეონტევი.

ვასილ ლეონტიევი დაიბადა 1906 წ. პეტერბურგში. მან მოღვაწეობა დაიწყო პეტერბურგის უნივერსიტეტში. შემდეგ დისერტაციის დასამთავრებლად წავიდა ბერლინის უნივერსიტეტში. ამერიკაში იგი 1931 წ. ჩავიდა; ვ. ლეონტიევი 1946 წლიდან ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორია. დანახარჯები - გამოშვების მოდელი ვ. ლეონტიევმა 40- იან წლებში შექმნა.

ვ. ლეონტიევი თავის კვლევაში იყენებს ლ. ვალრასის ეკონომიკური წონასწორობის თეორიას.

ვ. ლეონტიევის მოდელს საფუძვლად უდევს ჭადრაკული ცხრილი, რომლის ქვემდებარეს წარმოადგენს სახალხო მეურნეობის დარგები, რომლებიც პროდუქციას აწარმოებენ, ხოლო შემასმენელია პროდუქციის მომხმარებელი დარგები. მას მოდელში გატარებულია აზრი იმის შესახებ, რომ ტექნიკური განვითარების მოცემულ დონეზე განსაზღვრული კავშირია სხვადასხვა წარმოებრივ დანახარჯებსა და აღებული დარგის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობას შორის. ეს ურთიერთდამოკიდებულება ფიქსირებულია როგორც ტექნიკური კოეფიციენტები, რომლებიც ვ. ლეონტიევის ეკონომეტრიკული მოდელის ძირითად შინაარსს შეადგენს.

ვ. ლეონტიევის მოდელი პრაქტიკულად გამოიყენეს სხვადასხვა ქვეყანაში. აშშ-ში ამ მეთოდის გამოყენებით შეისწავლეს 1919, 1929, 1939, 1947, 1958 და აშ. წლების ეკონომიკის სტრუქტურული კავშირები. თვითონ ვ. ლეონტიევი აღნიშნავს, რომ მისი მოდელი მეტი წარმატებით გამოიყენება იაპონიაში.

ვ. ლეონტიევის მეთოდს ენათესავება წრფივი პროგრამირების მეთოდი. წრფივი პროგრამირება თვალსაჩინო როლს

ასრულებს ეკონომეტრიკაში. წრფივი პროგრამირების ქვეშ იგულისხმება ისეთი სამეურნეო პროგრამის შედგენა, რომელიც არსებული რესურსებისა და ფასების პირობებში ყველაზე უფრო ოპტიმალურ შედეგებს იძლევა.

წრფივი პროგრამირების ფუძემდებელია ამერიკელი ჯ. დანცინგი. XX 40-იანი წლების დამლევს ჯ. დანცინგმა შეიმუშავა წრფივი პროგრამირების ძირითადი ამოცანის რიცხობრივი გადაწყვეტისათვის სიმპლექს-მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენებით წყვეტს იგი ეკონომეტრიკულ ამოცანებს.

ჯ. დანცინგის მიერ შედგენილი ერთ-ერთი ამოცანის შინაარსი ასეთია: ხუთი სულისაგან შემდგარი ოჯახი ცხოვრობს ოჯახის უფროსის მცირე ხელფასზე. მუდმივ ამოცანას წარმოადგენს ყოველკვირეული მენიუს შედგენა ისე, რომ სათანადოდ იყოს განხილული ოჯახის მოთხოვნილებანი და გემოვნება, ფასები პროდუქტებზე. ოჯახის უფროსმა დღეში უნდა მიიღოს 3000 კალორია, ცოლმა 1500 (დიეტაზეა გახდომისათვის). ბავშვებმა კი (3 ბავშვი) ასაკის შესაბამისად 3000, 2700 და 2500 კალორია.

ამოცანა მოითხოვს პროდუქტებზე ხუთშაბათის ფასებზე დაყრდნობით შედგეს მენიუ მინიმალური დანახარჯებით. დასაშვები პროცესები შედგება სხვადასხვა სახის პროდუქტთა ყიდვაში. პროგრამას შეადგენს სხვადასხვა პროდუქტების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება იყიდონ. შეზღუდვას ამოცანაში წარმოადგენს ოჯახის წევრთა მოთხოვნილებანი კალორიებსა და ვიტამინებში, აგრეთვე ექიმის მიერ გამოწერილი ნახშირწყლების, ცილებისა და ცხიმების რაოდენობათა ზედა და ქვედა ზღვარი, რომლებიც შეიძლება მოიხმაროს ოჯახის თითოეულმა წევრმა. ამ შეზღუდვათა დამაკმაყოფილებელ საკვებ პროდუქტთა კომბინაციის რაოდენობა დიდია. მაგრამ დასაშვები გეგმებიდან ზოგიერთი დაკავშირებულია უფრო მაღალ ხარჯებთან, ვიდრე სხვები. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოიძებნოს ისეთი კომბინაცია, რომელსაც ექნებოდა მინიმალური სრული ღირებულება.*

- - - - - -

* ჯ. დანცინგი, წრფივი პროგრამირება. მისი გამოყენება და განზოგადება. მ,. 1966, გვ. 11, (რუს).



# თავი XVIII ახალი ლიბერალური მოძღვრებები. (ნეოლიბერალიზმი)

## 1. ახალი ლიბერალიზმის (ნეოლიბერალიზმის) წარმოშობა

XX ს. ეკონომიკური აზრის ერთ-ერთ მთავარ მიმდინარეობას წარმოადგენს ახალი ლიბერალიზმი.

ეკონომისტთა ერთი ნაწილი არ დაეთანხმა კეინსელობის მოთხოვნებს და დარჩა ლიბერალიზმის პოზიციებზე. მაგრამ მათ დაინახეს, რომ ძველი ფორმით შეუძლებელი იყო ლიბერალური იდეების დაცვა. ამიტომ მოახდინეს ძველი ლიბერალური (პალეოლიბერალური) მოძღვრების რევიზია, მისი ევოლუციური განვითარების გზით.

ახალი ლიბერალიზმი წარმოიშვა XX ს. 20-იან წლებში. იგი განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. რევიზიონისტული ლიბერალიზმის სკოლები გაჩნდა გერმანიაში, საფრანგეთში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, ინგლისში, იტალიაში და სხვ.

1936 წ. თავისუფალი მეწარმეობის დამცველმა უოლტერ ლიპმანმა გამოაქვეყნა წიგნი „თავისუფალი ადამიანების საზოგადოება და თავისუფალი ქალაქი“. ამ ნაშრომში მან წამოაყენა ახალი შეხედულება სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შესახებ. იგი რჩებოდა თავისუფალ მეწარმეობის პოზიციებზე, მაგრამ ამავე დროს შესაძლებლად თვლიდა ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევას ისე, რომ ლიბერალური მეურნეობის ძირითადი პრინციპები ძალაში რჩება.

უ. ლიპმანმა მოითხოვა ეკონომიკაში ჩახელმწიფოებრივი ჩარევის ისეთი ფორმა, რომელიც თავისუფალი ბაზრის ფარგლებში უზრუნველყოფდა საბაზრო ეკონომიკას. მან დაინახა, რომ კაპიტალისტური ბაზარი, განსაკუთრებით ეკონომიკური კრიზისებისა და ომის დროს, თავისუფალი აღარ იყო. ძალთა თავისუფალი თამაში ბაზარზე - ბაზრის მექანიზმი დარღვეული იყო. მან მოითხოვა საბაზრო ეკონომიკისაკენ უკან დაბრუნება. არა „ლესე-ფერ“-ის პრინციპებით არამედ განსაზღვრული

დოზითა და მასშტაბით სახელმწიფოს ჩარევით.

1938 წ. პარიზში შედგა ეკონომიკური ლიბერალიზმის წარმომადგენელთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელზედაც განიხილეს უ. ლიპმანის აღნიშნული წიგნი. ამ შეკრებამ მიიღო ლიპმანის კოლოქვიუმის სახელწოდება. მისი მიზანი იყო „ლესე ფერ"-ის თეორიისა და პრაქტიკის გადასინჯვა. ლიპმანის კოლოქვიუმში მონაწილეობდნენ: რ. არონი, რ. ობანი, ლ. ბოდენი, რ. მარჟოლინი, ლ. რუჟიერი, ჟ. რიუეფი, ა. პიატერი, ა. დეტოფი, ბ. ლავერენი, რ. მარლიო (საფრანგეთიდან): ფ. კონდლიფი (ინგლისიდან); პალპერინი (პოლონეთიდან); ვან ზეელანდი (ბელგიიდან); ავსტრიული სკოლის წარმომადგენლები ფ. ჰაიეკი, ლ. მიზესი, ვ. რეპკე და სხვ.

ლიპმანის კოლოქვიუმი ნიშნავდა გადასვლას ძველი ლიბერალიზმიდან ახალ ლიბერალიზმზე - ნეოლიბერალიზმზე. ეკონომიკური ლიბერალიზმის თეორეტიკოსთა პარიზის საერთაშორისო შეკრებამ საჭიროდ ჩათვალა ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის პოზიტიური მოძხრეების ირგვლივ მსჯელობა.

ლიპმანის კოლოქვიუმის მონაწილე ეკონომისტებმა შეიმუშავეს ღონისძიებათა სია, რომელსაც უწოდეს „აგენდა".

„აგენდა" მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

1. სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს და დაიცვას ეკონომიკური განვითარების წესები და ჩარჩოები;
2. სახელმწიფომ არ უნდა გაატაროს ისეთი წესები, რომლებიც თავისუფალ კონკურენციასა და საბაზრო ეკონომიკას დაუპირისპირდება. ამ გზით ისინი იმედოვნებდნენ არ დაეშვათ დიქტატურის დამყარება;
3. სახელმწიფოს ჩარევა სამეურნეო ცხოვრებაში აუცილებელია მაშინ, თუ დაირღვა მოთხოვნა-მიწოდების ელასტიურობა, ე.ი. ბაზრის ავტომატიზმი. მას შემდეგ, რაც აღდგება ეკონომიკური წონასწორობა, საჭირო აღარაა სახელმწიფოს ჩარევა;
4. „აგენდა" უარყოფდა ფასებზე სახელმწიფო კონტროლს. იგი განასხვავებს ჭეშმარიტ და ფორმალურ ტაქსირებას. (ფასების დადგენას), წინააღმდეგია ჭეშმარიტი ტაქსირებისა.
5. „აგენდა" განსახვევებს საბაზრო რეგულირებას და საბაზრო წესრიგს. იგი წინააღმდეგია მეტისმეტი საბაზრო რეგულირების.*

- - - - - -

*ე. ჟამსი, XX ს. ეკონომიკური აზრის ისტორია, გვ. 229-232.



ლიპმანის კოლოქვიუმზე ჩამოყალიბებული ახალი ლიბერალური იდეები ფართოდ ვერ გავრცელდა მეორე მსოფლიო ომის წინ. ისინი უნიადაგოდ დარჩა ომის პერიოდში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა ლიპმანის ნეოლიბერალიზმის ევოლუცია და ფართოდ გავრცელება.

## 2. ნეოლიბერალიზმის გავრცელება გფრ-ში

მეორე მსოფლიო ომის შმდეგ ახალი ლიბერალიზმის მოძღვრება ყველაზე ფართოდ გავრცელდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ამ ქვეყანაში მისი საბოლოოდ გაფორმება ნაცისტების გაფორმების შემდეგ მოხდა.

ჰიტლერული რეჟიმის დროს ლიბერალიზმის იდეები გავრცელებას ვერ პოულობდა გერმანიაში. უფრო მეტიც ჰიტლერელები მხარს უჭერდნენ ჯ. კეინსის რეგულირებადი კაპიტალიზმის იდეას. მათ გერმანულად თარგმნეს და 1937 წ. ი. შახტის რედაქციით გამოაქვეყნეს ჯ. კეინსის მთავარი ნაშრომი „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია". მასზედ დაყრდნობით ჰიტლრელებმა შეიმუშავეს სახალხო მეურნეობის განვითარების ოთხწლიანი გეგმა. მაგრამ ომში ფაშიზმის დამარცხებამ. გერმანელი ხალხის თვალში სახელი გაუტეხა კეინსურ დირიჟისტულ ღონისძიებებს. ამან პოხიერი ნიადაგი შექმნა ნეოლიბერალური მოძღვრების გადასაქცევად გფრ-ის ოფიციალურ სახელმწიფო დოქტრინად.

გერმანელმა ნეოლიბერალებმა კრიტიკა დაუწყეს ტოტალიტარიზმის იდეებს და დაიწყეს თავისუფალი მეწარმეობის, ეკონომიკური თავისუფლების იდეებით გამოსვლა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნეოლიბერალიზმის მთავარ თეორეტიკოსებს წარმოადგენდნენ ვ. ოიკენი, ვ. რიოპკე, ლ. ერჰარდი და სხვ.

ვალტერ ოიკენმა ჯერ კიდევ 30-იან წლებში ფრაიბურგის უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა ეკონომისტთა ჯგუფი, რომელმაც დაიწყო ეკონომიკური ლიბერალიზმის რევიზია. ამ ჯგუფმა მიიღო „ფრაიბურგის წრის" სახელწოდება. მასში შედიოდნენ: ვ. ოიკენი, ჰ. დოერტი და ფ. ბემი. წრეში შემდეგ გაერთიანდნენ: ლ. მიკში, კ. მაიერი, ა. რიუსტოვი, კ. ჰენზელი, ვ. ოიკენ-ერდზიკი (ვ. ოიკენის მეუღლე) და სხვ.

„ფრაიბურგის წრესთან" ურთიერთობა ჰქონდა „ნიუნბერგის

წრეს“, რომელსაც ვ. ფერშოფენი მეთაურობდა, ხოლო ლ. ერჰარდი - ამ წრის წევრი იყო.

ახალი ლიბერალიზმის გერმანული სკოლა საბოლოოდ მას შემდეგ ჩამოყალიბდა როდესაც 1948 წ. ვ. ოიკენისა და ფ. ბემის მეთაურობით შექმნილი იქნა თეორიული ორგანო „ორდო-წელიწდეული“.* „ორდო“ არის წელიწდეული ეკონომიკისა და საზოგადოებრივი წყობილების შესახებ. „ორდოს“ გარშემო შემოკრებილნი არიან სხვადასხვა ქვეყნის ნეოლიბერალები. „ორდოს“ საშუალებით ისინი ეწევიან ლიბერალური იდეების პროპაგანდას.

დასავლეთგერმანული ნეოლიბერალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ვალტერ ოიკენი (1891-1950).

ვ. ოიკენი მრავალი შრომის ავტორია, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი: „კრიტიკული მოსაზრებანი გერმანიაში ფულის პრობლემებზე“; სახელმწიფოს სტრუქტურული ცვლილებანი და კაპიტალიზმის კრიზისი“; „რისთვის ნაციონალეკონომია?“; „ნაციონალეკონომიის საფუძვლები.“ „ჩვენი თაობის მარცხი“; „ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები“ და სხვ. ამ ნაშრომებში ცენტრალური ადგილი უკავია მოძღვრებას „მეურნეობის იდეალური ტიპების შესახებ“.

ვ. ოიკენი განასხვავებდა მეურნეობის ორ იდეალურ ტიპს: „საბაზრო მეურნეობასა“ და „ცენტრალურ-მართულ მეურნეობას“. კერძო საკუთრებაზე დამაყარებული საქონელწარმოება, რომელიც ბაზრის მექანიზმის მეშვეობით წარიმართება წარმოადგენს თავისუფალ საბაზრო მეურნეობას. ხოლო მონათმფლობელური ლატიფუნდიები, ფეოდალური მეურნეობა, ნაცისტური ტოტალიტარიზმი და გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკა, - ვ. ოიკენის თქმით, - მიეკუთვნება „ცენტრალურ-მართულ მეურნეობას“. ვ. ოიკენი ამ უკანასკნელის ორ ფორმას გაჰარჩევს: ცენტრალურ-მართული მეურნეობა. 1. წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებით და 2. წარმოების საშუალებებზე კოლექტიური საკუთრებით.

ვ. ოიკენი, მეურნეობის ორი იდეალური ტიპიდან, უპირატესობას აძლევს თავისუფალ საბაზრო მეურნეობას. მას უწოდებს ნეოლიბერალურ „მესამე გზას“, რომელიც არც კაპიტალისტურია

- - - - -

*გ; ჭანუყვაძე, ბურჟაუზიულ ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. 2, თბ., 1968, გვ. 261.



და არც სოციალისტური. მის თქმით იგი წარმოადგენს ეკონომიკური ჰუმანიზმისა და ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმის გამოხატულებას.

### ა/ სოციალური საბაზრო მერნეობის თეორია

საბაზრო მეურნეობის ერთ-ერთ საყურადღებო ვარიანტს წარმოადგენს სოციალური საბაზრო მეურნეობის მოდელი. ტერმინი „სოციალური მეურნეობა“ პირველად იხმარა გერმანელმა ეკონომისტმა ალფრედ მიულერ-არმარკმა. 1848 წ. მან გამოაქვეყნა წიგნი „სამეურნეო მართვა და საბაზრო მეურნეობა“. ა.მიულერ-არმარკმა წინა პლანზე დააყენა ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა და ამ გზით მიიღო „სოციალური საბაზრო მეურნეობა“. სოციალური საბაზრო მეურნეობა პალეოლიბერალიზმისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი ცნობს სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევას, რეფორმებისა და სოციალური ღონისძიებების გატარებისათვის.

საბაზრო მეურნეობაში ჩამატებული სიტყვა „სოციალური“ მიანიშნებს სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის დოზას, ფორმასა და მასშტაბს.

სოციალური საბაზრო მეურნეობის ერთ-ერთ მთავარ დამცველსწარმოადგენს ცნობილი გერმანელი ეკონომისტი ლუდვიგ ერჰარდი (1897-1977).

ლ. ერჰარდი წარმოადგენს წიგნების „გერმანიის დაბრუნება მსოფლიო ბაზარზე“; „კეთილდღეობა ყველასათვის“ და „გერმანიის ეკონომიკური პოლიტიკა. სოციალური საბაზრო მეურნეობის გზა“ ავტორს.

სოციალური საბაზრო მეურნეობის თეორიასა და პრაქტიკას ლ. ერჰარდი თვლიდა მთელი საზოგადოების კეთილდღეობის, საყოველთაო კეთილდღეობის წყობილების შექმნის აუცილებელ პირობად.

სოციალური საბაზრო მეურნეობის პრაქტიკული განხორციელების შედეგად, ირწმუნებოდა ლ. ერჰარდი, გფრ-ის თანამედროვე კაპიტალიზმმა შეიცვალა თავისი არსი, გახდა სახალხო კაპიტალიზმი, რომელშიც ხდება საკუთრების დაქსაქსვა და კაპიტალის დემოკრატიზაცია, სამუდამოდ აღმოიფხვრა ეკონომიკური კრიზისები, გაქრა კლასები და კლასობრივი

წინააღმდეგობანი.*

ლ. ერჰარდი და მისი მიმდევრები აღნიშნავენ: სოციალური საბაზრო მეურნეობა წარმოადგენს ეკონომიკური დემოკრატიის ცხოვრებაში გატარებასო, ხოლო გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკა (ცენტრალურ-მართული მეურნეობა) პიროვნების თავისუფლების უარყოფასო. მათი აზრით მოგებას ქმნის შეჯიბრებაზე დამყარებული თავისუფალი საბაზრო მეურნეობა. ასეთი მეურნეობის პირობებში, მათი აზრით ფაქტიურად აღმოფხვრილია მონოპოლიების ძალაუფლება.

ლ. ერჰარდმა სოციალური საბაზრო მეურნეობის განვითარება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ეტაპებად დაჰყო. პირველი ეტაპი მოიცავდა 1948-1957 წლებს, ხოლო 1957 წლიდან დაიწყო მეორე ეტაპი.

უნდა ითქვას, რომ სოციალური საბაზრო მეურნეობის თეორიამ ჰპოვა გფრ-ის სწრაფი ალმავლობის პირობებში, XXს. 50-იან წლებში, რომელიც დასავლეთგერმანულ ეკონომიკურ სასწაულად იწოდებოდა. ლ. ერჰარდმა ეს წარმატებები მთლიანად მიაწერა თავისი თეორიის პრაქტიკულ რეალიზაციას. მაგარამ 60-იან წლებში მდგომარეობა შეიცვალა და გფრ-ის ეკონომიკური განვითარების ტემპები მნიშვნელოვნად დაეცა. სამრეწველო პროდუქციის წლიურმა ზრდამ წინა წელთან შედარებით პროცენტულად შეადგინა: 1960 წ. 11,2; 1961-5,7; 1962-4,3; 1963-3,8; 1964-8,0; 1965-5,6; 1966-1,8**. 1966 წ. უკანასკნელ კვარტალში გფრ-ში ეკონომიკური კრიზისი დაიწყო.

შექმნილმა მდგომარეობამ განაპირობა დასავლეთ-გერმანული ნეოლიბერალიზმის კრიზისი. ამ ფონზე მკვეთრად გამოჩნდა მთელი ნეოლიბერალური მოძღვრების კრიზისი. იგი წარმოადგენდა ნეოკეინსური იდეების გავლენის ზრდის ანარეკლს.

ლ. ერჰარდი, რომელიც იმ პერიოდში გფრ-ის კანცლერი იყო (1963-1966 წ. წ.) მდგომარეობის ხსნას შეეცადა ახალი კონცეფციის წამოყენებით. თავისი მრჩევლებისა და თანამო-

- - - - - -

*თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტების (ჯ. ჰელბრეითის, გ. მიურდალის, ლ. არჰარდის) თეორიების კრიტიკა, მ., 1971, გვ. 155. (რუს).

** კაპიტალისტური და განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა 1968 წ. და 1969 წ. დასაწყისის მიმოხილვა, მ., 1969, გვ. 9 (რუს).



აზრეების მხარდაჭერით მან ჩამოაყალიბა „ფორმირებული საზოგადოების“ კონცეფცია.

## ბ/ ფორმირებული საზოგადოების კონცეფცია*

ფორმირებული საზოგადოების კონცეფცია 1965 წელს წამოაყენეს დასავლეთ გერმანელმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა და ეკონომისტებმა. 1965 წ. 31 მარტს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის XI. ყრილობაზე ქ. დიუსელდორფში გფრ-ის მაშინდელმა კანცლერმა ლუდვიგ ერჰარდმა ეს კონცეფცია სამთავრობო პროგრამად გამოაცხადა.** ეს თეორია შემდეგ განავითარა 1965 წლის 10 ნოემბერს ბუდენსტაგის წინაშე გაკეთებულ სამთავრობო მოხსენებაში. „ფორმირებული საზოგადოების“ კონცეფცია შემდგომ განავითარეს აგრეთვე, 1965 წ. ჰამბურგსა და ბად-გოდესბერგში გმართულ ყრილობაზე მსხვილმა მრეწველებმა, ბანკირებმა და სხვ. გეზელშაფტს პოლიტიშე კომენტარემ“ 1965 წ. ივლისის ნომერში „ფორმირებული საზოგადოების კონცეფცია 12 თეზისის სახით გადმოსცა.***

ამ კონცეფციის ძირითადი დებულებები განავითარეს დასავლეთ გერმანელმა ეკონომისტებმა: ა. გელენმა, ე. ფოგელინმა, გ. ბრიფსმა. ა. მოლერმა და სხვ. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ ფორმირებული საზოგადოების კონცეფციის განხორციელება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას მიიყვანს დინამიური, შემოქმედებითი, თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების შექმნამდე.****

ფორმირებული საზოგადოების ეკონომიკურ საფუძვლად მიჩნეული იყო სოციალური საბაზრო მეურნეობა, სადაც მოგება

- - - - - - -

*ჯ. ხარიტონაშვილი, „ფორმირებული საზოგადოების კონცეფცია და მისი კრიტიკა, ჟურნ. „ეკონომისტი“, 1975, №4.

**ლ. ერჰარდი, „პროგრამა გერმანიისათვის“, იხ. ჟურნ. „გეზელშაპფტსპოლიტიშე კომენტარე“, ბონი, 1965, №7. (გერმ).

**ვ. რიკი, ლ. მუტცე, რ. ვილჰელმი, ფორმირებული საზოგადოების 12 თეზისი, იხ. გეზელშაფტსპოლიტიშე კომენტარე“, ბონი, 1965, № 13/14. (გერმ.)

****იხ. „გეზელშაფტს პოლიტიშე კომენტარე“, ბონი, 1965, № 13/14, გვ. 14. (გერმ).

წარმოების მთავარი მიზანია. ბაზარი გადამწყვეტ როლს ასრულებს, საბაზრო პროცესები საერთო კეთილდღეობას ემსახურება. ფორმირებული საზოგადოება, მისი ავტორების მტკიცებით, აღარ შედგება რაიმე კლასების ანდა ჯგუფებისაგან, რომლებიც ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნებს გამოხატავენ, არამედ ყველა ჯგუფისა და ინტერესის ურთიერთმოქმედებას ემყარება.*

„ფორმირებული საზოგადოების" თეორეტიკოსების მტკიცებით კაპიტალიზმის განვითარება სამ ფაზას მოიცავს: 1. „XIX საუკუნის კლასობრივი საზოგადოება" 2. „პლურალისტური საზოგადოება", 3. „ფორმირებული საზოგადოება". მათი აზრით, პირველ ფაზაში ჯერ კიდევ არსებობს მოწინააღმდეგე კლასები და კლასობრივი ბრძოლა, მეორე ფაზაში, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დადგა, კლასებს შორის ბრძოლა წყდება. კლასობრივი საზოგადოების ადგილზე წარმოიშობა „პლურალისტური საზოგადოება, ანუ კავშირებში ორგანიზებული განმტკიცებული ჯგუფები, რომლებიც მეწარმეთა ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისაგან შედგება.** ამ ორგანიზაციებს შორის წარმოებს ბრძოლა, მაგრამ იგი მიმდინარეობს არა კაპიტალიზმის შენარჩუნების, ანდა მოსპობისათვის, არამედ არსებული საზოგადეობის ჩარჩოებში ეროვნული შემოსავლის განაწილებისათვის. განმტკიცებული ჯგუფები ესწრაფვიან ხელში ჩაიგდონ საზოგადოებრივი პროდუქტის რაც შეიძლება მეტი წილი.***

მესამე ფაზა-ფორმირებული საზოგადოება, მისი დამცველების თქმით, დადგა *XX* ს. 60-იანი წლების შუახანებში. მისი შექმნა შესაძლებელი გახდა ეკონომიკური სასწაულის განვლის შემდეგ. მისი განმასხვავებელი ნიშანია ინტერესთა სრული ერთიანობა, საზოგადოების ყველა წევრის ორიენტაცია საყოველთაო კეთილდღეობაზე. ამ ეტაპზე ქრება წინააღმდეგობა სხვადასხვა ჯგუფის ინტერესებს შორის, ხოლო პლურალიზმი ადგილს უთმობს ფორმირების პროცესს, ე. ი. ისეთი საზოგადოების შექმნას,

- - - - - - -

*იხ. „გეზელშაფტსპოლიტიშე კომენტარე", ბონი, 1965 №7, გვ. 74. (გერმ).

**ვოლფ-დიტერ ნარი, პლურალისტური საზოგადოება ჰანოვერი, 1969, გვ. 19. (გერმ).

***იხ. „გეზელშაფტსპოლიტიშე კომენტარე", ბონი 1965, №13/14, გვ. 158. (გერმ).



რომელშიც საყოველთაო კეთილდღეობას ექვემდებარება ყველა კლასი. ფენა და ჯგუფი. ფორ მირებული საზოგადოება მისი ავტორების მტკიცებით, წარმოადგენს ცალკეული ინტერესების საერთო ინტერესებისადმი სრული დაქვემდებარების პროცესის უმაღლეს წერტილს. ამასთან ფორმირებული საზოგადოება წარმოიშობა არა უეცარი რევოლუციის გზით, არამედ ხანგრძლივი ევოლუციური პროცესის შედეგად. „ჩვენი საზოგადოება - წერდა ლ. ერჰარდი, - ფორმირდება, ესე იგი იმყოფება განვითარების პროცესში, რომელშიც იგი სრულიად განსაზღვრულ, დამთავრებულ ფორმას შეიძენს.*

ფორმირებული საზოგადოების ფუნქციონირების აუცილებელ წანამძღვარს, მისი ავტორების განსაზღვრით წარმოადგენს გერმანული დემოკრატიის რეფორმა.

მე-7 თეზისში მითითებულია, რომ „ფორმირებული საზოგადოება წარმოადგენს თავისუფალ დემოკრატიულ საზოგადოებას"**. დემოკრატიის რეფორმის მიზანს წარმოადგენდა „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფოს განთავისუფლება ჯგუფური ინტერესების გავლენისაგან.***

დემოკრატიის რეთორმის საფუძვლად ლ. ერჰარდი თვლიდა ფინანსურ რეფორმას, რომელიც ითვალისწინებდა ფინანსური საშუალებების გადანაწილებას საერთო სახელმწიფო ფონდის სასარგებლოდ. ეს ფონდი ითვალისწინებდა გასავლების დაფინანსებას ინფრასტრუქტურაზე: საქალაქო და გზათა მშენებლობაზე, ჯანდაცვაზე, სახალხო განათლებაზე და სხვ.

ფორმირებული საზოგადოების შექმნა ითვალისწინებდა ახალი საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებასაც. მისი ავტორების მტკიცებით „ფორმირებული საზოგადეობა წარმოადგენს მკაფიოდ გამოხატული ერთიანი საზოგადოებრივი

- - - - -

*იხ. „გეზელშაფტსპოლიტიშე კომენტარე", ბონი 1965, №13/14, გვ. 158. (გერმ).

**ფორმირებული საზოგადობის თეზისები, იხ. „გეზელშაფტსპოლიტიშე კომენტარე", ბონი, 1965, №13/14 (გერმ).

***კარლო მოტელი, საზოგადოება, სახელმწიფო და მეურნეობა სოციალური საბაზრო მეურნეობიდან ფორმირებული საზოგადოებისაკენ - ორდო. წელიწდეული ეკონომიკისა და საზოგადოებრივი წყობილების შესახებ. ტ. 17. დუსელდორფი და მიუნხენი, 1966, გვ. 233-234 (გერმ).

ცნობიერების სისტემას. „ერთიანი ცნობიერება კი გადამწყვეტ მომენტს წარმოადგენს, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების გაერთიანებას.*

ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების გატარებამ სასურველი შედეგები ვერ მოიტანა. მათ ვერ დაძლიეს ნეოლიბერალური მოძღვრების კრიზისი. 1966 წ. პროფესორი ლ. ერჰარდი იძულებული გახდა გადამდგარიყო გფრ-ის კანცლერის პოსტიდან.

ლ. ერჰარდის შემდეგ ფორმირებული საზოგადოების იდეის დაცვას შეეცადნენ დასავლეთ გერმანელი სოციალ დემოკრატები ფ. ერლერი, ვ. ბრანდტი, გ. ლებერი, კ. შმიდი, ჰ. ვენერი, ჰ.შმიდტი და სხვ. მათ ჩამოაყალიბეს ფორმირებული საზოგადოების საკუთარი ვარიანტი, რომელსაც თავისუფალ ანუ სრულყოფილ (მომწიფებულ) საზოგადოებას უწოდებდნენ. მათი განმარტებით „სრულყოფილი საზოგადოება, თავისუფალი - დემოკრატიული წყობილებაა".** ჩვენ გვინდა, - წერს გ. ლებერი, - დინამიური, მრავალფეროვანი საზოგადეობა. ჩვენ გვინდა საზოგადოება თავისუფალი, სრულყოფილი, განათლებული და უნარიანი მოქალაქეებით. ჩვენ გვინდა სახელმწიფო, რომელიც დაემყარება სამ პუნქტზე: თავისუფლებაზე, ფორმირებასა და საკუთრებაზე.***

ფორმირებული საზოგადოების თეორიტიკოსებმა მრავალი ცდის მიუხედავად მაინც ვერ შეძლეს ნეოლიბერალიზმის დაღმასვლის შეჩერება გფრ-ში. XX ს. 60-იანი წლების მეორე ნახევარში სულ უფრო ნათლად გამოიკვეთა ნეოკეინსური მოძღვრების ზეწოლა დასავლეთგერმანულ ეკონომიკურ აზრზე.

- - - - -

*თეზისები ფორმირებული საზოგადოების შესახებ, იხ. „გეზელშაფტსპოლიტიშე კომენტარე", ბონი, 1965, № 13/14 (გერმ).

**ვ. პუტერი, ჰ. კოლბე, სლპ კონცეფცია სრულყოფილი საზოგადოების შესახებ, იხ. „დვი ბერიჰტე", ბერლინი, 1967, № 1, გვ. 15-18. (გერმ).

*** სრულყოფილი საზოგადოება, ჰანოვერი, 1967, გვ. 62 (გერმ.)



### გ/ გლობალური რეგულირების კონცეფცია

XX ს. 60-70-იან წლებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტრუქტურული პოლიტიკა წინანდელისაგან განსხვავდებოდა თავისი გლობალური ხასიათით. ეს დაკავშირებული იყო არა მარტო თეორიაში, არამედ პრაქტიკაშიც ნეოლიბერალიზმიდან ნეოკეინსურ კონცეფციებზე გადასვლასთან. ამან კონკრეტული გამოხატულება ჰპოვა კანონში სტაბილიზაციის შესახებ. 1966-1967 წ წ. ეკონომიკურმა კრიზისმა აჩვენა, რომ წინანდელი სტრუქტურული და რეგიონალური პოლიტიკა უძლური აღმოჩნდა თავიდან აეცილებინა ეკონომიკური მერყევა. ამასთან დაკავშირებით ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა, სოციალ-დემოკრატმა კარლ შილერმა წამოაყენა გლობალური რეგულირების იდეა.

გლობალური რეგულირების იდეა კ. შილერის მიერ წამოყენებულ იქნა „დიდი კოალიციის" (ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი-გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია) მთავრობის დროს, მაგრამ ამ პოლიტიკაზე უარი არ უთქვამს „მცირე კოალიციის მთავარობასაც (გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია - თავისუფალი დემოკრატიული პარტია).

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ დამუშავებული გსდპ ეკონომიკური-პოლიტიკური ორიენტაციის პროექტი 1973-1985 წ. წ.-ში* ითვალისწინებდა სახელმწიფო ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ღონისძიებების ფართო წრეს, რომელიც ისწრაფვოდა შინაგანი რეფორმების დახმარებით გამოსავალი ეპოვა კაპიტალისტური წინააღმდეგობებიდან.

გლობალური რეგულირების განხორციელების მიზნით, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გატარებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც მიმართული იყო ეკონომიკისა და ფინანსების რეგულირებისაკენ.

გლობალური რეგულირების შილერისეული გეგმა მიმართული იყო „მაგიური ოთხკუთხედის" ამოცანის გადაჭრისაკენ. ესენია: 1. საგარეო-ეკონომიკური წონასწორობის მიღწევა; 2.

- - - - - -

* გსდპ. ეკონომიკურ-პოლიტიკური ორიენტაციის პროექტი 1973-1985 წ.წ. ბონი - ბად-გოდესბერგი, 1972. (გერმ).

სრული დასაქმება; 3. ფასების სტაბილიზაცია; 4. ეკონომიკური ზრდა

მილერისეული გლობალური რეგულირების გეგმა ღონისძიებებისა და მეთოდების სულ ღოტა ოთხ კომპლექსს მოიცავდა:*

1. ანტიციკლურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ემყარებოდა, როგორც ფულად-საკრედიტო, ისე ფინანსური პოლიტიკას; ეს ღონისძიებები ითვალისწინებდა დეფიციტურ დაფინანსებას, მრავალი კონიუნქტურული ფონდის შექმნას, ცვლილებას საგადასახადო პოლიტიკაში.

2. საშუალვადანი ფინანსური დაგეგმვა. ფინანსური გეგმები მოძრავია, ისინი გადაისინჯებოდა ყოველ წელს და კვლავ მტკიცდებოდა ხუთი წლისათვის. მაგალითად პირველი გეგმა მიღებული იქნა 1967-1971 წ. წ. შემდეგ 1968-1972 წ. წ. და ა. შ.

3. სახელმწიფო ინდკატურის საერთო გეგმის შედგენა. ეს საერთო გეგმა მოიცავს მიზნობრივ პროექციებსა და საორიენტაციო მონაცემებს. როგორც საშუალოვადიანი ფინანსური გეგმა, საერთო გეგმაც ხუთი წლისათვის დგება. ეს გეგმაც მოძრავია, ე. ი. კორექტირებას განიცდის ყოველ წელს. გეგმა მონაცემებს იძლევა ორიენტაციისათვის ეროვნული პროდუქტის მოსალოდნელი მატების, მისი განაწილების სტრუქტურული ცვლილების შესახებ. გეგმის მიზნობრივი პროექცია ითვალისწინებს, აგრეთვე ფასების შესაძლებელ ცვლილებებს, საგარეო ეკონომიკურ პირობებს.

4. „კონცერტული მოქმედება“ ხელფასით მეწარმეებსა და პროფკავშირებს შორის ურთიერთობაში. „კონცერტული მოქმედების“ მიზანია შეასუსტოს შრომასა და კაპიტალს შორის წინააღმდეგობა, მიაღწიოს იმას, რომ პროფკავშირებმა შეასუსტონ ხელფასის გადიდების მოთხოვნები და ხელფასები შეუგუონ ეკონომიკურ კონიუნტურას.

გლობალური რეგულირების მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენდა საშუალოვადიანი ფინანსური დაგეგმვა, რომელშიც აქცენტი კეთდებოდა სამხედრო ხარჯებზე, მეცნიერულ კვლევაზე, განათლებასა და ტრანსპორტის პრობლემებზე. ზრდის ყველაზე სწრაფი ტემპი გათვალისწინებულია ხარჯებზე,

- - - - - -

*კლაუს ო. ვ. მიულერი, ნეოკეინსელობა, ბერლინი 1972, გვ. 193-1294 (გერმ.)



რომლებიც მეცნიერულ გმოკვლევებს ხმარდება.

## დ/ ნეოლიბერალიზმიდან ნეოკეინსელობისაკენ

ომისშემდგომი გერმანიის ეკონომიკური აზრის თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ თუ ნეოლიბერალიზმი შეიძლება ჩაითვალოს გერმანულ ფენომენად, მაშინ ნეოკეინსელობა მნიშვნელოვანი ზომით ნასესხები იქნა ანგლოსაქსური ქვეყნებიდან.

გერმანელმა ეკონომისტებმა ე. შნაიდერმა და ვ. ჰოფმანმა ბევრი დრო და ენერგია დახარჯეს რათა პოპულარული გაეხადათ ქვეყანაში ნეოკეინსელობა.

ნეოკეინსელობის შეღწევამ და ნეოკეინსელობის ჩამოყალიბებამ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ორი ეტაპი განვლო. 1. XX ს. 50-იანი წლების შუახანებამდე; 2. 50-იანი წლების შუახანებიდან 70-იანი წლების შუახანებამდე.

პირველი პერიოდი ხასიათდებოდა მხოლოდ კამათით კეინსის შესახებ. მეორე პერიოდში მოხდა კეინსელობის დამტკიცება ეკონომიკური აზრის ერთ-ერთ მიმართულებად.

1952 წ. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ხელახლა გამოიცა ჯ. კეინსის მთავარი ნაშრომი „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“. 50- იან წლებში გერმანულ ენაზე გამოიცა პ. სამუელსონის მონოგრაფია. ე. შნაიდერმა კეინსური იდეებით გაჟღენთილი სამტომიანი ნაშრომი, ხოლო ა. პაულსონმა ოთხტომიანი.

60-იანი წლების დასაწყისიდან ნეოკენისური მიმდინარეობის მომხრეებმა მოითხოვეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის გაძლიერება. მსჯელობა დაიწყეს პროგნოზიორებისა და დაგეგმვის აუცილებლობის შესახებ. 1964 წ. ქვეყანაში ორი დისკუსია ჩატარდა: ერთი - „ლისტის საზოგადოების“ მიერ თემაზე „დაგეგმვა გეგმური მეურნეობის გარეშე“, მეორე - „ბერგედორფის წრის“ მიერ თემაზე „დაგეგმვა თავისუფალ საბაზრო მეურნეობაში“.

„ბერგედორფის წრის“ დისკუსიაში გამოსულმა შვეიცარიელმა ეკონომისტმა ე. სალინმა მიუთითა რიგ სფეროებზე, სადაც დაგეგმვა სახელმწიფოს ამოცანას წარმოადგენს და იმპერატიულ ხასიათს უნდა ატარებდეს. რაც შეეხება დარგებს სადაც კერძო კაპიტალი ბატონობს (მრეწველობა, ვაჭრობა, საკრედიტო

სისტემა, მომსახურების სფერო) აქ მხოლოდ ინდიკატიური დაგეგმვა შეიძლება იყოს.

„ლისტის საზოგადოებისა“ და „ბერგედორფის წრის“ მიერ დაწყებული დისკუსია გაგრძელებული იქნა 1966 წ. „სოციალური პოლიტიკის საზოგადოების“ მიერ. ამ დისკუსიაზე გამოსული ჰ.არნდტი თავის მოხსენებაში „დაგეგმვა როგორც საბაზრო ეკონომიკის პრობლემა“ აღნიშნავდა, რომ საბაზრო მეურნეობა ორიენტირდება მხოლოდ მოგებაზე და განვითარებისათვის საჭირო სამეურნეო სტრუქტურას ვერ უზრუნველყოფს; კონკურენციულ ბრძოლას კი ყოველთვის არ მივყავართ წარმოების ეფექტურობის ამაღლებისაკენო. ჰ. არნდტი მიუთითებდა, რომ კონკურენციული ბრძოლებიდან აღმოცენდებიან მონოპოლიები, რომლებიც საბაზრო მექანიზმს არღვევენო. იგი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ საზოგადოებრივი კაპიტალის ინტერესები წინააღმდეგობაში მოდიან ინდივიდუალური კაპიტალების ინტერესებთან, ამან კი შეიძლება კრიზისი წარმოშვასო.

ჰ. არნდტი ძალიან ფრთხილად ეკიდებოდა დაგეგმვის აუცილებლობას. იგი მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო და მეურნეობა ჯერ კიდევ მზად არ იყო ამ ღონისძიებებისათვის.

ნეოკეინსელების ერთ-ერთი ბურჯი გფრ-ში ე. შნაიდერიც აღნიშნულ დისკუსიაზე გამოსვლისას ასაბუთებდა სახელმწიფოებრივი დაგეგმვის აუცილებლობას ორ ასპექტში: იმპერატიულს სახელმწიფო სექტორში და ინდიკატურს კერძოში.*

აღნიშნულმა დისკუსიებმა ხელი შეუწყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ეკონომიკური ზრდის ნეოკეინსური მიმდინარეობის ჩამოყალიბებას. 70-იან წლებში გფრ-ში გამოჩნდნენ ეკონომიკური ზრდის საკუთარი ეკონომისტები: ე. პრაიზერი, გ. გირში, კ. ჰოფმანი, კ. ვაიცზეკერი, ა. ოტი, ე. ჰელმშტელტერი გ. კიონგი ვ. კრაუზი, გ. როზე, ვ. მელერი, ვ. მაინჰოლდი, ე. ნიჰანსი და სხვ. ეს ეკონომისტები ცდილობდნენ დაემუშავებინათ თანაბარზომიერი ეკონომიკური ზრდის მოდელი. ისინი იძლეოდნენ სახელმწიფოებრივი დაგეგმვის რეცეპტებს. მათ ნაშრომებში დიდი ადგილი ეკავა ეკონომიკური პროგნოზირების საკითხებს.

70-იან წლებში ეკონომიკური განვითარების პროგნოზებზე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მრავალი სამეცნიერო

\- - - - - -

*იხ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა“, მ., 1973, გვ. 218-221 (რუს).



კვლევითი ინსტიტუტი მუშაობდა. მაგალითად, ქ. კილის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტი, დიუსელდორფის ეკონომიკურ მეცნიერებათა პროფკავშირული ინსტიტუტი, ჰამბურგის ეკონომიკური პროგნოზების სპეციალური ინსტიტუტი და სხვ. გარდა ამისა, გფრ-ის სპეციალურ დაკვეთებს ამუშავებდა ბაზელის პროგნოზების სააქციო საზოგადოება.

### ე/ ნეოლიბერალიზმის აღორძინება XX ს. 80-იან წლებში

გერმანელი ნეოკეინსელების ცდებმა უზრუნველყოთ წარმოების ზრდის მყარი ტემპი სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ამის ლოგიკურ შედეგად მარცხი განიცადეს ბურჟუაზიულ რეფორმისტული კეინსური მიმრათულების თეორიებმა, რომელთა დახმარებითაც მათი თეორეტიკოსები XX ს. 30-იანი წლების დიდი დეპრესიის შემდეგ ცდილობდნენ კაპიტალიზმის გაჯანსაღებას.

ამახ განაპირობა თავისუფალი მეწარმეობის პრინციპის ხელახელი აღორძინება. მას უწოდებდნენ ნეო-ნეოლიბერალიზმს.

ნეოკლასიკური მიმართულების ეკონომისტები ამჯობინებენ წმინდა ნატურალურ ანალიზს შემფასებლური დასკვნების გარეშე. ეს ეკონომისტები კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის დაცვას ეწევიან სხვა მხრიდან - საერთო საბაზრო წონასწორობის თეორიის მხრიდან.

ნეოკეინსური ეკონომიკური მოძღვრების სხვადასხვა განშტოებებს შორის წარმოიშვა ეკონომისტთა ჯგუფები, რომლებიც შემობრუნდნენ წმინდა თეორიიდან მთლიანად კაპიტალიზმის პროგრესულობის მტკიცებისაკენ. ასეთი მტკიცების ამოსავალი ბაზა გახდა 70-იანი წლების მეორე ნახევრის ეკონომიკური კონიუნქტურა, როდესაც კაპიტალიზმმა დაიწყო

1974–1975 წ. წ. კრიზისიდან გამოსვლა.

ამ პერიოდში მონოპოლისტურმაკორპორაციებმა დააჩქარეს ისეთი დარგების განვითარება, რომლებიც ყველაზე მეტ მოგებას იძლეოდნენ. ხოლო ნეოკლასიკური მიმართულების წარმომადგენლები განაგრძობდნენ კაპიტალისტური ეკონომიკის გამძღოლის ოპტიმალური ვარიანტის ძიებას.

გფრ-ის კანცლერის პოსტზე ჰ. კოლის მისვლის შემდეგ (1979 წ.) მოხდა თავისუფალი მეწარმეობის ფართო გაქანება. ახალი ნეოლიბერალიზმი არა მარტო გერმანიაში ბატონობდა, არმედ გავრცელდა ინგლისში, აშშ-ში და სხვაგან. ინგლისში იგი ცნობილია „ტეტჩერიზმის“ ხოლო ამერიკაში „რეიგანეკონომიკის“ სახელწოდებით.რეიგანეკონომიკა მოიცავდა ეკონომიკური პოლიტიკის შემდეგ ოთხ მიმართულებას:

1. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ზრდა შეჩერდა სოციალური ცხოვრების დონის შენარჩუნების პროგრამებზე დანახარჯების შემცირებისა და გაყინვის ხარჯზე. ამასთან თავდაცვის ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

2. მნიშვნელოვნად შემცირდა კერძო მეწარმეობის სახელმწიფოებრივი რეგულირების მასშტაბები.

3. ადმინისტრაცია ფედერალურ სარეზერვო სისტემას სტიმულს აძლევდა ფულადი მასის ზრდის ტემპი არაინფლაციურ დონეზე შეენარჩუნებინა, რომელიც საკმარისი იქნებოდა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

4. 1981 წლიდან დაწყებული პირადი საშემოსავლო გადასახადისა და კორპორაციათა მოგების გადასახდელის განაკვეთები მკვეთრად შემცირდა. 1987 წ. საგადასახადო სისტემა იმნაირად იქნა რეფორმირებული, რომ გადასახადის ზღვრული განაკვეთი შეძლებული გადამხდელებისათვის 50–დან 28% მდე დაეცა.

1981 წ. კანონის ძირითადი დებულებები მოიცავდა: 1/ პირადი საშემოსავლო გადასახადის 25%–იან შემცირებას სამი წლის განმავლობაში; 2/ კაპიტალის ზრდაზე გადასახადის განაკვეთების შემცირებას და 3/ გადასახადებთან შედარებით ახალ შენობებსა და ნაგებობებზე მეწარმეთა დანახარჯების დაჩქარებულ ჩამოწერას. ამ ღონისძიებათა მიზანი იყო საგადასახადო „სოლის“ შემცირება და რაც ყველაზე მთავარია, შრომის დაზოგვისა და ინვესტირებისადმი სტიმულირების განმტკიცება – აღნიშნავენ თანამედროვე ამერიკელი ეკონომისტები კემპბელ



რ. მაკკონელი და სტენლი ლ. ბრიუ.* თუმცა ისინი იქვე მიუთითებენ, რომ „რეიგანეკონომიკის პროგრამის ხანგრძლივვადიანი შედეგები მოცემულ ვარიანტში ბოლომდე ნათელი როდია.**

საბაზრო ეკონომიკის შექმნას ცდილობენ აგრეთვე ყოფილი სოციალიზმის ბანაკის მთელ რიგ ქვეყნებში. ამ მიმართებით პირველი ნაბიჯები გადადგეს იუგოსლაველმა და ჩეხოსლოვაკიელმა თეორეტიკოსებმა ე. კარდელმა, ვ.ბაკარიჩმა, ზ.ჩეპომ, ო.შიკმა, გაუკმა, ი.სვიტაკმა და სხვ. მათ ჯერ კიდევ 60–იან წლებში გაილაშქრეს ტოტალიტარული, დიქტატორული სოციალიზმის წინააღმდეგ. მათი ანტიტოტალიტარიზმი გულისხმობს სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შემცირებას, თვითმმართველობაზე გადასვლას, წვრილი საწარმოების გახსნას, კოლმეურნეობების დაშლას და განსაზოგადოებელი მიწების გადაცემას კერძო მესაკუთრეებისადმი და სხვ.

1985 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირში ე.წ. „პერესტროიკის“ დაწყებისას საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ინიციატორებად გამოვიდნენ მოსკოვში კონსულტანტებად მოწვეული ცნობილი ამერიკელი ეკონომისტები ნობელის პრემიის ლაურეატი ვასილ ლეონტიევი და ჯონ ჰელბრეითი. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რეკომენდაციებს გვაძლევდა ასევე ნობელის პრემიის დაურეატი, ამერიკელი მილტონ ფრიდმანი.

ვ. ლეონტიევმა მაშინდელი სიტუაცია შემდეგნაირად დაახასიათა: კაპიტალისტური ეკონომიკა მან შეადარა გაშლილ ზღვაში მყოფ იალქნიან გემს, რომელსაც ძლიერი ქარი უბერავს. მაგრამ, მისი თქმით, ქარი ამ გემს ზოგჯერ მიაქანებს კრიზისის უფსკრულისაკენ. იმდროინდელი საბჭოურ ეკონომიკას ის ადარებდა მდორე წყალში მყოფ იალქნიან გემს, რომელსაც სიოც კი არსაიდან უბერავდა. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ხომალდის ამმოძრავებელ ძალად მან მიიჩნია საბაზრო ეკონომიკა, ამ რეცეპტით დაიწყო ჩვენში საბაზრო ეკონომიკის დანერგვა.

დიდი მსჯელობა და აჟიოტაჟი დაიწყო საბაზრო ეკონომიკის შესახებ. თავდაპირველად მას უწოდეს „რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა“, შემდეგ სიტყვა „რეგულირებადი“ ხმარებიდან

- - - - - -

*კემპბელ რ. მაკკონელი, სტენლი ლ.ბრიუ, ეკონომიკსი, ტII, თბ., 1993, გვ. 414-415.

**იქვე, გვ. 421.

ამოიღეს. თითქმის ყველა ვარაუდობდა, რომ საბაზრო ეკონომიკა დაძლევდა სიტუაციას, რომელსაც წინაკრიზისულს უწოდებდნენ, მაგრამ საზოგადოება გადაიჩეხა კრიზისის საშინელ უფსკრულში, რომლიდან თავისით ამოსვლა მას აღარ ძალუძს.

ზემოთ აღნიშნულმა ეკონომისტებმა ხუთი წლის წლის შემდეგ აღიარეს, რომ მათ მიერ ნავარაუდევი იმედები არ გამართლდა და ხელი აიღეს კონსულტაციაზე.

ჩვენი ცოდნითა და მიღებული გამოცდილებით შეიძლება დავასკვნათ, რომ თავისუფალი მეწარმეობა უკვე გამართულ მეურნეობას ერგება კარგად. სუსტი ეკონომიკის გასაძლიერებლად ყოველთვის პროტექციონისტულ პოლიტიკას იყენებდნენ. ასე იყო კაპიტალიზმის თავდაპირველი დაგროვების დროს, როდესაც მერკანტილისტურ პოლიტიკას ატარებდნენ. ასევე ხდებოდა გასულ საუკუნეში გერმანიაში, სადაც ფ. ლისტი და ისტორიული სკოლის წარმომადგენლები პროტექციონისტული მეთოდებით ცდილობდნენ ეკონომიკის აღმავლობას. ასეთივე მეთოდი გამოიყენეს კეინსელებმა XX ს. 30-იანი წლების დიდი დეპრესიის დასაძლევად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მთლად ძველი მეთოდებით ხელმძღვანელობაც ვერ მოიტანს კარგ შედეგს. უმჯობესი იქნება დღევანდელ ვითარებაში სუსტი ეკონომიკის გასაჯანსაღებლად ნეოკლასიკური სინთეზის გამოყენება.



## 3. ნეოლიბერალიზმის სხვადასხვა მიმდინარეობანი

### ა/ ავსტრიული ნეოლიბერალიზმი

თანამედროვე რევიზიონისტული ლიბერალიზმის ჩამოყალიბებაში თავისი წვლილი შეიტანეს ავსტრიული სკოლის თანამედროვე წარმომადგენლებმა. ამ სკოლას „ემიგრირებულ ვენის სკოლასაც" უწოდებენ, ვინაიდან მათი წარმომადგენლების მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოეთში მოღვაწეობდნენ.

ავსტრიელი ნეოლიბერალებიდან აღსანიშნავია ლ. მიზესი, ფ. ჰაიეკი, გ.ჰაბერლერი, ფ.მაჰლუპი, ლ.მიზესისა და ფ.ჰაიეკის მოძღვრება გარდამავალ ეტაპს წარმოადგენს ძველი ლიბერალიზმიდან ახალ ლიბერალიზმზე. ლუდვიგ ფონ მიზესი (1881-1973) დაიბადა ქ. ლვოვში. მისი შეხედულებანი დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს პალეოლიბერალებსა და ნეოლიბერალებს შორის. ლ. მიზესის ლიბერალური პროგრამა მოითხოვს საკუთრებას, თავისუფლებასა და მშვიდობას. იგი დასაშვებად თვლიდა ეკონომიკაში სახელმწიფოს ლიბერალურ ჩარევას. ლ. მიზესის თქმით ლიბერალური მოძღვრება სახელმწიფოს მიუჩენს საკუთრების თავისუფლებისა და მშვიდობის დაცვის ამოცანას. ლ. მიზესი იყო ლიბერალიზმის ისეთი წარმომადგენელი, რომელიც რევიზიას უკეთებდა ძველ ლიბერალიზმს და ხელმძღვანელობდა ოდნავ მოძველებული ლიბერალური პრინციპებით.

ლ. მიზერი ძირითადად იცავდა „ლესე-ფერის" ძველ პრინციპებს, ამიტომ იგი მიჩნეულია „ლესე ფერ" დოქტრინის მოჰიკანად.

პალეოლიბერალიზმიდან ნეოლიბერალიზმზე გარდამავალი პოზიცია ეკავა ფრიდრიხ აუგუსტ ფონ ჰაიეკსაც (დაიბადა 1899) ავსტრიელი ნეოლიბერალტების რიცხვს მიეკუთვნება გოტფრიდ ჰაბერლერი. იგი იცავს ნეოლიბერალურ იდეებს ციკლთა თეორიის დარგში. ფრიც მალუპიც ნეოლიბერალიზმის ავსტრიულ სკოლას ეკუთვნის. იგი იცავდა ნეოლიბერალურ კონცეფციას მეურნეობის იდეალური ტიპების შესახებ. ავსტრიელი ნეოლიბერალი რაინჰარდ კამიცი იცავს სოციალური საბაზრო მეურნეობის თეორიას.

### ბ/ შვეიცარული ნეოლიბერალიზმი

შვეიცარიაში ნეოლიბერალიზმის იდეებს იცავენ: ა. ამონი, ქ. ჰოისი, ი. ბლესი, ფ. ლუტცი და სხვ. ისინი მჭიდრო კავშირში იმყოფებიან გერმანულ ორდო ლიბერალიზმთან.

შვეიცარიაში მოღვაწეობდა აგრეთვე, დასავლეთ გერმანული ნეოლიბერალიზმის ერთ-ერთი ლიდერი ვილჰელმ რეპკე. იგი მრავალი ნაშრომის ავტორია, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი: „ფული და საგარეო ვაჭრობა“; „საერთაშორისო საგარეო სავაჭრო პოლიტიკა ომის შემდეგ“; „მოძღვრება მეურნეობის შესახებ“; „თანამედროვე საზოგადოების კრიზისი“; გერმანიის საკითხი“; „კოლექტივიზმის კრიზისი“; „სოციალური საბაზრო მეურნეობის 10 წელი გერმანიაში და მისი თეორიები“ და სხვ.

თავის ნაწარმოებებში ვ. რეპკე იცავდა სოციალური საბაზრო მეურნეობის; საერთაშორისო საბაზრო მეურნეობის; ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიებს.

### გ/ ინგლისური ნეოლიბერალიზმი

XX ინგლისურ ეკონომიკურ აზრში ყველაზე გავლენიან მიმდინარეობას კეინსელობა წარმოადგენს. მაგრამ მის გვერდით თანაარსებობს ნეოლიბერალიზმიც. ინგლისური ნეოლიბერალიზმის ერთ-ერთი თავისებურება სწორედ ისაა, რომ ინგლისში კეინსელობა და ნეოლიბერალიზმი უფრო ახლოსაა ერთიმეორესთან, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

ინგლისში თავისუფალი მეწარმეობის დაცვის იდეით გამოდის ლონდონის ეკონომიკური სკოლა, რომლის წიაღშიც ჩამოყალიბდა ნეოლიბერალიზმის ინგლისური განშტოება „კენანის სკოლა“.

კენანის სკოლის თეორეტიკოსები არიან თვითონ ე. კენანი, ლ. რობინსი, ფ. ბენჰამი, ვ. ჰუტი, ფ. პაიში და სხვ.

ინგლისში ნეოლიბერალურმა მოძღვრებამ ფართო გაქანება მიიღო მ. ტეტჩერის მმართველობის წლებში. მას ეწოდა „ტეტჩერიზმი“



### დ/ იტალიური ნეოლიბერალიზმი

ნეოლიბერალური მოძღვრება ფართოდ გავრცელდა იტალიაშიც.

იტალიური ნეოლიბერალიზმის ცენტრს წარმოადგენს მილანის უნივერსიტეტი. ამიტომ ნეოლიბერალიზმის იტალიურ განშტოებას უწოდებენ „მილანის ჯგუფს,“ რომელშიც გამოირჩევიან ლუიჯი აინაუდი, კონსტანტინო ბრესციანი ტურონი, ჯოვანი დემარია და სხვ. მათი მოთხოვნაა უმონოპოლიო თავისუფალი საბაზრო მეურნეობა.

### ე/ ფრანგული ნეოლიბერალიზმი

დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით საფრანგეთში დიდხანს იქნა შენარჩუნებული პალეოლიბერალური იდეები. შემდგომში სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის ზრდამ განაპირობა დირიჟიზმის* წარმოშობა. ამასთან დირიჟისტულ პრინციპებს იყენებდნენ როგორც რეგულირებადი კაპიტალიზმის, ისე ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსები. ფრანგმა ლიბერალებმა დაიკავეს ნეოლიბერალური პოზიცია. ფრანგი ნეოლიბერალებისაგან აღსანიშნავი არიან: მ. ალე, ლ. რუჟიერი, ლ. ბოდენი დ. ფილეი, ი. დროსელი და სხვ.

განსაკუთრებით დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ჟაკ რიუეფი, რომელსაც ახალი ფრანკის მამას უწოდებენ.

### ვ/ ამერიკული ნეოლიბერალიზმი. ჩიკაგოს სკოლა

ნეოლიბერალური იდეები ფართოდაა გავრცელებული აშშ-ში. ამ ქვეყანაში ნეოლიბერალურ იდეებს იცავს „ჩიკაგოს ჯგუფი“, რომელიც ფ. ნაიტმა შექმნა. ამ ჯგუფში შედიან: გ. სიმონსი, ა. დირექტორი, გ. შტიგლერი, მ. ფრიდმანი და სხვ. ისინი წინააღმდეგი არიან ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს მეტისმეტი ჩარევის ანუ სტეიტიზმისა. ამერიკელი ნეოლიბერალების თანახმად თავისუფლების აუცილებელ პირობას კერძო საკუთრება და კონკურენცია წარმოადგენს. ამერიკელი ნეოლიბერალებიდან ბოლო ხანებში დიდი ავტორიტეტით

*დირიჟიზმი ფრანგული სიტყვაა და მართვას ნიშნავს.

სარგებლობს მილტონ ფრიდმანი. მ. ფრიდმანის შეხედულებები კარგად არის გადმოცემული მის ორ წიგნში: „კაპიტალიზმი და თავისუფლება“ 1962) და „არჩევანის თავისუფლება“ (1980).იგი გამოდის იმათ წინააღმდეგ, ვინც იღებს საბჭოური ეკონომიკური ორგანიზაციის არსებით ნიშნებს, მაგრამ სურს უზრუნველყოს ინდივიდუალურ თავისუფლება პოლიტიკური დაწესებულებების მეშვეობით. მ. ფრიდმანის მიხედვით ეკონომიკური თავისუფლება ესაა კერძო მეწარმეობრივი გაცვლითი ეკონომიკა, ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ კონკურენციულ კაპიტალიზმს.

სახელმწიფოს მ. ფრიდმანი განიხილავს როგორც თავისუფალი მეწარმეობის დაცვის იარაღს. მაგრამ მისი თეორიის მიხედვით, სახელმწიფოს საქმიანობის სფერო შემოსაზღვრული უნდა იყოს. მისი მთავარი ფუნქცია მდგომარეობს თავისუფლების კანონებისა და წესრიგის დაცვაში, კერძო კონტრაქტების სტიმულირებასა და კონკურენციული ბაზრების წახალისებაში.

მ. ფრიდმანი თავის პრაქტიკულ რეკომენდაციებში მოუწოდებს ავტომატური მექანიზმების შექმნისაკენ, რომლებიც სამუდამოდ გამორიცხავდნენ სახელმწიფოს ჩარევას. მისი მთავარი თეზისი იმაში მდგომარეობს, რომ საბაზრო ეკონომიკა მაშინ ფუნქციონირებს საუკეთესოდ როცა მას არ აწუხებენ.

მ. ფრიდმანმა ომის შემდგომ პერიოდში ნელ-ნელა აღმოაჩინა მონეტარიზმი, რომელსაც მიაჩნია, რომ ფულადი მასის ზრდა განსაზღვრავს ინფლაციას და ამიტომ ფულადი ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იქნას ფულადი მასის შეზღუდვისა და სტაბილიზაციისაკენ.

მ. ფრიდმანის დამსახურებაა, რომ *XX* ს. 70-იანი წლებიდან ფართო აღიარება ჰპოვა მონეტარიზმმა.

### 8/ მონეტარიზმი.

მონეტარიზმის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ ნიშანთვისებას წარმოადგენს რწმენა საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების სრულყოფილებაში. მონეტარისტების აზრით, ბაზრები საკმარისად კონკურენტული არიან და საბაზრო კონკურენციის სისტემა უზრუნველყოფს მაკროეკონომიკური სტაბილურობის მაღალ დონეს.

მონეტარიზმი კლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში იღებს სათავეს, რომლის მიხედვითაც საბაზრო კონკურენციით



უზრუნველყოფილი ფასებისა და ხელფასის მოქნილობა იმას იწვევს, რომ ერთობლივი ხარჯების მერყეობა ზემოქმედებს პროდუქციისა და რესურსების ფასებზე და არა წარმოების და დასაქმების დონეზე. ამგვარად საბაზრო სისტემა, თუ არ განიცდის სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკის ფუნქციონირებაში, უზრუნველყოფს მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. მონეტარისტების თვალსაზრისით, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ კახონი ხელფასის მინიმალური განაკვეთის შესახებ, საკახოხმდებოლო ქმედებანი პროფკავშირების ინტერესებისათვის, სასოფლო სამეურნეო პროდუქციაზე ფასების შენარჩუნება, კანონმდებლობა მონოპოლიების შესახებ და სახელმწიფოს სხვა ღონისძიებანი ხელს უწყობენ და აძლიერებენ ფასებისა და ხელფასის მოუქნელობას შემცირების მხრივ. სახელმწიფო თავისი მოუქნელი და მოუფიქრებელი ცდებით ასტაბილუროს ეკონომიკა დისკრეტული ფისკალური და ფულადი საკრედიტო პოლიტიკის დახმარებით ხელს უწყობს სისტემის არასტაბილურობას, აძლიერებს ციკლურ რხევებს.

მონეტარისტები მ. ფრიდმანის მეთაურობით ირწმუნებიან, რომ მხოლოდ თავისუფალი მეწარმეობის პირობებში შეიძლება პოლიტიკური თავისუფლების, ეკონომიკური ეფექტურობისა და ეკონომიკური ძალის გადანაწილებაში თანასწორობის მიღწევა. მ. ფრიდმანის პროგრამა ითვალისწინებს 100%-იან სარეზერვო სისტემას, რომელიც შეზღუდავს ფულად მასაზეკონტროლის შესაძლებლობებს, სახელმწიფო ხარჯების შეზღუდვა ისეთი დონით, რომელიც შეესაბამება საზოგადოების სურვილს, მოთხოვნილებასა და მზადყოფნას გადაიხადოს საზოგადოებრივი სამსახურებისათვის; ტრანსფენტული გადასახადების ფიქსირებულ სისტემას, რომლებიც არ ემორჩილება ციკლურ რყევებს; საგადასახადო სისტემას, დაფუძვნებულს პროგრესული გადასახადების განაკვეთების უცვლელ სტრუქტურაზე.

მ.ფ.რიდმანის აზრით, ეს არაჩვეულებრივად მკაცრი სისტემა ძალზედ ეფექტურია და ანტიციკლურ ქმედებას ახდენს. სხვა თანამედროვე ეკონომიკური მიმდინარეობის მსგავსად, მონეტარიზმი თავის ანალიზს სპეციალურ განტოლებებზე აფუძვნებს. მონეტარიზმის ძირითად განტოლებას გაცვლის განტოლება წარმოადგენს:

$MV=PQ$

სადაც: $M$ - ფულის მიწოდებაა; $V$ - შემოსავალთა წრებრუნვაში ფულის მიმოქცევის სისწრაფე, ანუ ის საშუალო რაოდენობა, რაოდენჯერაც ფული იხარჯება მზა საქონლისა და მომსახურებების შესაძენად წლიწადის განმავლობაში; $P$ - ფასების დონე, ან უფრო ზუსტად ფასი, რომლის მიხედვითაც იყიდება წარმოების ფიზიკური მოცულობის თითოეული ერთეული; $Q$ - საწარმოო საქონლისა და მომსახურების ფიზიკური მოცულობა. განტოლების მარცხენა ნაწილი $(MV)$ წარმოადგენს მყიდველთა ხარჯების საერთო მოცულობას საწარმოო ნაწარმის შესაძენად, როცა მარჯვენა ნაწილი $(PQ)$ წარმოადგენს ამ მოცულობის ამონაგებს.

მონეტარისტები დარწმუნებულები არიან, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა დიდად განსაზღვრავს ეკონომიკური აქტივობის დონეს. ისინი ფულის მიწოდებაში ხედავენ ერთად-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს წარმოების, დასაქმებისა და ფასების დონეს. მონეტარისტთა აზრით, ფულის მიწოდების გაზრდა ზრდის მოთხოვნას აქტივების ყველა სახეობაზე - რეალურსა თუ ფინანსურზე. აგერთვე წარმოების მიმდინარე მოცულობაზე. ამის შედეგად სრული დასაქმების პირობებში, ფასები ყველა ფაქტორზე გაიზრდება. გარდა ამისა, მონეტარისტები ფულის მიმოქცევის სიჩქარეს სტაბილურად თვლიან იმ გაგებით, რომ მისი რყევები მცირეა და ის არ ითვლება ფულადი მიწოდების ცვლილების პასუხად. ამრიგად ფულის მიწოდების ცვლილება ნაწინასწარმეტყველებ, ზეგავლენას ახდენს ნომინალურ წეპ. $(=PQ)$-ს დონეზე. უფრო კონკრეტულად $M$-ის გაზრდა გამოიწვევს $P$-ს ან $Q$ ს გაზრდას, ან როგორც $P$, ასევე $Q$ გარკვეული კომბინაციით გაიზრდება. $M$-ის შემცირება საწინააღმდეგო შედეგს მოგვცემს.

მონეტარისტების მიხედვით, თუმცა $M$-ის შეცვლას შეუძლია გამოიწვიოს წარმოებისა და დასაქმების რეალური მოცულობის მოკლევადიანი ცვლილებანი, რამდენადაც ბაზარი ეგუება ამ ცვლილებას, გრძელვადიან პერსპექტივაში $M$-ის ცვლილება ზემოქმედებს ფასების დონეზე. მონეტარისტული გადამცემი მექანიზმი სქემატურად შემდეგნაირად გამოისახება:






ამ საქმეში მონეტარისტების მიერ ფულის მიწოდების ცვლილება განიხილება, როგორც ფაქტორი, რომელიც უშუალოდ ზემოქმედებს ერთობლივი მოთხოვნების ცვლილებაზე, რომელიც ცვლის წეპ-ს. გარდა ამისა, მონეტარისტების აზრით, ერთობლივი მოთხოვნილების ცვლილება გავლენას ახდენს ნომინალურ წეპ-ზე გრძელვადიან პერსპექტივაში ძირითადი ფასების დონის ცვლილების სახით და არა წარმოების რეალური დონის ცვლილების სახით.

მონეტარისტებისათვის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მნიშვნელობის შეფასების ქვაკუთხედს წარმოადგენს მტკიცება ფულის მიმოქცევის სიჩქარის $(V')$ სტაბილურობის შესახებ. ამით ისინი ამტკიცებენ. რომ ადამიანების მოთხოვნა ფულზე მიმდინარე წარმოების საყიდლად საკმაოდ სტაბილურია შედარებით სხვა ფინანსურ აქტივებთან და ხარჯებთან. რომლის ქონაც სურთ კერძო პირებსა და საწარმოებს თითოეულ მოცემულ მომენტში, დამოკიდებული არ არიან ფულის მიწოდებაზე. რაც მთავარია, ფულის რაოდენობა, რომლის ქონებაც სურს მოსახლეობას, განისაზღვრება ნომინალური წეპ-დონით.

## თ/ რაციონალური მოლოდინის თეორია

მიკროეკონომიკის ჩიკაგოს სკოლის ლიბერალური შეხედულებების დამატებით არსებობს მაკროეკონომიკის ანალოგიური სკოლა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს ჩიკაგოელმა ნობელი პრემიის ლაურეატმა რ. ლუკასმა და მინესოტელმა ეკონომისტმა ტ. სარჯენტმა.

რ. ლუკასისა და ტ სარჯენტის დამსახურებად ითვლება რაციონალური მოლოდინის თეორიის შექმნა. ამ თეორიამ ფართო გავრცელება ჰპოვა XXს. 70-იანი წლების შუახანებიდან.

რაციონალური მოლოდინის თეორიის თანახმად ადამიანები

რაციონალურად იქცევიან. მეწარმეები, მომხმარებლები და მუშები ჩვეულებრივ შეიგნებენ, როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკა და საკმაოდ ეფექტიანად იყენებენ არსებულ ინფორმაციას თავიანთი ინტერესების დასაცავად, ან განამტკიცებენ კიდევაც თავიანთ მდგომარეობას.

საბაზრო სუბიექტები აგროვებენ და გაიზიარებენ, ინფორმაციას იმ მოვლენების მოლოდინის ფორმირებისას, რაც მათთვის ფულად ინტერესს წარმოადგენს. თუ მაგალითად ფასიანი ქაღალდების მფლობელები ფასების შემცირებას მოელიან საფონდო ბირჟაზე, მაშინ ამის გათვალისწინებით ისინი ყიდიან თავიანთ საპაიო შენატანებს. ბაზარზე აქციების მიწოდების ზრდა იწვევს მისი კურსის დაცემას. თუ მომხმარებლები გაიგებენ, რომ გვალვების შედეგად მოსალოდნელია ფასების ზრდა სურსათზე, ისინი მოიმარაგებენ სასურსათო საქონელს ფასების მომატებამდე. ამრიგად მოლოდინი იწვევს საბაზრო მოთხოვნის გაფართოებას, რაც თავის მხრივ, განაპირობებს ფასების ზრდას სურსათზე ჯერ კიდევ მოსავლის აღებამდე.

მაგრამ, რაციონალური მოლოდინის თეორიის მომხრეები ამ მაკროეკონომიკურ მაგალითზე უფრო შორს მიდიან. ისინი ამტკიცებენ, რომ მეწარმეებმა მომხმარებლებმა და მუშებმა იციან თუ როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკა და შესაძლებლობა აქვთ ხელმისაწვდომი ინფორმაცია გამოიყენონ გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებიც ყველაზე უფრო შეესაბამება მათ კერძო ინტერესებს. ადამიანები უბრალოდ კი არ აღადგენენ წარსულის გამოცდილებას მომავლისათვის; ისინი ამის გარდა აფასებენ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის სავარაუდო ზეგავლენას ეკონომიკის მომავალზე; მოკლედ, რომ ვთქვათ, „რაციონალური“ ადამიანები მთელ არსებულ ინფორმაციას გამოიყენებენ, იმ ინფორმაციის ჩათვლით თუ როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკა და როგორ ატარებს სახელმწიფო ეკონომიკურ პოლიტიკას. ეს მათ საშუალებას აძლევს წინასწარ განჭვრიტონ ცვლილებათა შედეგები ეკონომიკაში დამოუკიდებლად იმისა, ისინი ეკონომიკური პოლიტიკითაა გამოწვეული თუ სხვა რაიმეთი და, შესაბამისად, მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიწვევს მათი კეთილდღეობის მაქსიმიზებას. ამაშია რაციონალური მოლოდინის არსი.*

\- - - - - -

*კემპბელ რ. მაკკონელი, სტენლი ლ. ბრიუ, ეკონომიკსი, ნაწილი 2, თბ. 1993. გვ. 349-350.



# თავი XIX. შერეული ეკონომიკის მოძღვრებები და მოდელები

## 1.შერეული ეკონომიკის თეორიული საფუძვლები

ეკონომიკის ორგანიზაციის ორ ძირითად მოდელს განარჩევენ: 1. დაფუძნებული საბაზრო მექანიზმზე და 2. მბრძანებლურ მექანიზმზე.

საბაზრო მექანიზმი მეურნეობის ორგანიზაციის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც ინდივიდუალური მომხმარებლები და მწარმოებლები ბაზრის საშუალებით ზემოქმედებენ ერთმანეთზე.

მბრძანებლური ეკონომიკის დროს კი რესურსების კონცენტრაციას განსაზღვრავს მთავრობა, რომელიც ინდივიდებს და ფირმებს სახელმწიფო გეგმების შესრულებას უბრძანებს.

როგორც თანამედროვე ამერიკელი ეკონომისტები პ.სამუელსონი და უ.ნორდჰაუსი აღნიშნავენ დღეს არც ერთი ამ სახეობათაგანი არ ასახავს წმინდა სახით თვით ამერიკის შეერთებული შტატების რეალურ ეკონომიკურ სისტემას. „იგი წარმოადგენს „შერეულ ეკონომიკას“, სადაც კერძო და საზოგადოებრივი ინსტიტუტები ახორციელებენ ეკონომიკურ კონტროლს: კერძო სისტემა - უხილავი წარმმართველი საბაზრო მექანიზმის საშუალებით, საზოგადოებრივი ინსტიტუტები - ადმინისტრაციული რეგულირებით და საგადასახადო სტიმულებით“*.

ამერიკელი ეკონომისტი პარი როუზენი მიუთითებს, რომ „ამერიკის ეკონომიკა, რომელიც ჩვენ კაპიტალისტურად მიგვაჩნია, უფრო ზუსტად შეიძლება დახასიათდეს, როგორც შერეული. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ პირადი არჩევანის თავისუფლების მიუხედავად, ბიზნესთან დაკავშირებით არსებობს აგრეთვე მრავალი კანონი და რეგლამენტაცია“**.

შერეული ეკონომიკის თეორია ახალი არ არის, იგი გვხვდება ჯერ კიდევ *XIX* საუკუნეში „სახელმწიფო სოციალიზმის“ წარმომადგენელთა ნაშრომებში. „შერეული ეკონომიკის“ მკაფიო ფორმულირება მოცემულია გერმანელი ეკონომისტის ადოლფ ვაგნერის ნაშრომში - „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები“ (1876). ა.ვაგნერი აღნიშნავდა, რომ რეალურად არსებული სახალხო მეურნეობა სამი სხვადასხვა სამეურნეო სისტემის შეთანაწყობისაგან შედგება.

\- - - - - - -

*პ.სამუელსონი, უ.ნორდჰაუსი, ეკონომიკსი, თბ., 1992, გვ.19.

**პარი როუზენი, გახდი მილიონერი, თბ., 1994, გვ.13.

ესენია: კერძო-სამეურნეო, საზოგადოებრივ-სამეურნეო (სახელმწიფოებრივი მეურნეობის ჩათვლით) და კარიტატული (კეთილმყოფელი)*. ა.ვაგნერის მიხედვით შერეული ეკონომიკა ყოველთვის შეიძლება არსებობდეს.

მიმდინარე საუკუნის 20-იან წლებში „შერეული ეკონომიკის" თეორია ახალ ისტორიულ ვითარებაში აღადგინა ასევე გერმანელმა ეკონომისტმა ვ.ზომბარტმა. 1928 წელს სოციალური პოლიტიკის კავშირის ციურიხის კონგრესზე თავის მოხსენებაში კაპიტალიზმის ბედის შესახებ მან შერეული ეკონომიკის იდეა დაუპირისპირა კ.მარქსის ეკონომიკურ თეორიას.

„შერეული ეკონომიკის" თეორია შემდგომ განვითარდა 30-იან წლებში, როდესაც წარმოიშვა თვით ეს ტერმინი. ამ პერიოდში „შერეული ეკონომიკის" თეორიის დაცვით გამოვიდა ამერიკელი ეკონომისტი ს.ჩეიზი ნაშრომებში: „სახელმწიფო ბიზნესი" (1935 წ.) და „სიტყვის ტირანია" (1938).

შერეული ეკონომიკის თეორია დიდად გავრცელდა ბურჟუაზიულ და რეფორმისტულ ლიტერატურაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

აშშ-ში ამ თეორიის პროპაგანდით კვლავ გამოდიოდა ს.ჩეიზი, რომელიც განასხვავებდა საზოგადოების ეკონომიკური მოწყობის შემდეგ ოთხ მოდელს: 1. არასაკმაოდ შერეული სისტემა; 2. მართული შერეული სისტემა; 3. ავტომატური, კონკურენციული სისტემა; 4. ავტორიტარული სახელმწიფო, ცენტრალიზებული დაგეგმვით. შერეული ეკონომიკის პროპაგანდისტია აგრეთვე ამერიკელი ეკონომისტი ჯონ მორის კლარკი. იგი აღიარებს, რომ, თუმცა თავისუფალი კერძო მეწარმეობა ეწინააღმდეგება წარმოების განვითარებას, აძლიერებს უმუშევრობას და კრიზისებს, წარმოების ანარქიას და სხვა, მაგრამ იგი აუცილებლად უნა შევინარჩუნოთ და შევავსოთ სახელწიფოს საქმიანობით.

კაპიტალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარების შესახებ ჯ.მ.კლარკი აღნიშნავს: „ჩვენ ვირჩევთ ევოლუციურ ცვლილებებს, როგორც უპირატესს უეცარ რევოლუციასთან შედარებით, განსაკუთრებით თუ უკანასკნელი ძალდატანებითია. ამჟამად ჩვენ ვამჯობინებთ შევინარჩუნოთ კერძო მეწარმეობის სისტემა, მაგრამ არა უცვლელი სახით"**.

- - - - -

*იხ. ე.ი.ბრეგელი, ბურჟუაზიული მოძღვრებების კრიტიკა თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიკური სისტემის შესახებ, მ., 1972, გვ. 165, (რუს).

**ჯ.კლარკი, მომავალი ცვლილებათა ნიშანსვეტი, ნიუ-იორკი, 1949, გვ.64 (ინგ.)



ჯ.მ.კლარკი და მისი მიმდევრები პლურალიზმის იდეას იცავენ „ოლიგოპოლიის თეორიაზე" დაყრდნობით. ოლიგოპოლიას (რამდენიმეს ბატონობას) ისინი უპირისპირებენ მონოპოლიას (ერთის ბატონობას). ამასთან, ოლიგოპოლიის არსებობით ისინი უარყოფენ მონოპოლური ფასებისა და მონოპოლიური მოგების არსებობას.

ოლიგოპოლიის თეორიის დამცველები თანამედროვე კაპიტალისტურ ეკონომიკას ისეთ სისტემად მიიჩნევენ, რომლის დროსაც გამქრალა მონოპოლიები და გაბატონებული მდგომარეობა თავისუფალ კონკურენციასა და თავისუფალ მეწარმეობას უკავია. ოლიგოპოლიაში ისინი გულისხმობენ ეფექტიან კონკურენციას, რომელიც მონოპოლიების წარმოქმნას გამორიცხავს.

შერეული ეკონომიკის დაცვით გამოვიდა აგრეთვე, ამერიკელი კეინსიანელების ლიდერი ე.ჰანსენი თავის ნაშრომში „ამერიკის ეკონომიკა". იგი წერს: „კერძო მეწარმეობა ამჟამად მთელ დასავლეთ ევროპაში უფრო სიცოცხლისუნარიანია, უფრო დინამიკურია, ვიდრე მას ადგილი ჰქონდა ომებს შორის პერიოდში. ეს არ იყო გადასვლა კერძო საკუთრებიდან სახელმწიფოებრივზე. ეს იყო გადასვლა ინდივიდუალური ეკონომიკიდან შერეულ, კერძო-სახელმწიფოებრივ ეკონომიკაზე სოციალური კეთილდღეობის საყრდენით"*.

პ.სამუელსონი თავის წიგნში „ეკონომიკა" აღნიშნავს: ჩვენი ეკონომიკური სისტემა, ეს თავისუფალი მეწარმეობის „შერეული" სისტემაა, რომელშიც ეკონომიკური კონტროლი ხორციელდება როგორც საზოგადოების, ისე კერძო ინსტიტუტების მხრივ. ჩვენი სისტემა სახელმწიფო და კერძო მეწარმეობის შერეული სისტემაა. შერეულია ცოტად თუ ბევრად ორი აზრით. კერძო ინიციატივის მოდიფიცირება ხდება სახელმწიფოს ჩარევით, სრულყოფილი კონკურენციის მოქმედება ექვემდებარება მონოპოლისტური ელემენტების გავლენას**.

შერეული ეკონომიკის თეორიის განსაკუთრებული ნაირსახეობაა პლურალისტული ეკონომიკის კონცეფცია, რომელიც 1965 წელს წამოაყენეს ამერიკელმა ეკონომისტებმა: ე.გინზბერგმა, დ.ხაოსტეინმა და ბ.რუბენსმა. ისინი რეალისტურ მოდელად თვლიან არა შერეული ეკონომიკისათვის ჩვეულ ორსექტოროვან მოდელს კერძო საწარმოების შერწყმით სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებთან, არამედ სამსექტორიან მოდელს, რომელიც კერძო და სახელმწიფოებრივი საწარმოების გარდა კიდევ ისეთი სახის ორგანი-

- - - - - -

*ე.ჰ.ჰანსენი, ამერიკის ეკონომიკა, 1977, გვ.57. (ინგ.).

**პ.სამუელსონი, ეკონომიკა, მ., 1964, გვ.53,55. (რუს).

ზაციებს მოიცავს, როგორიცაა საავადმყოფოები, უნივერსიტეტები, საქველმოქმედო ფონდები და სხვ., ე.ი. ისეთ ინსტიტუტებს, რომლებსაც მოგების მოცემა არ შეუძლიათ*.

პლურალისტური საზოგადოების თავიანთი ვარიანტი შეიმუშავეს დასავლეთ გერმანელმა ნეოლიბერალებმა: ლ.ერჰარდმა, გ.ბრიფსმა, რ.ალტმანმა, ე.ფოგელინმა, მეტცელმა და სხვებმა. მათი მტკიცებით, კაპიტალიზმის განვითარება სამ ფაზას მოიცავს, ესენია: 1. XIX ს. კლასობრივი საზოგადოება; 2. პლურალისტური საზოგადოება და 3. ფორმირებული საზოგადოება. მათი აზრით, პირველ ფაზაში ჯერ კიდევ არსებობს მოწინააღმდეგე კლასები და კლასობრივი ბრძოლა, მეორე ფაზაში, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგი პერიოდია - კლასებს შორის ბრძოლა წყდება. კლასობრივი საზოგადოების ადგილზე წარმოიშობა პლურალისტური საზოგადოება, ანუ კავშირებში ორგანიზებული განმტკიცებული ჯგუფები, რომლებიც მეწარმეთა ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისაგან შედგება**. ამ ორგანიზაციებს შორის მიმდინარეობს ბრძოლა არსებული საზოგადოების ჩარჩოებში ეროვნული შემოსავლის განაწილებისათვის***. ზემოთ აღნიშნული ეკონომისტების მტკიცებით XX ს. 60-იანი წლების შუახანებში დასავლეთ გერმანიაში პლურალისტურმა საზოგადოებამ ადგილი დაუთმო ფორმირებულ საზოგადოებას, რომლის განმასხვავებელი ნიშანია ინტერესთა სრული ერთიანობა, საზოგადოების ყველა წევრის ორიენტაცია კეთილდღეობაზე. ამ ეტაპზე საყოველთაო კეთილდღეობას ექვემდებარება ყველა კლასი, ფენა და ჯგუფი.

როგორც პლურალისტური, ისე ფორმირებული საზოგადოებების ეკონომიკურ საფუძვლად აღიარებულა სოციალური საბაზრო მეურნეობა. სოციალური საბაზრო მეურნეობის პროპაგანდას პროფესორმა ლ.ერჰარდმა მრავალი ნაშრომი მიუძღვნა, რომელთაგან აღსანიშნავია: „კეთილდღეობა ყველასათვის“****, „გერმანიის ეკონომიკური პოლიტიკა, სოციალური საბაზრო მეურნეობის გზა“***** და სხვ.

- - - - - -

*ჯ.ხარიტონაშვილი, იდეათა სესხების საკითხი პლურაზმის თეორიაში, ჟურნ. „ეკონომისტი“, №3, 1990, გვ. 35-37.

**ვოლფ-დიტერ ნარი, პლურალისტური საზოგადოება, ჰანოვერი, 1969, გვ.19 (გერმ).

***ჟურნ. „გეზელშაფტსპოლიტიშე კომენტარე“, ბონი, 1965, № 13/141, გვ.15., გვ 118. (გერმ.).

****ლ.ერჰარდი, კეთილდღეობა ყველასათვის, მ., 1991. (რუს).

*****ლ.ერჰარდი, გერმანიის ეკონომიკური პოლიტიკა, სოციალური საბაზრო მეურნეობის გზა, დიუსელდორფი, ვენა, 1962 (გერმ).



## 2. სოციალისტური საბაზრო მეურნეობის თეორიები

საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე მოდელების მრავალსახეობიდან შეიძლება გამოვყოთ ორი ძირითადი სახის მოდელი: ლიბერალური და სოციალურად ორიენტირებული, თუმცა წმინდა სახით ისინი არ არსებობენ.

ლიბერალური მოდელი ხასიათდება კერძო საკუთრებას გაბატონებული მდგომარეობით, ხოლო სოციალურად ორიენტირებული მოდელი გამოირჩევა საკუთრების სხვადასხვა ფორმების ორგანული ურთიერთთანაშეწყობით და, კერძოდ, სახელმწიფო საკუთრების საკმაოდ მაღალი ხვედრითი წილით, შესაბამისად სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობით ეკონომიკური და სოციალური განვითარების რეგულირებაში. აღნიშნული მოდელები განსხვავდებიან აგრეთვე ადამიანთა სოციალური დაცვის საკითხების გადაწყვეტილებისადმი მიდგომით. აღნიშნულ მოდელებს გააჩნიათ როგორც ღირსებები, ისე ნაკლოვანებები.

მსჯელობა სოციალისტური საბაზრო მეურნეობის შესახებ დაიწყო XIX ს. 60-იანი წლების შუახანებიდან.

ფრანგმა სოციოლოგმა როჟე გაროდიმ შექმნა სოციალიზმის კიბერნეტიკული მოდელი. ამ შემთხვევაში მან კიბერნეტიკა დაიყვანა უკუქცევითი კავშირის პრინციპამდე, კავშირისა, რომელიც გულისხმობს უკუქცევით მოქმედებას სისტემის ელემენტებიდან მისი ცენტრისაკენ. საზოგადოების მიმართ ეს, რ.გაროდის აზრით ნიშნავს ისეთ მდგომარეობას, როცა საზოგადოებაში სხვადასხვა ღონისძიებათა ინიციატივა მიმდინარეობს ქვემოდან, რიგითი ადამიანებიდან.

რ.გაროდი მხარს უჭერდა სოციალიზმის ისეთ მოდელს, რომლის დროსაც წესდება მრეწველობის მართვის სრული დეცენტრალიზაცია და მყარდება საბაზრო ურთიერთობა. ამას რ.გაროდი უწოდებს სოციალიზმის აღდგენას კიბერნეტიკული ნიშნის მიხედვით, როგორც ბედნიერების მოდელს, სიცოცხლის სილამაზის მოდელს.

რ.გაროდი გმობდა სოციალიზმის საბჭოურ მოდელს. იგი მას უწოდებდა მექანიკურ მოდელს, რომლის დროსაც ყველაფერი ცენტრიდან მოდის. რ.გაროდი საზოგადოების მშენებლობის საფუძვლად თვლის უკუქცევით კავშირს - მხოლოდ ადგილობრივ ინიციატივას და არავითარ წარმმართველ ზემოქმედებას ზემოდან. მისი აზრით ასეთი მოდელის ტიპიური მაგალითია ჩინური მოდელი. ხუნვეიბინების მოქმედებას ჩინეთში იგი თვლიდა ქვემოდან ინიციატივად. საბაზრო სოციალიზმის საინტერესო მოდელი მოქმედებს დღევანდელ ჩინეთში (იხ.მაოიზმის ეკონომიკური პლატფორმა).

ახალი საბაზრო სოციალიზმის მოდელი შექმნეს ყოფილი იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის თეორეტიკოსებმა ე.კარდელმა, ვ.ბაკარიჩმა, ზ.ჩეპომ, ო, შიკმა, გაეკმა, ი.სვიტაკმა, ვ.მანდელმა და სხვ. ისინი ილაშქრებდნენ ტოტალიტარული, დიქტატორული სოციალიზმის წინააღმდეგ. მათი ანტიტოტალიტარიზმი გულისხმობდა ეკონომიკის დეეტაციზაციას (სახელმწიფო როლის შემცირებას), თვითმმართველობაზე გადასვლას, წვრილ საწარმოების გახსნას, განსაზოგადოებული მიწების გადაცემას კერძო მესაკუთრეებისადმი და სხვ.

აღნიშნული თეორეტიკოსებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა წარსულში ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ოტა შიკი.

ო.შიკის საბაზრო-სამეურნეო სოციალიზმი გულისხმობდა შემდეგი მოთხოვნების თანდათანობით რეალიზაციას.

1. პარტიის გავლენის აღმოფხვრას ეკონომიკის განვითარებაზე.

2. ო.შიკი მოითხოვდა სოციალისტური სახელმწიფოს სახალხოსამეურნეო ფუნქციების, უწინარეს ყოვლისა ცენტრალიზებული სახელმწიფო დაგეგმვისა და მართვის გაუქმებას. იგი მომხრეა სახელმწიფოს ეკონომიკური როლი შემოიფარგლოს რამდენიმე საკითხი, რომლებიც კრედიტისა და ხელფასის სფეროს ეხება.

3. ო.შიკი ემხრობოდა ცალკეული საწარმოების განთავისუფლებას სახელმწიფო მეურვეობისაგან, მათთვის იმის საშუალების მიცემას, რომ უშუალო კავშირი დაამყარონ კაპიტალისტურ კონცერნებთან. იგი აყენებდა არარენტაბელური ქარხნებისა და ფაბრიკების გაუქმების წინადადებას; მხარს უჭერდა საწარმოებს შორის კონკურენციულ ბრძოლას; დასაშვებად მიაჩნდა გარკვეული უმუშევრობაც.

4. ო.შიკი იმედოვნებდა, რომ თავის კონცეფციას პრაქტიკულად განახორციელებდა დასავლეთის ქვეყნების კრედიტის საშუალებით.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ თავისუფალ კონკრენციას წარმოების კონცენტრაციამდე მივყავართ, ხოლო ამ უკანასკნელს გარკვეულ საფეხურზე - მონოპოლიამდე. სწორედ მონოპოლიზმი ამძიმებს საქმეს, ეს იქნება კერძო თუ საზოგადოებრივი საკუთრების, რომელიც ხელს უწყობს ადმინისტრაციულ-მმართველობით აპარატს თავისი პირობები უკარნახოს მწარმოებლებსა და მშრომელებს, წაართვას მათ არჩევის საშუალება.



### 3.საზოგადოების მოწყობის შვედური და სამხრეთკორეული მოდელები.

დღეისთვის საინტერესოს წარმოადგენს შერეული ეკონომიკის ფუნქციონირებას თავისებურებანი შვეციის მაგალითზე.

ეკონომიკის განვითარების შვედური მოდელი, რომელიც ლიტერატურაში „შვედური სოციალიზმის" სახელწოდებითაა ცნობილი, გამოირჩევა მკაფიოდ გამოხატული სოციალური მიმართულებით. მისი ბირთვია მძლავრი სოციალური პოლიტიკა და აქედან გამომდინარე. სოციალურ გარდაქმნათა მაღალი დონე, რაც ხორციელდება სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობით საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში. სოციალური ასპექტების წინა პლანზე წამოწევა დიდად განასხვავებს შვედურ მოდელს საბაზრო ეკონომიკის სხვა ცნობილი მოდელებისაგან. მაგალითად, თუ იაპონური მოდელის მთავარ ნიშანთვისებას გამოხატავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპები, შვედური მოდელის ეფექტიანობის კრიტერიუმად მიიჩნევენ მისი ფუნქციონირების მნიშვნელოვან სოციალურ შედეგებს.

შვედური მოდელის დედააზრი განისაზღვრება იმით, რომ დინამიური ბაზარი ორიგანალურად არის შერწყმული მნიშვნელოვანი სოციალური მიზნების მიღწევასთან. ამიტომაც შვეცია გამოირჩევა მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის აგნვითარებული სისტემით. იგი წარმოდგენილია მომსახურეობისა და ფულადი დახმარების მრავალფეროვანი ფორმებით, რომლებიც გადაისინჯება ფასების ინდექსის გათვალისწინებით. დასავლეთის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, შვეციის ეკონომიკა უზრუნველყოფს მოქალაქეთა სოციალური დაცვის მაღალ დონეს, პირადი შემოსავლების გაცილებით დიფერენციაციას, გამორიცხავს მასობრივ სიღარიბესა და მასობრივ უმუშევრობას.

იმ სოციალურ პრობლემებს შორის, რომელთა გადაწყვეტას ემსახურება საზოგადოების შვედური მოდელი, გამოყოფენ შემდეგს: თანასწორობის პრინციპის გატარება, რაც ნიშნავს კეთილდღეობის თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფას საზოგადოების ყოველი წევრისათვის, სოციალური გარანტიების საიმედო სისტემის შექმნა ადამიანებისათვის; შრომისუნარიანი მოსახლეობის სრული დასაქმება.

მაღალი სოციალური ხარჯების წყალობით შვეციაში უზრუნველყოფილია მოსახლეობის სოციალური დაზღვევის ქმედითი გარანტიები, სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურეობისა და განათლების ხელმისაწვდომობა. საზოგადოების ყველა წევრს უფლება ეძლევა საკმაოდ მაღალი დონის სოციალურ ფასეულობებსა და

მომსახურეობაზე*.

შვეციაში მიიჩნევენ, რომ სოციალური მომსახურება საზოგადოებრივი ცხოვრების განსაკუთრებული სფეროა, სადაც განაწილებითი ურთიერთობანი არ უნდა ექვემდებარებოდნენ საბაზრო რეგულირების კანონზომიერებებს.

სოციალურ მომსახურებაში დომინირებულ როლს თამაშობს სახელმწიფო-კომუნალური სექტორი, რაც ნიშნავს, რომ ერთის მხრივ, წარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოყვანილია საბაზრო ძალების მოქმედების სფეროდან (ე.ი. ნაწილდება არა შემოსავლების, არამედ მოთხოვნილების მიხედვით), ხოლო, მეორეს მხრივ, საზოგადოება მნიშვნელოვნად აკონტროლებს იმ კაპიტალს, რომელიც სამუშაო ძალის კვლავწარმოებაზე წარიმართება.

შვეციაში საკუთრების პლურალიზმის პირობებში გაბატონებული მდგომარეობა უკავია საკუთრების აქციონერული ფორმას. ე.ი. ჯგუფური ინტერესების ბატონობას შეესაბამება ჯგუფური საკუთრება.

შვეციაში ეკონომიკის მართვა სამ ბერკეტს ეყრდნობა: ესაა ეკონომიკური წონასწორობის პროგნოზირება უახლოესი პერსპექტივისათვის. შვედები ოპტიმალურ ვადად თვლიან ერთ წელიწადს, როგორც ყველაზე მეტად წინასწარგანმჭვრეტს. ძირითადი პარამეტრების სახით გამოიყოფა ტენდენცია დასაქმებულობის სფეროში, ინფლაციის ზრდის ტემპი და საშინაო და საგარეო საგადასახადო ბალანსის მდგომარეობა. მეორე, კონტროლი კაპიტალურ დაბანდებებზე, მათ ამ მიზნებსა და მოცულობაზე, და ბოლოს, მესამე - რესურსების განაწილება მოსახლეობას შორის. ყველა ადამიანის შესაძლებლობების გამოთანაბრება**.

შვეციაში ცხოვრების დონე ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. ამ მაჩვენებლით მას მე-6 ადგილი უკავია მსოფლიოში. ხოლო საზოგადოების შიგნით შემოსავლების განაწილების თანაბარზომიერებით - პირველი. სახელმწიფო კომუნების მეშვეობით, ფარავს საბინაო გადასახადს, თუ ის ზედმეტად ტვირთავს საოჯახო ბიუჯეტს. ყველა ბავშვს თექვსმეტ წლამდე ერიცხება ხუთი ათას კრონამდე წელიწადში. ხოლო მშობლებიდან მხოლოდ ერთ-ერთის ყოლისას უფრო მეტიც. პირადი ავტომანქანების შეძენა და განსაზღვრული რეგულარობით მისი შეცვლა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის პრობლემა არ არის. ამას გარდა,

- - - - - - -

*იხ. კ.ეკლუნდი, ეფექტური ეკონომიკა, მ., 1991 (რუს).

**ჯ. ხარიტონაშვილი, კიდევ ერთხელ იდეათა სესხების შესახებ, ჟურნალი „ეკონომისტი", №8, 1996, გვ. 30.



შვედს აქვს იურიდიული, სოციალური და საყოფაცხოვრებო დაცულობის მაღალი დონე. მიუხედავად ამისა, სოციალიზმის „შვედურ მოდელს" მიღწევებთან ერთად ნაკლოვანებებიც აქვს. პრობლემები უფრო მეტად სოფლის მეურნეობაში შეიმჩნევა. შვეციაში წარმოქმნილმა ფერმერთა კავშირმა, რომელიც, მართალია, ჭარბად კვრუნველყოფს ქვეყანას ყველა აუცილებელი პროდუქტით, შინაგანი კონკურენციის უქონლობის გამო, მონოპოლური მდგომარეობა დაიკავა და შესაძლებლობა ეძლევა, თავისი ფასები უკარნახოს კვების მრეწველობის ყველა დარგს*.

მიუხედავად ამისა შვეციის ეკონომიკა უნიკალურია როგორც მისი ნაკლოვანებებით, ისე უპირატესობებით. შვეციისათვის დამახასიათებელია მცირე ტერიტორია, განათლების მაღალი დონე, უცხო ენების ფლობა, ნეიტრალიტეტი. ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრობა. იქ არის საერთაშორისო კომპანიების დიდი რიცხვი, როგორებიც არის „ვოლვო", „სააბ-სკანია", „ატლას კოპკო", „ელექტროლუქსი" და სხვ.

შვეციის ეკონომიკისათვის მეტად მნიშვნელოვანია დიდი სახელმწიფო სექტორი, რომელიც იყენებს ქვეყნის სამუშაო ძალის 31%-ს**. სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობს მრეწველობის რეგულირებაში, ორიენტირებას ახდენს სოციალურ ფასეულობებზე.

სახელმწიფო მხარს უჭერს წარმოებას, განსაკუთრებით მსხვილ საერთაშორისო კორპორაცებს, რომლებიც შვეციაში მოქმედებენ. კორპორაციების არსებული დასაბეგრი განაკვეთები დაბალია - 20-30%.

შვეციაში წარმოება ითვლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად.

სახელმწიფო პოლიტიკა შვეციაში ყოველმხრივ დადებითად მაინც ვერ ჩაითვლება. იგი ძირითადად მუშაობს მსხვილი კომპანიების ინტერესებში, მაშინ როცა მცირე საწარმოთა პრობლემები უყურადღებოდ რჩება.

შვეციაში სახელწიფოს ხელშია განათლება და ჯანდაცვა. სახელმწიფოს სრულ ან ნაწილობრივ მფლობელობაშია კომპანიათა 8% და შვედეთის საერთო ექსპორტის 9%***.

შვეციაში მთელი სოციალური ინფრასტუქტურა სახელმწიფოს ხელშია კონცენტრირებული. დასავლეთის ქვეყნებს შორის შვეცია გამოირჩევა ყველაზე დიდი სახელმწიფო - კომუნალური სექტორით.

ერთობლივი, ანუ „კონსოლიდირებული" სახელმწიფო სექტორი

- - - - - - -

*გაზ. „იზვესტია", 1989წ. 12 ოქტომბერი (რუს).

**მ.პორტერი, საერთაშორისო კონკურენცია, მ., 1993, გვ. 398 (რუს).

***იქვე, გვ. 387.

შვეციაში მოიცავს მთავრობას, კომუნებს, სოციალურ დაზღვევას. ეს სექტორი იყენებს ქვეყნის ერთობლივი რესურსების 1/3-ს ისეთი სახის მომსახურებაზე, როგორიცაა ჯანდაცვა, ბავშვთა აღზრდა, განათლება, თავდაცვა და მართვა.

შვეციაში მიიჩნევენ, რომ რაგინდ კარგად გააზრებული და სოციალურად სამართლიანი არ უნდა იყოს განაწილებისა და გადანაწილების პოლიტიკა, ფართო მასების მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ზრდა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ეფექტიანი, კონკურენტუნარიანი და დინამიკურად განვითარებადი ეკონომიკის პირობებში.

შვეციის ეკონომიკის მიზანია მიაღწიოს ინფლაციისა და უმუშევრობის უფრო დაბალ დონეს. ისინი მიიჩნევენ, რომ თუ ინფლაცია იქნება მსოფლიოზე უფრო მაღალ დონეზე, ძნელი იქნება სრული დასაქმების მიღწევა.

შვედური მოდელის მნიშვნელოვანი მონაპოვარია სწორედ მოსახლეობის „სრული დასაქმების“ მიღწევა. შვეციაში მიღწეულია განვითარებულ ქვეყნებს შორის შრომისუნარიანი მოსახლეობის ყველაზე მაღალი დასაქმებულობა: 83-84%*.

შვეციაში გამოიყენება „სოლიდარული ხელფასის“ სისტემა. სხვადასხვა დარგებსა და პროფესიულ დონეებს შორის მსოფლიოში ყველაზე მცირე სხვაობაა.

შვედური მოდელის კიდევ ერთ სოციალურ მაჩვენებელს წარმოადგენს სიღარიბის პრობლემის წარმატებით გადაწყვეტა. მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით პირადი მოხმარების დონის მიხედვით შვეცია პირველ ადგილზეა ევროპაში და მესამეზე მსოფლიოში აშშ-ისა და კანადის შემდეგ.

შვეციაში საკუთრებისა და ძალაუფლების მძლავრი ინსტრუმენტია აქციები. საოჯახო მეურნეობების წილი, რომლებიც აქციებს ფლობენ, უფრო დიდია, ვიდრე დასავლეთის სხვა ქვეყნებში. ყოველი მეოთხე შვედი ფლობს აქციებს, მაგრამ მცირე რაოდენობით. მსხვილი საწარმოების საკონტროლო პაკეტებს რამოდენიმე ოჯახი და მსხვილი ინსტიტუტები ფლობენ. იქ აქციების უმსხვილესი მფლობელები არიან სადაზღვევო კომპანიები, საინვესტიციო კომპანიები და სხვადასხვა ფონდები.

შვედები სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვაში სახელმწიფოს აქტიური, მაგრამ უპირატესად არაპირდაპირი ჩარევის მომხრენი არიან.

საბაზრო ეკონომიკის შვედური ვარიანტის კრიტიკოსსები

- - - - - -

*იხ. ჟურნ. „ეკო“, №2, 1990, გვ.194, (რუს).



აღნიშნავენ სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის არა საკმაო მოქნილობას და ეფექტიანობას*. ისინი თვლიან, რომ სახელმწიფო ზედმეტად მეურვეობს შვეციის საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა მხარეს და ზღუდავს კერძო ინიციატივას.

შვეცია განთქმულია განათლების მაღალი დონით. ქვეყანაში არსებული ერთნაირი სასკოლო პროგრამა საშუალებას იძლევა მომზადდეს მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა. შვეციის განათლების სისტემას თითქმის მთლიანად სახელმწიფო სექტორი განაგებს.

შვეცია ლიდერობს ჯანდაცვაშიც.

შვეციაში განსაკუთრებული ყურადღება ეცევა უსაფრთხოებას, გარესამყაროს მდგომარეობასა და საზოგადოების კეთილდღეობას. როგორც შვეციის გამოცდილება გვიჩვენებს სოციალურად ყველაზე უფრო სამართლიანი განაწილება, მოქალაქეთა დაცულობის, სოციალური სტაბილურობის, ეკონომიკური რესურსების გამოყენებისა და ბუნების დაცვის მაღალი დონე შეიძლება მიღწეულ იქნას მეურნეობის მართვის საბაზრო მეთოდებისა და სახელმწიფო რეგულირების ოპტიმალური შეთანხმების გზით. შვედური მოდელის პირობებში ისინი ერთმანეთს ავსებენ და მიზანშეწონილად ურთიერთმოქმედებენ.

* * *

საინტერესოა და საყურადღებოს წარმოადგენს აღმოსავლეთის რიგი ქვეყნების გამოცდილება (იაპონია, კორეა, და სხვ.). ამ ქვეყნებმა განვლეს ეკონომიკის განვითარების ინტენსიური გზა და მოკლე ხანში მაღალ დონეს მიაღწიეს. ამ მხრივ საყურადღებო და საინტერესოა სამხრეთ კორეის მაგალითი, რომელსაც უნდა გავეცნოთ და შეძლებისდაგვარად გამოვიყენოთ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი კორეის რესპუბლიკის ეკონომიკა წმინდად აზიური იყო. სოფლის მეურნეობა, მცირე რესურსები და მჭიდროდ დასახლებული მოსახლეობა, რომლის უდიდესი ნაწილი მიწათმოქმედებას მისდევდა. გაზაფხული დადგებოდა თუ არა მოსახლეობის უმეტესობა მთებს მიაშურებდა, რათა ხეებისთვის ქერქი გაეძროთ და დამშეული ცოლ-შვილი დაეპურებინათ. იმ პერიოდში ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ კორეა თავს დააღწევდა სიღატაკეს. მსოფლიო არ ელოდა, რომ კორეა მიაღწევდა განვითარების რეკორდულ მაჩვენებლებს.

50-იანი წლების დამლევს ამერიკელები წერდნენ: „კორეელები

- - - - - -

*იხ. ჟურნ. „ეკო“, №2, 1990, გვ.189, (რუს).

მსოფლიოში უზარმაცესი ხალხიაო. ისინი კონფერენციაზეც კი არასოდეს ცხადდებიან დროულადო“. როდესაც კორეის ეკონომიკამ სწრაფი განვითარება დაიწყო, კორეელები პუნქტუალურები გახდნენ. ისინი მიხვდნენ, რომ დროის პუნქტუალური დაცვა საერთაშორისო ბაზარზე წარმატებული ბიზნესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

წარმატებულმა ეკონომიკურმა განვითარებამ ხალხიც უფრო აამუშავა. რაც უფრო ვითარდებოდა კორეის მრეწველობა, ბიზნესიც უფრო და უფორ საქმიანი ხდებოდა. კორეელები დღეს ზარმაცები არ არიან. ამერიკელები კი უკვე ამბობენ, რომ კორეელები ყველაზე ბეჯითი ხალხია მსოფლიოში.

1961 წ. კორეაში შედგენილ იქნა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხუთწლიანი გეგმა. გეგმა ითვალისწინებდა ხუთი მთავარი საწარმოო ფაქტორის გამომუშავებას. ესენია: ელექტროობა, ცემენტი, სასუქი, ნავთობქიმია, რკინა-ფოლადი.

კორეის ეკონომიკური წინსვლა შეუძლებელი იქნებოდა, თუ არა ქვეყნის მთავრობისა და კერძო ბიზნესმენების ერთობლივი მონდომება.

კორეის ეკონომიკისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტის პრეზიდენტის სანგ სენგ პარკის აზრით, მთავრობამ უნდა მიიღოს საწარმოო და ფინანსური გეგმები, ქარხნები და სხვადასხვა ობიექტები კი კერძო სექტორებმა ააშენონ*.

კორეაში ურთიერთდამხმარე ნედლეულის საწარმოები მთავრობის დახმარებით აიგო. ცემენტის, სასუქების ქარხნები და ნავთობ-ქიმიური ობიექტები კერძო ფირმებმა ააშენეს და გამართეს კორეის მთავრობის ხელშეწყობით.

ახალი ქარხნებისა და საწარმოო ობიექტების ამუშავების შემდეგ ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელ ძალად წარმოებული პროდუქციის ზრდა იქცა. წარმოებული პროდუქცია მატულობდა და ეს პროცესი დღემდე არ შეჩერებულა.

მრეწველობის განვითარებამ შესაძლებელი გახადა იმპორტის ადგილობრივი წარმოებით შეცვლა.

ეკონომიკის განვითარების სწრაფმა ტემპმა განამტკიცა კორეელთა რწმენა: „თუ ჩვენი თავის სიკეთე გვინდა, აუცილებლად გავაკეთებთ იმას, რისი გაკეთებაც შეგვიძლია“. იმისათვის, რომ განვითარებული ქვეყნების ცხოვრების სტანდარტებს დაეწიო, საჭიროა ბეჯითი შრომა, აღნიშნავენ კორეელები.

- - - - - -

*იხ. სანგ სენგ პარკი, კორეის გამოცდილება, გაზ. „ბანკი“ 10.07.93. გვ. 12.



განვითარებულმა ეკონომიკამ აამაღლა ადამიანთა ცხოვრების დონე ყველა სფეროში, მათ შორის ჯანმრთელობისა და სპორტის სფეროშიც. ამის დასტური იყო სეულის 24-ე ოლიმპიურ თამაშებში კორეის მიერ მოპოვებული მე-4 ადგილი.

* * *

შერეული ეკონომიკის ზემოთ განხილული მოდელები საინტერესო უნდა იყოს დღევანდელი საქართველოსათვის. მათი სათანადოდ არჩევა და საქმიანი გამოყენება დადებითად წაადგება ჩვენი ეკონომიკის განვითარებას.

ნობელის პრემიის ლაურეატი ამერიკელი ვ.ლეონტიევი არასწორად მიიჩნევს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დანერგონ ამერიკული ტიპის თავისუფალ ფუნქციონირებადი კაპიტალისტური ეკონომიკა. „ეჭვგარეშეა, - აღნიშნავს იგი, - რომ რაც არ უნდა მოინდომონ, ამის გაკეთება შეუძლებელია,. გარდაქმნის წარმატების შემთხვევაში, მისი იდეალური შედეგი შორეული პერსპექტივისათვის, შეიძლება მისადები გახდეს ევროპული ტიპის შერეული ეკონომიკა, რომელშიც საბაზრო მექანიზმი, მართალია, ემყარება კონკურენციას, მაგრამ ამავე დროს ანგარიშს უწევს მკაცრ კონტროლს სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი და სოციალური მომსახურების ყოველგვარი სისტემის მხრივ, რასაც ხმარდება მთელი ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი“*

იაპონიის დადებითი გამოცდილების მაგალითზე მითითებით ვ.ლეონტიევი აღნიშნავს, „რომ ცენტრალიზებული მკაცრი დაგეგმვის ნაცვლად შეიძლება დავეყრდნოთ ინდიკატიურ, მაორიენტირებელ სამრეწველო დაგეგმავას. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს სახელმწიფო ხომალდის შეუფერხებელ სვლას შემუშავებული კურსით, ისე რომ ინდივიდების პირად დაინტერესებას მხოლოდ ზურგის ქარის როლიღა რჩება შესასრულებელი“**.

სოროსის ფონდის დამაარსებელი და თავმჯდომარე ჯორჯ სოროსი აღნიშნავს, რომ თავის „ისტორიის ფილოსოფიაში“ ჰეგელმა გამაოგნებელი ისტორიული კანონზომიერება აღმოაჩინა: ცივილიზაციების ნგრევას და გადაშენებას მათივე ძირითადი პრინციპების ავადმყოფური ინტენსიფიკაცია იწვევს. ჯ.სოროსი მიუთითებს: „ახლა უკვე ვშიშობ, რომ *laissez—faire*-ის ტიპის

- - - - - -

*ვ.ლეონტიევი, ბაზრისაკენ სახელმწიფო გზით, ჟურნ. „ეკონომისტი“, 1990, №6I გვ.41

** იქვე.

კაპიტალიზმისა და საბაზრო ფასეულობების ცხოვრების ყველა სფეროში გავრცელება დიდ საფრთხეს უქმნის ჩვენს ღია, დემოკრატიულ საზოგადოებას. ღია საზოგადოების მთავარი მტერი, ჩემი აზრით, კომუნიზმი კი აღარ არის, არამედ კაპიტალიზმია"*.

ჯ.სოროსს მოყავს აზრი კარლ პოპერის წიგნიდან „ღია საზოგადოება და მისი მტრები", რომლის თანახმადაც, „არავის შეიძლება ჰქონდეს მონოპოლია ჭეშმარიტებაზე. ადამიანებს განსხვავებული ინტერესები და შეხედულებები აქვთ და იმისათვის, რომ მშვიდობიანად იცხოვრონ ერთმანეთის გვერდიგვერდ, მათ გარკვეული ინსტიტუტები ჭირდებათ. ეს ინსტიტუტები იმისთვისაა მოწოდებული, რომ დაიცვან მოქალაქეთა უფლებები და უზრუნველყონ არჩევანისა და სიტყვის თავისუფლება"**. ჯ. სოროსის თქმით „კომუნიზმის კრახმა ნაყოფიერი ნიადგი შექმნა საყოველთაო და ღია საზოგადოების შექმნისათვის, მაგრამ დასავლეთის დემოკრატიულმა ქვეყნებმა ეს შანსი ვერ გამოიყენეს. ახალი რეჟიმები, რომლებიც ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე აღმოცენდნენ, ძალზე მცირედ ჰგვანან ღია საზოგადოებას. დასავლეთის ალიანსმა როგორც ჩანს, დაკარგა საკუთარი დანიშნულების აზრი, რადგან ვერ ახერხებს საკუთარი თავის განსაზღვრას კომუნიზმის საფრთხის გარეშე"***.

ჯ.სოროსის მიიზანია დაასაბუთოს, რომ ღია საზოგადოებას საპირისპირო მხრიდან მეტისმეტი ინდივიდუალიზმისაგანაც ემუქნება საფრთხე. მეტისმეტად დიდ კონკურენციას და მეტისმეტად მცირე თანამშრომლობას შედეგად დიდი უთანასწორობისა და არასტაბილურობის მოტანა შეუძლია. თუკი დღესდღეობით ჩვენს საზოგადოებაში საერთოდ არსებობს რაიმე გაბატონებული რწმენა, ეს არის რწმენა ბაზრის მაგიური ძალისა. როგორც *Laissez–faire*-ის თეორია გვარწმუნებს, უმოკლესი გზა საერთო კეთილდღეობისაკენ ინდივიდის კერძო იტერესებზე გადის. მაგრამ თუკი ვერ მოხერხდება ამ კერძო ინტერესების გაწონასწორება, ჩვენი ამჟამინდელი სისტემა, რომელიც მაინც უპასუხებს ღია საზოგადოებს მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა, რომ სრულებითაც არ არის სრულყოფილი, დასაღუპავად იქნება განწირული.

რადგან კომუნიზმი და სოციალიზმიც კი მთლიანად დისკრედიტებულია, დღეს საფრთხე *Laissez--faire*-ის მხრიდან გაცილებით

\- - - - - -

*ჯ.სოროსი, კაპიტალიზმის საფრთხე, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 5/*IV* - 2/*V*, 1997წ., გვ.6.

**იქვე.

***იქვე.



მეტია, ვიდრე ტოტალიტარული იდეოლოგიების მხრიდან. ჩვენ გვაქვს საშუალება ვისარგებლოთ ჭეშმარიტად გლობალური მასშტაბის საბაზრო ეკონომიკის უპირატესობით, რომლის პირობებშიც საქონელი, მომსახურება, კაპიტალი და ადამიანებიც კი თავისუფლად მოძრაობენ მსოფლიოს ირგვლივ, მაგრამ არც ერთი ჩვენთაგანი არ ფიქრობს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ღია საზოგადოების ფასეულობებისა და ინსტიტუტების შენარჩუნება.

დღევანდელ სიტუაციას ჯ.სოროსი გასული საუკუნის დასასრულს შექმნილ მდგომარეობას ადარებს. მაგრამ მიუთითებს, რომ მაშინ კაპიტალიზმის ოქროს ხანა იყო. მაშინ არსებობდა ინგლისის იმპერია, რომელიც მსოფლიოს აკონტროლებდა. მაგრამ ახლა სხვა მდგომარეობაა. აშშ-ს არ სურს მსოფლიო ჟანდარმის როლი შეასრულოს. უწინ ოქროს სტანდარტი არსებობდა, დღეს კი მსოფლიოს წამყვანი ვალუტები სისტემატურად მერყეობენ და ისე ამსხვრევენ ერთმანეთს, როგორც ისპოლინური კონტინენტური თეფშები. თავისუფალი ბაზრის რეჟიმს რომელიც ასი წლის წინ ბატონობდა დედამიწაზე, პირველმა მსოფლიო ომმა მოუღო ბოლო. ის რაც უწინ პროფესია იყო, ახლა ბიზნესი გახდა. ზნეობრივი იდეალები ახლა ეკონომიკური წარმატების კულტმა შეცვალა. საზოგადოებამ თავისი ნავთსაყუდელი დაკარგა.

როგორც ავადმყოფისათვის, ისე კრიზისში მყოფი ეკონომიკისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორი დიაგნოზის დასმას და შექმნილი მდგომარეობიდან რეალური გამოსავლის მონახვას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება დაუძლურებული ეკონომიკის გაჯანსაღება.

ეკონომიკური განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე რომელიმე პრინციპის კამპანიური გამოყენება სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. საბაზრო სისტემის ნებისმიერი მოდელის მექანიკურად გადმოღება ჩვენს ეკონომიკას ვერ უშველის.

შექმნილ სიტუაციაში რეკომენდაციას ვუწევთ მობილური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას. ახლა საჭიროა უპირატესად გამოვიყენოთ პროტექციონისტული პრინციპი („აღმზრდელობითი პროტექციონიზმი"); ხოლო შემდგომში როცა შესაძლებელი გახდება პრიორიტეტი მივანიჭოთ და ფართო გზა გავუხსნათ თავისუფალ მეწარმეობასა და თავისუფალ ვაჭრობას (ფრიტრედერობას).

ჩვენი ეკონომიკა შერეული, პლურალისტური გზით უნდა განვითარდეს. ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ შერეული ეკონომიკის სამსექტოროვან მოდელს. იგი უნდა გულისხმობდეს სახელმწიფო, კერძო და კორპორაციული მეწარმეობის თანაარსებობას.

# თავი XX. მოძღვრებები განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის შესახებ.

დღევანდელ მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით აშკარად გამოიყოფა ქვეყნების სამი ჯგუფი: განვითარებული ქვეყნები, ყოფილი სოციალისტური ქვეყნები და „მესამე სამყაროს“ ანუ განვითარებადი ქვეყნები.

განვითარებული ქვეყნები განსაზღვრავენ მსოფლიოს გლობალურ ეკონომიკურ სიტუაციას. მათ შეუძლიათ არეგულირონ არა მარტო საკუთარ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებიც, რამაც გამოიწვია ყოფილ სოციალისტური ქვეყნებისა და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური დამოკიდებულება განვითარებული ქვეყნების მიმართ.

განვითარებადმა ქვეყნებმა უკვე კარგა ხანია მოიპოვეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა. პოლიტიკური განთავისუფლება უდიდესი სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე საერთო-ეროვნული ამოცანების გადაჭრისა და სოციალური პოგრესის აუცილებელ წანამძღვრებს ქმნის. იგი არის ის განმსაზღვრელი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს ამ ქვეყნების უზარმაზარი ბუნებრივი და შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ეკონომიური ჩამორჩენილობის აღმოფხვრას.

„მესამე სამყაროს“ ქვეყნები თავიანთი შემდგომი განვითარების გზაზე მნიშვნელოვან სიძნელეებს აწყდებიან. ყოფილი მეტროპოლიები ცდილობენ ისინი მოაქციონ თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ზეგავლენის ქვეშ. განვითარებული ქვეყნები აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს კვლავ მიიჩნევენ ნედლეულის ბაზად, თავიანთი კაპიტალდაბანდებების სფეროდ და გასაღების ბაზრად.

„მესამე სამყაროს“ ქვეყნები ბუნებრივია ვერ ურიგდებიან სანედლეულო დანამატის როლში ყოფნას. ისინი აქტიურად ცდილობენ საკუთარი ეკონომიკური თეორიებით თავი დააღწიონ ეკონომიკურ დამოკიდებულებას და შექმნან თავიანთთვის სასარგებლო ეროვნული მეურნეობის სტრუქტურა.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს იკავებს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პრობლემები.

განვითარებად ქვეყნებზე, მათი ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებებზე მრავალი მოძღვრება შეიქმნა, რაც



გამოწვეულია თვით საკითხის აქტუალობით.

განვითარებად ქვეყნებზე შექმნილ მოძღვრებებში სამ მიმართულებას გამოჰყოფენ. ესენია: კონსერვატიული, ლიბერალური და ლიბერალურ დემოკრატიული.

კონსერვატიული მიმართულება დაკავშირებული იყო მონოპოლისტური ბურჟუაზიის იდეოლოგიასთან.

ლიბერალური მიმართულების მიმდევრებისა და გარკვეული ზომით ლიბერალურ-დემოკრატებისთვისაც დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნების მდგომარეობისადმი კრიტიკულ-აღწერითი მიდგომა, თუმცა საბოლოო ჯამში არც ისინი მოითხოვდნენ არსებული თანაფარდობის შეცვლას მსოფლიოში.

განვითარებადი ქვეყნების პრობლემების დამუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ნეოკეინსელებმა (კილდლებერგერი, სტეილი და სხვ.) ისინი განვითარებადი ქვეყნების ჩამორჩენას შინაგანი ფაქტორებით ხსნიდნენ.

ეკონომისტთა დიდი ნაწილი განვითარებადი ქვეყნებისათვის მოითხოვს თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების დაცვის აუცილებლობას. ისინი მიიჩნევენ, რომ განვითარებადი ქვეყნები უნდა დარჩნენ აგრარულ-სანედლეულო სპეციალიზაციით, მათთვის საჭირო არ არის პროტექციონიზმი და ფორსირებული ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა.

განვითარებადი ქვეყნების შესახებ შექმნილი თეორიებიდან პოპულარულია შემდეგი: ნაადრევი დამოუკიდებლობის დოქტრინა; ვაკუუმის დოქტრინა; ურთიერთდამოკიდებულების დოქტრინა; სიღატაკის მოჯადოებული წრის თეორია; წარმოების შედარებითი ხარჯების თეორია.

ნაადრევი დამოუკიდებლობის დოქტრინის შემქმნელები არიან ამერიკელები ჯ.კ.კინგი და ჯ.ფ.დალესი. ისინი მიიჩნევენ, რომ განვითარებადი ქვეყნები ჯერ კიდევ არ არიან მომზადებული თავისუფალი, დამოუკიდებელი განვითარებისათვის. მათ აკლიათ მეწარმეობრივი სულისკვეთება და ნაადრევად მიენიჭათ დამოუკიდებლობა. ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებს მაშინ უნდა მიეცეთ დამოუკიდებლობა, როცა განვითარებული ქვეყნების ხელმძღვანელობით ისინი ამისთვის მომწიფდებიან.

ნაადრევი დამოუკიდებლობის დოქტრინის დამცველები ამის არგუმენტად იმას ასახელებენ, რომ თანამედროვე ტექნიკის გამოყენება მოითხოვს მაღალ კვალიფიკაციას, ცოდნას, რაც განვითარებად ქვეყნებს არ აქვთ. ისინი ჯერ საამისოდ არ მომწიფებულან.

გერმანელი კ.შმიდი აღნიშნავს, რომ განვითარებადი ქვეყნების ხალხები ძალიან ცოტას ერკვევიან საკითხებში. ისინი უფრო მეტ მიდრეკილებას იჩენენ იმის მოხმარებისაკენ, რაც მათ გააჩნიათ, ვიდრე იქიდან სარგებლობის მიღებისაკენო.

გერმანელი ეკონომისტი ცახი აცხადებს, რომ ბევრი განვითარებადი ქვეყანა თავისი ეკონომიკური, კლიმატური და კულტურული სტრუქტურის გამო გამოუსადეგარია იმისათვის, რომ ინდუსტრიული ქვეყანა გახდესო.

ამერიკელი ეკონომისტები დ.ტერჰერი და ე.ჩილი, გერმანელები ს.კერბერი, ტ.ბერგმანი და სხვ. მოითხოვენ განვითარებად ქვეყნებში მრეწველობის იმ დარგების განვითარებას, რომლებიც მოხმარების საგნებს ამზადებენ.

გერმანელი მ.შმიტი მოითხოვს განვითარებადმა ქვეყნებმა განავითარონ სოფლის მეურნეობა, ხე-ტყის წარმოება, ხელი მოჰკიდონ პირველადი გადამუშავების საქმეს და მასთან დაკავშირებულ ინფრასრუქტურასო.

გერმანელი ნეოლიბერალები განვითარებად ქვეყნებში მძიმე მრეწველობის განვითარების წინააღმდეგნი არიან. ისინი აღნიშნავენ, რომ ინდუსტრიალიზაცია განვითარებადი ვეყნებისათვის საშიში გზა არის, ვინაიდან იგი გაზრდის პროლეტარიატის რიგებს და ამ ქვეყნებში ადვილად გავრცელდება კომუნიზმის ბაცილებიო.

## 1. ვაკუუმის დოტრინა.

ვაკუუმის დოქტრინის დამცველები აცხადებენ, რომ მსოფლიოს რიგ რეგიონებში კოლონიალიზმის მოსპობამ ვაკუუმი, სიცარიელე წარმოშვა და საჭიროა მისი შევსებაო.

ვაკუუმის თეორეტიოსებს ჩამოყალიბებული აქვთ თავიანთი პროგრამა. მათი აზრით, განვითარებად ქვეყნებში უნდა განვითარდეს ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა. ამასთან ისინი განვითარებად ქვეყნებში შეუძლებლად მიიჩნევენ თანამედროვე მანქანების შეტანას, რადგანაც ისინი გაზრდიან ისედაც დიდ უმუშევრობასო.

დასავლეთელ ეკონომისტებს ვაკუუმის შევსების საშუალებად მიაჩნიათ ის გარემოება, რომ ქვეყნებს რომლებმაც პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვეს და ინგლისელი, ფრანგი, ბელგიელი და სხვ. კოლონიზატორებისაგან განთავისუფლდნენ, ეკონომიკურ დახმარებას სთავაზობენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კაპიტალისტები.



## 2. ურთიერთდამოკიდებულების თეორია.

ურთიერთდამოკიდებულების დოქტრინის დამცველები აღნიშნავენ, რომ თუ განვითარებული ქვეყნებისათვის საჭიროა ბაზრები სამრეწველო ნაწარმის გასაღებისა და ნედლეულის შესყიდვისათვის, განვითარებად ქვეყნებსაც სჭირდებათ როგორც სასოფლო-სამეურნეო ნაწარმისა და ნედლეულის გასაღების ბაზარი, ასევე სამრეწველო ნაწარმის შესყიდვა. აქედან ისინი აკეთებენ დასკვნას, რომ განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები ურთიერთდამოკიდებული არიან, ერთმანეთის თანასწორ პარტნიორებს წარმოადგენენ, ვინაიდან მათ საერთო ინტერესები აქვთო.

გ.შპინდლერმა სპეციალური წიგნი დაწერა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ და გააკეთა დასკვნა - განვითარების სხვადასხვა დონის ქვეყნებს შორის ურთიერთბრძოლის ნაცვლად პარტნიორობა მყარდებაო.

ურთიერთდამოკიდებულებისა და პარტნიორობის ერთ-ერთი ვარიანტია ევრაფრიკის ინტეგრაცია. მისი პროპაგანდისტების მტკიცებით ევროპის ინტეგრირებულ სახელმწიფოებსა და აფრიკის განვითარებად ქვეყნებს შორის ორივე მხარისათვის სასარგებლო კავშირები მყარდება. ისინი აცხადებენ: ჩვენ ისე გვჭირდება განვითარებადი ქვეყნების ხალხები, როგორც ჩვენ ვჭირდებით მათო. ჩვენ მათ ვთავაზობთ იმას, რის ნაკლებობასაც განიცდიან (მანქანები, კრედიტი, ტექნიკური და კომერციული ცოდნა, წარმოების ხელმძღვანელობის ცოდნა და სხვ.), ისინი კი გვაძლევენ ჩვენ ნედლეულს, რომლის ნაკლებობასაც განიცდის ევროპა და ამავე დროს ბაზარს უხსნიან ჩვენი მრეწველობის სხვადასხვა დარგების ნაწარმის გასაღებას. მათი საბოლოო დასკვნა ასეთია: „აფრიკა ევროპისათვის არის ეკონომიკური საკუჭნაო, ხოლო ევროპა აფრიკისათვის - ტექნიკური სახელოსნო“*.

როგორც ვხედავთ ურთიერთდამოკიდებულების დოქტრინა გახმიჭვალულია შრომის ახალი საზოგადოებრივი დანაწილების პათოსით. შრომის ასეთი დანაწილება რიგ შემთხვევაში ურთიერთ ხელსაყრელია, მაგრამ არც ის უნდა იქნას დავიწყებული, რომ მოწინავე კაპიტალისტური სახელმწიფოები კვლავინდებურად შეეცდებიან განვითარებადი ქვეყნები დატოვონ მსოფლიო სოფლის მდგომარეობაში.

ზემოთ აღნიშნული განაპირობებს იმ გარემოებას, რომ კაპიტა-

* გ.ჭანუყვაძე, ვულგარული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ.III, თბ., 1964, გვ. 390-391.

ლისტურ ინტეგრაციასა და ვაჭრობის ლიბერალიზაციას მთელი რიგი ახალგაზრდა სუვერენული ქვეყნები უპირისპირებენ პროტექციონიზმს - სამამულო მრეწველობის მფარველობის პოლტიკას.

თვით განვითარებადი ქვეყნებიც მიმართავენ რეგიონალურ კავშირებს, ინტეგრაციას. ეგვიპტემ, ერაყმა, იორდანიამ, სირიამ შექმნეს თავიანთი „საერთო ბაზარი", ლათინური ამერიკის „საერთო ბაზარში" გაერთიანდნენ არგენტინა, ბრაზილია, ბოლივია, პარაგვაი, პერუ და ჩილე. კიდევ ერთი საერთო ბაზარი შექმნა ცენტრალური ამერიკის ოთხმა სახელმწიფომ: გვატემალამ, ჰონდურასმა. ნიკარაგუამ და სალვადორმა.

ნავთობის ექსპორტიორმა ქვეყნებმა შექმნეს საერთაშორისო სანავთობო კარტელი (ოპეკი). მისი წევრები არიან: ირანი, ერაყი, კუვეიტი, საუდის არაბეთი, ვენესუელა, კატარი, ინდონეზია, ლიბია, აბუ-დაბი, ალჟირი, ნიგერია, ეკვადორი, გაბონი.

### 3.სიღატაკის მოჯადოებული წრის თეორია

სიღატაკის მოჯადოებული წრის თეორიის დამცველები არიან ამერიკელი ეკონომისტები ელისი, ბიუკენენი, ჰიგინსი, რენდოლი, ნურქსე და სხვ.

სიღატაკის მოჯადოებული წრის თეორეტიკოსების მტკიცებით განვითარებადი ქვეყნები იმიტომ ვერ ვითარდებიან, რომ ღარიბები არიან. სიღარბის მიზეზად ასახელებენ კაპიტალის სიმცირეს,შრომის ნაყოფიერების დაბალ დონეს. ამრიგად, სიღატაკის მოჯადოებული წრის თეორიის მიხედვით, ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნები წონასწორობის მახეში არიან გაბმულები. ისინი ჩამორჩენილი არიან იმიტომ, რომ არა აქვთ კაპიტალი და ღარიბები არიან. სიღარიბის ლიკვიდაციისა და კაპიტალის დაგროვებისათვის საჭირო ეკონომიკური ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად საჭირო სიღარიბის მოსპობა. მართლაც გამოდის რაღაც მოჯადოებული წრე. ამ წრის გარღვევა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ განვითარებადი ქვეყნები დახმარებისათვის მიმართავენ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს. მონოპოლისტური კაპიტალისაგან მიღებული ეკონომიკური დახმარება კი, არც თუ იშვიათად, ნიშნავს განვითარებადი ქვეყნების დატოვებას მსოფლიო სოფლის მდგომარეობაში.

ამერიკელი რ.როზენშტეინ-როდანი მიუთითებს: „ქვეყნის გადაყვანა დამოუკიდებელი ეკონომიკური განვითარების გზაზე მოგვაგონებს თვითმფრინავის მოწყვეტას მიწიდან. თვითმფრინავი რომ მიწას მოწყდეს და ჰაერში აფრინდეს, ამისათვის ჯერ საჭიროა



კრიტიკული სიჩქარის მიღწევა მიწაზე"*.

განვითარებადი ქვეყნების გამოსვლა ჯადოსნური წრიდან შეიძლება დიდი ნახტომის გაკეთებით. მაგრამ ამ ქვეყნებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ ამ ნახტომის გაკეთება, მათ ბიძგი უნდა მიეცეს გარედან. გარედან ბიძგის მიმცემ ძალად კი მიჩნეულია უცხოური კაპიტალი.

გარედან ბიძგის მიცემის შემდეგ განვითარებადი ქვეყნები სტარტს აიღებენ და შემდეგ გადავლენ მაღალი მასობრივი მოხმარების საზოგადოებაში.

### 4.წარმოების შედარებითი ხარჯების თეორია.

წარმოების შედარებითი ხარჯების თეორიის დანიშნულებას წარმოადგენს დაასაბუთოს მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობაში განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებული შრომის დანაწილების შენარჩუნების აუცილებლობა.

წარმოების შედარებითი ხარჯების თეორიის თანამედროვე დამცველები ჯ.ვაინერი, გ.ჰაბერლერი, ფ.ტაუსიგი, ჩ.კინდლებერგი და სხვები კვლავ დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ განვითარებადი ქვეყნებისათვის უფრო ხელსაყრელია სპეციალიზაცია სასურსათო და სანედლეულო პროდუქტებზე. მათთვის აზრი არა აქვს საკუთარი სამრეწველო წარმოების შექმნას. სამრეწველო პროდუქციის შეძენა მათ შეუძლიათ მსოფლიო ბაზარზე თავიანთი პროდუქციის გაცვლის შედეგად.

წარმოების შედარებითი ხარჯების თეორიის დამცველები იცავენ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის მონოკულტურული განვითარების გზას. მათი მტკიცებით, განვითარებადი ქვეყნები ღარიბია კაპიტალით, მაგრამ მდიდარია სამუშაო ძალით, ამიტომ მათ აქცენტი უნდა გააკეთონ შრომატევად წარმოებაზე, უპირატესად სანედლეულო პროდუქტებზე. ეს დაეხმარება განვითარებად ქვეყნებს ისარგებლონ წარმოების ფაქტორით. საერთაშორისო შრომის დანაწილებაში მათ მონაწილეობა უნად მიიღონ შრომის ფაქტორით, სამაგიეროდ ისარგებონ კაპიტალის ფაქტორით.

წარმოების შედარებითი ხარჯების თეორეტიკოსები რეკომენდაციას იძლევიან განვითარებულმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა განავითარონ წარმოება მაღალი ტექნოლოგიის საფუძველზე, ხოლო განვითარებადმა ქვეყნებმა შექმნან პერიფერიული

- - - - - -

*ახალი მოვლენები თანამედროვე ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში, ტ.I, მ., 1972, გვ.288-289.

წარმოება, სადაც განლაგდება უფრო შრომატევადი და მრეწველობის ეკოლოგიურად მავნე დარგები.

## 5. შეხედულებანი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს როლის შესახებ.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა მჭიდრო კავშირშია სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერებასთან, კერძოდ, პერსპექტიული განვითარების პროგრამის განხორციელებასთან. ფინანსური რესურსების შეზღუდულობა, მათი უფრო ნაყოფიერად გამოყენების აუცილებლობა უცილობლად მოითხოვს მთავრობის მონაწილეობას ეკონომიკურ მშენებლობაში. ახალგაზრდა სუვერენული ქვეყნები ისწრაფვიან სახელმწიფო გამოიყენონ როგორც უმნიშვნელოვანესი იარაღი თავიანთი ეკონომიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის.

განვითარებად ქვეყნებში სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერების აუცილებლობის აღიარებამ ფართო გავრცელება ჰპოვა ეკონომიკური ლიტერატურაში. ინდოელი ეკონომისტი, კალკუტის უნივერსიტეტის პროფესორი ა.გხოში წერს: „ეკონომიკური განვითარება მთავრობის ისეთ ფუნქციას წარმოადგენს, როგორც კერძო ინიციატივა, მაგრამ სახელმწიფოს როლი უფრო მნიშვნელოვანი ხდება ჩამორჩენილ ქვეყნებში"*.

ინდოელი ეკონომისტი რ.ჩატერჯი სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შემდეგ შეფასებას იძლევა: „სახელმწიფომ აქტიური როლი უნდა ითამაშოს, შეიძლება წამყვანი როლიც ეკონომიკური და სამრეწველო განვითარების ჩვენს პროგრამაში, თუ გვსურს ჩვენ შევაჩეროთ ჩვენი სასიცოცხლო დონის გაღრმავებადი გაუარესება და რამდენადმე ავამაღლოთ იგი**.

ამრიგად, სახელმწიფოს როლის გაძლიერება განვითარებად ქვეყნებში უნდა შეფასდეს როგორც პროგრესული მოვლენა, რომელიც თანამედროვე ეტაპზე პასუხობს საერთო ეროვნულ ინტერესებს.

სუვერენული სახელმწიფოების საქმიანობის სწორედ ეს მხარე იწვევს რიგი ბურჟუაზიული ეკონომისტების წინააღმდეგობას. ისინი გამოდიან თავისუფალი მეწარმეობის, კერძო ინიციატივის დაცვის პოზიციით, რომელმაც, მათი აზრით, ძირითადი როლი უნდა

- - - - - -

*ახალი მოვლენები თანამედროვე ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში, ტ.I, მ., 1972, გვ. 306.

**იქვე.



ითამაშონ ყოფილი კოლონიების განვითარებაში. მათ ნაშრომებში სახელმწიფოს მიეკუთვნება დამხმარე როლი, მისი საქმიანობა უნდა შემოიფარგლებოდეს ზოგიერთი დარგით კომუნალური მომსახურების სფეროში რომლებითაც დაინტერესებული არ არის კერძო კაპიტალი.

ამერიკელი ეკონომისტები ნ.ბიუკენენი და ჰ.ელისი რეკომენდაციას აძლევენ სახელმწიფოს განვითარებად ქვეყნებში ხელი მოჰკიდოს ჯანდაცვის, განათლების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ორგანიზაციას.

ჰ.ობრეი, ჰ.ჩენერი და სხვა ეკონომისტები აღიარებენ განვითარებად ქვეყნებში სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერებას, მაგრამ მხოლოდ იმ მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო სექტორის დაქვემდებარებას კერძო მეწარმეობის ინტერესებისადმი. ამიტომ სახელმწიფოს ძირითად ეკონომიკურ ფუნქციად აცხადებენ კერძო კაპიტალისათვის სასურველი პირობების შექმნას. ყოველივეს, რაც სახელმწიფოს საქმიანობაში შეიძლება კერძო კაპიტალისათვის მიუღებელი აღმოჩნდეს, სრულიად უარყოფენ.

ამრიგად, ბურჟუაზიული ეკონომისტები საკითხს აყენებენ არა სახელმწიფოს როლის შესახებ განვითარებად ქვეყნებში, არამედ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის დასაშვები საზღვრებისა და მისაღები ფორმების შესახებ. სახელმწიფოს საქმიანობის საზღვრებად ჩვეულებრივ თვლიან სოციალურ და ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ექსტრემალურ სიტუაციებში ეკონომიკური წონასწორობის მიღწევა შესაძლებელია ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის გზით.

საბაზრო ეკონომიკა გეზს იღებს მხოლოდ მოგებაზე და ვერ უზრუნველყოფს განვითარებისათვის საჭირო სამეურნეო სტრუქტურას. კონკურენციულ ბრძოლას ყოველთვის არ მივყავართ წარმოების ეფექტურობის ამაღლებისაკენ. კონკურენციული ბრძოლიდან აღმოცენდება მონოპოლიები, რომლებიც არღვევენ საბაზრო მექანიზმს.

საზოგადოებრივი კაპიტალის ინტერესები წინააღმდეგობაში მოდიან ინდივიდუალური კაპიტალის ინტერესებთან. ეს კი წარმოშობს კრიზისს. კრიზისის დასაძლევად აუცილებელია სახელმწიფოებრივი დაგეგმვა ორ ასპექტში: იმპერატიული სახელმწიფო სექტორში და ინდივიდუალური კერძოში.

სოციალური საბაზრო მეურნეობის მთელ რიგ სფეროებში დაგეგმვა აუცილებელია. მაგალითად, ინფრასტრუქტურის, განათლების

სფეროს და ჯანდაცვის დაგეგმვა სახელმწიფოს ამოცანას წარმოადგენს და იმპერატიულ ხასიათს უნდა ატარებდეს. რაც შეეხება დარგებს, სადაც კერძო კაპიტალი ბატონობს (მრეწველობა, ვაჭრობა, საკრედიტო სისტემა, მომსახურების სფერო) აქ შეიძლება ინდიკატიური დაგეგმვა*.

ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრება. სახელმწიფო საკუთრების ობიექტს უნდა წარმოადგენდეს, რკინიგზა, საავტომობილო გზები, მიწის ნაკვეთები, ფოსტა, ენერგეტიკა, საკრედიტო დაწესებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი, რიგი სამრეწველო საწარმოები და სხვ.

საკუთრების საკუთარი ბაზის გარეშე სახელმწიფო ვერ შეძლებს მოსახლეობის ნაკლებაუზრუნველბოფილი ფენების სოციალურ დაცვას.

სოციალური დაცვის საყურადღებო მოდელებია შექმნილი შვეციაში, გერმანიაში და სხვ.

განვითარებადი ქვეყნებიდან სოციალური დაცვის საინტერესო მოდელი არსებობს ეგვიპტეში. მისი გაცნობის შესაძლებლობა მოგვეცა 1996წ. 1-22 აპრილს კაიროში ჩატარებულ საერთაშორისო სემინარში მონაწილეობის დროს.

ეგვიპტეში ფუნქციონირებადი პრივატიზაციის კონცეფცია გულისხმობს სახელმწიფო სექტორის ეფექტურობის გაძლიერებას. ეგვიპტელებს გაცნობიერებული აქვთ აზრი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო სექტორიდან კერძოში საკუთრების გადასვლა ეს მიზანი კი არაა, არამედ საშუალებაა. ამ ღონისძიების დანიშნულებაა კონკურენციის პრინციპის დანერგვა, რასაც გამორიცხავდა სახელმწიფო სექტორში შექმნილი ადრინდელი მონოპოლიზმი. ამასთან, ეგვიპტეში შეცნობილი აქვთ ის გარემოება, რომ კონკურენციას თან ახლავს უარყოფითი შედეგებიც. ერთ-ერთ ასეთს უმუშევრობა წარმოადგენს. ამჟამად ეგვიპტის 60 მილიონი მოსახლიდან 1,5 მილიონი უმუშევარია.

ეგვიპტის მთავრობამ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად შექმნა სოციალური ფონდი იმ მუშების სარეაბილიტაციოდ, რომლებმაც სამუშაო დაკარგეს. ასეთ ადამიანებს შესაძლებლობას აძლევენ ჰქონდეთ წვრილი საწარმოები, ანდა ადრე გავიდნენ პენსიაზე. შექმნილია მუშათა კავშირები, რომლებიც შეიძენენ იმ საწარმოების აქციების 95%-ს, სადაც ისინი მუშაობდნენ, თანაც

- - - - - -

ჯ.ხარიტონაშვილი, დაგეგმვა სოციალურ საბაზრო მეურნეობაში, იხ. „საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტები", თბ., 1996, გვ. 33-34.



20%-ით ფასდაკლებით.

საინტერესო და გასაზიარებელი პრაქტიკა აქვთ ეგვიპტელებს ფასების საკითში. ეგვიპტის მთავრობა ახერხებს ფასების კორექტირებას მთელ რიგ სტრატეგიულ საქონელზე. სახელმწიფო ფრთხილად ედგება ფასების ზრდას.

ჰუმანურობის გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს მტკიცე ფასები სამკურნალწამლო საშუალებებზე. მედიკამენტების სფეროში მოქმედ კომპანიებს უფლება არა აქვთ უცბად გაზარდონ ფასი წამლებზე. ეს პროცესი შეიძლება ნელ-ნელა განხორციელდეს.

მნიშვნელოვანი შედეგებია მოპოვებული ეკონომიკის სხვა სფეროებშიც, რომლებიც შეიძლება ჩვენ გავიზიაროთ და გამოვიყენოთ.

არ შეიძლება დავეთანხმოთ მოარულ აზრს თითქოს უცხოური კაპიტალის მოძალება ავტომატურად გადაჭრის ჩვენს ეკონომიკურ პრობლემებს. არც ერთი ქვეყანა არ დაგეხმარება, რომ მისი კონკურენტი გახდე. შენი წარმატების გასაღები თვითონ უნდა იპოვო.

მსოფლიო ცივილიზაციის გამოცდილების გაზიარების პარალელურად საჭიროა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება.

## 6. „პერიფერიული ეკონომიკის" თეორია

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ლიტერატურაში დიდი პოპულარობითა და ავტორიტეტით სარგებლობს პერიფერიული ეკონომიკის თეორია.

პერიფერიული ეკონომიკის თეორია შეიქმნა *XX* ს. 40-50-იან წლებში ლათინურ ამერიკაში. ამ თეორიის აღიარებული წარმომადგენელია პაულ პრებიში (არგენტინა). სხვა თეორეტიკოსებისაგან აღსანიშნავია ს.ფურტადო (ბრაზილია), მ.ბალბოა, ა.ფერერი (არგენტინა), ვ.ურკიდი, ხ.ხოიოლა, ო.ფლორესი (მექსიკა), ხ.მაიობრე (ვენესუელა), ხ.აუმადა, ა.პინტო, გ.მარტნერი, ო.სუნკელი, კ.მარტესი (ჩილე). სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ეს არის განვითარებადი ქვეყნების პირველი საკუთარი თეორიულ-ეკონომიკური სკოლა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ლათინური ამერიკის ბევრი მეცნიერ-ეკონომისტი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მათი განვითარების მიმართულებები და კონცეფციები უშუალოდ ამ ქვეყნებში უნდა იქნეს დამუშავებული და არა ამერიკასა თუ დასავლეთ ევროპაში. ლათინური ამერიკის უმრავლეს ქვეყნებში საკუთარი

- - - - -

*ბ.ე.იაროშევსკი, პერიფერიული ეკონომიკის თეორია, მ., 1973, გვ. 5. (რუს).

კადრები აღიზარდა. საზღვარგარეთულმა თეორიულმა განათლებამ და საკუთარი ქვეყნის რეალურმა ცხოვრებამ ადგილობრივი მეცნიერ-ეკონომისტები გარკვეულ დონემდე აიყვანა. ისინი აქტიურად მონაწილეობენ ეკონომიკური მშენებლობის პრაქტიკაში.

ლათინური ამერიკის ეკონომისტთა თეორიების ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა რესურსების განაწილების კრიტერიუმის მოძიება. დასავლეთელი ავტორები ტრადიციულად თვლიდნენ, რომ მსოფლიო ბაზარი შედარებითი სარგებლიანობის კრიტერიუმის მეშვეობით უზრუნველყოფს რესურსების ყველაზე კარგ განაწილებას და ყველა პარტნიორის სარგებლიანობას. ლათინურ-ამერიკელმა თეორეტიკოსებმა უარყვეს კლასიკური სკოლის ეს შეხედულება და იგი არასრულფასოვნად ჩათვალეს, რადგან ამის მიხედვით განვითარებული ქვეყნები ყოველთვის აიძულებდნენ, რომ განვითარებადი ქვეყნები მუდმივ ტენდენციას ამჟღავნებდნენ წონასწორობის დარღვევისაკენ.

პერიფერიული ეკონომიკის თეორიის თანახმად განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა შეიძლება მხოლოდ შრომის არსებული საერთაშორისო დანაწილების კაპრდინალური გარდაქმნის საფუძველზე.

პ.პრებიშის მიერ ფორმულირებულ იქნა ცნება - „ცენტრი“ (მოწინავე კაპიტალისტური სახელმწიფოები, ციკლური რყევის წყაროები) და „პერიფერიები“ (მსოფლიოს ეკონომიკურად ჩამორჩენილი რაიონები). ლათინურ-ამერიკული ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების ანალიზმა ადგილობრივი მკვლევარები იმაში დაარწმუნა, რომ ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა როგორც ეროვნულ, ისე რეგიონალურ ჩარჩოებში ზრდიან პერიფერიული ეკონომიკის ცენტრის ეკონომიკასთან დაკავშირების ხარისხს. განვითარდა იდეა ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების შესახებ, რაც გულისხმობდა იმპორტის შეცვლას ინდუსტიალიზაციით. იგი დაკავშირებულ იყო წარმოების საშუალებათა მწარმოებელი ეროვნული დარგების შექმნასთან.

ლათინურ-ამერიკელ თეორეტიკოსებს ხშირად უწოდებენ კეინსისა და მანჰეიმის მიმდევრებს. ისინი იყენებენ აგრეთვე ვ.ლეონტიევის, დიუზენბერის, ნურკსეს და სხვათა იდეებს.

ბრაზილიელი ფურტადო, პერუელი ხ.ბრეზანო და სხვა ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ ინდუსტრიალიზაციამ და სოციალ-ეკონომიკურმა გარდაქმნამ უნდა უზრუნველყოს ადამიანთა არსებობისათვის მინიმალური პირობები. „მესამე სამყაროს“ ადამიანებს მისცეს ფიზიოლოგიური და ეკონომიკური დოვლათის მინიმუმი. ისინი აუცილებლად თვლიან „შიმშილის ეკონომიკის“



თეორიის შეცვლას „ადამიანის ეკონომიკით“.

ადამიანის ეკონომიკის თეორია არ იფარგლება მხოლოდ სოციალური დანახარჯებისა და სიკეთეების ჩამოთვლით, კალორიების გაზომვით და ა.შ. ისინი ეხებიან აგრეთვე ისეთ საკითხებს როგორიცაა პიროვნება, ჰუმანიზმი და სხვ.

პერიფერიული ეკონომიკის თეორიები განიხილავენ ფინანსების სტაბილურობის საკითხსაც. ხ.ნოიოლამ შეადგინა ინფლაციის წარმოშობისა და გავრცელების საკუთარი ფაქტორები. მათ შორის იგი გამოყოფს ექსპორტის რყევას და სასოფლო-სამეურნეო წარმოების არასაკმარის განვითარებას მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ინფლაციის გავრცელების მექანიზმში მას შეჰყავს საგადასახადო სისტემის რეგრესულობა, საკრედიტო მექანიზმი, ფასებისა და შემოსავლების კორექტირების მექანიზმი და ა.შ.

პერიფერიული ეკონომიკის თეორიებს არაერთგვაროვნად აფასებენ დასავლეთელი ეკონომისტები: ჯ.პაულსონი, ჯ.სმიტი, რ.ნურკსე, პ.როზენშტეინ-როდანი, ი.ტინბერგენი, ა.ლუისი და სხვ.

ამერიკელი ჯ.პაულსონი პერიფერიული ეკონომიკის თეორიას მიიჩნევს, როგორც გაურკვეველს, თუმცა ამასთან ინტუიციურად კორექტულსაც უწოდებს მას.

# გამოყენებული ლიტერატურა

## თავი XIII


1. ა.ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.
2. ა.ჰიტლერი, ჩემი ბრძოლა, თბ., 1991.
3. ნ.ქორიავა, ისტორიული სკოლა ეკონომიკურ მეცნიერებაში, ტფ., 1924.
4. გჭანუყვაძე, ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ.I, თბ., 962.
5. ს..ბერაძე, გჭანუყვაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ.I, თბ., 1973.
6. კ.მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ *IV* ტომი), ნაწ.I, თბ., 1968.
7. Ш.Жидь и Ш Ристь, История экономических учений, М., 1918.
8. Ф.Лист. Национальная система политической экономий СПБ, 1891.
9. В.рошер, Начала народного хозяйства руководство для учащихся и для деловых людей, т.1 и 2, М., 1860.
10. В. Рошер, Наука о народном хозяйстве во отношения к земледелию и другом отрослям первоначальной промишлености, М., 1870.
11. Б.Гильдебранд, Политическая экономия настоящего и будущего, СПБ, 1860.
12. Г.Шмолер, Народное хозяйство, наука о народном хозяйстве и ее методы, М., 1902.
13. Л.Брентано, Опыт теорий потребностей, Казан, 1921.
14. Л.Брентано, История хозяйственного развития Англии, М., 1930.
15. Л.Брентано, Причины экономического расстройства в Европе, Одесса, 1894.
16. Л.Брентано, Классическая политическая экономия, С.-П., 1900.
17. Л.Брентано, Аграрная политика, М., 1929.





18. Ф. Энгельс, Брентано *contra* Маркс, К.Маркс и Ф. Энгельс. Соч, т.22.
19. В. Зомбарт, Современный капитализм, т.1, М., 1909.
20. Афанасьев В.С. Этапы развития буржуазной политической экономии, М., 1971.
21. Блауг М., Экономический мысль в ретроспективе, М., 1994
22. Всемирная история экономической мысли, т.3. М., 1989.


## თავი XIV


1. ა.ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.
2. გჭანუყვაძე, ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ.I, თბ., 1962.
3 ს.ბერაძე, გჭანუყვაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ.I, თბ., 1973.
4. კ.მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ *IV* ტომი), ნაწ.I, თბ., 1968.
5. ქართული ენციკლოპედია, ტ.6.
6 კ.მარქსი, ბემ-ბავერკი, როგორც მარქსის კრიტიკოსი, თბ., 1927.
7. Ш.Жидь и Ш Ристь, История экономических учений, М., 1918.
8. Б.Селигмен, Основные течения современной экономической мысли, М., 1968.
9. Е.Бем-Баверк, Основы теории ценности хозяйственных благ, М. 1929.
10. *W.S. Jevons, Theory of Political Economy, London, 1886*, ხელახალი გამოცემა, *New York, 1957.*
11. Всемирная история экономической мысли, т.3. М., 1989.
12. Дж. Б. Кларк, Распределение богатства, М., 1934.
13. А.Маршал, Принципы экономической науки (в 3-х книгах), М., 1993.
14. Всемирная история экономической мысли, т.3. М., 1989.
15. Блауг М., Экономический мысль в ретроспективе, М., 1994.


## თავი XV


1. ი.ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, ტ.III, *V, VII.*
2. ი.ჭავჭავაძე, წოდებათა თანასწორობა, რჩ.ნაწარმოებები ხუთ

ტომად, ტ. *V*, თბ., 1987.
3. ნ.ნიკოლაძე, თხზ., ტ.I, თბ., 1960.
4. ნ.ნიკოლაძე, თხზ., ტ.2 თბ., 1962.
5. ნ.ნიკოლაძე, თხზ., ტ.3, თბ., 1963.
6. ნ.ნიკოლაძე, თხზ., ტ.4, თბ., 1964.
7. გ.ბზიანიძე, ნარკვევები, *XIX* საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1959.
8. ვ.ბახტაძე, ილია ჭავჭავაძის სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებანი, თბ., 1959.
9. ვ.ბახტაძე, ნიკო ნიკოლაძის სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებანი, თბ., 1958.
10. ს.ბერაძე, ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებანი, თბ., 1958.
11. პ.გუგუშილი, ნიკო ნიკოლაძე, ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1963, № 9.
12. გ.თოდუა, *XIX* ს. ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ისტორიის საკითხები, ნაწ.I, თბ., 1983. ნაწ.II, თბ., 1987.
13. რ.კაკულია, ქართული ეკონომიკური აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1969.
14. პ.რატიანი, ქართველ თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან, თბ., 1962.
15. ტ.სართანია, ილია ჭავჭავაძის სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებათა შესახებ, ცხინვალი, 1971.
16. ტ.სართანია, ილია ჭავჭავაძე, თბ., 1992.
17. ე.ჩადუნელი, გაზეთ „დროების" პუბლიცისტთა საზოგადოებრივ-ეკონომიკური შეხედულებანი, თბ., 1969.
18. ე.ჩადუნელი, ქართული ეკონომიკური აზრის განვითარების ისტორიიდან, თბ., 1978.
19. ჯ.ხარიტონაშვილი ჩარჩული ფული ქურდბაცაცაა, გაზ. „სიმართლე", 1993, აპრილი, №5, გვ.4.
20. Г.Мегрелишвили, Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине *XIX* века, Тб., 1960.

## თავი XVI

1.გჭანუყვაძე, ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ.I, თბ., 1962.
2. ს..ბერაძე, გჭანუყვაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა



ისტორია, ნაწ.I, თბ., 1973.
3. Всемирная история экономической мысли, т.4. М., 1989.
4.Е.Жамс, Экономический мысль *XX* века, Л., 1959.
5. Б.Селигмен. Основные течения современной экономической мысли. М., 1968.
6. Блауг М.. Экономический мысль в ретроспективе, М., 1994.
7. И.Г.Блюмин, Очерки современной буржуазной политической экономии США. М., 1956
8.Г.Б.Хромушин, Экономические теории политической экономии, М., 1972.
9. Э.Я.Брегель, Критика буржуазных учении об экономических систем капитализма, М., 1972.
10. Критика теорий современных буржуазных экономистов (Дж. Гелбреита, Г.Мюрдаля, Л.Эрдхарда), М., 1971.
11.*T.Veblen, Place of Sience in Modern Civilization, New York,1919.*
*12.D. Bell, The Post–industrial Society: The Evolution of Idea, London,1971.*
*13. D. Bell, The coming of Post–industrial Sociaty: A venture in social Forecasting, New–York,1973.*
*14. D. Bell, Capitalism today, New–York–London, 1971.*
*15.D. Bell, Toward the year 2000. Work in progress, Boston,1968.*
*16. H.Kahn, A.Wiener, The Year 2000: a Framework for Speculation on the Next 33 Year, New–York–London, 1967.*

## თავი XVII

1. ნ.ვინერი, კიბერნეტიკა და საზოგადოება, თბ., 1962.
2. გჭანუყვაძე, ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ.I, თბ., 1962.
3. გჭანუყვაძე, ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ.IV, თბ., 1969.
4. ს..ბერაძე, გჭანუყვაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ.II, თბ., 1975.
5. ჯ.მ. კეინსი, დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია, ქუთაისი, 1995.
6. პ.სამუელსონი, უ.ნორდჰაუსი, ეკონომიკსი, თბ., 1992.
7. Дж. М. Кеинс, Экономические последствия версальского мирового договора, М., 1922.
8. Э.Хансен, Экономические циклы и национальный доход, М.,

1959.
9. Э.Хансен, Послевоенная экономика США, М., 1966.
10.Р.Харод, К теории экономической динамики, М., 1959.
11. Р.Аллен, Математическая экономия, М., 1963.
12. К.Ланкастер, Математическая экономия, М., 1973.
13. Я.Тинберген, Х.Бос, Математические модели экономического роста, М., 1967.
14. Дж.Б.Данцинг, Линейное програмирование, Его применение и обощения, М., 1966.
15. Б.Селигмен, Основные течения современной экономической мысли, М., 1968.
16. Э.Жамс, История экономической мысли *XX* века, М., 1959.
17. И.М. Осадчая, Современное кейнсианство, М., 1971.
18. Н.П.Федоренко, Экономика и математика, М., 1967.
19. В.С. Немчинов, Экономико-математические методы и модели, М., 1962.
20. В.Э. Шляпентох, Эконометрика и проблемы экономического роста, М., 1966.
21. Новые явления в современной буржуазной политической экономии. М., 1963.
22. Новые тенденции в современной буржуазной политической экономии в связи с экономической политикой, София, 1965.
23. Г.Б.Хромушин, Экономические теории политической экономии, М., 1972.
24. Всемирная история экономической мысли. т.4. М., 1989.
25. Блауг М., Экономический мысль в ретроспективе, М., 1994.
26. Э.Я.Брегель, Критика буржуазных учении об экономических систем капитализма, М., 1972.

## თავი XVIII

1.კემპელ რ.მაკონელი, სტენლი ლ.ბრიუ, ეკონომიკსი, ტ.I და II, თბ., 1993.
2. ს..ბერაძე, გ.ჭანუყვაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ.I, თბ., 1973.
3. გ.ჭანუყვაძე, ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ 1, თბ., 1962.
4. ჯ.ხარიტონაშვილი, „ფორმირებული საზოგადოების" კონცეფცია და მისი კრიტიკა. ჟურნ. „ეკონომისტი", № 4. 1976.
5 Л. Эрхард, Благосостояние для всех, М., 1991.
6. Э.Жамс, История экономической мысли *XX* века, М., 1959.
7. Критика теорий современных буржуазных экономистов (Дж.Гэлбреита, Г.Мюрдаля, Л.Эрхарда) М., 1971.
8. Экономическое положение капиталистических и развивающихся стран, М. 1969.
9. Федеративная республика Германии, М., 1973.
10.В.Н. Котов, Западногерманский неолиберализм, М., 1976.
11. *Erhard L. Wohlstand fur alle, Dusseldorf, Econ, 1957.*
12. *Erhard L. Deutsche Wirtsschcftspolitik. Der Weg der sozialen Marktwirtachaft, Dusseldorf–Wien, Econ, Frankfurt, 1962.*
13. *Erhard L. Die Formierte Gesellschaft. „Gesellschaftspolitische Komentare", 1965, 11.*
14 *Erhard L. „Programm fur Deutschland", Referat auf dem 13 Bundesparteitag der CDU, 31 Marz 1965. „Gesellschaftspolitische Kommentare", 1965, 7.*
15. *Erhard L. Eine Gesellschaft des Dynamischen Ausgleichs, – „Bulleten des Presse – und Infornaionsamtes", Bonn, 1965, 10 April, 65.*
16 *Riek W, Schustze L., Wilhelmi R., 12 Thesen zur „Formierten Gesellschaft" Zur Verstandnis der Konzeption L.Erhard. „Gesellschaftspolitische Komintare", 1965, 13.14.*
17. *Wolf Dieter, Narr, Pluralistische Gesellschaft, Hannover, 1969.*
18. *Motteli C., Gesellschaft, Staat und Wirstschaft von der sozialen Marfctwirschaft zur „Formierten Gesellschaft?" – ORDO Iahrbuch fur die ordnung von Wirtschaft und Gesellschaft, Bd. 17. Dusseldorf und Munchen, 1966.*
19. *W. Putter, H. Kolbe, Die Konzeption der SPD – Fuhrung von der „mundigen Gesellschaft, NDWI Berichte, 1967, № 1.*
20. *Mundige Gesellschaft. Die SPD zur. Zukunf der Nation, Hanover, 1967.*
21. *Klaus O.W., Muller, Neokejnesianismus, Berlin, 1972.*

## თავი XIX


1. პ.სამუელსონი, უ. ნორდჰაუსი, ეკონომიკსი, თბ., 1992.
2. ს.ბერაძე, გ.ჭანუყვაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ.II, თბ., 1975.
3. ჯ. ხარიტონაშვილი, იდეათა სესხების საკითხი პლურალიზმის თეორიაში, ჟურნ. „ეკონომისტი"№3, 1990.
4. ჯ. ხარიტონაშვილი, კიდევ ერთხელ იდეათა სესხების შესახებ, ჟურნ. „ეკონომისტი". №8, 1996.
5. სანგ სენგ პარკი, კორეის გამოცდილება, გაზ. „ბანკი" 10.07, 1993წ.
6. ლეონტიევი, ბაზრისკენ სახელმწიფო კონტროლის გზით, ჟურნ. „ეკონომისტი", 1990, №6.
7. Э.Я.Брегель, Критика буржуазных учении об экономических систем капитализма, М., 1972.
8. П.Самуелсон, Экономика, М., 1964.
9. Л. Эрхард, Благосостояние для всех, М., 1991.
10. Газет "Известия". 1989, 12/X.
11. Журнал "Эко" №2, 1990, №1, 1991.
12. К. Эклунд, Эффехтивная экономика, М., 1991.
13. М. Портер, Международная конкуренция, М., 1993.
14. Мюрдаль Г.С., Современные проблемы "третьего мира", М., 1992.
15. *Wolf Dieter, Narr, Pluralistische Gesellschaft, Hannover, 1969.*
16. *Zeitschrift, „Gesellschaftspolitische Komintare", 1965, №13,14.*
17. *Erhard L. Deutsche Wirtsschcftspolitik. Der Weg der sozialen Marktwirtchaft, Dusseldorf—Wien, Econ, Frankfurt, 1962.*


## თავი XX


1. გ.ჭანუყვაძე, ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ.III, თბ., 1964.
2. ჯ.ხარიტონაშვილი, დაგეგმვა სოციალურ საბაზრო მეურნეობაში, იხ.კრებული „საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტები", თბ., 1996.
3. Новые явления в современной буржуазной политической экономии, М., 1963.
4. Мюрдаль Г.С., Современные проблемы "третьего мира", М., 1992.
5. Б. Е. Ярошевский, теория периферийной Экономики, М., 1973.




## შინაარსი


თავი XIII. გერმანული ლიბერალური სკოლის ეკონომიკური მოძღვრება. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 5
1.ეროვნული ეკონომიკა. ფ.ლისტი.
2. ისტორიული სკოლა.
ა) ძველი ისტორიული სკოლა. ვ.როშერი. კ.კნისი. ბ.ჰილდებრანდი.
ბ)ახალი ისტორიული სკოლა. გ.შმოლერი. ლ.ბენტანო.
3. სახელმწიფო სოციალიზმი.
4. სოციალური მიმართულება

თავი XIV მარჟინალიზმის წარმოშობა. ნეოკლასიციზმი..... 18
1. უ.ჯევონსისა და ლ.ვალრასის მარჟინალიზმი.
2.ავსტრიული სკოლა. კ.მენგერი. ფ.ვიზერი. ე.ბემ-ბავერკი. ფასეულობის სუბიექტური თეორია. ფასეულობის ობიექტური თეორია.
3.კემბრიჯის სკოლა. ა.მარშალი.
4. ამერიკული სკოლა. ჯ.ბ.კლარკი.

თავი XV. XIXს. მეორე ნახევრისა და XXს. დასაწყისის ქართული ეკონომიკური აზრი. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 35
1.ილია ჭავჭავაძის მეხედულებანი საქართველოს ეკონომიკური განვითარების გზებას შესახებ.
2. ი.ჭავჭავაძე ეკონომიკური კატეგორიების შესახებ.
3. ნ.ნიკოლაძე ეკონომიკური კატეგორიების შესახებ.
4. ნ.ნიკოლაძე საქართველოში ვაჭრობის, საბანკო საქმის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ.

ნაწილი IV. თანამედროვე ეკონომიკური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი.

თავი XVI. ინსტიტუციონალური მოძღვრებები. . . . . . . . . . . 52
1.ამერიკული ინსტიტუციონალიზმი XX ს. 20-30-იან წლებში.
ა)ტ.ვებლენის სოციალურ-ფსიქოლოგიური ინსტიტუციონალიზმი.
ბ) ჯ.კომონსის სოციალურ-სამართლებრივი ინსტიტუციონალიზმი.
გ)უ.მიტჩელის კონიუნქტურულ-აღწერილობითი ინსტიტუციონალიზმი.
2. ინგლისური ინსტიტუციონალიზმი. ჯ.ჰობსონი.
3.ინსტიტუციონალურ-სოციალური მიმართულება.
ა) ინდუსტრიული საზოგადოების თეორიები. უ.როსტოუ. რ.არონი. ჟ.ელიული. ჯ.გელბრეითი.
ბ) პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორია
გ) კონვერგენციის თეორია.

თავი XVII. რეგულირებადი ეკონომიკის კეინსური და ნეოკეინსური მოძღვრებები . . . . . . . . . . . . . . . . . . . 70
1. ჯ.მ.კეინსის მაკროეკონომიკური მოდელი.
2. ამერიკული კეინსელობა.
3. ეკონომიკური ზრდის ნეოკეინსური თეორიები..
ა) რ.ჰაროდის ეკონომიკური დინამიკის თეორია.
ბ)ე.დომარის ეკონომიკური ზრდის თეორია
გ)ზრდის ნეოკლასიკური თეორია.
დ) ნეოკლასიკური სინთეზი.
ე) ეკონომიკური ზრდის ინსტიტუციონალური თეორია.
4. ეკონომეტრიკა

თავი XVIII. ახალი ლიბერალური მოძღვრებები (ნეოლიბერალიზმი). . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 97
1. ახალი ლიბერალიზმის (ნეოლიბერალიზმის) წარმოშობა
2.ნეოლიბერალიზმის გავრცელება გფრ-ში.
ა)სოციალური საბაზრო მეურნეობის თეორია.
ბ) ფორმირებული საზოგადოების კონცეფცია.
გ) გლობალური რეგულირების კონცეფცია.
დ) ნეოლიბერალიზმიდან ნეოკეინსელობისაკენ
ე) ნეოლიბერალიზმის აღორძინება XXს. 80-იან წლებში.
3. ნეოლიბერალიზმის სხვადასხვა მიმდინარეობანი.



ა) ავსტრიული ნეოლიბერალიზმი.
ბ) შვეიცარული ნეოლიბერალიზმი.
გ)ინგლისური ნეოლიბერალიზმი.
დ) იტალიური ნეოლიბერალიზმი
ე) ფრანგული ნეოლიბერალიზმი
ვ)ამერიკული ნეოლიბერალიზმი. ჩიკაგოს სკოლა.
ზ)მონეტარიზმი.
თ) რაციონალური მოლოდინის თეორია.

თავი XIX. შერეული ეკონომიკის მოძღვრებები და მოდელები..123
1. შერეული ეკონომიკის თეორიული საფუძვლები.
2. სოციალისტური საბაზრო მეურნეობის თეორიები.
3. საზოგადოების მოწყობის შვედური და სამხრეთ კორეული მოდელები.

თავი XX. მოძღვრებები განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის შესახებ. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 138
1.ვაკუუმის დოქტრინა
2. ურთიერთდამოკიდებულების თეორია.
3. სიღატაკის მოჯადოებული წრის თეორია.
4. წარმოების შედარებითი ხარჯების თეორია.
5. შეხედულებანი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს როლის შესახებ
6. „პერიფერიული ეკონომიკის“ თეორია.

ტირაჟი 1000